კონსტანტინე ზ. გამსახურდია

რავქნისა ცისხე ავაგე

სოციალური ქსელის აუდიტორიასთან

თბილისი 2015

შემდგენელი
თამარ ყალიჩავა

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
ილია ხელაია

ISBN 978-9941-458-15-6

© კონსტანტინე ზ. გამსახურდია, 2015.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015.

დუღილის შუაგულში

(კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი დროის კვალდაკვალ)

ეს პოეტური ჩანაწერები თავიდანვე წიგნად სულაც არ განზრახულიყო.

იწერებოდა დროდადრო, იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა კვალდაკვალ, ყველაზე ძალიან რაც შეძრავდა კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს, და თანაც განსჯა ყოველთვის გარკვეულ კომპოზიციურ ქარგაში მოექცეოდა ხოლმე. ჯერ ისედაც იზრუნებდა ჩანაწერთა კომპოზიციურ გამართულობაზე, მარტო თავისთვისაც რომ ჩაენიშნა, და მით უმეტეს – ინტერნეტით გასავრცელებლად ამზადებდა.

საკმაოდ დაგროვდებოდა ასეთი მოვლენები, ერთი-ერთმანეთზე შემძვრელი, და ამიტომაცაა, მალევე რომ გამოიკვეთებოდა ციკლი მისი ფეისბუქის გვერდზე, გამოხმაურებანი გარკვეული ისტორიული ხვეულის მატიანედ წარმოდგებოდა – სანდო, დამაჯერებელ, მრავალმხრივ გასათვალისწინებელ მატიანედ, ამასთან,

არამარტო იმ მოკლე დროის წარმოსაჩენად, რომელსაც აღწერდა, არამედ ჩვენი დრამატული სინამდვილის არსში ჩასახედად, რაკიღა დროის საცეცები თავისთავადაც მიისწრაფოდა საერთოქართული ტკივილებისა და უმწვავესი პრობლემატიკისაკენ და კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის თვალთახედვაც ძალდაუტანებლად განაზოგადებდა დეტალებს, შრეებს, გარემოებებს და საქართველოს ბედისწერის სამზერიდან გადახსნიდა და გააშიშვლებდა ყოველივეს, ჩვენს სახელმწიფოებრიობას რაც ესაჭიროებოდა – მიღწეულის გასააზრებლად და მომავლის კონტურების მოსანიშნად.

თითოეული ჩანაწერის კომპოზიციური აღნაგობა და დახვეწილი სტილი ავტორის მსჯელობას მცირე ესეის ფორმას ანიჭებდა.

და მცირე ესეების ციკლის ძალდაუტანებელი გამოკვეთა კი თავისთავად მოითხოვდა ახლებური თვალით გადახედვას ამ ნიმუშებისა, თავმოყრასა და კომპიუტერის სივრციდან წიგნის სამყაროში გადმონაცვლებას.

ასე ერთიანობაში გაცნობა დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ არასოდეს ყოფილა ეს ჩანაწერები ერთდღიანი და, თუმც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს წინასწარ სულაც არ ეგულისხმა მათი თავმოყრა წიგნის ქარგაში, ჩანაწერთა რანგი და მნიშვნელობა თვითვე განსაზღვრავდა საკუთარ ბედს.

რადგანაც წიგნებს აქვთ საკუთარი ბედისწერა, მათი მომზადების პროცესიც არცთუ იშვიათადაა ამ ბედისწერის სრულუფლებიანი ნაწილი – ამ შემთხვევაში სულაც გადამწყვეტი.

„რავქნისა ციხე ავაგე" ზუსტად და მოხდენილად ნაპოვნი სახელწოდებაა წიგნისა, რომელსაც შესაძლოა მიყრუება და ფურცლებადვე დაფანტვაც ემუქრებოდა,

რომ არა მეგობრული შეგულიანება – თითოეულ ჩანაწერს არამარტო სათაური დარქმეოდა, არამედ დაფასებულიყო მათი ეპოქალურობაც და ჟანრობრივი თავისებურებაც, მათი სიღრმეც და მასშტაბურობაც.

უმთავრესი ღირსება კი ისაა, რაც ყოველთვის წამოგვაგონდება კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის ხსენებისას – მისი მიუდგომლობა და აუმღვრეველობა, მისი ეს უჩვეულო უნარი, შეინარჩუნოს სიმშვიდე და წონასწორობა ყველაზე მწვავე ვითარებაშიც.

აქედანაა ნასაზრდოები მისი მწერლური მეთოდიც და ისტორიული თვალთახედვაც, ძველი რომაელები მიკერძოებისა და მრისხანების გარეშე წერას რომ უწოდებდნენ და უმთავრეს საზომადაც მიაჩნდათ ისტორიულ მატიანეთა შეფასებისას.

სწორედაც:

თუ რამდენად ახერხებდა ისტორიკოსი თავშეკავებას.

თუ რამდენად შეეძლო პირუთვნელობის გამჟღავნება.

ის გარემოება, რომ თუნდ ყველაზე დრამატულ, მეტიც, ტრაგიკულ მოვლენათა შუაგულიდან მოდიოდა მემატიანე, უნდა დატყობოდა მის მიერ მოწოდებული ცნობების სიუხვესა და ნიუანსების შემჩნევასაც, მაგრამ არაფრისდიდებით – სტილისტიკას. მისი პირადი დამოკიდებულება სადღაც უკან უნდა გადანაცვლებულიყო და თხრობის ხვეულებში ან შორეულად მიგეკვლია პირად განწყობილებათა გაელვებისათვის, ან ისიც ვერა.

დაე, მიუყენეთ ეს საკმაოდ მკაცრი საზომი კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებს, იქნება ეს „მდინარების საპირისპიროდ“ თუ „რავქნისა ციხე ავაგე“, და კიდევ ერთხელ გამოთქვით გაკვირვება, რაოდენ ზუსტად

განმეორებულა რომაელთა შეგონება ჩვენს სინამდვილეში, და განმეორებულა სრულიად ძალდაუტანებლად, რადგანაც ეს ავტორის ბუნებაა, მისი ხასიათის უმთავრესი ნიშანი, და განსწავლულობა და ისტორიული ქრონიკების – მათ შორის, ქართლის ცხოვრების მატიანის – ცოდნა მხოლოდ დაუდასტურებდა ამ ბუნებისმიერ სწრაფვას.

ემოციურობა, მღელვარება არ აკლია მის თხრობას, წარმოსახვა მარჯვედ რომ ეშველება რეალიებს და ექსპრესიულ სურათებად ჩამოქნის, მაგრამ ეს ემოციურობა და მღელვარება ქვეყნის ყოფით შეძრული პიროვნების განცდაა და არა პირადი ტკივილების გადმოფენა, თუმც ისე მოხდებოდა, რომ მისი ბედისწერა უშუალოდ გადაეჯაჭვებოდა საქართველოს სახელმწიფოს დრამატულ ხვედრს და თვითონაც მონაწილე შეიქნებოდა იმ უმწვავესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა, რომლის სათავეშიც მამამისი უნდა აღმოჩენილიყო – ის ზვიად გამსახურდია, ვინც რომანტიკული გმირის შეუპოვრობით გატეხდა ყველა წინააღმდეგობას ქვეყნის პრეზიდენტობისაკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ შემდეგ უკვე მოწამის ხვედრს შეურიგდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსს მთელი არსებით უნდა განეცადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგების წამლეკავი სიხარული.

და განეცადა პრეზიდენტისა და ეროვნული მთავრობის დამხობის ტრაგედია, ქვეყანას ათწლეულებით უკან რომ გადაისროდა და, საბედნიეროდ, საერთაშორისო ვითარება აღმოჩნდებოდა ჩვენთვის სასიკეთო, თორემ ისევე გაგვიქრებოდა ხელიდან ნანინანატრი თავისუფლება, როგორც პირველი რესპუბლიკის ეფე-

მერული გადაელვებისას აღმოჩნდებოდა ხალხი ხელა-ხალი კაბალის ტყვეობაში.

1992 წლის 6 იანვარს ასცილდებოდა 1921 წლის 25 თებერვლის ხვედრი.

ბიოგრაფიაში, მისი შვეიცარიული დრო.

შემდეგ უნდა ყოფილიყო ემიგრანტობის მწუხარე ხანა კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის.

და სამშობლოში დაბრუნებულს კი... სახელმწიფოს ღალატი დასდებოდა ბრალად.

და ისევე უნდა შეწყდომოდა საზარელ სინამდვილეს, როგორც თითოეული ჩვენგანი, კოშმარული ღამის გათენებას რომ ვერა და ვერ ვეღირსეთ, და ვეღარც გავიხარეთ, რაკიღა მოჩვენებითი გამოდარებანი არ გვერევა იმ ჭეშმარიტ მონაპოვარში, რასაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჰქვია, სრულფასოვანი და არა ვინმეს კუდიმდევრობას დაყაბულებული.

ამ სულიერი ტკივილების ნაყოფია ეს თხზულება, ოლონდ ტკივილები შეფარულია და წინ მოიწევს ღრმა ანალიტიკური ძიება და შეფასება იმ ყოველივესი, რაც გვაფორიაქებს და ყველაზე დამაჯერებელი პასუხი კი ვერ გვიპოვია.

და აგერ გონიერი და მიუკერძოებელი პიროვნება გვიზიარებს თავის ფიქრებს, გულშიც ისევე გამოტარებულს, როგორც აზრის ლაბირინთებში, ასე ჰარმონიულად რომ გამოუწრთობია, დაუწურავს, ზოგჯერ პოლიტიკურ ფორმულებადაც უქცევია, და ერთ გაბმულ სურათს რომ აღადგენს გარკვეული დროითი მონაკვეთისა, სახავს იმ გზებს, რომელნიც უსათუოდ გასათვალისწინებელია ჩვენი არჩევანისას.

და ჯერ მარტო იმ მხრივაა საგულისხმო ეს პოლიტიკური დღიური, რომ პარტიის წინამძღოლი არაპარტიულად აზროვნებს, რადგანაც მისთვის პოლიტიკური

პარტია საშუალებაა და არა მიზანი, და ამიტომაცაა, რომ იგი პარტიას ანაცვალებს პატრიას ანუ – პარტიას მიიტანს ზვარაკად სამშობლოს წინაშე, და არა პირიქით, პატრიას რომ უფენენ ხოლმე ძირს პარტიას და... კიდეც ამიტომაა, მოჯადოებული წრიდან რომ ვერაფრისდიდებით დაგვიღწევია თავი.

ცხოვრების სხვაგვარი დატრიალება რომ არა, ამ კაცს უპირატესად უნდა ეწერა რელიგიურ თუ კულტურულ საგანმანათლებლო თემატიკაზე, ეს ყველაფერი კი ლიტერატურის ძარღვზე ამოეზიდა, უმთავრესად ესთეტიკური დაკვირვებებით, ძიებებით, ასოციაციებით განემსჭვალა, და შიგადაშიგ შემოჭრილიყო პოლიტიკური რეალიებიც და მათი გააზრების სურვილიც, როგორც გარკვეული აუცილებლობა.

არადა, უპირატესად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკას უტრიალებს და მხოლოდ შიგადაშიგ იჭრება თხრობაში რელიგიური და ლიტერატურული რეალიებიც და მათი გააზრების სურვილიც, როგორც გარკვეული აუცილებლობა.

და დღეისდღის სამზერიდან ისეთი განცდა რომ უჩნდება განვლილი გზისათვის თვალის გადავლებისას: ერთი კი არა, რამდენიმე ცხოვრებაა განვლილი და არ არსებობს თითქმის არცერთი მოვლენა, კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილი, რომელიც ამ გზაზე ამა თუ იმ ფორმით ან ამა თუ იმ ინტენსივობით არ მომხდარიყოსო, – რა გაგვიკვირდეს, როდესაც ისეთი თვალნათლივია ეს თავისებურება თუ ნიშან-თვისება ჩვენი სიცოცხლის იმ წილისა, რაც წუთისოფელში გვერგო, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ეპოქების გადაქროლებასაც მოვესწარით და ჯერაც ისეთი პოლიტიკური დუღილის შუაგულში ვტრიალებთ, რამდენიმე ეპოქა აგერ, ხელისგაწვდენაზეც გველოდება.

ახლოვდება ჟამი იგი...

აღდგენა 1992 წლის 6 თებერვალს გაწყვეტილი ბუნებრივი საზოგადოებრივი პროცესისა, წყლულის გამრთელება და მხოლოდ ასე სვლა ილია ჭავჭავაძის მიერ იდეურად საფუძველჩაყრილი და ზვიად გამსახურდიას ხელით აღსრულებული სახელმწიფოებრიობისაკენ, კავკასიის მთლიანობისა და ძლიერების გარეშე მოჩვენებითი რომ უფრო იქნება მისი დამოუკიდებლობა, კავკასიის მოღონიერებასა და ერთიანობას კი სწორედ მან უნდა უწინამძღვროს – იმ საქართველომ, რომელიც უხსოვარი ჟამიდან ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და... ჩვენ ნუ ჩაგვენაცრება ხელში.

ჩვენ წინაშეც აღმართულა შიშისაგან მოქსოვილი გიგანტური ლანდი დილემისა, და აღმართულა სრული სიცარიელიდან?

მაგრამ ჩვენც ხომ შეგვიძლია კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის კვალობაზე არ შევუკრთეთ ამ გამოწვევას იმ თვითრწმენით აღვსილნი:

– ნუ შეგაშინებს ის, რომ შენ გარშემო სიცარიელეა. არ დაიძრა იმ ადგილიდან, სადაც დგახარ. ღმერთმა შესაქმის დასაწყისში სამყაროს იდეაც სიცარიელეში შექმნა.

და მასავით ვიგრძნოთ სიმშვიდე, სიმხნევე, სულიერი სიმდიდრე და... ძველი ოცნებითაც გავთბეთ.

წიგნის სახელწოდებაში აღბეჭდილი „ციხე“ კი მისთვის ციხე-დარბაზი გახლდათ და არა საპყრობილე, და ძალდაუტანებლად მოტივტივებდა მეხსიერებაში იოანე პეტრიწის სახება, ვინც აზრთა წყობას სიმბოლოდ შეუთანაბრებდა ციხესა და გოდოლს, ოღონდ წიგნის ავტორი თავის მხრივ დასძენდა, რომ ამ სიტყვის ასეთი ბისემანტიკურობა ალბათ მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდებოდა.

რა, აღარ ილანდებოდა საფრთხე, რომ ციხე-კოშკი შესაძლოა მართლაც საპყრობილედ ქცეულიყო?

თურმე ილანდებოდა კი არა, მკაცრ რეალობადაც წამოგვეჭიმებოდა თვალწინ, თუკი დავივიწყებდით, რომ:

– აზრთა ეს შენობა უღრმეს კავშირშია დიად „არა-რასთან“.

მრისხანებისა და მიკერძოების გარეშეო...

ისევე ისმინებოდა მისი სატელეფონო საუბრებიც, როგორც ოდესღაც ზვიად გამსახურდიასი... და აი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტში რომ მიიწვევდნენ საკმაოდ ხანგრძლივ დაკითხვაზე, ერთ-ერთ ბრალ-დებად წაუყენებდნენ „თეთრი ხარის“ ხსენებას ცოტ-ნე გამსახურდიასთან დიალოგისას, „თეთრი ხარისა“, რომლის სიმბოლიკის მიღმაც საქართველოს კონტრ-დაზვერვა იგულისხმებდა სპეცოპერაციის კოდურ სახელწოდებას და... ახლა მისგან მოითხოვდნენ და-დასტურებასა და გულახდილ აღიარებას, როგორ იგეგ-მებოდა მთავრობის სასახლის შტურმი და მზადდებოდა ხელისუფლების დამხობა ძალადობრივი გზით.

და რა უხერხულ ყოფაში ჩაცვივდებოდნენ, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი მშვიდად აუხს-ნიდათ ამ მინიშნების მნიშვნელობას.

ზუგდიდის დაცემის შემდეგ აფხაზეთში, კერძოდ ილორში, დროებით გადასული ზვიად გამსახურდია 1993 წელს შესთავაზებდა იქაურ აფხაზებს, მოეძებნათ თეთრი ხარი, რათა უძველესი ტრადიციისამებრ ერთობლივად შეეწირათ ილორის წმინდა გიორგის სალოცავისათვის, როგორც კეთილი ნიშანი და სიმბოლო ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მომავლისათვის.

აფხაზები თეთრ ხარს ვერ მოძებნიდნენ, მაგრამ რაც ვერ მოხერხებულიყო მაშინ, ხომ შეიძლება აღსრუ-

ლებულიყო ამჟამად, როგორც ზვიად გამსახურდიას ჩანაფიქრის ღირსეული დაგვირგვინება?!.

სწორედ ამას ცდილობდა მისი ვაჟი თავის ძმასთან ერთად.

და საგულისხმოა, რომ თეთრი ხარის სიმბოლიკა მსჭვალავს „რავქნისა ციხე ავაგეს“ სულისკვეთებასაც და მხატვრულ-იდეურ მრწამსსაც, გარიდებულს ყოველგვარ მიკერძოებასა და მრისხანებას.

მაგრამ არა იმ უზომო ტკივილს, რომ ჩვენს გულსაკლავ რეალობაში ადამიანი არსებითად აღარ გაიაზრება მეორე ადამიანის მიერ როგორც უდიდესი საიდუმლო და განუმეორებელი მიკროკოსმოსი, არამედ – როგორც სრულიად გახსნილი, საკმაოდ ბანალურად დაპროგრამებული ბიოერთეული.

ამიტომაც თავი არ უნდა მოვიტყუოთ და მზერა გავუსწოროთ მწარე სინამდვილესაც და არცთუ სანუგეშო პერსპექტივასაც, თუკი ამ დიდებას ხელჩაქნეულნი გავყვებით და შემობრუნებას ან არ ვეცდებით, ანდა საამისოდ ძალ-ღონე არ გვეყოფა.

ეს არ არის საქართველო!..

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი იმეორებს თუნდ გალაკტიონ ტაბიძის მწუხარე შეგრძნებას და ასე გაშლის მის სტრიქონში ნაგულისხმევ აზრს:

– იგი რჩება მხოლოდ ისტორიის შედარებით ობიექტურად დაწერილ ან გაყალბებულ წიგნებში, მუზეუმებში, არქეოლოგიურ ძეგლებზე, ხელოვნების ნაწარმოებებში, მაგრამ არა რეალობაში.

და ამიტომაცაა, რომ:

– არა მთავრდება სიძულვილის, შურის, ერთმანეთის ჩაძირვის, მოტყუების, „გადაგდების“, კლანურობის, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა პროცესის იმიტირების და არანამდვილობის უწყვე-

ტი ჯაჭვი. ვერ გაიგონებ ტელეეკრანიდან ერთ გულწრფელ და იმავდროულად გონიერ სიტყვას – ისმენ მხოლოდ დემაგოგიას ანდა ოხუნჯობას, ღლაბუცს, დაუსრულებელ სიცილ-ხარხარს, ვერ წაიკითხავ ერთ წესიერ წიგნს, ვერ მოისმენ ნორმალურ მუსიკას, ვერ ნახავ აზრიან სპექტაკლს, არ მცირდება ქვეყნის დატოვების მსურველთა რიცხვი, ასევე არ ჩანს იმ უფსკრულის ძირი, რომელშიც ქვეყანა მიექანება.

ამ და ამგვარ პასაჟებში, დროდადრო რომ იჭრება ამ პოლიტიკური ციკლის გარეგნულად მშვიდ, აუმღვრეველ ტონალობაში, ავტორი ბიბლიური წინასწარმეტყველის, ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოსაგრეთა სიმკაცრით განსჯის გარეშემოს და ამუნათებს ყველას, და მათ შორის უპირველესად საკუთარ თავს, რადგანაც ვერა და ვერ შეგვიჩერებია ეს თავზარდამცემი პროცესი.

ასეთი ჩანართების გარეშე რაღაც უეჭველად მოაკლდებოდა ამ გულმართალ წიგნს, რომლის მეოხებითაც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი საბოლოოდ იმკვიდრებს ადგილს თავის მამა-პაპათა რიგში, როგორც სიმბოლური, ისევე სავსებით პირდაპირი მნიშვნელობითაც.

ამ მოჯადოებული წრიდან თავდაღწევა კი როგორ შეგვიძლია, თუკი კიდევ აქვს აზრი გაფართხალებას?

თუმც... რატომაც არა.

უფრო მწარე და უნუგეშო დღეებიც დასდგომია საქართველოს, მაგრამ მოკრებილა ერის სასიცოცხლო ენერგია და გამოურღვევია ის წყვდიადი, რომელიც გაუვალი და დაუსრულებელი ჩანდა.

და ეს იმიტომაც, რომ სოციუმის გაჯანსაღება ადამიანსა და ადამიანს შორის იწყებოდა იქიდან, რაც ამ პოლიტიკური ესეების ავტორსაც ესახება ხსნის გზად – გაცნობიერება იმისა, რომ საქართველოს

უდიდესი მეფის, დავითის, ზედწოდება „აღმაშენებელი“ სახელმწიფოს მასშტაბებით მოქმედ „პრარაბს“ კი არა ნიშნავს, არამედ სულითა და ჭეშმარიტებით ადამიანის მანუგეშებელს, გამაძლიერებელს, შემმართებელს – თავისი სახარებისეული სემანტიკით „სიყვარული აღაშენებს“, რომელიც ასე გაძლიერებული მიდის მეორე ადამიანთან და ზოგადად სოციუმთან.

ასეთი ცნობიერებით განმტკიცებული საზოგადოება მართლაც რამ შეიძლება დაამარცხოს?!.

* * *

ჯერჯერობით კი...

ჯერ რავქნისა ციხის აგებას შევდგომივართ, და მისი მაშენებელნი სხვას რას შევუბამთ კარად, თუ არა ჯავრს, უხსოვარი ჟამიდან შემოჭრილს ჩვენს დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ისტორიაში, ფარხმლის დაყრასა და სასოწარკვეთილებას რომ არ გვანებებს და იმის ძალასაც გვიტოვებს, რომ მიკერძოებისა და მრისხანების გარეშე განვსჯიდეთ ყველასა და ყველაფერს და მხოლოდ ასე მივილტვოდეთ უკეთესი საქართველოსაკენ, ზნეობაზე დაფუძნებული სახელმწიფო მმართველობისაკენ, მით უფრო, რომ არ განვიცდით გონიერ ადამიანთა ნაკლებობას, საკუთარი ცხოვრების წესითაც რომ ადასტურებენ თავიანთი აზროვნების სიწრფელესა და სიღრმეს.

და ასეთ დროს, დაე, იყოს ციხე რავქნისა.

და კარად ჯავრი ჰქონდეს შებმული...

როსტომ ჩხეიძე

წინასიტყვა

ახლა, როდესაც განვლილ გზას თვალს გადავავლებ, ჩნდება ისეთი განცდა, რომ ერთი კი არა, რამდენიმე ცხოვრებაა განვლილი. და არ არსებობს თითქმის არცერთი მოვლენა კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილი, რომელიც ამ გზაზე ამა თუ იმ ფორმით ან ამა თუ იმ ინტენსივობით არ მომხდარიყოს.

პირველი დიდი სტატუსი 2012 წლის ზაფხულში დავწერე. იმ დროს, როგორც საქართველოს ელჩმა და დიპლომატიურ სამსახურში მყოფმა, უკვე კარგად გავაცნობიერე, რომ ჩემს ამჟამინდელ საქმიანობას გაგრძელება აღარ ექნება ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ, ვინც ჩემი დიპლომატიური სამსახური დაუშვა, არ აინტერესებთ, რეალური შინაარსი ჩაიდოს ჩემს ამ მიმართულებით გასაწევ საქმიანობაში და ის ფიქტიური უნდა დარჩეს. და მერე რა, რომ ამას არ ვეგუებოდი და თვითონ ვიგონებდი რაღაცებს, მცდელობებს არ ვაკლებდი სხვადასხვა მიმართულებით. მე ამ სამსახურში ხომ ვგავდი ადამიანს, ვინც თავად უკვე-

თავს მუსიკას, თავადვე წერს, თავადვე ასრულებს და ბოლოს თავადვე იწონებს.

საქმიანობის პროფილზეც ვიტყვი: მეტეოროლოგიასა და ტელეკომუნიკაციებთან საქმე არ მქონია. ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს სერიოზული შეცდომა იყო, რომელმაც თავის მხრივ შეცდომაში შეიყვანა პარლამენტიც. დეტალურ განხილვას არ შევუდგები, მხოლოდ დავძენ, რომ მალევე „საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი" ვიყავი, რომელიც კანონით ex officio შეიძლება იქნას დანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ქვეყნის პრეზიდენტის დასტურით.

ხოლო მათ, ვინც მაღალი ალბათობით მოდიოდნენ ხელისუფლებაში – და ეს იმავე ზაფხულში უკვე ცხადად გამოიკვეთა – საერთოდ არაფერში დასჭირდებოდათ ჩემი სამსახური. არც მიმავალთ (მიხეილ სააკაშვილის – ვანო მერაბიშვილის – ზურაბ ადეიშვილის ხელისუფლება) და არც მოსვლის გზაზე მდგომთ (ბიძინა ივანიშვილის გუნდი) არაფერში ესაჭიროებოდათ, ჩემი ნიჭი, კვალიფიკაცია, უნარები და შესაძლებლობანი სამშობლოსა და ქართული სახელმწიფოს სამსახურისთვის გამომეყენებინა.

ის პოლიტიზებული პირები, ვინც საკუთარი იდენტობა ქვებისა და ტალახის სროლასთან გააიგივა, საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს მაშინდელ მმართველ ძალასთან ერთგვარი ფაუსტური პაქტი გავაფორმე და მათაც „გადმომიგდეს" რაღაც. თითქოს არც კვალიფიციურობიდან გამომდინარე ვიმსახურებდე ამას, არც ქვეყნისთვის მეწვალოს, არც საბედისწერო მოვლენათა მსხვერპლი ვყოფილიყავი ადრეულ 90-იანებში. თითქოს ზვიად გამსახურდიას მართლაც თავი მოეკლას და არც ის ახალგაზრდები, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, არ დაეხოცათ.

„უპრინციპობა“ – აკერიათ ასეთებს პირზე. მაგრამ ქართული სახელმწიფო როგორც უნდა ჩაისვას ჯიბეში ამა თუ იმ პოლიტიკურმა ძალამ, ის მაინც ქართულ სახელმწიფოდ უნდა დარჩეს. სწორედ პრინციპებს მოვაბი მე ჩემი სამსახური, რადგან სხვა საკითხებზე ვერ შევთანხმდებოდით. ეს სამი პრინციპია: 1. დროებით გაუცხოებული ტერიტორიების არ-აღიარების პოლიტიკა 2. მუშაობა უცხოური ინვესტიციებისთვის 3. მუშაობა დიასპორებთან.

ახლა კი მომიწევს შენთან საბოლოოდ დამშვიდობება, შვეიცარიავ, ვთქვი მაშინ, რომელმაც შემიფარე ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე ჟამს. და ოჯახი, რომელთან ერთადაც აქ ჩამოვედი წლების წინათ? ის ერთადერთი საყრდენი, რითიც ძლიერი ვიყავი? საუბედუროდ, ჩემი ოჯახისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩა, თუკი აქ ვიგულისხმებთ ურთიერთობას ორ ადამიანს შორის.... აქ აღარ ვაპირებ დეტალებში ჩაღრმავებას. მას დრომ, სიმძიმემ, ინდივიდუალურმა და ეპოქალურმა ტრაგიკამ ერთად გადაუარა. იგიც ჩარჩა ოდენ ტკივილიან მოგონებებსა და ძველ ფოტოსურათებში. ამ ყველაფერს ერთვოდა ძმა საპყრობილეში, რომლის გათავისუფლებაზეც ხელისუფლების წარმომადგენელთა დათანხმება არ ხერხდებოდა.

და საქართველო? მიტინგები, პოლიტიკური ბრძოლები, სატელევიზიო ბატალიები, პარლამენტი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავის ქვეყანას ბოლომდე დაუბრუნდა. ეს ის ქვეყანაც აღარ იყო, რომელიც თავის დროზე დავტოვე. საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება შესაძლოა მეორე ემიგრაცია იყოს, რადგან ის ძველი ქვეყანა, რომელიც ოდესღაც დაგიტოვებია, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს.

პოლიტიკაში დავბრუნდე? მეტად სამძიმოა. პოლიტიკა უმადლო საქმეა. ბუნებრივია, ამ საქმეში მყოფს წარმატებაც მახსოვს და წარუმატებლობაც. ხშირად მიწევდა ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც ცოცხლად აინტერესებდათ მხოლოდ ის, რისი მიღწევაც მათ ჩემით სურდათ. მე რა ინტერესი შეიძლება მქონდეს, მათ ნაკლებად აღელვებდათ. ხალხი კი საკმაოდ გულმავიწყია. იგი, ილია ჭავჭავაძის შენიშვნისა არ იყოს, ხშირად სწორად „ჰგრძნობს", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასევე „სცნობს" კიდეც. და შესაძლოა დიდი დროც გავიდეს, ვიდრე იგი სწორად ცნობასაც შეძლებს. ხალხი ზოგჯერ სასწაულს მოითხოვს შენგან, რაც იგივეა, მამაპაპური ფარითა და ხმლით შეიარაღებული ადამიანისგან ელოდო წარმატებას თუნდაც გასულ საუკუნეში დამზადებულ ტანკებთან ბრძოლაში.

ბიზნესს მივყო ხელი? ტოტალური უსამართლობისა და უთანაბრობის ქვეყანაში ეს სასაცილო და წარმოუდგენელია. აქაური ბიზნესიც მხოლოდ ვაჭრობაა, გადაყიდვაა, აღებ-მიცემობაა, ბანკინგი-მევახშეობა. გარდა ამისა, მან შესაძლოა მხოლოდ მე მომიტანოს სარგებელი, სხვამ კი აბა რა უნდა ნახოს აქედან. ჩემს მამა-პაპას კი ასე არასდროს უცხოვრია – ისინი თვითგანვითარებას იმიტომ მისდევდნენ და განათლების დონესაც იმის გამო იმაღლებდნენ, რომ თავიანთი თანამემამულეები წამოეწიათ.

სასწავლო დაწესებულებაში ახალგაზრდობის განათლებით დავკავდე? ერთი შეხედვით არაა ურიგო იდეა. მაგრამ ქვეყანაში, სადაც არავინ არაფერი და თან ყველაფერი იცის, ეს, ვშიშობ, გარკვეულწილად არაპრაქტიკულობას შეუწყობს ხელს. ჩვენი ქვეყანა უნივერსიტეტების და მედია-ჰოლდინგების ქვეყნად იქ-

ცა, თუმცა ეს უნივერსიტეტები ციხესიმაგრეებივითაა – მათში შეღნევა არაა იოლი საქმე. მოკლედ, ირგვლივ მხოლოდ ჩვეულია და არავითარი ფატა-მორგანა პალმებისა, მობალახე ლომებით და თვინიერი მგლებით.

ასე აღიმართა ჩემ წინაშე შიშისგან მოქსოვილი გიგანტური ლანდი დილემისა. აღიმართა სრული სიცარიელიდან. ჩემი პასუხი ამაზე იყო, რომ შევუამხანაგდი „ნოუთბუკს“ და მასთან მეტ ხანს ვატარებდი ამჯერად, ვიდრე მანამდე. ყოველგვარ გამოწვევაზე, რომელიც ეპოქას მოჰქონდა, ვცდილობდი პასუხი გამეცა. თანაც ვუთხარი ჩემს თავს: ნუ შეგაშინებს ის, რომ შენ გარშემო სიცარიელეა. არ დაიძრა იმ ადგილიდან, სადაც დგახარ. ღმერთმა შესაქმის დასაწყისში სამყაროს იდეაც სიცარიელეში შექმნა. და გახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც ადრე შენთან იყო, რისი შენგან წასვლაც ნამდვილად დაგენანა, თუნდაც არყოფაში ისევ შენთანაა, მაგრამ იდეისმიერი სუბსტანციის სახით. ამიტომაც შინაგანად მშვიდი ვარ, ძლიერი, მდიდარი და ძველი ოცნებითაც ვთბები.

რავქნისა ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
იმ ციხის სანახავადა,
ბევრი უარეს გარშემო,
კარ ვერ გააღეს თავადა,
მერე თქვეს: ხანი რო მუალს,
კარ გაიხსნების თავადა.

„ციხე“ – ამ შემთხვევაში ციხე-დარბაზია და არა საპყრობილე. აზრთა წყობის სიმბოლოდ ციხისა და გოდოლის სახე იოანე პეტრიწთან გვხვდება, ვინც პირველმა გამართა ფილოსოფიური აზრი ქართულ ენაზე. თუმცა

ამ სიტყვის ასეთი ბისემანტიკურობა ალბათ მხოლოდ ქართულ ენაშია. თუკი ადამიანს დაავიწყდება, რომ აზრთა ეს შენობა უღრმეს კავშირშია დიად „არარასთან", მაშინ ციხე-კოშკი შესაძლოა მართლაც საპყრობილედ იქცეს. ჩემი ძირითადი განწყობა ასეთი იყო და არის: იქნებ ვინმეს სულს ესალბუნოს ჩემი რომელიმე აზრი და ცხოვრების გზაზე სინათლის იმპულსად ექცეს. თუ ასეთი არავინ იქნება, ჩემი ფორმადქმნილი აზრები, ასე ვთქვათ, ჩემთანვე დარჩებიან.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ისტორია
კულტურა
ლიტერატურა

აზიზიეს მეჩეთი ბათუმში და ოშკის რესტავრაცია

ბათუმში აზიზიეს მეჩეთის გახსნის საკითხმა დიდი მღელვარება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. რა არის ეს, კითხულობდნენ, ოსმალური იმპერიის კულტურა-პოლიტიკის ხელშეწყობა თუ ჩვეულებრივი ისლამიზმი? პრემიერი ერდოღანი ხომ ისედაც საუბრობს ოსმალური „ოიკუმენეს“ აღდგენაზე ყირიმიდან ქაირომდე და სარაევოდან ბათუმამდე. ამ ახალი იდეოლოგიით მან ძველი პანთურქიზმი ჩაანაცვლა. ერთ-ერთ რესპონდენტს მოუვიდა ძალიან ნაყოფიერი იდეა: ეს იყოს არა მოქმედი მეჩეთი, არამედ ოსმალეთის ოკუპაციის მუზეუმი. არც თურქული მხარე აპირებს ოშკისა და იშხანის სახით მოქმედი ეკლესიების გახსნას. ჰაგია სოფია კი ისედაც მუზეუმია.

რაც სულთან აზიზს შეეხება, რაღა მაინცდამაინც აზიზი იყო ცუდი, და რა ნიშნით იყვნენ კარგები, ვთქვათ, აბდულ-ჰამიდი, სელიმი და სხვები? და თუ იცით, რას ნიშნავს სიტყვა ხონთქარი? ესაა სპარსული სემანტიკის სიტყვა და ნიშნავს „სისხლისმსმელს“. ასე

უწოდეს სპარსებმა მმართველს, რომლის რეზიდენციაც იყო ბოსფორზე და ქართველებმაც გადმოიღეს (თუმცა სპარსთა მეფეები, შაჰ-აბასი, შაჰ-ისმაილი და სხვები ანგელოზები იყვნენ?). ალავერდის ეზოში დღესაც არის კახეთის სპარსელი მმართველის, ფეიქარ-ხანის, საზაფხულო განსასვენებელი და ასეც მოიხსენიებენ. მე მგონი, სულერთია, რა ერქმევა, რადგან ჩვენი და ოსმალეთის ურთიერთობების ისტორია ისედაც მძიმეა. მაგრამ ჩვენ ხომ არ გვინდა მხოლოდ ისტორიასა და წარსულზე ვიყოთ ორიენტირებულნი, ჩვენთვის ხომ მომავალია მთავარი, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარსულის იგნორირებას იოტისოდენადაც არ ნიშნავს (გავიხსენოთ აკაკი შანიძის ლექსი, „წარსულს გზნებით იგონებდე, დაუკვირდი მომავალსა"). ამ ძალისხმევის მიზანია არა აზიზიე, არამედ ოშკი, რომელიც ყოველ დღეს შეიძლება ჩამოინგრეს.

ხსენებული ძეგლი იდგა და მათ თვითონვე ააშენეს ის თავის დროზე. ესპანეთშიც დარჩა არაბული კულტურის ძეგლები, მაგრამ ესპანელებს არც „რეკონკისტას" შემდეგ აუღიათ, არც მერე. არადა ეს ძეგლებიც დამპყრობლებზე მეტყველებდა. არის ქვეყნების ურთიერთობებში ასეთი მომენტები. მშვიდობიანად გავრცელებული ისლამი კი ისტორიას არ ახსოვს.

ცხადია, მერჩია ოშკი და ხახული მსგავსი კონცესიის გარეშე გადარჩენილიყო. მაგრამ გამოვა კი ეს საქმე? რეალურ ცხოვრებასა და რეალურ პოლიტიკაში ყველაფერი ისე არ ხდება, ჩვენ რომ გვინდა... ისე ცნობისთვის: ოსმალეთი დაახლოებით გასული საუკუნის 20-იანი წლების შუახანებამდე ოფიციალურად ითვლებოდა უნივერსალურ ხალიფატად და პრეტენზიას აცხადებდა აბასიდთა არაბული ხალიფატის მემკვიდ-

რეობაზე, რომელიც მონღოლებმა გააუქმეს ბაღდადის დაპყრობისას.

ამრიგად, მისი სულთანი ხალიფაც იყო, ანუ ალაჰის მოადგილე დედამიწაზე. ათათურქის სეკულარულმა მმართველობამ გააუქმა მანდ უნივერსალური ხალიფატი. ამიტომაც ჰქვია მეჩეთს სულტნის სახელი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ოშკის ტაძრის გადარჩენა ჩვენი თაობის პრესტიჟია, რისთვისაც ყველანაირი გზა უნდა მოისინჯოს.

9. 03. 2012

გეიდარ ფალავანდიშვილის გარდაცვალების გამო

დღეს, გიორგობა დღეს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი გეიდარ (გიორგი) ფალავანდიშვილი. მე ის პირველად ჩემს ბავშვობაში ვნახე პაპისეულ სახლში, რამდენადაც ჩვენი ნათესავი იყო: მისი და მართა-მირანდა ფალავანდიშვილის ბაბუები ძმები იყვნენ. მათი ძირი იყო სამაჩაბლოში (იმავდროულად საფალავანდოქსნის საერისთავოში), კერძოდ სოფელ კნოლევში, რომელიც დღეს ოკუპაციის ხაზს იქით მოექცა უახლესი ისტორიის ბედუკუღმართობის გამო. ამავე დროს, გურამ რჩეულიშვილი მისი მეუღლის ძმა გახლდათ.

გეიდარ ფალავანდიშვილი ჭეშმარიტი ქართველობის და თავადაზნაურული სათნოებების გამოხატულება იყო როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად. სულიერი არისტოკრატიზმის ღირებულებათა სისტემა დღეს ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ მისი გამონათებანი დღესაც თვალსაჩინოა ხოლმე. შეუძლებელია, თუნდაც

ერთხელ მაინც შეხვედროდი გეიდარს და დაგვიწყებოდა მისი ჟესტები, სიტყვა-პასუხი, უაღრესად მეტყველი გარეგნობა, თავაზიანობა და სითბო.

კინოს რაც შეეხება, მან შექმნა დაუვიწყარი სახეები „ალავერდობის" პირველ პირში მთხრობელის და თარაშ ემხვარისა „მთვარის მოტაცებაში". ეს უკანასკნელი, თამაზ მელიავას რეჟისორობით, სამწუხაროდ, მკრთალი ფილმი გამოვიდა. მაგრამ გეიდარის სახე მართლაც ესატყვისება ემხვარისას. ალბათ აჯობებდა, ეს ფილმი ვისკონტის მანერაში გადაღებულიყო, სადაც ესთეტიზმი იქნებოდა წარმმართველი.

გეიდარი სწორედაც მაგონებდა ლუკინო ვისკონტის ფილმის, Il gatopardo (ანუ „ლეოპარდი") მთავარ გმირს, გრაფ დე სალინასს, რომლის როლსაც იქ დიდი მსახიობი ბერტ ლანკასტერი ასრულებს. ფილმში მოქმედება გარიბალდისეული ომებისა და რევოლუციის ფონზე მიმდინარეობს. გეიდარს ეღიმებოდა ასეთ შედარებებზე და ამბობდა: უნდა ვნახო აუცილებლადო, – რადგან არ ჰქონდა ნანახი. ვეთანხმები წინა პოსტინგის ავტორს და დავძენ, რომ მისი სახე უფრო მეტყველიც იყო... ჰოდა, ამ ფილმის ძირითადი სულისკვეთებისა არ იყოს, ასე მიდის ძველი გვაროვნული არისტოკრატიის სიქველე და სათნოება მათ განსახიერებებთან ერთად.

ღმერთმა ინებოს მისი მეტამორფოზა, ანუ აღორძინება ხელახალი შობით ჩვენს სამყაროში თუნდაც განსხვავებული სოციალური ფორმით.

6. 05. 2012

გიორგი სააკაძე

ძალიან სამწუხარო ის არის, რომ გიორგი სააკაძის პიროვნებაზე მსჯელობა ხშირად იმ შაბლონების მიხედვით ხდება, რომელიც ჩვენს ცნობიერში თუ არაცნობიერში დასტოვა სტალინის მიერ შეკვეთილმა ფილმმა „გიორგი სააკაძე". მასში „დიდი ბელადის" და „საბჭოთა ხალხების მამის" რეზონია ასახული. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება, ერთი მხრივ, მოღალატე, ეგომან ფეოდალებზე (შადიმანი და სხვები) მეორე მხრივ კი, შვილის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვაზე (ერთ შემთხვევაში პაატა, მეორე შემთხვევაში იაკობ ჯუღაშვილი). დააკვირდით: ამის მერე „შადიმანი" სალანძღავ სიტყვადაა ქცეული ჩვენს მეტყველებაში და არავინ კითხვასაც კი არ სვამს, იყო თუ არა ამ დონის უარყოფითი პირი და იეზუიტი შადიმან ბარათაშვილი, სხვათა შორის წმინდანად შერაცხული მეფის, ლუარსაბის ალმზრდელი.

იგივე რეზონი სრულიად გაითავისა ედუარდ შევარდნაძემაც, რომელიც იმთავითვე ოცნებობდა იმპერიის ცენტრში დაწინაურებაზე. სააკაძე მისი იდეალი ჩანს, რატომღაც მგონია, რომ სხვა შემთხვევაში თავის შვილსაც არ დაარქმევდა სააკაძის ვაჟის სახელს. ამიტომ საბჭოთა საქართველოშიც 1972-85 წლებში მის კულტს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. სააკაძე, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „კაცი მჩურჩნელი" (ანუ ინტრიგანი) მონარქობასაც ფიქრობდა: იქამდეც კი მივიდა, რომ საკუთარი ფული მოეჭრა, რაც მეფობის პრეტენზიას ერთმნიშვნელოვნად ავლენს. იგი ბაგრატოვანთა დინასტიას საკუთარი დინასტიით ჩაანაცვლებდა. ამ ფაქტისთვის ისტორიკოსებს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

შესაძლოა ბევრმა ასევე არ იცოდეს, რომ უაღრესად საინტერესო წიგნი დაწერა როსტომ ჩხეიძემ, სადაც წარმოჩენილია აქამდე არსებული დისკუსია სააკაძის თემაზე და არის მცდელობა, საკითხები გადაიჭრას საბჭოური კონიუნქტურის მიღმა. ამ ტიპის ისტორიული პირების შემთხვევაში განსაკუთრებულიც არაფერია, რადგან მსგავსი კონდოტიერები და რენეგატები როგორც აზიური, ისე ევროპული ქვეყნების ისტორიაში არაერთია. ამიტომ მისთვის დაფნის გვირგვინის დადგმა ან მისი უკიდურესი დემონიზაცია ისტორიული სიმართლის დადგენას არ წაადგება ალბათ. იგი ისტორიული ანალიზისა და აზროვნებისკენ გვიბიძგებს, რათა გავარჩიოთ დადებითი უარყოფითისგან, და ეს სააკაძის სასარგებლოდ მეტყველებს მაინც.

მესმის მიხეილ ღანიშაშვილის სუბიექტურობისა, რომელიც უარყოფით ასპექტში ხედავს სააკაძეს. თუმცა ამ საკითხზე ლიტერატურაში საპირისპიროც გვხვდება, ასე მაგალითად კონსტანტინე გამსახურდიას 1918 წელს დაწერილ ლექსში არის ასეთი ფრაზა: „ვამბობ, სადაა სააკაძე, ქართლის ცეზარი“ – ეს დადებითი სუბიექტურობაა, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მკვეთრად უარყოფითად აფასებდა ამ ისტორიულ პიროვნებას. ასევე ზვიად გამსახურდიას გლოსოლალიურ ლექსში „მარაბდა“ ნახსენებია „გიორგის ელვარე გორდა“. აქაც დადებითი სუბიექტურობის განცდაა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ სტრიქონების ავტორს მოურავი დადებით გმირად მიაჩნდა?! როგორც დადებით, ისე უარყოფით სუბიექტურობას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. ესა თუ ის ლექსიც, გამომდინარე მხატვრული შესრულებიდან და ეთოსიდან, შეიძლება მოგვეწონოს, შეიძლება არა.

საბჭოთა საქართველოში სააკაძე გორგასლის შემდეგ ერთადერთი გმირი იყო, ვისაც ძეგლი ედგა. ასე-

თი დამოკიდებულება ალბათ სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს წარსულს. თუმცა მასზე, ისევე როგორც გოეთესეულ გიოც ფონ ბერლიხინგენზე, ასევე შილერისეულ ვალენშტაინზე, ძალიან საინტერესოდ შეიძლება დაიწეროს. მათი შეფასებისას გააჩნია შენ თვითონ რომელ ბანაკს ეკუთვნი. ესენი არ არიან ცალსახა პერსონაჟები, დამდეგი მორალური სამყაროს დიდი გზამკვლევები და გეზის დამდგენნი, ისეთნი, როგორებიც იყვნენ ლიკურგე, დავით აღმაშენებელი, კარლოს დიდი, დიმიტრი დანსკოი, გოდფრუა ბულონელი, იოან სობიესკი, ფრიდრიხ ჰოჰენშტაუფენი, ბრიტანეთის მეფე ჯეიმზ პირველი, შექსპირისა და ფრენსის ბეკონის მეგობარი და შთამაგონებელი და ა. შ.

ქვეყნისადმი ერთგულების ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ამ ეპოქისა მე ასევე მგონია დამოკიდებულება ბაგრატოვანთა დინასტიის ისეთ წარმომადგენელთან, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის გეზისთვის არ უღალატია – სიმონ პირველი იქნება ეს, ლუარსაბი თუ თეიმურაზი. რასაკვირველია, ასეთი ვერ იქნებოდა ხოსრო-მირზას, შაჰნავაზის ან აბდულა-ბეგის მსგავსი ვერცერთი გამაჰმადიანებული რენეგატი. თავად სააკაძე ორჯერ ისლამმინაღები გახლდათ, ერთხელ შიიტურ-ირანულად, მეორეჯერ სუნიტურ-ოსმალურად.

არ დაგვავიწყდეს მეფე თეიმურაზი – აი კიდევ ერთი მსხვერპლი საბჭოური გაყალბებული ისტორიოგრაფიისა. რაღაცნაირი დაცინვის ტონი ახლდა მის მოხსენიებას მეფე-პოეტად, თითქოს ეს ყოფილიყოს უმთავრესი მის ბრძოლასა და მოღვაწეობაში: გასაგებია ისიც, რომ რუსთველთან ახლოსაც ვერ მივიდა, როგორც პოეტი, ხოლო როგორც მონარქს, არც დავით აღმაშენებლის თუ გიორგი ბრწყინვალეს დარი მიღწევებით შეუმკია ისტორიის საკურთხეველი. მაგრამ ფაქტია, რომ მთელი სიცოცხლე ამ მეფემ ხმლით ხელში

გაატარა, ხან ერთ, ხან მეორე მტერთან ომში, გამუდმებით დევნილმა და დაზარალებულმა. ვერც იმას უსაყვედურებ, რომ პოლიტიკური პრაგმატიზმი აკლდა. მან სწორედაც რომ მოგვცა სამშობლოს ერთგულების და მისი თავისუფლებისთვის ბრძოლის მაგალითი.

ისტორიასთან საბჭოურ მიდგომას ასევე გამორჩა ქეთევან დედოფალი. აი ვის მიმართ არ შეიძლება რაიმე კითხვა არსებობდეს. მას მერაბ კოსტავამ თავის ერთ ლექსში „ქართველთა აგნესა“ უწოდა. რომ არა მისი მოწამეობა, არანაირი მარტყოფის და მარაბდის გამარჯვებებიარიქნებოდა.აივისმამაგალითმაიმოქმედა ჩვენი წინაპრების სინდისზე მე-17 საუკუნეში, რომელთა დიდი უმრავლესობაც ან უკვე გამაჰმადიანებულიყო, ან მზად იყო გამაჰმადიანებისთვის.

4. 08. 2012

დედა ტერეზას ჰიმნი

ეს არის დედა ტერეზას მიერ დაწერილი ჰიმნი, სიცოცხლისადმი მიძღვნილი. ინდოეთში დაუწერია სტიქიური უბედურების დროს. ეს ჰიმნი მართლაც ჰგავს ფრანცისკ ასიზელის საგალობლებს, ნიცშეს ზარათუსტრას ქადაგებებს და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის პოეტურ მონოლოგებს.

დედა ტერეზა საქართველოშიც იყო ჩამოსული მცირე ხნით. 9 აპრილს მოწამლულები მოინახულა, მერმე დარეჯანის კარის ეკლესიასთან შეკრებილ ხალხს მიმართა. მახსოვს, მის სიტყვას თავად ზვიად გამსახურდია თარგმნიდა ქართულად. და დარჩა ისტორიას მართლაცდა საყვარელი ფოტოსურათი – სათნო გამომეტყველების პატარა, მოხუცებული მონაზონი ქალი ზვიადსა და მერაბს შორის.

ეს ჰიმნი ფრანგულიდან ჩემი თარგმნილია.

– სიცოცხლე შანსია. გამოიყენე ის.

– სიცოცხლე სილამაზეა. აღფრთოვანდი მისით.

– სიცოცხლე კურთხევაა. გაეხსენი მას.

– სიცოცხლე სიზმარია. სინამდვილედ აქციე ის.

– სიცოცხლე გამოწვევაა. მიიღე ის.

– სიცოცხლე მოვალეობაა. აღასრულე ის.

– სიცოცხლე თამაშია. ითამაშე ის.

– სიცოცხლე ძვირფასია. გაუფრთხილდი მას.

– სიცოცხლე სიმდიდრეა. შეინარჩუნე იგი.

– სიცოცხლე სიყვარულია. მიიღე და გაეცი იგი.

– სიცოცხლე საიდუმლოებაა. შეეცადე ამოხსნა იგი.

– სიცოცხლე აღთქმაა. განახორციელე იგი.

– სიცოცხლე მწუხარებაა. დასძლიე იგი.

– სიცოცხლე ჰიმნია. იგალობე ის.

– სიცოცხლე ბრძოლაა. ჰო-ყოფით მიუდექი მას.

– სიცოცხლე ტრაგედიაა. ხელი ჩაავლე მთელი სულითა და გულით.

– სიცოცხლე თავგადასავალია. გაბედე ის.

– სიცოცხლე ბედნიერებაა. დაიმსახურე ის.

– სიცოცხლე სიცოცხლეა. დაიცავი ის.

20. 11. 2012

გამოხმაურება კრებულზე „ვიტრაჟები“

ეს ლექსი („ქართული მზერა გოთური ტაძრის ვიტრაჟებში“) პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა დაწერა მას შემდეგ, რაც 2002 წელს თბილისში გამოქვეყნდა ჩემი თარგმანების კრებული სახელწოდებით „ვიტრაჟები“. მე მაშინ შვეიცარიულ ემიგრაციაში უკვე 10 წელიწადი

მქონდა გატარებული. სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივას ჯერაც ვერ ვხედავდი.

კრებული მოიცავს 25 გერმანულენოვანი ავტორის (გერმანელების, ერთი შვეიცარიელის და ორი ავსტრიელის) 100-მდე ლექსს, სუბიექტური განწყობის და გემოვნების მიხედვით ამორჩეულებს. მათ შორის არიან გოეთე, შილერი, აიხენდორფი, ბრენტანო, ნოვალისი, ჰოლდერლინი, ჰაინე, ჰებელი, მოერიკე, რიუკერტი, კ. ფ. მაიერი, დემელი, ნიცშე, მორგენშტერნი, თრაკლი, კაშნიცი, ბახმანი, ბენი, რილკე, ჰესე, გეორგე, ჰოფმანსტალი, აიხი, ბობროვსკი, ენცენსბერგერი, სხვებისაგან განსხვავებით დღეს ცოცხალი პოეტი.

ემიგრაციას, რომელიც მთლად ნებაყოფლობითი არ არის, ყოველთვის რაღაც სიმძიმე დაჰყვება თან. საიდანღაც მუდმივ გამოსვლაში, მუდმივ ექსოდუსში ხარ, მაგრამ იქ, სადაც უნდა განიცადო ინტეგრაცია თავისი ეტაპებით, აღთქმული მიწისგან შორსაა. იგი თითქოს ისეთივე ტემპით გშორდება, რამდენადაც შენ უახლოვდები. პოეტური თარგმანი ჩემთვის საშუალება იყო, უცხოობაში გატარებული ყოველი დღე სინათლით და სითბოთი გაჯერებულ სურათ-ხატად მექცია.

დღეს გაცილებით უკეთ ვიცი, ვიდრე მაშინ – შენს ქვეყანაში ფიზიკურად ყოფნა არ ნიშნავს, რომ სამშობლო, სადაც ნამდვილად დაგედგომება, გაქვს. იგი ნებისმიერ შემთხვევაში ბრძოლითა და შრომითაა მოსაპოვებელი. დაბოლოს იმას ვიტყვი, რომ ზოგიერთი თარგმანი ამ კრებულიდან ჩემ მიერ უკვე იქნა გამოქვეყნებული FB-ს ამ სივრცეში.

თინათინ მღვდლიაშვილი

ქართული მზერა გოთური ტაძრის ვიტრაჟებში

მინაწერი კონსტანტინე (უმცროსი)
გამსახურდიას წიგნზე „ვიტრაჟები“

უცხოობაში ეფიცხები ლექსთა მირაჟებს.
ივერიიდან ელოდები გონიერ მეზვრეს...
გოეტე ლექსებს უწოდებდა ფერად ვიტრაჟებს,
და ტიციანი – მოვარდნილ მეწყერს!..
ვინებე, ჩემო, და ტაძარში შემოვდგი ფეხი,
ფრიდრიხ შილერი და გეორგე ამოდ ვიკითხე,
აიხენდორფთან ზეაწეულს დამეცა მეხი,
როს კაეშანი შენეული ამოვიკითხე.
ო, ეს ლექსები! – მოვარდნილი ბედაურებად!
მწველი სურვილი – გაგვთელონ და თან
დაგვიტანონ!..
აკრთობს ჰაინეს „ქალბატონი უბედურება“
და ღია წყლულში ნახანჯლარი – კლემენს
ბრენტანოს.
„ლექსებს მე ვადრი ეკლესიის ვიტრაჟებს ფერადს“, -
ამბობს გოეტე და ნათელში გვეპატიჟება...
ამ გაბრწყინებულ ტაძრის კედლებს შევმატებ ვერრას
და სითამამეც, ალბათ ღმერთით, – მეპატიება.

დიდი მადლობა თინათინს.

29. 11. 2012

ინტერვიუ პროფესორ ლე რიდერთან

ცოტა ხნის წინათ ჩემმა შვეიცარიელმა მეგობარმა და გამომცემელმა, ჟურნალი „ეუროპეერის“ რედაქტორმა თომას მაიერმა გამაცნო ცნობილ პარიზელ ავტორსა და გერმანისტთან, პროფესორ ჟაკ ლე რიდერთან აღებული ინტერვიუ მის მიერ გოეთეს „ფაუსტის“ ფრანგულად თარგმნასთან დაკავშირებით.

რიდერი წერს: „ფაუსტი“ განუზომლად მეტია, ვიდრე მხოლოდ ჯამი კარგი და ცუდი ევროპული ტრადიციებისა გვიანი შუასაუკუნეებიდან და რენესანსიდან მოყოლებული. ეს უნაპირო ნაწარმოები იმავდროულად ნათელმხილველური პროგნოზია „განმანათლებლური დიალექტიკის“ მნიშვნელოვანი ფიგურებისა, რაზედაც ადორნო და ჰორკჰაიმერი მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკულ ემიგრაციაში ყოფნისას ფიქრობდნენ. გოეთეს „ფაუსტი“ იმ მცირე ქმნილებათაგანია, რომელიც უაზრობად აქცევს ყველა მანამდელ ლიტერატურულ სახეობასა და კატეგორიას: იგი ლირიკულია და ეპიკური, იგი ფილოსოფიურია და თეორიული, იგი კლასიკურია, რომანტიკულია და, შეიძლება ითქვას, იმავდროულად ექსპერიმენტული ლიტერატურაა, რომელიც აირეკლავს ყველა ტრადიციას და ამავე დროს ურთიერთობას წყვეტს ყველა ტრადიციასთან“.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ჩვენც ანუ ქართველებს დაახლოებით ასევე მოგვეწყო ჩვენი ცხოვრება და ურთიერთობები. გოეთესთან ნამდვილად არაა საუბარი ტრადიციასთან ნამდვილი კავშირის გაწყვეტაზე. ცნობილია მისი პრინციპი მეტამორფიზისა „Stirb und werde“ – „მოკვდი და იქმენ“ – რაც ალბათ ტრადიციასთან მიმართებაშიც გამოგვადგებოდა. აქ იგულისხმება უფრო რეფლექსია და რაღაცის დროებით შეჩერება, რა-

თა ჩვენი ტრადიციები სრული სახით, მათში ბრძენი წინაპრების მიერ ჩადებული სრული ენერგიით აღსდგნენ. ესაა სწორედ ის კონსერვატიული აღორძინება, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ თავის დროზე ჩაიფიქრა და გამოხატა კიდეც როგორც „დიონისოში“, ისე „მთვარის მოტაცებასა“ და „ხოგაის მინდიაში“.

ეს არაა ვულგარული, ტროცკისტული ან მაოისტური გაწყვეტა ან საკუთარის ვინაობის მოცილებით რაღაც სრულიად უცხო ტრადიციებზე გადასვლა. ესაა უფრო დიალექტიკური, ჯანსაღი გაგებით ჰეგელიანური პროცესი შემეცნებისა, რადგან ვერცერთ საგანს სამყაროში ვერ შეიმეცნებ, თუკი გარედან არ შეხედავ მას. ამისთვის კი საჭიროა მისგან გათავისუფლება. ხოლო სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში ეს ყველაზე თვალნათლივ ჩანს გერმანიის და იაპონიის მაგალითზე, სადაც ტრადიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არამარტო ყოფაში, არამედ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც.

9. 12. 2012

კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“

დამკვიდრებული თვალსაზრისით, „ვაზის ყვავილობა“ ხარკია მწერლისა, გაღებული კომუნისტური ხელისუფლების და იმდროინდელი კონიუნქტურის მიმართ. მე მთლად ასე არ მგონია, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამაც და შედარებით მიუკერძოებელმა კრიტიკამაც ეს მწერალს ხარკად ჩაუთვალა, ადრეული რომანის „ბელადის“ მსგავსად.

„ვაზის ყვავილობაში“, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური საქართველოს რეალიებია აღწერილი, გარკვეულ დონეზე მაინც გადაჭრილია ის პრობლემები, რომელთა გამოც შემოაღამდათ მისი ადრეული რომანების პერსონაჟებს თავიანთი ცხოვრების ნახევარგზაზე: ცხოვრების სიმძიმით და ტრაგიკული მოვლენებით დამძიმებულ სავარსამიძეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი თარაშ ემხვარსა და თამარ შერვაშიძეს ახალ საბჭოთა რეალობაში.

ამ ნაწარმოებში, სადაც მოქმედება სამეგრელო-აფხაზეთიდან კახეთშია გადმოტანილი, თითქოსდა აღსდგნენ თარაში და თამარი (ერთმანეთს უნუგეშოდ დაშორებული წყვილი და გულისშემძვრელად დაღუპული...) – ესაა ევროპულად განსწავლული პროფესორი კორინთელი და მისი უმშვენიერესი მეუღლე სუსქია, რომლებიც მწერალმა დაასახლა ალაზნის ველზე – მართლაცდა ამქვეყნიურ სამოთხეში. მათ ხანგრძლივი სიცოცხლე განვლეს აქ.

გავიხსენოთ, როგორ ოცნებობდნენ თავიანთ პატარა ვენახებზე სავარსამიძეც და ემხვარიც (თვით არსაკიძეც კი...)! ანუ სამართლიანობა გარკვეული თვალსაზრისით შედგა აქ. ხოლო თუში გოდერძი ელანიძე, დამუნჯებული ომის და საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებებით, ვენახის ანუ ქრისტეს ხილვისას რომ ამოიდგამს ენას (შდრ. სახარება, „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“), სწორედ სავარსამიძეა მეტამორფიზებული, რომელსაც აღარც სიცილი შეუძლია და აღარც ტირილი. მწერალმა ამ რომანში კი ქრისტეს აზიარა იგი, მარადიული სიცოცხლის და სიყვარულის ღმერთს და ამით განკურნა, ენა ამოადგმევინა.

სწორედ აღდგომილ ქრისტეში გადაიჭრა ის კონფლიქტი ანუ თეზა-ანტითეზურობა, ერთი მხრივ ინს-

ტიტუციურ ქრისტეს და მეორე მხრივ დიონისურ კულტს შორს, რომელიც საცნაურია წინანდელ ნაწარმოებებში. სწორედ ეს სპირიტუალური ფონი, რომელიც ძირითადია, განაპირობებს ამ ნაწარმოების არსისეულ არაკონიუნქტურულობას, რომელიც თვალში არ მოხვედრია საბჭოთა კრიტიკას.

16. 12. 2012

სიყვარულის არსის შესახებ

ეს მართლაც საყურადღებო გამონათქვამია რუდოლფ შტაინერისა სიყვარულზე, რაც თავისუფლების განცდიდან ბოძებული საჩუქარია ერთი ადამიანისა მეორე ადამიანის მიმართ:

„გზა გულისაკენ თავზე გადის. აქ არც სიყვარულია გამონაკლისი. როდესაც იგი უბრალოდ სქესობრივი ლტოლვის გამოხატულება არ არის, ეფუძნება ჩვენს წარმოდგენებს, რომელთაც ვქმნით ჩვენს საყვარელ არსებაზე. და რაც უფრო იდეალისტურია ეს წარმოდგენები, მით მეტ ნეტარებას გვანიჭებს სიყვარული“. სიყვარულს რუდოლფ შტაინერმა თავის სხვა ლექციაში „კაცობრიობის მორალური მზე უწოდა“.

საკითხს ხშირად სვამენ ასე: ერთია გონება, მეორეა სიყვარული, შუა უზის დიდი ზღვარი. გამოდის, რომ ერთი საზღვარს არ სცნობს, მეორე კი შემოსაზღვრულია. ადამიანურ აზროვნებას რაც შეეხება, ეს შეხედულებაც კანტიდან და დეკარტიდან მოდის. მათთვის აზროვნებას აქვს საზღვარი, ის ჩაკეტილი რჩება მატერიის სამგანზომილებიან სივრცეში, დანარჩენი კი მხოლოდ გამოცხადების პრეროგატივაა. სხვათა შორის, მამარდაშვილიც, როგორც კარტეზის და კანტის დიდი თაყ-

ვანისმცემელი, ხშირად იმეორებდა ამ პოსტულატს თავის საუბრებში.

რაც შეეხება სიყვარულის მონაცემს, იგი იდეათა სამყაროდან ეძლევა ადამიანს, როგორც ღვთის ხატს, და საქმე ის უფროა, ეს სამყარო შენთვის თვითკმარი და ობიექტურად არსებული თუა. პლატონისთვის, მაგალითად, ასე იყო, ხოლო დეკარტისა და კანტისთვის ფორმალურად „არსებობდა“, ანუ შეიძლება არც არსებობდეს, რახან „საგანი თავისთავში“ არ შეიმეცნება.

ხოლო ის, რაც ადამიანის წარმოსახვაშია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის არარეალური და მისი არსების უშინაგანესი ნაწილიდან მოდის. ეს მართლაც შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გასაღები იყოს უმაღლესი ადამიანური არსებისა.

რომ შევაჯამოთ, რას ამბობს დოქტორი შტაინერი თავის სხვა, „არააკადემიურ“ ლექციებში სიყვარულთან მიმართებით (ეს წიგნი, საიდანაც ციტატი წარმოსდგება, მისი სადოქტორო შრომაა როსტოკის უნივერსიტეტში), ასეთ სურათს მივიღებთ: ყოვლისმომცველი სიყვარული, რამაც ეს სამყარო შექმნა და რომელიც სამყაროს მამობრივი საფუძვლიდან პირდაპირ გადმოვიდა ძეზე, პულსირებდა უფალი იესოს სისხლში. გოლგოთაზე მან ეს სისხლი შესწირა კაცობრიობას. ამიტომაცაა იესო ქრისტე სიყვარულის უფალი, ზიარება კი სიყვარულის საიდუმლო გამოდის.

18. 12. 2012

ვაშა შენებას?

საქართველოში უკანასკნელ ხანებში უამრავი ძველი შენობა იქნა აღდგენილი. ეს ფაქტი თავისთავად როდია ცუდი, მაგრამ საქმე არ არის მხოლოდ ფიზიკურ შენებაში, არამედ სულიერ ინტეგრალურობაშიც, თუკი ჩვენი საქმე „უნდა გამობრუნდეს“, არჩილ ჯორჯაძის გამოთქმას თუ მოვიხმართ.

არ უნდა დაგვავიწყდეს ძველისძველი ჭეშმარიტებაც, რომ ბუნება ადამიანის გარეშე ნატურმორტია, ხოლო შენობები – თითქოსდა ძვირად ღირებული ფილმის დეკორაციები. აქვე გავიხსენოთ გერმანიის მაგალითი, რომელიც ორ მსოფლიო ომში დამარცხდა. რამ წამოაყენა იგი ფეხზე? ნუთუ მხოლოდ მარშალის გეგმამ, რაც უპირველეს ყოვლისა, დაფინანსებას გულისხმობდა?

რუდოლფ შტაინერი, დიდი ევროპელი მოაზროვნე, რომლის მოღვაწეობამაც კაცობრული სულის და სოციალური ცხოვრების არაერთი სფერო მოიცვა, წერდა გერმანულ სულზე პირველი მსოფლიო ომის კატასტროფის შემდეგ ფილოსოფიური ლექსის ფორმაში:

გერმანულ სულს ჯერაც არ დაუსრულებია,
რაც დროის ქმნადობაში უნდა მოიმუშაკოს.
ის ცხოვრობს მომავლის საზრუნავებში იმედით
აღსავსე,
ის იმედოვნებს მომავლის საქმეებზე სიცოცხლით
აღსავსე.
თავისი არსების შინაგანში
იგი ძალუმად შეიგრძნობს ფარულს,
რამაც მომწიფებით უნდა იმოქმედოს,
როგორ შეიძლება მტრულ ხელმწიფებაში
გაგების გარეშე შენარჩუნდეს მისი მოსპობის
სურვილი?

იქამდე, ვიდრე ცხოვრება არ გამოუცხადებს იმას,
რაც მისი არსების ფესვებში ქმნადობით ერთარსებად
ინარჩუნებს...

ამიტომაც არ მიკვირს გერმანული სასწაული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

26. 12. 2012

ლექსი „ქრისტესშობა“

მინდა მოგახსენოთ ჩემი თვალსაზრისი, რომ ლექსი „ქრისტესშობა“ ზვიად გამსახურდიას კალამს არ ეკუთვნის. ესაა ფსევდოეპიგრაფი. იგი არცერთ პუნქტში არ შეესაბამება მის ტროპიკას, სახისმეტყველებას, რითმათწარმოებას, თეოლოგიას ისე, როგორც ეს იკვეთება მის ერთადერთ პოეტურ კრებულში „მთვარის ნიშნობა“ (პირველად გამოიცა 1989 წელს). ამ ლექსში იმავდროულად არის რამდენიმე ლაფსუსიც. იმის გამო, რომ ხსენებული პოეტური კრებული მიჩქმალული იყო, ბევრი არ იცნობს მას, ხოლო ბევრისთვის ის მეტისმეტად რთულია, როგორც ჩანს.

ზვიად გამსახურდიას პოეზია, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში და სრულიად ორიგინალური და თვითმყოფადი, მომავალში უთუოდ გახდება პროფესიული შესწავლის საგანი. რაც შეეხება ამ ლექსს („ქრისტესშობა“), შესაძლოა მის დამწერს მართლაც არ ამოძრავებდა ცუდი ზრახვა – რამდენადაც ეს ლექსი ადვილად გასაგებია და ახდენს ემოციურ ზემოქმედებას ადამიანებზე. როგორც ჩანს, ლექსის დამწერის მიზანი იყო, დაეფიქრებინა ადამიანები ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ ხვედრზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ ზვიად გამსახურდია, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა პოეზიის როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივ-თეორიული მნიშვნელობა, ნამდვილად არ გარითმავდა თუნდაც ასეთ სტრიქონებს: „მერე ზეცად აღეელინე, არ გიგუეს მიწაზე, ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე"... აგრეთვე არ გარითმავდა „გაცემა"-ს „დაცემა"-სთან. ან თუნდაც ეს: „მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა" – საქმე ისაა, რომ მას ლეონარდო არ სჭირდებოდა შუამავლად ქრისტიანობასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ გენიოსს (ისე, როგორც სხვა მისი ფორმატის შემოქმედთ) ყოველთვის ჯეროვან პატივს მიაგებდა. თან სტრიქონიც ბუნდოვანია, გამოდის, რომ მას მოუწევს საიდუმლო სერობის დახატვა, ან რაღაც მსგავსი.

ასევე დაუკვირდით: „ქრისტესშობას სხვა ჩემს გარდა სევდას ვინ დაიბედებს?" – ამ უმძიმესი გრძნობის გადმოსაცემად, რაც ყველას მოგვიცავდა (და ყველაზე მეტად მას, ცხადია), სიტყვა „სევდა" ნამდვილად უადგილოა. მერე იმ საშინელ დღეებში, საქართველოს რომ გაუთენეს, როგორ იტყოდა, სხვა ჩემ გარდა ვინ დაიბედებსო „სევდას". სულ ცოტა ნახევარი საქართველო, თუ მეტი არა, გლოვით იყო მოცული. განა სიმართლე არ არის? განა მხოლოდ ისინი განასახიერებენ საქართველოს, ვინც იმ დღეებში რესტორნებში იჯდა და ლოჯიებს გულმშვიდად აშენებდა?

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ თავად ზვიად გამსახურდიას თავის სიცოცხლეში არასოდეს დაუდასტურებია ამ ლექსის ავტორობა. ხოლო რაც შეეხება მის სულიერ მდგომარეობას, იგი, მიუხედავად ყველაფრისა, იყო სიმხნევით და სამყაროში სიკეთისა და ჭეშმარიტების გამარჯვების ურყევი რწმენით განმსჭვალული (ანუ იმის საპირისპირო, რასაც სუიციდისტები ავრცელებდნენ და ავრცელებენ მისი უკანასკნელი დღეების შესახებ).

ამიტომაც არასოდეს ჰკითხავდა ქრისტეს, თვით პოეტური პირობითობის ენაზეც კი, „ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე?" – იმიტომ, რომ როგორც ქრისტიანმა დანამდვილებით იცოდა ქრისტეს დაბრუნების შესახებ („მომავალ არს დიდებით გასჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ"). არც აღდგომას და შობას აურევდა ერთმანეთში. ქრისტეს შობაზე გვესმის „ქრისტე აღსდგა"... ეს ჩვეულებრივი ნონსენსია და მას, როგორც პოეტთეოლოგს, ასეთი შეცდომები არ მოუვიდოდა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიტან მაგალითებს მისი პოეზიიდან. ტიპი პირველი:

საპირისპირო გათენების სხივი ფარული,
შემოესალტა დაუტირებ სახვათა კრებულს,
ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას გარინდებულს,
ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული.

ტიპი მეორე:

მულღაზანზარულ მუზარადთა ზმათ და ზარებად,
ზეიდალთაებრ მზე ზარნიშით მბზინვარე ზღვათა,
ზედგამზრახველთა არგამწირავთ მუქაფის ზღვადა,
ზეგარდმო ქნარნი მუნ ამკობენ ზეშთა ზარებად.

როგორც ვხედავთ, არცერთი ტიპი არ შეესაბამება ზემოხსენებულ ლექსს.

6. 01. 2013

მცირე ოპუსი იოანე-ზოსიმეს თემაზე

მე ვარ ქართული მოდგმა, დამდაბლებული და დაწუნებული, ერთადერთ იმედად ქრისტეს მეორედ მოსვლაღა დამრჩა. მანამდე ჩემი მდგომარეობა, ისევე როგორც საფლავად დადებული სახარებისეული ლაზარესი, შეიძლება გამოიხატოს სიტყვით „ყროდის“. ჩემს ჭირისუფლებად მოსჩანან წმ. ნინო და წმ. ელენე, როგორც მარიამი და მართა.

საოცარია, რამ გააჩინა მე-10 საუკუნის მიწურულს კონცეფცია ამგვარად კონსერვირებული ზეროვნებისა! და ისმის კითხვა, რამდენად აქტუალურია იგი ნაციონალური თვითკორექტირების და უმთავრესი ამოცანების ახლიდან განსაზღვრის ეპოქაში? თუმცა ერთიც ცხადია: აღმავლობები და დაცემები, რენესანსი და დეკადანსი მართლაც დამახასიათებელია ქართული ისტორიული გზისთვის. პოლიტიკურ ასპექტში დაწუნებულ და დამდაბლებულ საქართველოს ვხედავთ ერთი მხრივ სეფიანთა ირანის, მეორე მხრივ რუსეთის იმპერიის მხრიდან დაპყრობის ხანაში. რატომ? შეიძლება იკითხოს მავანმა. განა ცოტა იყო პოზიტიური, რითიც ჩვენც ვიხეირეთ? ჩემი პასუხია: შეიძლება ასეთი ბევრი იყო, მაგრამ უმთავრესი, რაშიც გვაზიანებდნენ, სახელმწიფოებრიობაა. ეს განსაკუთრებით რუსულ იმპერიას ეხება. იგი ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა ისეთი ვითარება და ჩაედო ისეთი ყუმბარები, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას შეაფერხებდა, ჩააბამდა ქართველებს ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში ან ასეთი დაპირისპირების იმიტაციას შექმნიდა.

ნამდვილად სიკვდილია ქართული კულტურისთვის ის სიტუაცია, რაც მე-12 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე

გვაქვს. იქიდან მოყოლებული ანტონ კათალიკოსის, სულხან-საბას და გურამიშვილის შემოქმედებამდე არ შექმნილა მეტად თუ ნაკლებად მსოფლიო ფორმატის მქონე ნაწარმოები. არის საინტერესო მცდელობები არქიტექტურასა და კედელთმხატვრობაში. მაგრამ ერთი მხრივ, კონსტანტინეს და ელენეს ქალაქის ჩავარდნა ოსმალთა ხელში, მეორე მხრივ, დასავლეთის და აღმოსავლეთის რელიგიურ-ეკლესიოლოგიური გაყოფა, უაღრესად აფერხებდა და დღესაც აფერხებს ახალ რენესანსს.

8. 01. 2013

მომავლის ადამიანი პ. სლოტერდაიკთან

პიტერ სლოტერდაიკი (Sloterdijk) თანამედროვე ევროპაში ერთ-ერთ მოდურ ფილოსოფოსად და ავტორად ითვლება. არცთუ დიდი ხნის წინათ თავის ერთერთ ინტერვიუში, შეეხო რა თავისუფლების საკითხის გადაწყვეტას ფილოსოფიაში 1000 წლის შემდეგ, მან განაცხადა: „მე უფრო მჯერა, რომ 1000 წლის შემდეგ სიტყვა „თავისუფლება“ აღქმული იქნება, როგორც ჩაძირული ჰუმანისტური ფოლკლორის ელემენტი. ჩვენი დღევანდელი თვალთახედვით, თავისუფლების მოძღვრება ყველა ნამდვილი ფილოსოფიის ბირთვია. მაგრამ მე არ მჯერა, რომ ფილოსოფია გადარჩება. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცივილიზაციის პერმანენტული განვითარება ტექნიკის, საინჟინრო ხელოვნების და შესაბამისი აზროვნებითი ფორმების გზაზე ძველ, ჩვენთვის ამ ზომამდე სიმპტომატურ და თავისუფლების

იდეათა ჯერჯერობით შეუცვლელ სამყაროს უსაგნოდ აქცევს".

მომავალ „ახალ მსოფლიოს" მართლაც ბევრი ცრუწინასწარმეტყველი ჰყავს, დაწყებული მომავალი გეოპოლიტიკის შედარებით მეინსტრიმული ავტორებიდან მოდისიდენტო-მარგინალიზებულ (თუნდაც „ჩიპებსა" და მსგავს თემებზე მოლაპარაკე) მჭვრეტელეებამდე. თუმცა, დამეთანხმებით, მძიმეა მსგავსი „წინასწარმეტყველების" სმენა რობოტების დამდეგ ერაზე. ეს მართლაც იმ სიდუხჭირეს წარმოაჩენს, რომელიც თანამედროვე დასავლეთში სჭირთ (სლოტერდაიკის ლოგიკით ჯერ კიდევ) ჰუმანიტარულად მოაზროვნე ადამიანებს.

ეს დაახლოებით იგივეა, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" პირდაპირ გაგრძელებად და განვითარებად „კომპიუტერული ტექნიკის გამავრცელებელი საზოგადოება" წარმოგვედგინა. ტექნიკის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ამას მაინც აზროვნებითი მოკლე ჩართვა ჰქვია. მოკლედ რომ მოვჭრათ, არაფილოსოფიური, არაჰუმანიტარული, არაქრისტიანული, არარუსთველური, არაშექსპირული, არაგოეთესებური, არაპარაცელსური, არაშილერული, არაფიხტესეული, არადოსტოევსკისებური, არავაგნერული, არაემერსონისებური, არა... (და ა. შ. გრძელი სია შეიძლებოდა) ადამიანი. თუმცა კითხვაც ჩნდება: ადამიანი?

11. 01. 2013

თანამედროვე ეთიკა

მართლაც რა არის ის ეთიკა, რითიც ჩვენ, 21-ე საუკუნეში მცხოვრები ქართველები შეიძლება ვხელმძღვანელობდეთ? მე აქ სეკულარიზებულ, სხვადასხვა ინსტიტუტიდან ემანსიპირებულ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც ცდილობენ თავიანთი თავის განპირობებას. ეს ნიშნავს, რომ მე ჩემს თავს თვითონ განვაპირობებ და არა რომელიღაც ინსტიტუტს, ორგანიზაციას, პარტიას ან ინსტანციას გადავაბარებ ამის უფლებამოსილებას. ხოლო ესა თუ ის რელიგიური წარმომადგენლობა, რომელიც ადამიანური ინდივიდის მხარეზეა და სწორედაც არ სურს, სამარადისოდ განაპირობებდეს ადამიანს, წესით მის თვითგანპირობებულობას უნდა მიესალმებოდეს.

ჩემი ეთიკა შესაძლოა იკვებებოდეს ქართული თვითმყოფადი ცივილიზაციის, იმავდროულად ბიბლიური და ანტიკური სამყაროს ისტორიიდან. აქ ალბათ უპრიანი იქნება ციცერონის თეზა: **plena exemplorum est historia** – „ისტორია სავსეა მაგალითებით". ამასვე ეხმაურებოდა მე-19 საუკუნეში ფრიდრიხ შილერი, ვისთვისაც ისტორია „ერთიან მორალურ სამყაროს" წარმოადგენდა. მაგრამ მორალური აქტები ახალ დროში მაშინდელი კონტექსტებიდან, მაშინდელი რეალობებიდან ახალ დროში პირდაპირ გადმოტანას არ უნდა ექვემდებარებოდეს. მაგრამ მათ შეიძლება წმინდად ინტუიციურ დონეზე რაღაც მართლაც ფასეული შთაგვაგონონ. ეს შთაგონება კი ჩვენს ინდივიდუალურ, ამჟამიერ მოცემულობად უნდა გარდაიქმნას, რაც ჩემი შინაგანი თანამონაწილეობის გარეშე არ გამოვა.

სხვა შემთხვევაში მივიღებთ იმას, რომ ისტორია, ოდესღაც შემდგარი რეალურ დრამად, ამჯერად ფარსად

წარმოჩნდება (მსგავსი მიდგომის მაგალითების მოტანა შეიძლება ჩვენი თანამედროვეობიდანაც – დავითის და ილიას საფლავებთან პოლიტიკოსთა სირბილი ან PR-აქციაა, ან თუ ამ მიზნით არ იყო – საცოდაობა).

მე არ უნდა მინდოდეს ვიყო ეთიკური მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი ეთნო-გენეტიკური და საკაცობრიო კულტურისმიერი წინაპრები ასეთნი იყვნენ. მე უნდა შემწევდეს იმის ძალი, რომ ისინი ისეთებად დავინახო, როგორიც სინამდვილეში იყვნენ. და მათი საქმეებით შთაგონებულს, ყოველდღე ახლიდან უნდა შემეძლოს ჩემი თავისუფლების მოპოვება, ჩემი ადამიანური, ეროვნული და კულტურული იდენტობის განვითარება – ისე, რომ თან დავრჩე სრულიად ჩვეულებრივ, ჯანსაღ ადამიანად, სისხლით, ხორცით, სულით.

17. 01. 2013

ECCE HOMO ანუ ორ უკიდურესობას შორის

როდესაც საუბარია საზოგადოებაში გათითოკაცების ტენდენციაზე, საქართველო იქნება ეს თუ საზღვარგარეთი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგოიზმი და ეგოცენტრიზმი თავად თანამედროვე ადამიანში ისედაცაა ჩამაგრებული ერთგვარ ღუზაზე. ეს მისი სუვერენული არსის თანამდევი მოვლენაც არის, თუნდაც ამისთვის თვალის გასწორება უსიამო იყოს.

იგი დიდწილად განსაზღვრა იმ ისტორიულმა განვითარებამ, რაც კაცობრიობამ დაახლოებით 1870 წლიდან დღემდე განვლო. ჩვენ უნდა ზუსტად შუალედური პოზიცია მოვნახოთ ორ ძალას შორის. ერთნი (და რა პარადოქსულიც უნდა ჩანდეს, საბჭოთა ტიპის სოციალისტები, რომელთაც ტრადიციულ ათეიზმზე უა-

რი თქვეს, და ასევე ეკლესიის მსახურთა ნაწილი) ქადაგებენ დაბრუნებას შუასაუკუნეებში და შეიძლება გულისხმობენ დაბრუნებას მოსეს და აბრაამის ეპოქაშიც კი, როდესაც ადამიანი ჯერაც კოლექტიური არსება იყო და ეგო იმდენად არ ჰქონდა განვითარებული. მეფის და ფარაონის სიტყვა კანონი იყო მისთვის.

მეორენი კი, „თავისუფალი ბაზრის“ აბსოლუტიზაციის მომხრენი, ავითარებენ ღორის ინსტინქტების მქონე, უჭკვიანესი (ჰაიტეკითა და უთანამედროვესი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი) ბესტიის „ფილოსოფიას“. გამოდის, რომ ეს ორფეხა ანტისოციალური, ანტიეკოლოგიური, მომხმარებელი და ანტიქრისტიანი ცხოველი უნდა იყოს მომავლის ადამიანი.

როგორც ვხედავთ, ერთნი წარსულში გვექაჩებიან, სადაც დაბრუნება არ მოხდება, მეორენი კი – ასეთ კოშმარულ მომავალში. ვფიქრობ, საჭიროა შუალედურ გზაზე ისე სვლა, რომ არ დავკარგოთ კაცობრიობის მიერ ძველ ეპოქებში მოპოვებული სათნოებანი და არც უარი ვუთხრათ თანამედროვეობის ნამდვილ მიღწევებს, რომლებიც ადამიანურ ღირსებას არ ლახავენ და ამაღლებენ.

ამრიგად, იდეალია თვითგანპირობებული, სუვერენული ადამიანი, რომელიც შეიმეცნებს მაკროსამყაროულ კანონებსა და კანონზომიერებებს, ამავე დროს მორალური ქმედების სიყვარულით განიმსჭვალება. ამაში იქნება მისი სოციალურობის და თავისუფლების განცდაც. ასეთი ადამიანი თავის თავში უკვე, ვთქვათ, წმ. ფრანცისკ ასიზელსა და გოეთეს, ფლორანს ნაიტინგელსა და მარგარეტ ტეტჩერს შორის ერთი შეხედვით არსებულ წინააღმდეგობრიობას, თეზა-ანტითეზურობას ისევ სინთეზში მოიყვანს. ecce homo „აი ადამიანი“ – შეიძლება ასეთებზე ითქვას.

აქვე მინდა დავსძინო: მართალია, ფილოსოფიური ტონი ხშირად გადადის განზოგადოებულ მსჯელობაში. ეს ერთი მხრივ შესაძლოა დაგვეხმაროს ცნებების დალაგებაში, მეორე მხრივ კი საფრთხეა, რომ ნომინალისტური ელფერი მიიღოს. ჩვენ კი რეალისტები გვინდა ვიყოთ. თანამედროვე ადამიანის პრობლემა ალბათ მაინც მისი ინდივიდუალობის განვითარებასა და სოციალურ სივრცეში ასე ეტაბლირებასთანაა კავშირში.

ბევრი რამ, რასაც თანამედროვე ცივილიზაცია გვთავაზობს, ამ ინდივიდუალობას ისე შლის, რომ განვითარების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ მიდის ფასეულობების დერეგულირება. ფასეულობა მხოლოდ ტრადიციით არ გადმოდის. თუ მე, ვთქვათ, მორალური იმიტომ უნდა ვიყო, რომ ბაბუაჩემი იყო ასეთი ან რომის პაპი ან თუნდაც წმ. ფრანცისკი, მაშინ ჩემი ეს პოზიცია ჩემს თავისუფლებაზე არაფერს ამბობს. ეს მე უნდა მინდოდეს ჩემი თავისუფლებიდან გამომდინარე და ჩემი ძიებების მონაპოვარი იყოს. მაშინ ექნება ფასი. თანამედროვე ადამიანი კი ან ტრადიციის იძულების ქვეშ ექცევა ან „საბაზრო" იძულების ქვეშ.

ეს უკანასკნელი მომენტი კარგად გამოკვეთა ჯორჯ სოროსმა წიგნში „გლობალური კაპიტალიზმის კრიზისი", სადაც წერს, მომხვეჭელობისა და ჰედონიზმის მეტი ბაზრის მოთამაშეებს არც არაფერი ამოძრავებთო. რაც შეეხება ადამიანის არსის გაუმჯობესებას, ეს ყველა ადამიანმა თავის ხელში უნდა აიღოს ინდივიდუალურად. აქ ზოგადი რეცეპტი არ გამოვა. მით უმეტეს დღევანდელ ადამიანთან ჯვრით ხელში ალბათ ვერ ილაპარაკებთ – თეატრალიზებულად იქნება. ხოლო თუ სასულიერო პირი ხართ, ან შედგება გულწრფელი საუბარი ან არა. უფრო დიდი შანსია, რომ არა.

10. 05. 2013

ცხოვრების ძირითადი ფასეულობა ილიასთან

აი, რა უნდა დაედოს საფუძვლად, ილია ჭავჭავაძის აზრით, ერის კოლექტიურ თანაცხოვრებას და სოციალური ორგანიზმის ფორმადქმნას: „ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს. მართალია მშიერი დიდ მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდ, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისთვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისთვის. თუ ან ერთი დაშრა ან მეორე – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსთვის მაინც, ამიტომაც ვინცა სჩივის და ჰღალადებს სახორციელო პურისთვის, ის იმდენადვე თუ არა მეტად უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისთვის. ადამიანი თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“.

საოცარი განძი გვაქვს ილია ჭავჭავაძის ნააზრევის სახით. ვინც ამას გვერდს აუვლის, ნამდვილად ვერ იცხოვრებს ადამიანური ღირსების შესაბამისად და მნიშვნელობა აღარ ექნება, იგი ზეპურთა ელიტას ეკუთვნის თუ არა, ან დადის ეკლესიაში თუ არა. ამ ილიასეულ ამონარიდში ბიბლიური ალუზია ცხადია – უდაბნოში გასული იესო სატანას ასე პასუხობს, როდესაც ეს უკანასკნელი მოუწოდებს ქვები პურებად აქციოს: „არა მხოლოდ პურით ცხონდება კაცი“.

ვფიქრობ, უმთავრესი საკითხი, აქ წამოჭრილი, არის ცხოვრების ძირითადი ფასეულობის საკითხი. ილიას უნდა გვითხრას, რომ ადამიანის არსებობას ამქვეყნად

მხოლოდ პურის მოპოვება ანუ ეკონომიკურ-ფინანსური მხარე კი არ განაპირობებს (რაც თავის მხრივ საჭიროებას წარმოადგენს და მისი უარყოფა უაზრობა იქნებოდა), არამედ ინდივიდის არჩევანი, გაკეთებული ჭეშმარიტებისა და კეთილმსახურების სასარგებლოდ, მიმართული როგორც ცალკეულის, ისე მთელი სოციუმისადმი. აქ კი სხვაგვარი პური გამოცხვება – როგორც ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობის ერთგვარი კვინტესენცია.

28. 05. 2013

ერთხმოვანი თუ სამხმოვანი გალობა?

ქართულ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია გრძელდება დისკუსია, რომელი გალობაა კანონიკური თვალსაზრისით სწორი: ერთხმოვანი თუ მრავალხმოვანი? პოლიფონია, რომელიც აქამდე ჩვენი რელიგიური ცხოვრების, ჩვენი მუსიკალური კულტურის მშვენებად მიგვაჩნდა, რადიკალი ორთოდოქსების შეტევების ობიექტი გახდა უკანასკნელ ხანებში. იგი გამოცხადდა ფოლკლორულ-პაგანურად, „ხალხურად“, გვიანი ხანის, რელიგიური კრიზისის პირმშოდ, სადღაც მე-17 საუკუნეში შექმნილად.

ერთადერთ უპირობოდ კანონიკურ გალობად კი ბიზანტიური გალობა გამოაცხადეს. მის მომხრეთა თვალში მე-11 საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იოანე პეტრიწი, რომელიც სამხმიანობაზე საუბრობს, „არასერიოზული“ ფიგურაა.

ჩვენ შესაძლოა მომავალში ერთხმიანი გალობის დაცვაც კი მოგვიწიოს, რადგან არ იქნება ჩვენგან (ანუ

პოლოფონიის მომხრეთაგან) მართებული ბიზანტიური გალობის მომხრეთა ხმის ჩახშობა. მაგრამ აქ ლაპარაკია ერთ ჭეშმარიტებაზე, რომელიც პრინციპულად დასაცავია: მრავალხმოვანი გალობა ისეთივე ძველია, როგორ ერთხმოვანი, ზუსტად ისეთივე კანონიკური უფლება აქვს, იყოს გამოყენებული ლიტურგიკაში, როგორც ერთხმიანი. ჩვენ ასევე არ გვჭირდება ამ ჯგუფისგან, რომელსაც ნამდვილად აქვს არსებობის უფლება, სამადლოდ და სამოწყალოდ გადმოგდებული ერთგვარი „ნებართვა“ – იგალობეთ თქვენი სამხმოვანება, თუ ასე გინდათო; ჩვენ კი ნამდვილი გალობის გასაღები ხელში გვიჭირავს, რომელსაც თქვენ ვერასოდეს ჩაწვდებითო. ასე ნამდვილად ვერ წავალთ შორს, ჭეშმარიტების დადგენას რაც შეეხება.

30. 06. 2013

კოლხეთის მეფეები

ქართული სახელმწიფოებრიობა ფარნავაზიდებსა და ბაგრატოვანებზე არანაკლებ აქედან იღებს თავის სათავეს. ეს არის კოლხეთის, ლაზიკის და ეგრისის მეფეების სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი ნუსხა. ეს სახელები ორიოდე გამონაკლისის გარდა, ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი – შეიძლება ითქვას, ისინი ჩვენი ცნობიერების კიდეგან არიან დარჩენილნი.

ზოგადად მეფეთა ამ დინასტიას, რომელიც შესაძლოა აგებული ყოფილიყო სისხლით ნათესაობის პრინციპზე, შეიძლება პირობითად ეწოდოს კოლხეთის აიეტიდელ მეფეთა ნუსხა.

ეს აიეტიდელი მეფეები ფაქტობრივად იგნორირებულნი არიან იმ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ლეონტი მროველისეულ განჭვრეტას უპირობოდ იზიარებს. იგნორირების საფუძველი შესაძლოა უცოდინრობა იყოს, ან აღმოსავლეთ საქართველოზე, ანუ ქართლზე ცენტრირებული გაგება და საკუთარი თეორიის საყრდენად მისივე გამოყენება.

კოლხეთის მეფეები (სატახტო ილდამუსა, აია, ჯიხაქუინჯი ანუ ციხე-გოჯი):

მენერტასი 535-495
მეგარონი 495-460
სავლაკი 460-420
ხარატა 420-400
აკე I 340-310
აკე II 190-180
აკუსილოხი 180-170

ქუჯი, ფარნავაზის მოკავშირე და პარტნიორი, როგორც ხელისუფალი ორ აკეს შორისაა სავარაუდო. იგი ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში ერისთავად მოიხსენიება, მაგრამ იგი აშკარად კოლხეთის მეფე უნდა იყოს.

ძვ. წ. აღ-ის 110 წ. კოლხეთის სამეფო დაიპყრო პონტომ. კოლხეთის პონტოელი მეფისნაცვლები:

მოაფერნე 110-84
მითრიდატე 83
ოლთაკე 83-65

მაქარესი 65 (ძვ. წ. აღ-ის 65 წელს კოლხეთიც და პონტოც დაემორჩილა რომს), რომის დანიშნული მეფე იყო არისტარქე, 65-49.

ეგრისის-ლაზიკის ცნობილი მეფეები:

აგროსი I-II საუკუნეების მიჯნა
მალასა II ს-ის პირველი ნახევარი
პაკორი II ს-ის შუა ხანები
გუბაზ I 440-465
წათე I 465-490
დამნაზე 490-520 (ბიზანტიური წყაროების „ძამანარძე“)
წათე II 520-529
ოფსიტე 529-541
გუბაზ II 541-554
წათე III 554-565

ეგრისის ცნობილი პატრიკიოზები ანუ ერისმთავრები, სატახტო ციხე-ქალაქი ჯიხახორა (აფშილეთის ტერიტორიაზე, პატრიკიოზთა სახელებს უკვე ბიზანტიური გავლენაც ეტყობა):

ბარნუკ I 640-663; 664-665
გრიგორი 663-664; 665-675
ბარნუკ II გრიგორის ძე 675-691
სერგი ბარნუკის ძე 691-711

სერგიმ ქვეყანა 697 წ. არაბებს დაუმორჩილა. 711-762 ქართლის საერისმთავროსთან შეერთება – იოანე არჩილის ძე. ქართლის ერისმთავრის ვაჟი 762-778 წ. აფხაზეთის ერისთავმა ლეონ II-მ აფხაზეთი და ეგრისი გააერთიანა. ასე და ამრიგად დაიდო გაერთიანებული საქართველოს ფუძე-ქვა, არტანუჯელი ბაგრატიონების

და აფხაზი ლეონიდების ერთობლივი ძალისხმევით უკვე მერვე-მეათე საუკუნეებში.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამოცემის შემდეგ განსაკუთრებულად აქტუალური გახდა საკითხი ბაგრატოვანთა წარმომავლობაზე. იგი ლიტერატურაშიც აისახა – კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939 წ.) მეფე გიორგი სიკვდილის წინ თქმულ აღსარება-ანდერძში თავის დინასტიურ და ეროვნულ-კულტურულ ვინაობას განსაზღვრავს, როგორც „ბაგრატოვანს, ლაზს“.

იმის გასაგებად, თუ როგორ უდგებოდნენ ამ საკითხს 30-იანი წლების საქართველოში ქართველი ისტორიკოსები და სიძველეთამცოდნენი, საინტერესოა და სიმპტომატური პავლე ინგოროყვას თვალსაზრისი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიისათვის: ბაგრატიონები, მკვლევრის აზრით, ყოფილან დასავლეთის პიტიახშები. ბაგრატიონთა საგვარეულო ეკუთვნოდა „სეფე-წულთა“ წრეს და იყო განშტოება ფარნავაზიანთა ძველ-ქართული დინასტიისა. პავლე ინგოროყვას მიხედვით გამოდის, რომ თავად აზო-ფარნავაზიანნიც ლაზურ-ჭანური წარმოშობისანი ყოფილან. ამის დასტურად მკვლევარს მოჰყავს:

1. ცნობა სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის ანონიმისა. საისტორიო ძეგლში წარმოდგენილია შემდეგი გენეალოგია ბაგრატიონთა გვარისა: ფარნავაზ შვა ბაგამ და ბაგარა[ტ]ი, ბაგარა[ტ] შვა ბივრა[ტ]ი; ბივრა[ტ] შვა ასპეტი. იმავე საისტორიო ძეგლში ბაგრატიონთა წინაპარს ბაგრატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი „ბაგარატ ფარ[ნა]ვაზიანი“.

2. გადმოცემა ქართველთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლოს შესახებ: ქართულ წყაროებში, როგორც ცნობილია, დაცულია გადმოცემა ქართველთა

გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან – არიან-ქართლიდან აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით. სამხრეთში კი სხვა რომელი წარმოშობის დინასტია უნდა ყოფილიყო, თუ არა ლაზურ-ჭანური?

ამრიგად ბაგრატიონები, ისევე როგორც აზო-ფარნავაზიანნი, წარმოდგენილნი არიან როგორც წინამძღოლნი ქართველთა გადმოსახლებისა სამხრეთიდან საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე. „არიან-ქართლი“, პავლე ინგოროყვას აზრით, არის იგივე ბიბლიური „ურ-ქაშდ“, ჰურ-ქაშდ (||ჰურ-ქართ||ჰურ-არტ||ჰურ-არტაანი). სულიერ-კულტურული თვალსაზრისით კი ბაგრატიონები აერთებენ მეფობის ორივე ტრადიციას – აზო-ფარნავაზიანთა და აიეტიდელთა ხაზებს.

ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო ანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში მდებარეობდა სპერი-ჭოროხის ხეობაში. ჭოროხის ხეობის მკვიდრი მოსახლეობა ორ განშტოებად იყოფოდა: ჭანებად (ლაზებად) და იბერიელებად, ანუ ქართმესხებად. საკუთრივ სპერის თემში, როგორც ეს დასტურდება პროკოპი კესარიელის ცნობებიდან, უპირატესად ჭანური მოსახლეობა იყო. რამდენადაც სპერი ძირითადად ჭანურ თემს წარმოადგენდა, ამდენად პავლე ინგოროყვას სამართლიანად მიაჩნია მოსაზრება აკად. ნიკო მარისა, რომელიც ბაგრატიონთა სახლს ჭანური წარმოშობის გვარეულობად თვლის.

ჭანური (იგივე ლაზური) სამყაროდან მომდინარეობს თვით ონომასტიკონი ანუ საგვარეულო სახელები ბაგრატიონთა სახლისა, სახელდობრ, ის სპეციფიკური სახელები, რომლებიც მიღებული იყო ბაგრატიონთა გვარში, და რომლებიც ბოლოვდება გრამატიკული ელემენტით „ტი“: ბაგრა-ტი, სუმბა-ტი, ბივრა-ტი, აშო-ტი.

აღსანიშნავია, რომ მეორე ძველ-ქართულ გვარეულობაშიაც, რომელიც ჭანეთიდან იყო წარმოშობით, სახელდობრ, ორბელიანთა გვარში (ჭან-ბაკურიან-ორბელიანნი) – მიღებული იყო ანალოგიური სახის საგვარეულო სახელები, დაბოლოებული იმავე გრამატიკული ელემენტით „ტი": ლიპარი-ტი, რა-ტი (*ჰრა-ტი).

აქ ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელები ბოლოკიდურით „ტი", რომელიც შერჩენილია დასავლეთ საქართველოს საგვარეულო ონომასტიკონში. ჯიბუ-ტი, ღლონ-ტი, ჟღენ-ტი, ხუბუ-ტი (აქედან ხუბუ-ტი-ა), მეჩხე-ტი, ჩხე-ტი (აქედან მეჩხე-ტის-ძე, ჩხე-ტის-ძე და სხვანი. დაბოლოება „ტი", ჩანს, არის ჭანურ-მეგრული ეკვივალენტი ქართულ საგვარეულო სახელწოდებათა დაბოლოებისა „თი", რაც მიღებული ყოფილა საშუალო საუკუნეთა საქართველოში – კერძოდ, ჭოროხის ხეობაში. დაბოლოების „ტი" || „თი" ძველ ქართულში დიალექტურად ენაცვლება დაბოლოება „თა": ბაგრა-ტი || ბარა-თა, ბივრა-ტი || ბივრა-თა, აშოტი || შო-თა (იხ. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი 4, გვ. 563-566, თბილისი, 1974).

4. 09. 2014

ეთიკური ინდივიდუალიზმი

წიგნში „დინების საწინააღმდეგოდ" (1997) მე შევეცადე ზვიადის, მერაბის და მათი მეგობრების მაგალითებზე დაყრდნობით ეთიკური ინდივიდუალიზმის ჩემეული ხედვის თემატიზებას. ეს დაახლოებით ისეთი ინდივიდუალიზმია, სადაც ადამიანი მორალურ ქმედებას იმავენაირი სიხარულით და სიმსუბუქით პროდუცირებს, როგორც, ვთქვათ, რუსთველი შაირს, მიქელანჯელო

ფორმას, ბეთჰოვენი ჰანგს. აქ ავტომატიზმი გამორიცხულია. ოღონდ ეს ზნეობრიობა რაღაც იმპერატივებიდან და თავსმოხვეული დოქტრინებიდან არ მოდის – იგი ადამიანის თავისუფალი არჩევანია – მას „უნდა“ ასეთი იყოს, მორჩა და გათავდა. იგი არც „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს გზით წავა: მსგავსი სულისკვეთების ადამიანები, ვგონებ, მოახერხებენ ერთმანეთის მხარდამხარ უფრო ცოცხლად, უფრო მეტი სიხარულით იცხოვრონ და იმოქმედონ, ვიდრე კანტისეული ტიპის წესრიგშია მოცემული ეს შესაძლებლობა თანაარსებობის და თანამშრომლობის (რაღაცნაირი კოჰაბიტაციის) სახით.

ამას წინათ დაისვა კითხვა: რამდენად აკმაყოფილებს ეთიკური ინდივიდუალიზმის კრიტერიუმებს 9 აპრილის დილით ლიდერთა საქციელი? რატომ ისინი არ გახდნენ დარბევის მსხვერპლნი უწინარეს ყოვლისა და არა უმწეო ქალები და ბავშვები? ამაზე ჩემი პასუხი შემდეგია: მათი მთელი მოწამეობრივი ცხოვრება კგბ-ს და კომუნიზმის პირობებში და ძალადობრივი დაღუპვა სრულიადაც აკმაყოფილებს. რაც შეეხება ლიდერებს – ზვიადსა და მერაბს, ორივე მოწამლული გაიყვანეს მას შემდეგ, რაც აქცია დასტოვა მისი მონაწილეების დიდმა უმრავლესობამ. მე იქ ვიყავი და ვიტყვი, რომ დამრბევთა ასეთ სიმხეცეს ვერავინ გათვლიდა. რაც თქვენს კომენტარში წავიკითხე, ეს იგივეა გვეთქვა, რომ დიდგორსა ან ერწუხში დავითი უნდა მომკვდარიყო ჯერ და მერე ახალგაზრდები. თეზა „პატრიარქთან ერთად ხალხი ქაშუეთში გადაეყვანათ სალოცავად“ დაივიწყეთ, რადგან არავინ არც მათ არ დაუჯერებდა – ისეთი იყო შემართება, რომ არცერთ ლიდერს არ გაჰყვებოდა კუდამოძუებული.

რაც შეეხება ინდივიდუალიზმის ცნებას, „ევრაზიულ“ გაგებაში იგი ჩანაცვლებულია კოლექტივიზმის

ცნებით, რომლის რელიგიური ეკვივალენტებია მართლმადიდებლური „sobornost“ და ისლამური „Umma“. სხვათა შორის წიგნს დავურთე ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, სამუელ ჰანტინგტონის მიერ შედგენილი მსოფლიოს რუკა, რომელიც მომავლის გეოპოლიტიკურ რეალობებს ასახავს. ამ რუკაზე ვხედავთ ევროამერიკას, ევროაზიას (სსრკ მინუს ბალტიის ქვეყნები, პლუს სამხრეთ ევროპის მართლმადიდებლური ქვეყნები), ინდოეთს, ისლამისტანს (ისლამური, არაბული და არაარაბული ქვეყნები) და კონფუციანას, ანუ ჩინეთსა და „ვეფხვის ქვეყნებს“.

საქართველო ევრაზიაშია მოქცეული. ეს ყოველივე ძალზე სიმპტომატური მეჩვენება.

5. 09. 2013

ტერმინი „ერი“

ნამდვილად არ მემეტება ქართული სიტყვა „ერი“ და „ეროვნული“ სამუდამოდ წარსულში დასამკვიდრებლად. ერთნი მას განიხილავენ „ეთნოსის“ აღმნიშვნელად, გულისხმობენ მხოლოდ სისხლზე, მხოლოდ გენეტიკასა და მიწაზე აღმოცენებულ ერთიანობას. მათთვის იგი შესაძლოა აგრესიული ნაციონალიზმის, ქსენოფობიის და ფაშიზმის დვრიტაც გახდეს. ამიტომ დაგმობილია, შეჩვენებულია, გამოცხადებულია არათანამედროვე კატეგორიად. ასეთ ინტელექტუალთა ნაწილმა 80-იანების ეროვნულ მოძრაობას „პროვინციული ფაშიზმიც“ კი უწოდა.

მეორენი, ანუ ხალხის მოზრდილი ნაწილი, ვინც იმდენად არ აზროვნებს, თუმცა ინსტინქტი ზოგჯერ ჯანსაღი აქვს, ერს და ეროვნულს სწორედ სისხლის,

გენეტიკის და მიწის ერთადერთ შედეგად განიხილავს. არ ვეთანხმები არცერთ პოზიციას. ქართული სიტყვა „ერი" არც ლათინური ნაციოა – რაც ნამდვილად გენეტიკურ წარმოშობაზე მიუთითებს, და არც ეთნოსი. იგი ნიშნავს ხალხს სეკულარული გაგებით („ბერი"-ს საპირისპიროდ, რაც სასულიერო წოდებაზე მიუთითებს), მთელი თავისი კულტურით, შეგნებით, მენტალობით, ტრადიციებით, ხელოვნებით. ეს სიტყვა სემანტიკურადაც იგივეა, რაც ბასკურ-პროტოიბერიული „heri", ხოლო მნიშვნელობით ჰგავს მესამე საუკუნის საშუალო სპარსული წარწერების ტერმინს kapa, რაც ასევე ირანის ერს გულისხმობს. განა წარმოსადგენია, რომ სასანური ირანის ან მაშინდელი იბერიის სამეფოს „ერი" მონოეთნიკური და მონორელიგიური ყოფილიყო?

ქართველ ერს ბაგრატის, იოანე მარუშისძის, დავითის, თამარის გარდა ეკუთვნიან ებრაელი სიდონია, კაპადოკიელი ნინო, სომეხი შუშანიკი, სპარსი ევსტათე, სირიელი დავით გარეჯელი, არაბი აბო, ქურთი მხარგრძელი, ყივჩაღი ყუბასარი, თეოდორე რუსყოფილი (ყველას აღარ ჩამოვთვლი), ადამიანები, ვისშიც საქართველომ აღზარდა ღვთის და სამშობლოს განსაცვიფრებელი გრძნობა, რაც ქრისტიანული მორალის და კულტურის საფუძველია. თანამედროვეობაში ასეთები არიან რუსი მიხაილ გობრონ საბინინი, უკრაინელი ნინა პალტარაცკაია, ფრანგი მარი ბროსე, აფხაზი არზაყან ემხვარი, მუსლიმი მემედ აბაშიძე, კათოლიკე მიხეილ თამარაშვილი და ბევრი სხვა. ქართველ ერს ეკუთვნიან ის ქურთი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი ბიჭები, ვინც აფხაზეთის ომში საქართველოს ერთიანობისთვის თავი გაწირეს.

ქართველი ერი საკაცობრიო ერია, ისევე როგორც საქართველო თავისი ლანდშაფტებით ერთგვარი მოდელია მსოფლიოსი. მისი გაქრობა ცივილიზებულმა

მსოფლიომ არ უნდა დაუშვას. ეროვნულობა და მამულისშვილობა (ილიასეული) რაღაცით ჰგავს გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავის, იოჰან გოტლიბ ფიხტეს გაგებას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მე-19 და მე-20 საუკუნეების ევროპულ ნაციონალიზმთან. ფიხტესეული გაგება უფრო სულიერ-კულტურული პროდუქტია.

ასე მაგალითად, იგი თავის ლექციების ციკლში ამბობდა: „გერმანელი ვერ იქნები, გერმანელად გამუდმებით უნდა იქმნე". მაშასადამე, დღეს შეგვიძლია ვილაპარაკოთ თანამედროვე პოლიტოლოგიიდან, თანამედროვე სახელმწიფოებრიობიდან გამომდინარე არა ქართველ პოლიტიკურ „ნეიშენ"-სა ან „ნასიონ"-ზე, არამედ პოლიტიკურ ერზე. „ეთნოსს" კი დავუტოვოთ ტერმინი „ეროვნება" ან „მოდგმა".

9. 09. 2013

კონსტანტინე გამსახურდია პოსტსაბჭოთა საქართველოში

ამ ტექსტის დაწერისკენ სოციალურ ქსელში hot book challeng-ის კამპანიამ მიბიძგა, სადაც ასეთი რამ წავიკითხე: David Chkheidze: „ხშირად არის დავა მიხეილ ჯავახიშვილი უფრო დიდი მწერალია თუ კონსტანტინე გამსახურდია. შედარება იმთავითვე არასწორია, საკითხის დასმა არის არასწორი თავისთავად, მაგრამ ჩემთვის როგორც მკითხველისთვის უფრო ახლოა კონსტანტინე გამსახურდია. არ ვიცი რატომ, ხშირად მეზედმეტება სიტყვები, მეყალბება კვანძის გახსნები, ნაძალადევი მედიდურობა... მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენა" იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც წავიკით-

ხე უნივერსიტეტში ჩაბარებამდე. უკვე მერე წავიკითხე მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“... გასაგებია, შეიძლება მ. ჯავახიშვილი წიაღსვლებით უფრო ღრმად მიდის, „ტიპაჟები“ უფრო კარგად ჰყავს ამოცნობილი, მაგრამ ფსიქოლოგიურობა არ არის ჩემთვის ლიტერატურის შეფასებისას განმსაზღვრელი. კ. გამსახურდია პოეტია: ენის, სახის, მუსიკის (რაშიც ეხმარება მეგრული ენის მუსიკალურობა)... შეიძლება ზედმეტობაში გადადის ხშირად, მაგრამ არასდროს არ ეშვება მიწაზე (რაც ლიტერატურაში, ალბათ, მთავარია); ამიტომ „დიდოსტატის მარჯვენამ“ [უფრო ვიდრე მოგვიანებით წაკითხულმა „მთვარის მოტაცებამ“ და „დავით აღმაშენებელმა“ (თავისი უკვე საოცრად დახვეწილი ენით)] მომნუსხა“.

საქართველოს უახლესმა რთულმა ისტორიამ ალბათ ისიც განაპირობა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება (სხვათა შორის, საბჭოთა, სტალინური და პოსტსტალინური კრიტიკის ქარცეცხლგამოვლილი) ახალი კრიტიკის ასთვალა არგუსის მზერაში მოხვდა. თავიდან ამას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა: იგი გადატრიალების მომხრე ინტელექტუალებისთვის თითქოს დამნაშავედ გამოცხადდა „ეთნიკური ნაციონალიზმის“, „პროვინციული ფაშიზმის“ მოძრაობის (მათი ტერმინებია 90-იანების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღსანიშნავად) რაღაცნაირი იდეოლოგიური სათავის მიცემისთვის. თანაც მან ხომ ასეთი მიუღებელი შვილი აღზარდა. ამიტომაც ქართული ლიტერატურის ეს კლასიკოსი დამხობილ პრეზიდენტს თითქოს უკან მიაყოლეს. საქართველოს კვალობაზე ერთმა საკმაოდ მაღალი რანგის ინტელექტუალმა, რომელიც ადრე მისი მკითხველი ყოფილა, პირად საუბარში თქვა: ჩემზე ისეთი გავლენა მოახდინა, აზერბაიჯანელებს მო-

ლოტოვის კოქტეილი შევუგდეო (!). მსგავსი აბსურდი იშვიათად მსმენია. სად წაიკითხა მსგავსი რამ ან სადაა აქეთკენ რაიმენაირი მოწოდება მწერლის ტექსტებში. და სხვებმა, ვინც მის წიგნებს კითხულობდნენ, რატომ არ მოიმოქმედეს იგივე?

უკანასკნელ ხანებში სასულიერო პირები თეოდორე გიგნაძე და ლევან მათეშვილი მას არაქრისტიან, არამართლმადიდებელ მწერლად რაცხავდნენ თავიანთ ქადაგებებში. მეტად რთული ამოცანაა განსაზღვრო, რა არის მართლმადიდებელი მწერალი. ალბათ ჰაგიოგრაფი? ასეთი ნაწარმოები რომ წარმოვიდგინოთ, იგი ისეთივე მკაცრი წესებით და აკრძალვებით იქნება შესრულებული, როგორიც ხატი. საბედნიეროდ, მათ არ ეპიტნავათ ზოგიერთი გროტესკული სასულიერო პირის ნეგატიური სახე „დიდოსტატში“. გარდა ამისა, ისინი ვერ არჩევდნენ მწერლის და მისი ცალკეული გმირის პოზიციას, რომლებიც თავიანთ სოფისტურ პარადოქსებში მკრეხელურ აზრებს გამოთქვამდნენ: არადა თავად მწერალი ხშირად პასუხობდა კრიტიკოსებს, ჩემი გმირების ცოდვებს მე ნუ ამკიდებთო.

შედარებით ლიბერალური ინტელექტუალების წრემ, რომლებიც დასავლურ კულტურას ეზიარნენ, ასევე თავიანთი კონიუნქტურიდან გამომდინარე იხელმძღვანელეს: მათთვის ის, რაც იდეალისტურია, ანუ როგორც ამ პოსტინგის დასაწყისში მოტანილ ციტატაშია – „არასდროს არ ეშვება მიწაზე“, ყოველთვის სახიფათოა, იგი ფაშიზმის ლატენტურ საფრთხეს შეიცავს. იდეალიზმის საფრთხეა ეთნონაციონალისტური მითოპოეტიკის აღზევება რაციონალურობის უარყოფის ხარჯზე, რასაც მათი შეხედულებით, შეუძლია ფაშიზმამდე მიგვიყვანოს. ჩაითვალა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ქართველი ლიბერალისთვის უფრო მისაღებია, რადგან მას თითქოსდა

მეტი რაციონალურობა ახასიათებს. აქედანვე წამოვიდა „გადაპრანჭული მწერლების“ თეზა (რომლის ინსპირატორიცაა თავისთავად ძალიან კარგი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე, ასევე მწერალი ნაირა გელაშვილი და სხვები), რამაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ფასეული არაფერი დატოვა – მათთვის შეუწყნარებლად მანერულ ენასთან ერთად.

იყო ძალიან კონკრეტული და არცთუ საამაყო მოკლევადიანი პოლიტიკური მიზანდასახულობებიც: მაგალითად 2009 წელს უცნობს (გია გაჩეჩილაძე) „საკანის“ პროექტში კედელზე ფლომასტერით მიწერილ ქართველი პროზაიკოსების ხუთეულში კონსტანტინე გამსახურდია არ შეუყვანია. „სიტყვის ოსტატი კარგი, ვთქვათ არის, მაგრამ მეტი არც არაფერი“ – ასეთი კომენტარი გააკეთა უცნობმა.

აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მან ერთი მხრივ აამა ზვიადის მოწინააღმდეგე ინტელიგენციას, რომელიც საკანს ხშირად სტუმრობდა, მეორე მხრივ ალბათ ფიქრობდა, ამავე სახელისა და გვარის პოლიტიკოსი, რომელიც აქტიური იყო 2007 წლის გამოსვლებში, ნამეტანი არ აღზევდესო. მანამდე მიხეილ სააკაშვილმა სახელი შეუცვალა კონსტანტინე გამსახურდიას გამზირს და ისევ პეკინის ქუჩა უწოდა. რატომ გააკეთა ეს? ცხადია, მწერლის მოსახელე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის (ანუ ჩემს) გამო, რომელიც თვალში არ მოსდიოდა. „რატომ შევუწყოთ ხელი მის გაპიარებას, ისედაც შეიძლება რუსები დაეხმარონ და მერე საფრთხეს შეგვიქმნის“ – ჰიპოთეტიურად ასეთი იქნებოდა მისი უვარგისი მრჩევლების ლოგიკა. ასე შეუძლიათ საქართველოში ჭრან და კერონ.

არის კიდევ ერთი რამ, რაც სხვა ქვეყნებშიც ახასიათებთ – კერძოდ, როგორღაც გაზომონ შემოქმედნი

და დაადგინონ, „ვინ უფრო დიდია“. ასე მაგალითად, საფრანგეთში გასულ საუკუნეში მუსიკის მოყვარულები ხშირად კამათობდნენ, კლოდ დებიუსი უფრო დიდი კომპოზიტორი იყო თუ მორის რაველი. ასეთივე სურათი იყო გერმანიაში – გარკვეულ წრეს რიხარდ ვაგნერი სულაც არ მიაჩნდა კომპოზიტორად, არამედ მხოლოდ იოჰანეს ბრამსს თვლიდა დიდ ხელოვნად. თუმც ვაგნერიანელები ასე აგრესიულნი სულაც არ ყოფილან ბრამსის მიმართ. ასეთივე კამათი შესაძლოა რუსეთში ყოფილიყო ტოლსტოისა და დოსტოევსკის შესახებ. გემოვნებაზე არ დავობენ, თუმცა ყველაფერს თავისი როლი და ადგილი აქვს კულტურულ ცხოვრებაში, მის განსაზღვრას კი ნაკლები ემოცია, მეტი მიუკერძოებლობა და განათლების შედარებით მაღალი დონე ესაჭიროება.

10. 09. 2014

ტერენტი გრანელი

ტერენტი გრანელზე რაც უნდა წერონ უკანასკნელ ხანებში, იგი ვარსკვლავად დარჩება ქართული პოეზიის ცაზე. მასზე ფიქრისას ასტრონომიის სფეროდან ასეთ შედარებას მოვიშველიებდი – ძნელია იყო მნათობი იმ ცაზე, რომელზეც გალაკტიონის ნათება მზისას უტოლდება თავის ინტენსივობით. მაგრამ ვარსკვლავი ასევე მზეა, უბრალოდ შორსაა. ასევე შორსაა ჩვენგან ტერენტი გრანელიც.

მას ერთი დღეც კი არ უცხოვრია პოეზიის გარეშე. თუკი ვინმეს გალანძღვა სურდა, შენ პოეზიის არაფერი გაგეგებაო, ეტყოდა. ტერენტი გრანელი-კვირკველიას სევდა კოლხურ-მეგრული სევდაა. კოლხური სევდა კი

პარადიგმულ, მსოფლიო-უნივერსალურ სევდას ერთიან, შემჭიდროებულ მოდულაციაში იძლევა.

მისი პოეზია ამავე დროს მედიტაციაა სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე. „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა" – აწერია დღესაც მის საფლავს. პოეტის ინტუიცია ჩაწვდა ერთ რამეს: ის რაღაც მესამე, რაც არც სიკვდილია და არც სიცოცხლე, და ამავე დროს მოიცავს ორივეს, იყო უშორეს წარსულში და იქნება ასევე შორეულ მომავალში.

მერაბ კოსტავა თავის ვრცელ ლექსში გალაკტიონზე ასეთ პოეტურ მონახაზს აკეთებს ტერენტი გრანელის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ:

ეს დედამიწა აკრთობდა გრანელს,
როცა ოცნებით ცაში ვიდოდა,
იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრაგნა
ვიდრემდე სამზღვარს გარდავიდოდა.
ბოლოს იფიქრა სასომიხდილმა,
არ განიყოფის მთლიანი ორად,
არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
რადგან ორთავეს მიიჩნევ სწორად.
დიახ, მათ შორის მესამე ჰგია,
ორთავ საწყისის მაერთებელი,
თუ ზეცა გწყურის და მიწა გშია,
თუ შენი თავის ხარ განმგებელი,
სინდისის შენის წინაშე წარსდექ,
იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ!
დიახ, ის მუდამ ემახსოვრებათ,
მისი ლექსები და მისი ბოლო,
თუმც ვერ იცხოვრა მიწის ცხოვრებით,
ეს მესამე გზა ინატრა მხოლოდ.

როდესაც ტერენტი გრანელის პოეტურმა კრებულმა დღის ნათელი იხილა, მას კონსტანტინე გამსახურდია

მაშინვე გამოეხმაურა და ფართო საკაცობრიო და ეროვნული კულტურული კონტექსტებიდან დაინახა მისი შემოქმედება: „ჩვენ დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა, რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაში მისტიკა იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიკური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტერენტი გრანელი სიმპატიურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლია, დიდი მჭმუნვარება, დიდი სევდა, გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილი თაობისა. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია, როგორც ცოდვილი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი" („ილიონი", 1922 წელი).

ტერენტი გრანელი რაღაცით ჰგავს კასპარ ჰაუზერს, ევროპის წმინდა ბავშვსა და ინფანტს, იდუმალებით მოცულ ახალგაზრდა კაცს მე-19 საუკუნის დასაწყისში, რომელიც ბადენის ჰერცოგის მემკვიდრე იყო და ხელში უნდა აეღო კიდეც საჰერცოგოს მემკვიდრეობა. იგი სრულიად ყრმა გაუჩინარდა მამისეული სახლიდან – მოტაცებულ იქნა და როდესაც უკვე გამოგლოვილი კვლავ გამოჩნდა მრავალწლიანი ტყვეობის შემდეგ, მან არც მეტყველება იცოდა და არც საკუთარი წარმომავლობა – იცოდა მხოლოდ საკუთარი სახელი – კასპარ ჰაუზერი. მეტყველებაც და ყველა სხვა უნარიც თავისი უჩვეულო გენიის წყალობით მან სულ მოკლე ხანში აღიდგინა, რის შემდეგაც ის სავსებით ახალგაზრდა მოკლული იქნა. მასზე ევროპაში დღემდე არ წყდება პოლემიკა, ხოლო ბაიერნში მის საფლავზე წერია, რომ იგი საიდუმლოებაა თავისი დაბადებითაც და სიკვდილითაც. ზუსტად ასევეა ტერენტი გრანელიც – კოლხური სევდიდან შობილი, საქართველოს ვაგაბუნდი და ინფანტი.

1. 10. 2014

სუნ ცზუს თეორია

აი რას წერს მე-5 საუკუნეში მცხოვრები ჩინელი ფილოსოფოსი და სტრატეგი სუნ ცზუ: „უძლეველობის უზრუნველსაყოფად უმთავრესია არა შეტევისა თუ თავდაცვისთვის საჭირო ფიზიკურ საშუალებათა დაგროვება, არამედ ნდობა, რომელიც სამართლიანად და ლეგიტიმურად მიჩნეულ ხელისუფლებასა და მის ქვეშევრდომებს ერთმანეთთან დააკავშირებს. ამ ნდობის გარეშე ვისაც ჰგონია, რომ აქვს ძალა, სინამდვილეში არის „ქაღალდის ვეფხვი“; სწორედ ამიტომაა რომ საკუთარი ხალხის ტანჯვათა და სიხარულის ნამდვილად, გულით გამზიარებელი მმართველი იღებს ამ ხალხისგან მტკიცე მხარდაჭერას“.

ეს სრულიად გამჭვირვალე ჭეშმარიტება საუკუნეებია არა და არ შედის საკმაოდ ბევრთა თავებში. ვფიქრობ, ასეთი ადამიანები უნდა მართავდნენ საქართველოს. „ქაღალდის ვეფხვებს“ კი არასოდეს ექნებათ ლეგიტიმაცია, არც მაშინ, თუ ხალხი ჩვეულებას არ უღალატებს და ხმას მაინც მისცემს მათ – ხშირად იმის შიშით, ისევ უარესები არ წამოტივტივდნენო. ამიტომაც, ჰეგელის თქმისა არ იყოს, ისტორია იმას გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებებმა ვერაფერი ისწავლეს იქიდან, რისი სწავლაც შეეძლოთ ამ უზარმაზარი გამოცდილებიდან გამომდინარე.

აქვე მსურს გამოვეხმაურო შენიშვნას, თითქოს ამ პოსტინგში კეთილი და ბრძენი მეფის სურვილი გამოსჭვივის, რომელიც ხალხის სახელით ილაპარაკებს. ილია ჭავჭავაძე სულაც არ ყოფილა არც მონარქი, არც პრეზიდენტი, მაგრამ მაინც წერდა: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწვოდეს მის ტანჯვით გული...“ ილია ჭავჭავაძე ნამდვილად ლიბერალი, დემოკრატი და

ჰუმანისტია. იგი თავისი განწყობით სრულიად თანამედროვე ადამიანია და ალბათ პოლიტიკოსებსაც გულისხმობდა აქ. და რამდენი მეფე იყო საქართველოს და კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც საერთოდ არ უყვარდა თავისი ხალხი?

ასევე საკმაოდ არაცალსახა სურათი გვაქვს, თუ პრეზიდენტებს, ანუ დროებით ხალხის მიერ დაქირავებულ მმართველებსაც, გადავავლებთ თვალს. ვინმე იმას იტყვის, რომ აბრაამ ლინკოლნს, შარლ დე გოლს, მანერჰაიმს, პრემიერ მოსადეყს, ვაცლავ ჰაველს, ზვიად გამსახურდიას საკუთარი ხალხი არ უყვარდათ? ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო კაცებს არც სიყვარული აკლდათ და არც კომპეტენცია. სულაც არ არის აუცილებელი, მათ უკლებლივ ყველაფერში ვეთანხმებოდეთ.

16. 10. 2013

სოციალური რეალობა

რა საოცარ სოციალურ პირობებში გვიწევს ცხოვრება: 50 პროცენტზე მაღალი დონის უმუშევრობის ფონზე ვინმე მენაგვის ადგილზე რომ მოაწყონ, ამისთვის პარლამენტარები ჩალიჩობენ და ზოგიერთი ვერაფერს ახერხებს. მენაგვის სამუშაოს ქალაქის მერის დასტური სჭირდება თურმე. და როგორც ერთმა მეგობარმა ამას წინათ მოსწრებულად იხუმრა, თუ კაცი მენაგვის ადგილს მიიღებს (რომლებიც მანქანის უკანა ნაწილზე მიმაგრებულ სპეციალურ პლატფორმებზე დგანან და შემოახტებიან ხოლმე დაძრულს), ცხვარს დაკლავს, თუ ამ სანაგვე მანქანის მძღოლის ადგილს მიიღებს – ხარს.

კვაზისახელმწიფოებრიობის პირობებში ეს და ბევრი რამ არ უნდა გაგვიკვირდეს. მსგავსი სიურრეალიზმი მაშინ მორჩება, როდესაც კვაზისახელმწიფოებრიობა რეალურში გადავა, ოღონდ მანამდე გასავლელი გზა საკმაოდ მძიმეა. თუ ძალიან ბევრმა მოვინდომეთ მისი დაძლევა, რაღაც გამოვა.

24. 10. 2013

კონსტიტუციური მონარქია

მართლაც რა მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს დღეს კონსტიტუციურ მონარქს იმ შემთხვევაში, თუ ეს ინსტიტუტი მომავალში (რეფერენდუმის შედეგად) მართლაც აღსდგება? ჩემთვის პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მხოლოდ კულტურული და საზოგადოებრივი. იგი შესაძლოა იყოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციის სიმბოლო და გარკვეული ცერემონიული ფუნქციები შეითავსოს.

აქვე დავძენ: არ მგონია, ჩვენს საზოგადოებაში ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს ფეოდალიზმის და პატრონყმობის რამენაირი ფორმით აღდგენაზე. მონარქი იმავდროულად უნდა განასახიერებდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პატივს უნდა სცემდეს დემოკრატიულ სისტემას, ევროპულობას, ლიბერალურ ფასეულობებს, სრულიად საერო-სეკულარულ სახელმწიფოს და მის ყველა მონაპოვარს. მონარქია, მაგალითად, ესპანეთშიც წყვეტის შედეგად აღსდგა, ხოლო მეფე ხუან-კარლოსი ესპანეთის ტერიტორიული განუყოფლობის სიმბოლოდ ნამდვილად გვევლინება დღეს.

ბაგრატიონთა კულტურული ტრადიცია ბიბლიური დავითიდან იღებს სათავეს და ამას დიდი მნიშვნელობა

ექნება როგორც მართლმადიდებლური სამყაროსთვის, ასევე მსოფლიოსთვის. დინასტიის აღდგენამ საქართველოში შესაძლოა იმპულსი მისცეს მონარქიის აღდგენას რუსეთში. ორივე ქვეყანაში მონარქია უდიდესი უსამართლობის და ძალადობის შედეგად იქნა გაუქმებული: ერთგან დამპყრობლის ხიშტებით, მეორეგან ბოლშევიკი კომისრების მაუზერებით.

დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის მონარქისგან იმის აღიარებასაც, რომ რუსულმა მხარემ ფაქტობრივად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, რაც არ გულისხმობდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას, და ამის შემდეგ ათწლეულების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა ნაწილების მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაპყრობას. წარმომიდგენია, რომ საქართველოს მონარქი ხაზგასმით უნდა ატარებდეს აფხაზეთისა და შიდა ქართლის მფლობელის ტიტულსაც. დაბოლოს: მონარქიის აღდგენა საქართველოში ალბათ წარმოუდგენელია ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის გარეშე.

7. 11. 2013

ლიბერალური დემოკრატიის ადამიანი

ამ პოსტინგში თქმის თუ ართქმის საინტერესო დილემაზეა საუბარი. ლიბერალური დემოკრატიის ადამიანი, როგორც ის ფუნქციონირებს, ნამდვილად შორსაა იდეალურისგან, თუმცა ეს გარემოებაც დიქტატურებში გამოყვანილ ბარბაროსულ ტიპს და მის პრიმიტიულ ვორდინგს ნამდვილად ვერ გაამართლებს.

ჟაკ ლე რიდერი (Jaques Le Rider), კულტურის ისტორიკოსი, პარიზელი ინტელექტუალი და წიგნების ავტორი ვენურ მოდერნზე, ფრიდრიხ ნიცშეზე, ოტო

ვაინინგერზე და სხვ. გამოსაცემად ამზადებს ახალ წიგნს სათაურით „ცენზურა ყველა თვალსაზრისით – ფროიდი, კრაუსი, შნიცლერი“. წიგნი შეეხება ჰაბსბურგების მონარქიაში მოღვაწე ავსტრიელი ჟურნალისტის, მწერლისა და ესეისტის, კარლ კრაუსის (1874-1936) მოღვაწეობას. ერთ-ერთ შვეიცარიულ ჟურნალთან წიგნის დაანონსებისას პროფესორი ლე რიდერი აღნიშნავს: „დემოკრატიის „მეოთხე ხელისუფლებამ“ მონტესკიეს მიერ დიფერენცირებული სამი სხვა „ხელისუფლება“ სიმულაკრად აქცია (სიმულაკრა, ჟ. ბოდრიარის განმარტებით, არის ძიება ურთიერთმიმართებებისა და განსხვავებებისა რეალობას, სიმბოლოს და საზოგადოებას შორის – კ. გ.).

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, კარლ კრაუსის თვალში, გაზეთების მიერ მანიპულირებული საზოგადოებრივი აზრის მარიონეტი გახდა. მანიპულაცია არის სიტყვა, რომელიც ანტიდემოკრატიულ, ფარულ ზრახვებზე მიანიშნებს. არსებითად საქმე ეხება „ინფორმირების“ და „ინფორმაციის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობებს, რომელიც სხვას არაფერს ამბობს, თუ არა „ფორმირებას“ და „ფორმაციას“, ან „ფორმატირებას“ და „დაფორმატებულობას“.

კრაუსმა ზუსტად იცის, რომ პროკლამირებული პრესის თავისუფლება, რომელსაც ჩვეულებრივ ყველა დემოკრატიის ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნევენ, სხვა არაფერია, თუ არა პრესის ინდუსტრიის თავისუფლება. პოლიტიკური ლიბერალიზმი 1. ფარსისებურ იდეოლოგიად იქცევა, თუ იგი კაპიტალისტური ლიბერალიზმი 2.-ის სამსახურში ჩადგება. ლიბერალიზმი 1. და ლიბერალიზმი 2. ამ პერს-

პექტივიდან დანახული არამარტო სხვადასხვაა, არამედ ურთიერთდაპირისპირებული.

ანონსის ბოლოს ვკითხულობთ: „პოლიტიკური კორექტულობის თემა (political correctness) ცხადად გვიჩვენებს: ცენზურის ნაბიჯ-ნაბიჯ გაუქმება მოყოლებული მე-19 საუკუნის ბოლოდან პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ ჩვენი კონტინენტალური ევროპის კულტურ[illegible]ში (ბრიტანეთი გაცილებით ადრე წავიდა წინ ამ თვალსაზრისით) პრინციპში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ცენზურის მცნებების გაშინაგანებას. ცენზურა უხილავი (invisible) გახდა.

ცივილიზებულობა ნიშნავს, იყო აღჭურვილი ცენზორული ინსტანციით (censorship inside), ამიტომაც ნამდვილი ცენზურის საჭიროება დღეს ბევრად ნაკლებადაა, ვიდრე უწინ (დღეს ცენზურა გარკვეულ სფეროებში თუ გამოიყენება: თავდაცვა და უსაფრთხოება, ახალგაზრდობის დაცვა, ძალადობის აპოლოგეტური წარმოჩენა). ეს იმიტომ, რომ დღეს მეტად ეფექტური ცენზურა მოქმედებს და მას ეწოდება დუმილი (silencing): პოლიტიკურად კორექტული დღეს ის არის, ვინც ყველა იმ თემაზე დუმს, რაზეც საუბარი აკრძალულია. ვიტგენშტაინის Tractatus logico-philosophicus-ის ბოლო წინადადებაში ნათქვამია: „რის შესახებაც საუბარი შეუძლებელია, უნდა დადუმდნენ“. ანალოგიურად Tractatus correctus politicus-ში ნათქვამი იქნებოდა: „რის შესახებაც საუბარი ნებადართული არ არის, უნდა დადუმდნენ“.

სხვათა შორის, საპირისპირო მტკიცება, რომ ყველაფრის ხმამაღლა თქმა შეიძლება, რასაც მოისურვებენ, არ არის ამის ჯეროვანი და ღირსეული ალტერნატივა. რადგან სიტყვები მეტყველების აქტებია და შეუძლიათ ძალადობა განახორციელონ. პოლიტიკურად კორექ-

ტული თანამოქალაქე ზოგჯერ მოსაწყენი და გამაღიზიანებელია, მაგრამ ამით დიქტატურების ბარბაროსულ ტიპს და როყიო ენას მომხიბვლელს ვერ გახდის".

აქ შესაძლოა განვიხილოთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ზოგიერთი გამოსვლა, ასევე ზოგიერთი სამღვდელო პირის განცხადება. სააკაშვილის ვორდინგი მის ცალკეულ გამოსვლებში, განსაკუთრებით 2004-8 წლებში ცალკე თემაა და ამაზე აღარ შევჩერდები – მათში ბარბაროსობის მართლაც მაღალი დონეა მიღწეული. ხოლო ზოგიერთი სამღვდელო პირის ბარბაროსობა ასევე აშკარაა და ის მე საბჭოური იდეოლოგიური კოშმარის მსხვერპლი მგონია. როდესაც სამღვდელო პირი ღიად და აშკარად წყევლის ამა თუ იმ ადამიანს, არ მესმის, რომელ სერიოზულ ეკლესიოლოგიურ თვალსაზრისში თავსდება საჯარო წყევლა-კრულვა, რომელშიც ფიგურატიული მომენტიც კი არ არის – ყველაფერი პირდაპირაა ნაგულისხმევი. ამით მარგინალდება თვით ეკლესიის იდეა. სამღვდელო პირი არ შეიძლება კრიტიკისგან ხელშეუხებელი იყოს მხოლოდ იმის გამო, რომ შემოსილია. არ მახსენდება, რომ წმ. გაბრიელ ქიქოძეს ან წმ. გრიგოლ ფერაძეს დაეწყევლოთ თუნდაც რომელიმე რუსი მთავარმართებელი ან ბოლშევიკი ფიურერი.

14. 11. 2013

„რუსი“ თუ „რუსეთელი?“

გამოქვეყნდა ს. პროსტაკოვის სტატია ვ. მალახოვის ახალ წიგნზე „კულტურული განსხვავებები და პოლიტიკური საზღვრები გლობალური მიგრაციების ეპოქაში“. წიგნში განხილულია და განსაზღვრულია ცნებები russky ანუ „რუსული“ და rossiisky ანუ „როსიანული“. ამ თვალსაზრისით რუსეთი ახალ, თანამედროვე პოლიტიკურ ერად, ნაციად ჩამოყალიბების გზაზეა.

სტატიაში ვკითხულობთ: „российскую культуру не следует мыслить как механическое соединение отдельных этнических культур или культур существовавших параллельно друг другу народов. Российская культура представляет собой результат взаимодействия и трансформации различных этнических элементов и в этом смысле носит сверхэтнический характер. В ходе формирования этой культуры происходил процесс, который, пользуясь выражением Ганс-Георга Гадамера, можно назвать „слиянием горизонтов“. Иными словами, мы имеем дело не с ассимиляцией (растворением культур этнических меньшинств в культуре этнического большинства), а с взаимной трансформацией всех этнических элементов, входящих в российский культурный универсум“ (როსიანული კულტურა არ უნდა გავიაზროთ როგორც ცალკეული ეთნიკური კულტურების მექანიკური შეერთება ანდა ერთმანეთის პარალელურად არსებული ხალხების კულტურა. როსიანული კულტურა წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური ელემენტის ურთიერთქმედების და ტრანსფორმაციის შედეგს და ამ თვალსაზრისით ზეეთნიკურ ხასიათს ატარებს. ამ კულტურის ფორმირების კვალდაკვალ მიმდინარეობდა პროცესი, რომელსაც, ჰანს-გეორგ გადამერის გამოთქმისა არ იყოს, შესაძლოა „ჰორიზონტების შერწყმა“ ვუწოდოთ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს არა ასიმილაციასთან (ეთნიკური უმცირესობის კულტურის განზავებასთან ეთნიკური უმრავლესობის კულტურაში), არამედ ყველა ეთნიკური ელემენტის ერთობლივ ტრანსფორმაციასთან, რომლებიც რუსულ კულტურულ უნივერსუმში შედიან).

მებადება კითხვა, განა საქართველოს (და არა ვიწრო გაგებით – ქართული) კულტურა თავისი ტიპოლოგიით განსხვავებულია? იგიც ხომ თავისი გენეზისით მრავალეთნიკურია და იმავდროულად ზეეთნიკური. საქართველოც ხომ მსოფლიოს მცირე მოდელია თავისი განსხვავებული, იმავდროულად უნიკალური გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული ლანდშაფტებით.

16. 11. 2013

მეგრულის და სვანურის შიდაქართული გლობალიზაცია

ულამაზესი მეგრული სიმღერა „მაფშალია“ ამას წინათ ავსტრიის ერთ-ერთ რადიოში შეასრულა თეონა მოსიამ. „მაფშალია“ ბულბულს ნიშნავს. რაც შეეხება მეგრულს: მომხრე ვარ მისი არა რეგიონალიზაციის, ანუ რეგიონის ენად გამოცხადების, რაც იდეაში ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კანონპროექტით გვემუქრება, არამედ მეგრულის და სვანურის შიდაქართული კულტურული გლობალიზაციისა.

ეს ნიშნავს, რომ ორივე ენა ფაკულტატიურად (ანუ როგორც არჩევითი საგანი) შესაძლოა ისწავლებოდეს ყველგან საქართველოში: კახეთში, ხევში, მესხეთში, ქართლში, იმერეთში, აჭარაში და ა. შ. როგორც ქართუ-

ლი დედაენის დვრიტა, ანუ წარმომშობი ენობრივი თაურმდგენი.

მეგრულიდან და სვანურიდან შესაძლოა გაცოცხლდეს უამრავი სიტყვის ფუძე, რომელიც იქნება არა ბოლო რამდენიმე საუკუნეში დამპყრობელი ქვეყნების ენათაგან ნასესხები (სხვათა შორის, ჩვენივე სიზარმაცის გამოც), არამედ იბერო-კავკასიური. ურიგო არც ის იქნება, თუ ახლად გაცოცხლებული სიტყვები უკვე დამკვიდრებულ ნასესხობათა პარალელურად იარსებებს. ასევე მეგრულის და სვანურის ენობრივი თაურმდგენიდან შესაძლოა შეიქმნას ახალი სიტყვები, რომელთა არარსებობაც ქართულ ენაში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში გარდაუვალად იწვევს უცხოური სიტყვების შემოდინებას.

10. 12. 2013

პასუხად თარაშ ხუტაბას

ახლახან ფეისბუქზე სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორეკურსელმა თარაშ ხუტაბამ დაწერა, „ზვიად გამსახურდია ერთადერთი კაცი იყო საქართველოში, ვისაც პასპორტში ეროვნების გრაფაში მეგრელი ეწერაო“.

მინდა ვუპასუხო: ძვირფასო თარაშ, მამაჩემს, ზვიად გამსახურდიას საბჭოთა პასპორტის (მის სიცოცხლეში ქართული პასპორტები არ არსებობდა ჯერაც) ეროვნების გრაფაში ნამდვილად ქართველი ეწერა. მიუხედავად იმისა, რომ ზვიადი სასაუბრო მეგრულ ენაზეც მეტყველებდა და შესანიშნავად იცნობდა სამეგრელოს, იგი არქეტიპული ქართველი იყო. მას სამეგრელო ილია ჭავჭავაძის კვალობაზე საქართველოს ხერ-

ხემლად მიაჩნდა. ოღონდ ეს ქართველობა მხოლოდ ეთნიკურობაზე არ იდგა: მისი საფუძველი დადებულია დიდი ისტორიული საკრებულოს ქმნადობაში, რომლის ერთ-ერთი დიდებული ფურცელიცაა ლეონიდეებისა და ბაგრატიონების ქართულ-აფხაზური სამეფოს წარმოშობა; სადაც შუასაუკუნეების დიდმა ქრისტიანულმა კულტურამ გეორგიანული სახელმწიფოებრივი იდენტობის განცდა გააჩინა. ის ხსენებულ ეპოქაში მთლიანად სეკულარული ვერ იქნებოდა, თუმცა ერთნაირი იყო ქართლელისა და კახელისთვის, ტაოელისა და კლარჯისთვის, ლაზისა და სვანისთვის, მეგრელისა და გურულისთვის, ოსისა და ვაინახისთვის, აფხაზისა და უბიხისთვის.

ყველა ინდივიდი, როგორც შექმნილი „ხატად ღვთისა", ძველ საქართველოში ერთმანეთის თანასწორი იყო. ამიტომაც წერდა ზვიად გამსახურდია, რომ „ვეფხისტყაოსნის" კულტურა ყვაოდა არამარტო დადიანების, არამედ შერვაშიძეების, ემხვარების, მარშანიების, აფაქიძეების გარემოში. ახალ ეპოქაში ზეეთნიკური და ზეკუთხური ქართველობა-გეორგიანელობა, როგორც განახლებული ნაციის იდენტობა, უკვე საერო-სეკულარულ საფუძველზე ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, მემედ აბაშიძესთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად უმაღლესი მორალური და ინტელექტუალური ფორმატის აფხაზებმაც ჩამოაყალიბეს: კერძოდ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟმა, გიორგი შერვაშიძემ და არზაყან ემხვარმა, ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის მეთაურმა 1919-21 წლებში.

საქართველოს მკვიდრის ზეეთნიკურ-ზეკუთხური იდენტობის შექმნაში ასევე ანგარიშგასაწევია კონსტანტინე გამსახურდიას და სიმონ ჯანაშიას ღვაწლი. იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას არ გადაუხვევია სა-

ქართველოს სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი მამების გზისთვის, მისთვის ძვირფასი იყო აფხაზეთი და აფხაზები. მან მოძებნა კომპრომისი 1991 წელს, როდესაც აფხაზეთს თავის სამშვიდობო ინიციატივა წარმატებით შესთავაზა. მანვე 1992 წელს გროზნოდან აფხაზურ ენაზე მიმართა აფხაზეთის მოსახლეობას.

ძვირფასო თარაშ, ისტორიის მკვლელობას არ უნდა შევეგუოთ. ისტორია ლაზარეს მსგავსად უნდა აღსდგეს და ჩვენ დავინახავთ, რამდენი ძაფი აკავშირებს აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთს და დანარჩენ საქართველოს ერთმანეთთან. ენგური, რომელიც ჩვენ ერთმანეთისგან გვყოფდა, მჯერა, ისევ დაგვაკავშირებს.

საუკეთესო სურვილებით,
კონსტანტინე გამსახურდია

8. 01. 2014

მერაბ მამარდაშვილი

მინდა წამოვწიო მერაბ მამარდაშვილის (1930-1990) თემა. მისი მემკვიდრეობა, როგორც მოაზროვნისა და ფილოსოფოსისა, უდავოდ ანგარიშგასაწევია, ისევე როგორც მისი დონე, მისი ევროპული და რუსული ფორმატი. ამ მაღალნიჭიერმა ადამიანმა მთელი ცხოვრება რუსეთსა და ევროპაში გაატარა, სიცოცხლის მიწურულს დაბრუნდა სამშობლოში და იმდენი მოახერხა, რომ ქართულ ენაზე კითხულობდა ლექციებს. სახელმწიფო გადატრიალების მომხრე ზოგიერთი ლიბერალური წრე მის სახელს აუცილებლად უპირისპირებს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, დაახ-

ლოებით ისე, როგორც ომისშემდგომ გერმანიაში ადორნოს, ჰორკჰაიმერს და თომას მანს – ჰიტლერსა და ნაციონალ-სოციალიზმს. ეს უკვე ჩვეულებრივი აბერაცია და უსინდისობაა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების უდიდეს ტრაგედიად მიმაჩნია, რომ მოენეებმა და აგენტებმა მართლაც მოახერხეს ამ ადამიანების წაკიდება. არც ზვიად გამსახურდიას, არც მერაბ კოსტავას უარყოფითი არასოდეს დასცდენიათ მამარდაშვილზე, მამარდაშვილს კი ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი (რაც ნაჩქარევი, ემოციური ფრაზაა და ნამდვილად არ ამშვენებს მას), რომ თუკი ქართველი ხალხი გამსახურდიას აირჩევს, იგი დაუპირისპირდება ქართველ ხალხს. აქედან წამოვიდა ჭორი, რომ „ეთნოფანატიკოსებმა გული გაუხეთქეს მამარდაშვილს“.

მე და ჩემს მეგობრებს გვესმოდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე აუცილებელი იყო ასეთი ადამიანების თემატურ საკითხებში ერთად დგომა. ამიტომაც ვმუშაობდით ამ მხრივ, მაგრამ სამწუხაროდ, მეორე მხარეს აგენტები და მოენეები ჩვენზე კარგად ორგანიზებულნი და ძლიერნი გამოდგნენ.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დაუპირისპირდა მერაბ მამარდაშვილი ზვიად გამსახურდიას: ეს არის ჩვეულებრივი კონკურენცია – ეროვნული მოძრაობის ლიდერების პოპულარობა მას აშკარად აღიზიანებდა, რადგან მას ერთპიროვნულად სურდა გამხდარიყო მთელი ახალგაზრდობის აზრებისა და განწყობათა მპყრობელი. როდესაც სახალხო ფრონტის დამფუძნებელ ყრილობაზე განყენებულად ამბობ, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას, ალბათ მაინც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ არც ათენის აკადემიაში იმყოფები კლასიკურ ეპოქაში და არც რომელიმე

თანამედროვე ფილოსოფიურ ფორუმზე. შენ გისმენს მომიტინგეთა პოლიტიზებული მასა, რომელიც ამ შეხვედრიდან კონკრეტულ შედეგს მოელის. რეაქციაც შესაბამისი იქნება. ასევე ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა რომც იდგეს, მათი ასე თეზა-ანტითეზურობის სახით წარმოდგენა ალბათ არაა მართებული. აჯობებდა სინთეზურად დაყენება საკითხისა – ჭეშმარიტებაც და სამშობლოც ამქვეყნად ერთია.

15. 01. 2014

სერგეი რახმანინოვი

სერგეი რახმანინოვი (1873-1943) თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო კომპოზიტორი და რუსული კულტურის რეპრეზენტანტია ცივილიზებულ მსოფლიოში. თავისი სამშობლოს ბოლშევიზაციის შემდეგ მან დატოვა რუსეთი და სიკვდილამდე თვალით აღარ უნახავს. როგორც რუსი და მოქალაქე იგი ნამდვილად არაფერ კავშირშია ამელინასთან, ჩერნოვსა და სხვა „პოლიტოლოგ"-პათოლოგებთან, რომელთა კანიბალური გეგმაც საქართველოს შუაზე გაგლეჯას და საბოლოოდ ქართველი ხალხის გენოციდს გულისხმობს. თავის მეორე საფორტეპიანო კონცერტს იგი თვითონ ასრულებს, როგორც ვირტუოზი პიანისტი. წრფელი გრძნობები, ბავშვური სისუფთავე და სიფაქიზე იღვრება ამ საოცარი ნაწარმოებიდან, ვირტუოზულობის ამოფრქვევები ალაგ-ალაგ და გაგიჟება. და რაც მთავარია, წინასწარი, უაღრესად სევდიანი განცდა იმისა, რაც მისმა ქვეყანამ უნდა გაიაროს – უდიდესი დაცემა და გარდაუვალი აღდგომა მომავალში.

როგორც მერაბ კოსტავა იტყოდა: „მყოფადის ბედი არ წყდება უცებ, არ გადიხსნება ზეცა იოლად, უფალი ბევრჯერ გამოსცდის რუსეთს, ვეშაპის მუცლით გასულ იონას, და აიაზმას გადაასხურებს, როცა განწმენდის უამი იელვებს, როცა იქცევა ყველას მსახურებს, როცა ფეხს დაბანს გადამთიელებს“.

23. 01. 2014

მოძღვრების შეხვედრა ილიაუნიში

დაახლოებით ორი წელი იქნება გასული, რაც საპატრიარქოს ორმა ცნობილმა მოძღვარმა ილიაუნიში შეხვედრა მოაწყო სტუდენტებთან. საუბარი არაერთ თემას შეეხო. დისკუსიისას ერთ-ერთ თემად წამოიჭრა კონსტანტინე გამსახურდიას 30-იან წლებში დაწერილი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ამ მოძღვრებს ანტიმართლმადიდებლურ, ანტიეკლესიურ და ანტიქრისტიანულ ნაწარმოებად ჰქონდათ შერაცხული.

საკითხი კომპლექსურია და ერთი მცირე წერილი ალბათ ვერ მოიცავს მას. ამჯერად არაფერს ვიტყვი თეოლოგიურ ასპექტებზე – საკითხი მიკერძოებულად და არაკორექტულადაა გადაჭრილი პოპულარულ მოძღვართა მიერ. მე მსურს მოკლედ შევეხო საერო, სეკულარული სახელმწიფოს ასპექტს, ისე როგორც ამ რომანშია წარმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ რომანში საუბარი შუასაუკუნეების მონარქიაზეა, მისი გმირები თავიანთი თვისობრიობით მხოლოდ წარსულს არ ეკუთვნიან. ერთი მხრივ, მეფე გიორგი, ზვიად სპასალარი, ფარსმან სპარსი, მეორე მხრივ, კონსტანტინე არსაკიძე ახალი დროის ქართული, სეკულარული სახელმწიფოს ერთგვარი წინამორბედნი არიან, რომელიც დამყარე-

ბულია კონსტიტუციურ, რესპუბლიკურ წყობაზე. ჩემი აზრით, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გიორგი პირველის მედიევალური სამეფოს ტირანული ასპექტები და ხელოვანის ბედი, რომელთაც წინ წამოსწევდა ხოლმე საბჭოთა კრიტიკა.

გიორგი მეფე და ფარსმანი გარკვეული ძალაუფლების ტექნოლოგიებით მოქმედებენ და სახელმწიფოს (პირობითად „მონარქიას", რომელიც ისევ და ისევ რალაცის სიმბოლოა) ერთი მხრივ, პაპო-ცეზარიზმისგან, მეორე მხრივ კი, კავკასიის მთიელთა ატავისტური სეპარატიზმისგან იცავენ, რომელთაც ქართლოსის და ფარნავაზის კულტის აღორძინება სურთ. მელქისედეკსა და მის შაოსან მსტოვრებს ქართლოსის საფლავზე დავაკლავთო, ამბობენ ისინი. პრაგმატული მოსაზრებების გამო ინახავს მცხეთის სამეფო კარი ფარსმანს, არაერთი ტექნოლოგიის მცოდნეს, ერთსა და იმავე დროს პედოფილს, მკრეხელსა და პაპიუსის მსგავს ოკულტისტს. მეფისა და სპასალარისთვის ქრისტიანობა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის გაერთიანების საშუალებაა. გიორგი მეფის წარმატება სახელმწიფოს წარმატებაა.

პაპო-ცეზარიზმი რუსი რელიგიური ფილოსოფოსების, ვლადიმირ სოლოვიოვის და ნიკოლოზ ბერდიაევის, ტერმინია. ის ისეთ სასულიერო ძალაუფლებას განასახიერებს, რომელიც სრულიად ამქვეყნიური ბერკეტებით თრგუნავს და ჩრდილავს საერო ხელისუფლებას. ხოლო რაც შეეხება არსაკიძის მიერ დახატულ სურათს ღმერთისა და იაკობის შერკინებისა ბიბლიურ თემაზე, ანუ ბოლო წვეთს ფიალაში, რასაც მოჰყვა მარჯვენის მოკვეთა ხუროთმოძღვრისთვის, მასზე უფრო სახიერი სიმბოლო ქართული საერო, სეკულარული სახელმწიფოებრიობისა მე არ მეგულება.

27. 01. 2014

დიდებული საუკუნე

სულთან სულეიმანის ეპოქა მართლაც გამორჩეულია ოსმალეთის ისტორიაში, ამიტომაც უწოდეს პოპულარულ სერიალს „დიდებული საუკუნე“. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც სულეიმანი, არც ოთხ ზღვაზე გადაჭიმული იმპერიის სხვა მმართველები სცნობდნენ დამოუკიდებელ სამეფოს „საქართველოს“ სახელით. მათთვის ეს ქვეყანა ხან თავიანთ ნაწილად მოიაზრებოდა, ხანაც მათი მტრის, ირანის ნაწილად. ისინი ერთმანეთს ხან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ, ხანაც დაზავდებოდნენ და შუაზე გაიყოფდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს.

ამიტომაც გასაკვირია ის ხბოს აღტაცება, რომლითაც ჩვენი ქართველობა უყურებს ამ სერიალს. იგივე იქნებოდა, მსგავსი განწყობით შეგვეხედა სერიალისთვის „ნიკოლოზ პირველი“ – ყველაზე დიდხანს ტახტზე მყოფ რუსეთის იმპერატორზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა. საფილმოდ გამოდგებოდა, მაგალითად, მაიკო ორბელიანის ეპიზოდი – ეს ის ქალია, რომელიც საქართველოში ვიზიტით მყოფ იმპერატორს ქართველმა თავადაზნაურობამ პირდაპირ საძინებელში მიჰგვარა. წინადადება მაქვს, ქართველებმაც გადავიღოთ სერიალები „დავით აღმაშენებელი“, „ბაში-აჩუკი“ და „სოლომონ მეორე“. ვნახოთ, გაუშვებს თუ არა მათ რომელიმე თურქული ტელეარხი. ასევე მაინტერესებს, მოუთმენლად დაელოდებიან თუ არა თურქი დიასახლისები და ახალგაზრდა ქალბატონები ყოველი ახალი სერიის დაწყებას.

28. 01. 2014

ინგა გრიგოლიას გადაცემაზე

ჩემი მოსაზრება ინგა გრიგოლიას გადაცემის („რეაქცია“) მომავალ ფორმატთან დაკავშირებით: ქალბატონო ინგა, თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი და ჟურნალისტური ალღო ეჭვს ნამდვილად იწვევს, უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ „რეაქცია“ ჯერჯერობით მიყვება იმ ავისმომასწავებელ ბზარს, რომელიც ჩვენი საზოგადოების არცთუ ჯანმრთელ ორგანიზმს 90-იანი წლებიდან მოყოლებული თავიდან ბოლომდე გასდევს. ეს ბზარი დღეს გადის „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“, კოჰაბიტაციონისტებს და მის რადიკალურ მოწინააღმდეგეებს, სახელმწიფოს წინანდელი პოლიტიკის აქტიორებს და უსამართლობის მსხვერპლებს, დასავლეთთან რადიკალურ ინტეგრაციონისტებს და რუსეთთან დათბობის მსურველთ, ზვიადის მომხრეებსა და გადატრიალებაში მონაწილეებს, ეკლესიურებსა და სეკულარისტებს, კონსერვატორებსა და ლიბერალებს, სოციალისტებსა და ლიბერტარიანელებს, მდიდრებსა და სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრებთ შორის (გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა).

გადაცემა, გვინდა ეს თუ არ გვინდა, უკვე იქცა კიკბოქსინგის არენად: თავიდან ეს სიტყვიერად ხდება და არსებობს ნიშნები, რომ ფიზიკურშიც გადადის. აქ უნებლიეთ ვლინდება ქართველების ერთი ცუდი და აპოლიტიკური თვისება – დაამტკიცოს თავისი სიმართლე ყვირილით, მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინებით და შეურაცხყოფით. ამაში შესაძლოა ყველას მეტ-ნაკლებად შეგვიცოდავს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას. თუ გადაცემის ეს ფორმატი დარჩა, ტენდენცია დიდი ალბათობით გაღრმავდება. ბევრი ადამიანი თქვენი გადაცემის ყურებისას სეირით ერთობა, ბევრი კი

გულს იფხანს. ეს ალბათ არაფერს შესძენს ჩვენს პოლიტიკურ სიმწიფეს – ჩვენ იგივენი დავრჩებით. ცხადია, ის ვერ იქნება ჟურნალისტიკა, რომელიც მწვავე და საჭირბოროტო პრობლემებს თავს აარიდებს, მაგრამ გააჩნია როგორ ხდება ეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩემ მიერ ნახსენებ ბზარს პროგრესირების შემთხვევაში შეუძლია საერთოდ დაასრულოს ჩვენი სახელმწიფოებრიობა და სავარაუდოდ, ჩვენი, როგორც ერის არსებობაც. ამიტომაც მამლაყინწა პოლიტიკოსებსა თუ პოლიტიკანებზე უფრო მეტად თუ არა, არანაკლებად იქნებ გამოიკვეთონ ის ადამიანები, ვინც გამოსავალზე და ამ ბზარის გადალახვაზე რეალურად ფიქრობენ. ანუ თეზა-ანტითეზურობას იქნებ სინთეზის აქტიც მოჰყვეს. ამისთვის ცალკე ბლოკიც შეგიძლიათ შექმნათ. ამით თქვენი გადაცემა მხოლოდ მოიგებს. საუკეთესო სურვილებით.

16. 02. 2014

ყირიმის ომი

დღეს შექმნილი სიტუაცია ყირიმის ნახევარკუნძულზე, მისი ახალ პრიდნესტროვიედ, გუდაუთად და ცხინვალად გადაქცევის მცდელობა, ამერიკული და თურქული სამხედრო გემები შავ ზღვაში რეიდზე, მზადყოფნის რეჟიმში, ასევე ამ ყოველივეს ისტორიული წანამძღვრები გვაფიქრებინებს, რომ ყირიმი ნამდვილად ნევრალგიური წერტილია რუსული პოლიტიკისა.

წარმოიდგინეთ, რომ რუსეთ-ოსმალეთის 9 ომში ყირიმი 4-ჯერ მაინც იყო უმთავრესი თემა. ყველაზე მასშტაბური კონფლიქტი ეს ყირიმის ომი იყო 1853-56 წლებში. ამ ომს მოჰყვა რუსეთის იმპერიის დამარცხება,

იმავდროულად, ევროპის უდიდესი ჟანდარმის, ტირანის და იმპერატორის, „პალკინად“ წოდებული ნიკოლოზ პირველის სიკვდილი.

ომი კი ასე დაიწყო: ჯერ ოსმალეთის სულთანმა, ნაპოლეონ მესამესთან შეთანხმებით ბეთლემის ეკლესიის გასაღები წაართვა იერუსალიმის პატრიარქს და გადასცა კათოლიკურ სამღვდელოებას. ამის შემდეგ პეტერბურგმა დიდ ბრიტანეთს წარუდგინა ოსმალეთის სრული დემონტაჟის გეგმა, რაც გულისხმობდა რუსეთის მიერ მოლდავეთის, ვლახეთის, სერბიის და ბულგარეთის ოკუპაციას. ამას ცხადია, არავინ დაყაბულდებოდა და – როგორც საპასუხო რეაქცია – შეიკრა ინგლის-საფრანგეთ-ოსმალეთის ანტირუსული ალიანსი. საქართველო პოლიტიკურ რუკაზე არ არსებობდა, შესაბამისად ჩვენი მოსახლეობა მეტწილად რუსეთის მხარეს იბრძოდა. ოსმალთა მხარეზე იმ ხანად ვხედავთ მაგალითად, ჰასან-ბეგ თავდგირიძეს, რომლის შემოჭრის ამბავიც გურიაში ოსმალთა რაზმთან ერთად თემატიზებულია ქართული პოლიფონიური კულტურის შედევრში „ხასანბეგურა“.

დღეს რამდენადმე განსხვავებული სურათია: ყირიმით სურთ უკრაინის დაჩოქება, ხოლო ქართველი ხასან-ბეგი, პროოსმალიდან პრორუსად გარდასახული, „შერისხული ღვთისგან ერთი“, სავარაუდოდ ცხინვალიდან და სოხუმიდან ფიქრობს შეტევაზე გადმოსვლას. მაგრამ, იმედია, არც ერთგან არ გაუვათ.

3. 03. 2014

წარმატების გაგება დღევანდელ საქართველოში

თუკი დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ წარმატება და იღბალი თანამედროვე ქართველთა გაგებაში კაზინოში შესული ადამიანის ფსიქოლოგიური მოლოდინია: იქნებ გამიმართლოს და ტუზი დამეცეს. ძველ ქართველთა გაგებაში სულ სხვაგვარად იყო: გრიგოლ რობაქიძე წერდა, ბედი, გამბედაობა და ბედნიერება ქართულ ენაში ერთი ძირის მატარებელიაო. დავეთანხმები: ეს არ არის მხოლოდ სემანტიკა, ისინი მართლაც განაპირობებენ ერთმანეთს. ხოლო ებრაელებს თანამედროვე ქართველთაგან განსხვავებით სულ სხვაგვარი გაგება ჰქონიათ ბავშვობიდან ჩანერგილი: ყველა წარმატება და წინსვლა ადამიანის ცხოვრებაში თვით ამ ადამიანის დიდი ხნის წინათ დაწყებული მიზანმიმართული შრომის და გარკვეული მიმართულებით გადადგმული სრულიად კონკრეტული ნაბიჯების შედეგია.

ამიტომაც არაფერი ხდება „რატომღაც", „აუხსნელი მიზეზების გამო" და ა. შ. ამიტომაც არ არსებობს ბედისწერა, როგორც ბრმა ფატუმი: იგი თვით ადამიანია თავისი განცდებით, თავისი აზრებით, თავისი ქმედებებით. მაცხოვრის სიტყვები, რომ რწმენა შენი გაცხოვნებს, ასევე არ არის მარტივი, როგორც ხშირად გვგონია: რწმენაც სრულიად კონკრეტული ცხოვრების წესის, მოპოვებული ცოდნის და პრაქტიკის შედეგია. ამიტომაცაა, რომ წმინდანების ნეშტი უფრო გვაინტერესებს, ვიდრე მათი ცხოვრება, მოძღვრება და აღსრულებული საქმეები. არადა სასწაული სწორედ მათშია.

4. 03. 2014

თინა მახარაძის ინტერვიუ

მსახიობ თინა მახარაძის ინტერვიუზე „ამაყი ვარ, რომ ვარ ბოზი" – მართალი არ ვიქნები, თუკი ვიტყვი, რომ აღმაფრთოვანა ინტერვიუმ ამ ქალბატონთან. არ მივესალმები ტრადიციულ ფასეულობათა ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას მხოლოდ იმის გამო, რომ ფარისევლები და საბჭოური მენტალიტეტის მქონე რეტროგრადები იცავენ მას. თანაც, არამიმზიდველად აკეთებენ ხოლმე ამას (ვგულისხმობ იმასაც, რაც „მძიმე კაცთან" ისაუბრა). კონსერვატორი ვარ და რა ვქნა... თვალწინ მიდგას სახარებისეული სცენა: უფალი იესო, ძირს ჩამომჯდარი რაღაცას ხაზავს ქვიშაზე და ამ დროს მიუყვანენ ქალს, რომელიც სიძვას დაეპყრა. კანონი ასეთია, უნდა ჩავქოლოთო, ეტყვიან. რომელიც თქვენში ყველაზე უცოდველია, იმან გააკეთოსო ეს. ამ სიტყვებზე ხალხი ქვებს გადაყრის და დაიფანტება. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხალხი ქართველები იყვნენ. მაცხოვრის ნათქვამ სიტყვებზე, დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა 10 კაცი მაინც მოინახებოდა იმ ბრბოში, გამორჩეული თავისი სიყეყეჩით, დეგენერატიზმით და ნაძირალობით, რომელიც იტყოდა: ასეთი მე ვარო, – და ქვებს ესროდა მას. ამიტომაც არის ზოგადად სიმართლის მარცვალი იმაში, რასაც ეს ქალი ამბობს.

7. 03. 2014

ირმა გიგანის კონცერტი

გუშინ ჯანსულ კახიძის მუსიკალურ ცენტრში დავესწარი კონცერტს, სადაც სრულიად ახალგაზრდა პიანისტმა და ხელოვანმა ირმა გიგანმა სერგეი რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა ორკესტრთან ერთად.

ირმა 17 წლისაა და მიუხედავად ამისა, საოცრად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენს ისეთი სერიოზული და ბევრისმომთხოვნი კომპოზიციის შესრულებისას, როგორიც ხსენებული ნაწარმოებია. არის რაღაც იდუმალი და მისტიკური იმაშიც, რომ კონცერტის საზრისისმიერი დომინანტური თემა „რუსეთის ბედისწერაა“. რუსული ხალხური მოტივები აქ შერწყმულია ევროპული გვიანრომანტიზმის სტილთან.

ირმა ვირტუოზულობას ახლოს იცნობს – მეტადრე ნაწარმოების მეორე და მესამე ნაწილის მხატვრული განხორციელებისას გამოჩნდა ეს. ერთმანეთს ცვლიდა მომავლის ბედითი და გულისგამგმირავი წინასწარგანცდები, პათეტიკური წიაღსვლები, ხალისიანი გამონათებები, ხან უნაპირო სევდა და ისევ ვირტუოზული ამოფრქვევები. ორჯერ მაინც ჩაერთო შალახოსებური მოტივები – ხომ ცნობილია, რომ კომპოზიტორს ცოტა ხანს თბილისშიც უცხოვრია. ბგერა – თითქოს იუველირის უზუსტეს სასწორზე ანაწონი, და რაც მთავარია, გემოვნებით შერჩეული. მისი ბგერები – თითქოს სტალაგმიტს მომწყდარი წვეთები წყლისა, ხანაც ალმასები, უმტკიცესი ლალები, ხანაც ტყვია რბილი. ფრაზირება დახვეწილი, აქცენტები – ასევე ზუსტი.

ეს კონცერტი ფორტეპიანოს საუბარია ორკესტრთან, ხან ორკესტრი უბნობს, ხან ინსტრუმენტი, ისინი ზოგჯერ კონტრაპუნქტურად შეაწყდებიან ერთმანეთს, როგორც

კლდეები და ზღვა, ხანაც სინთეზში შენივთდებიან. იგრძნობოდა პიანისტის საოცარი სენსიბილურობა დირიჟორის და ორკესტრის მიმართაც. მესამე ნაწილში, უკვე კოდაში, ვირტუოზულობად გადმოიღვარა ის სისუფთავე და სიანკარე, რომლითაც ბრწყინავს ეს მუსიკა. მთელი სიწრფელით და თითქოსდა სურვილი, ვედრება: განათდი რუსეთო, განათდი საქართველოვ, განათდი დასავლეთო.

9. 03. 2014

ირაკლი კოსტავას გახსენება

დღეს ირაკლი კოსტავას დაბადების დღეა. ადამიანისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თავის თაობაზე და მომდევნოთა თვალშიც თავისი ნიჭიერებით, ექსტრავაგანტურობით და თვითმყოფადობით სრულიად გამორჩეულ სახედ დამკვიდრდა.

ჩვენ ფაქტობრივად ერთად ვიზრდებოდით. ქალბატონი რუსუდანი მათემატიკაში გვამეცადინებდა ორივეს. ხშირად მივყავდით მშობლებს გაუქმებულ ქართულ ტაძრებში, სადაც ისინი ლოცვებს აღავლენდნენ, სანთლებს ანთებდნენ და გალობდნენ ქართულ საგალობლებს. დაუვიწყარია, როგორი სიწრფელით თქვა ერთხელ ირაკლიმ დიდი კონსტანტინეს ოთახში გაშლილ სუფრასთან ზვიად გამსახურდიას ლექსი „საპირისპირო გათენების სხივი ფარული...“ (მიძღვნა). ხშირად სათევზაოდაც მივყავდით მშობლებს და მერაბი ბადეს ისროდა ხოლმე არაგვზე, ქსანზე, ხრამზე... ირაკლიც შეყვებოდა ხოლმე, არ ეშინოდა დინების.

80-იანებში, მერაბის პატიმრობის უმძიმეს წლებში, ვმეგობრობდით ისევ, საერთო ინტერესი ბევრი გვქონდა,

ლიტერატურა, ფილოსოფია, მუსიკა... ირაკლის მამისეულ სახლში ვიკრიბებოდით ხოლმე ირაკლი ჩარკვიანთან, გეგა კობახიძესთან, დათო კოსტავასთან (მსახიობ გრიგოლ კოსტავას ვაჟი, მერაბის ბიძის, ასევე პოლიტპატიმრის), კახა თოლორდავასთან, გიორგი თოფურიასთან, გია მირზაშვილთან, დიკა ესაკიასთან, კობა წაქაძესთან, გია სიბაშვილსა და სხვებთან ერთად. შინაგანი თავისუფლება, სიცოცხლის ხალისი და ნიჭიერება იფრქვეოდა ირგვლივ.

დღესაც 24 წლისაა ირაკლი. დაუვიწყარია უსათნოესი და უძვირფასესი მისი სახე: „ჩემი ტკივილი, გარითმული ტვირთი თაობის გამოეფინა ვარდისფერ ქუჩებს“ (ირაკლი კოსტავა).

9. 03. 2014

ვინ არის ავტოქტონი ყირიმში

ვინ არის ავტოქტონური მოსახლეობა ყირიმში, ნახევარკუნძულის პოლიტიკურ სტატუსზე საუბარი დროებით გვერდზე რომ გადავდოთ? როგორც ირკვევა, ეს არც რუსებია, არც უკრაინელები და არც ე. წ. თათრები.

„ყირიმი“ თურქულ ენაზე ნიშნავს „სტეპს“ და „ბორცვსაც“. აქ სხვადასხვა დროს უცხოვრიათ სკვითებს, ჰუნებს, ხაზარებს, ყივჩაღებს, რუმინელებს, გოთებს, ოსმალებს, რუსებს და უკრაინელებს. ნახევარკუნძულის უძველესი სახელი უცნობია. ყირიმის ძველბერძნული სახელია „ტაურისი“, რომელიც სხვადასხვა დროს განსხვავებულად გამოითქმოდა. შემორჩენილია ფორმები „ტაურონიტი“; „ტაბვრონიტი“ და „ტაბრონიტი“. ეს შესაძლოა კავშირში იყოს არა იმდენად „ხარის“ ზოონიმთან, არამედ ეთნონიმ ტაბალ/ტაბართან, რაც წინა

აზიაში მცხოვრებ პროტოქართველურ ტომებს აღნიშნავს. ისინი ბიბლიურ ტექსტებშიც მოიხსენიებიან, მოსხებთან ერთად.

საინტერესოა, რომ ჰიტლერს ყირიმისთვის დაურქმევია გოთენლანდი იმ გოთების გამო, რომლებიც მანდ ცხოვრობდნენ მე-15 საუკუნემდე. ისინი ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდგომ წაასხეს ოსმალეთის იმპერიაში. ხოლო სევასტოპოლს იმავე ჰიტლერმა შეუცვალა სახელი და დაარქვა თეოდორიხსჰაფენი („თეოდორიხის ნავსადგური“) გოთების მეფე არიანელი თეოდორიხის პატივსაცემად, რომელიც იჯდა იტალიაში მე-5 საუკუნეში. მისი სამეფოს დედაქალაქი კი რავენა იყო.

მე-8 საუკუნეში მცხეთაში აკურთხეს იოანე, ყირიმელი გოთების ეპისკოპოსი (ეკლესიის ისტორიაში ცნობილი, როგორც წმ. იოანე გუთიელი). ადგილს, სადაც ამ პროტოგერმანული ხალხის ძირითადი სალოცავი იდგა, მანგუპი ერქვა. მსოფლიო პოლიტიკისთვის ასეთი ადგილი მყარად ავტოქტონი მოსახლეობის გარეშე კიდევ უფრო რთულია დარეგულირების თვალსაზრისით. ასე რომ, რეფერენდუმით პუტინმა კიდევ ერთი ნევრალგიური წერტილი გააფორმა, კიდევ ერთი უბედურების, თავის ტკივილის და ქრონიკულად მხრჩოლავი კონფლიქტის ზონა.

18. 03. 2014

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სათავეებთან

როდესაც პირველი მსოფლიო ომის შედეგად 1918 წელს დაიშალა რუსეთის იმპერია და ის, მიუხედავად პეტროგრადში უკვე მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალებისა, შინაგანი განახლებით და ძალების მოკრებით იყო დაკავებული, ამიერკავკასიის სეიმს უჭირდა ქმედითი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება: მისი წევრებიდან ორი – სომხეთი და აზერბაიჯანი – ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საქართველოს ლიდერები კი ყოყმანობდნენ, გადაედგათ თუ არა ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ, რადგან არ იცოდნენ: ნიშნავდა ეს თუ არა რუსეთის პროლეტარიატის და რუსი ხალხის ღალატს.

თურქეთმაც დრო იხელთა და დაიძრა აჭარა-გურიისკენ. მათ დაიკავეს ბათუმი და ტიციან ტაბიძე ამ თემაზე წერდა განსაცვიფრებლად მშვენიერ სტრიქონებს:

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვავილით სისხლიანი ტირის აპრილი...

მახსენდება დიდი კონსტანტინეს მონაყოლი ამ მღელვარე დღეებზე, რომელსაც დაახლოებით აღვიდგენ: (12 წლის ვიყავი მაშინ) ხალხი შეკრებილა უნივერსიტეტთან. მიტინგზე ისმოდა პატრიოტული შეძახილები და ახალგაზრდები მღეროდნენ: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა". შემდეგ დაიძრნენ პირდაპირ ყაზარმებისკენ და გენერალ მაზნიაშვილთან ერთად გაემართნენ ჩოლოქისკენ – ეს იყო ქართული ახალგაზრდობის ნაღები – ილიას, აკაკის, ვაჟას უშუალო ფრთებქვეშ წამოჩიტული თაობა.

იგი აღტაცებით ყვებოდა, როგორ ქუხდნენ ჩოლოქზე მაზნიაშვილის ზარბაზნები. ერთ-ერთ ბატარეას თავად გენერალი ემსახურებოდა, უმიზნებდა. მე ვაწვდიდიო ჭურვებს. გენერალი მჭახე ხმით იყვირებდა: „ცეცხლი!" – და ვხედავდი, როგორ იცელებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით ასკერები. თითქოს იდუმალ როკვას ვასრულებდით რკინის, ცეცხლის და თავისუფლების სახელით. ასკერები უკუიქცნენ ბოლოს.

ამ ბრძოლიდან ათწლეულების გასვლის შემდეგ წერდა იგი: ჩემი მტრები გაოცებულნი არიან: ამ კაცს არც ჯირითისას ცხენი წაექცევა, არც ბრძოლაში ტყვია ვნებს, არც დუელის დროს მოქნეული რაპირები აკლებს რამეს, არც საავტომობილო ავარიები, 1924-ს გადაურჩა, 1937-ში ვერ დახვრიტეს, ეშმაკთან წილნაყარიაო უთუოდ.

გერმანიამ გვიშველა, ვერსალის კაბალური ხელშეკრულებით ჯერაც არდამონებულმა. მათი ორი კრეისერი საქართველოს აკვატორიაში შემოვიდა და დრეიფზე დადგა. ხოლო დიდი კონსტანტინეს მეგობარმა, გენერალმა კრეს ფონ კრესენშტაინმა, არისტოკრატმა და მეცნიერმა, როგორღაც დაარწმუნა მენშევიკები, გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს. ობამას და მერკელის შემყურე ნოსტალგიას განვიცდი ასეთ გერმანიაზე. ნეტავ აღსდგებოდეს მომავალში კიდევ ერთხელ ასეთი ქვეყანა (თორემ ჰიტლერი და მისი რაიხიც ჯანდაბას წაუღია თავისი SS-ით და კონცლაგერებით, ჰოდა კიდევ ვოლ-სტრიტიდან მიღებული დაფინანსებით მიუნხენის პუტჩისთვის, რამაც ადოლფ ჰიტლერის აღზევებას ხელი შეუწყო).

27. 03. 2014

პეტრე ხვედელიძის გარდაცვალებაზე

გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ემიგრანტი პეტრე ხვედელიძე. მან საქართველო 1941 წელს დატოვა და ურთულეს ეპოქაში მოუწია ცხოვრება: ძნელია, როდესაც შენი ქვეყანა რუკაზეც კი არ არის აღნიშნული და არც მისი ინტერესებია ვინმესგან განსაზღვრული. ასეთ დროს ადამიანი თვითონ ცდილობს განსაზღვროს, რა იქნება კარგი მისი ერისა და ქვეყნისთვის.

„არც ერთ თაობას არ უნახავს ამდენი ბრძოლა“ – ასე იწყება ემიგრანტი პოეტის, გიორგი ყიფიანის ლექსი, მიძღვნილი ლევან ზურაბიშვილისადმი ამ უკანასკნელის გარდაცვალებაზე. მართლაც... როდესაც თვალს გადავავლებთ ისტორიის ფურცლებს, ბატონ პეტრეს ცოტა ხანს ვხედავთ გერმანული ვერმახტის რიგებში, ომის დასრულების შემდეგ იგი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის წევრია და ვიეტნამში იბრძვის კომუნიზმის წინააღმდეგ, ბოლოს „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში მუშაობს. იმავდროულად ხელძღვანელობს ამერიკის ქართულ სათვისტომოს და გარდაცვალებამდე ცხოვრობს ვაშინგტონ DC-ში.

საოცრად სათნო და უშუალო ადამიანურ ურთიერთობებში. დაუვიწყარია მისი სამგზისი სტუმრობა ჩემთან, შვეიცარიაში. ერთხელ თბილისშიც ერთად წამოვედით, 2004 წელს, როდესაც საქართველოში უკვე შემეძლო ჩამოსვლა. მაშინ პირველად დადგა ფეხი სამშობლოს მიწაზე 64 წლის შემდეგ. დიდუბის ეკლესიასთან გავიზარდე. იმ დროს ეს ტაძარი რა დიდი მეჩვენებოდა. რა პატარა ყოფილაო... მითხრა უკვე თბილისში. ვფიქრობ, საქართველოში გადმოასვენებენ ამ დიდებული ადამიანის ცხედარს და ქართულ მიწას მიაბარებენ. განისვენოს მისმა სულმა იქ, სადაც წმინდანნი და მართალნი განისვენებენ.

გამოხდა ხანი

მემატიანე ცრემლით გაგამხელს,
ფოლიანტებში გაჩნდება ჩრჩილი
და ვით აკლდამა შენს ტანჯულ სახეს
გადაემხობა გლოვის აჩრდილი.

მერაბ კოსტავა
28. 03. 2014

9 აპრილი

კიდევ ერთხელ 1989 წლის 9 აპრილის ღამეს დაღუპულთა შესახებ, რამდენადაც აქა-იქ, უფრო რუსულ საინფორმაციო სივრცეში, ფიგურირებს დეზინფორმაცია (და ამას, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულეც მხარს უბამს), თითქოს 21 ადამიანი ჭყლეტაში მოყვა, რაც თითქოსდა მათი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

ის, რაც ყველამ ნახა და კადრებშიც ჩანს, ესაა ფარებიანი და ხელკეტიანი სპეცრაზმელები. ცალკეულ თვითმხილველთა ცნობით: 1. ზოგიერთ ჯარისკაცს ზურგზე მოკიდებული ჰქონდა ბალონი, დაახლოებით ისეთი, როგორც ბაღ-ვენახების საწამლი აპარატებია, ხოლო ხელში ეჭირათ იქიდან გამომავალი მილი, რომელიც აფრქვევდა კვამლს. 2. დაფიქსირებულია ფორთოხლის ზომის ბურთულები, ისინი დაცემისას სკდებოდა და უშვებდა კვამლსაც. შესუნთქვისას 5-10 ადამიანი მომენტალურად ეცემოდა. 3. დამსჯელთაგან გამოყენებული იყო ასევე პოლიეთილენის ოთხკუთხა ფორმის პარკები, რომლებიც გასკდომისას აფრქვევდნენ მალე აქროლებად წვეთებს. მათი შესუნთქვისას ადა-

მიანებს ეწვებოდათ სასუნთქი გზები, უჭირდათ ორიენტაცია და მოძრაობა და ბევრი ადგილზე დარჩა. გარდაცვლილთაგან უმეტესობა, 17-18 ადამიანი მაინც, გარდაიცვალა სწორედ ამ უცნობი გაზებისგან, რამაც სასუნთქი გზების ატროფია გამოიწვია.

იმ დროს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს, კარგად მახსოვს აკადემიკოს ანდრია სახაროვის ვიზიტი თბილისში მალევე, აქციის დარბევის შემდეგ. იგი ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის, თამაზ გამყრელიძის კაბინეტიდან ესაუბრებოდა როგორც მოსკოვს, ისე სხვადასხვა საელჩოებს. ქართველ პათანატომებზე დაყრდნობით მან საუბრისას ახსენა გაზები CS და CN, ასევე გაზი ქლორპიკრინი (ვარაუდის დონეზე). თუმცა იქ გამოყენებული გაზის დასახელების გარკვევა ვერ მოხერხდა.

10. 04. 2014

კიდევ ერთხელ 9 აპრილზე

თუკი გადავხედავთ ყველაფერს, რაც ითქვა და დაიწერა 9 აპრილზე, მივალთ ერთ დასკვნამდე: ეს დღე მაინც ტრაგედიად და გლოვის დღედ იქნა შეფასებული ქართულ მასმედიაში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უზენაესი საბჭოს მიერ (ანუ მეორე 9 აპრილი, როგორც პირველის ლოგიკური დაგვირგვინება) ისე, სხვათა შორის აღინიშნა.

90-იანების „დიდებული“ ტრადიცია, რომელიც გადატრიალების შემდგომ დაინერგა, ინერციით ისევ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც უდიდესი ტრაგედიაა სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი იმ ღამეს (და მათ შორის უმეტესობა ქალები), ეს დღე

მაინც ვერ მოექცევა ტრაგედიის განზომილებაში. იგი ადამიანური სულის გამარჯვების დღეცაა ბოროტებაზე. და თუ გლოვის დღის აღნიშვნაზე მიდგება საქმე, ჩვენს ისტორიაში არის სხვა დღეებიც, რომლებიც თუ მეტად არა, არანაკლებადაა გლოვის დღე: მაგალითად 1921 წლის 25 თებერვალი, სოხუმის დაცემის დღე 1993 წლის 26 სექტემბერს და ა. შ. გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა.

მე არ ვგლოვობ 9 აპრილს დაღუპულებს, არამედ აღფრთოვანებული ვარ მათი ზნეობრივი სიმაღლით, სიყვარულის უნარით და გმირული სულით. და მახსენდება 1921 წელს დაწერილი კოტე მაყაშვილის სტრიქონები, რომელიც მან თავის ქალიშვილს, თბილისთან ბრძოლებში დაღუპულ სრულიად ახალგაზრდა მარო მაყაშვილს მიუძღვნა: „ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი".

11. 04. 2014

ევროპა თუ ევრაზია

თუკი თვალს გადავავლებთ თანამედროვე მსოფლიოს არქიტექტონიკას, განსაკუთრებით მის ევროპულ ნაწილში, შევამჩნევთ ორი მიმართულებით სწრაფვას: ერთია ევროკავშირი, რომელიც განსაკუთრებთ აღმოსავლეთით ცდილობს განვითარებას და განვრცობას.

მეორე კი ევრაზიული კავშირი, რომელიც ცდილობს სამხრეთით და დასავლეთით განივრცოს. რამდენადაც ევრაზიული კავშირი სსრკ-ს ნაკვალევზე გადაადგილდება, როგორც იდეოლოგიურად და პოლიტიკურად, ისე გეოგრაფიულად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს რაღაცნაირად მეტამორფოზირებული ცარისტული იმპერია და საბჭოთა კავშირია. და პირიქით

– ისტორიაში არსებული ეს სახელმწიფოები თავისი არსით ერთგვარი „ევრაზიული კავშირები“ იყო.

ევროკავშირისა და ევრაზია-რუსეთის კონტროვერსულობა რთულია და ამ თემის წვდომას მიზეზთა მთელი კომპლექსის გამოძიება სჭირია. აქ არის ისტორიის აჩრდილი, პოლიტიკური ტრადიციები, სპეციფიკური მართლმადიდებლობა, მენტალობა, ამბიციები, ამერიკის ფაქტორი ევროპაში, ბუნებრივი რესურსები და ა. შ.

არადა რუსეთის ისტორია – მეტადრე ბოლო 250 წლის მანძილზე – ნათლად აჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ევროპული იდეების, გამოცდილებების, თვით დასავლური კლიშეების მიხედვით შექმნილ იმპერიასთან. ამ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში ცნებები „ევროპული“ და „აზიური“ პირობითი ხდება. რამდენადაც ევროპის სპირიტუალური და ინტელექტუალური საყრდენები „აზიურია“ – იგულისხმება ძველი და ახალი აღთქმა, ასევე ძველბერძნულ და ძველ რომაულ კულტურათა პელაზგურ-წინააზიური თაურმდგენი – იმდენად რუსული ევრაზიის სათავეები ევროპულია.

პრორუსული პოზიციები, თუ რატომ არ უნდა ისწრაფოდეს ევრაზია ევროპისკენ, უცნაურია, ბუნდოვანი და დამაჯერებლად არ ჟღერს: ჩიპიზაცია, LGBT-ტოტალიტარიზმი, ასევე აგრესიული იმპერიალიზმი და რუსეთის განადგურების სურვილი (კომუნისტური ჟარგონიდან ნასესხები) თითქოს მთლიანად განსაზღვრავენ დასავლეთის ცხოვრების წესს, ამიტომ ის მიუღებელია, გვეტყვიან ისინი.

დასავლური პოლიტიკისთვის აღმოსავლეთი მიუღებელი არ ჩანს, უბრალოდ მისთვის ინტეგრაციის პროცესს თავისი ეტაპები აქვს. ეს პოლიტიკური განხეთქილება თუ დაპირისპირება რაღაცით მე-11 საუკუნის სარწმუნოებრივ განხეთქილებას ჰგავს კათოლიკობასა და

მართლმადიდებლობას შორის. მან მსოფლიო ისტორიისთვის ნამდვილად ტრაგიკული შედეგები მოიტანა. ის საუკუნეების მანძილზე შეეხო რელიგიასაც და პოლიტიკასაც. ბოლშევიკურმა რევოლუციამ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკურმა განვრცობამ აღმოსავლეთ ევროპაში ასევე გაზარდა უფსკრული.

შესაძლოა ითქვას, ერთი მხრივ, ევროპასა და ამერიკას, მეორე მხრივ, რუსეთს შორის არსებული კავშირები, მოყოლებული 1992 წლიდან, მრავალმხრივია: ფინანსურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ სფეროებს მოიცავს. დაპირისპირება დღეს, ერთი შეხედვით, არავის არ უნდა აძლევდეს ხელს და ის მაინც აშკარაა. ყველაზე მეტად კი ამ დაპირისპირების ველში მოხვედრილი ქვეყნები ზარალდებიან – უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, ბალტიური ქვეყნები: რადგან რუსეთი მათ „ახლო საზღვარგარეთად" მოიაზრებს, რომელიც სულ ცოტა მისი გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს, ან სულაც მათ შემოერთებას გეგმავს.

15. 04. 2014

მარკესის გარდაცვალების გამო

არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, ვინც თუნდაც იოტისოდენა პოზიტივს იპოვნის იმ აგრესიაში, რაც ბოლო ხანებში მწერლების მიმართ ღვივდება ჩვენთან.

დაე, ტექსტი ჯერ წაიკითხონ ბოლომდე, გაიაზრონ, რაზე მეტყველებს და ნუ ამოგლეჯენ კონტექსტიდან რაღაც-რაღაცებს. ასევე არ აწყენთ, თუკი არ იხელმძღვანელებენ მძლავრი ინსტიტუციების ხელშეწყობით ფორმირებული იდეოლოგიური რეზონით. ასეთი რამ ყველასთვის კარგი და სასარგებლო იქნება

მაშინაც, თუკი ესა თუ ის მწერალი და მისი ნაწარმოები არ მოწონთ: დაინახონ თავდაპირველი განზრახვა და იდეა მისი შექმნის. ის ყოველთვის დადებითია.

გაბრიელ გარსია მარკესის გარდაცვალება ნიშნავს, რომ ჩვენი პლანეტა დატოვა მსოფლიო ფორმატის ხელოვანმა და ავტორიტეტმა, ვის აზრსაც ჩვენს უმძიმეს და ურთულეს ეპოქაში ასეულობით მილიონი ადამიანი უსმენდა. აწ ვინღა შეაწევს სიტყვას სოციალურ სამართლიანობას, ან ვინ იტყვის რაიმეს მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში ზეძალაუფლებათა თავგასულობის საწინააღმდეგოდ?

დღევანდელი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ (Neue Zuercher Zeitung), როგორც შვეიცარიის ნომერ პირველი გაზეთი, ასე აფასებს მის რომანს „ასი წელი მარტოობაში“: „ის, რაც ამ რომანს სრულიად განსაკუთრებულს ხდის, ესაა დაკავშირება ზუსტი საგნობრიობისა შორსმიმავალ ფანტასტიკასთან. დროთა დონეების თანაკვეთა ასევე წარმოშობს ბედითობის განცდას, რაც ხდომილებას მითურ პლანში გადაიყვანს. იგი თითქოს პოეტური სინთეზის გზით ეძიებდა ტროპიკულ სამყაროს, თქვა გარსია მარკესმა ერთ-ერთ ინტერვიუში და იქვე დასძინა, რომ მისი მთელი საიდუმლო ერთი გახრწნადი გუავეს სუნამდე დაიყვანება. „ასი წელი მარტოობაში“ არის თავის თავში დასრულებული უნივერსუმი, აღსავსე საუცხოო მოვლენებით და გაუგონარი ხდომილებებით. გარსია მარკესმა ამით „მაგიური რეალიზმი“, ისევე როგორც ეს უწინ ხუან რულფომ, ალეხო კარპენტიერმა ან მიგელ ანხელ ასტურიასმა თავიანთ რომანებში განახორციელეს, პოპულარული გახადა მთელ მსოფლიოში“. ვფიქრობ, საკმაოდ ზუსტი შეფასებაა.

19. 04. 2014

მავანთა მხრიდან პოლიტიკური მრწამსის წარამარა ცვლამ და ვისთანაც გინდა, მასთან პაქტირების მზაობამ რატომღაც გამახსენა მე-18 საუკუნის პირველი მესამედის საქართველო, რომლის ჭირსაც „ვერვინ მოთვლის", დავით გურამიშვილის თქმისა არ იყოს.

მას თავიდან მართავდა ვახტანგ მეექვსე, ქართული კულტურის, მწიგნობრობის დიდი მოამაგე, სამართლის რეფორმატორი, ერთმნიშვნელოვნად პატიოსანი მონარქი. იგი შეეცადა ჩრდილოეთის ვექტორს მიყოლოდა საგარეო პოლიტიკაში და, როგორც პეტრე პირველის ირანში გამოლაშქრების გეგმების თანამონაწილე, განჯაში დადგა თავისი ძალებით, რამაც status quo სრულიად არია როგორც კავკასიაში, ისე ახლო საზღვარგარეთში. პეტრეს რომ ეს გეგმები რეალურად განეხორციელებინა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ იგი თვითონ გაეხვია შვედებთან ომში.

განჯაში დგომა და რუსეთის ლოდინი კი საქართველოს ძვირად დაუჯდა: ჯერ თეიმურაზ მეორის (ანუ კახეთის ბაგრატიონის) ნახევარძმამ, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინე მეორემ, იმავე მაჰმად ყულიხანმა, კახელების და ლეკების ჯართან ერთად თბილისი დაიპყრო და ააოხრა. ვახტანგი იძულებული გახდა ცხინვალს წასულიყო და იქიდან ეყურებინა თბილისის აწიოკებისთვის.

1723 წელს კი ოსმალები დაიძრნენ თბილისისკენ. მათ ურმებით შემოიტანეს ქართლში დასჯილი ურჩი მაცხოვრებლების მოჭრილი თავები და რიყეზე კოშკის ფორმით დაალაგეს. მათ მოლაპარაკებაზე მიიტყუეს და მოკლეს კონსტანტინე-მაჰმად-ყული-ხანი, რის შემდეგაც თბილისიდან განდევნეს კახელები და ლეკები.

თავიდან მათ ვახტანგის ძე ბაქარი გაამეფეს, რომელიც ფორმალურად ასევე გამუსლიმდა, მაგრამ მარიონეტის როლისთვის მას მალევე არჩიეს ვახტანგის ნახევარძმა იესე, იგივე გამუსლიმებული ალი-ყული-ხანი, რომელიც ამჯერად შიიზმიდან სუნიზმზე გადავიდა და, როგორც ვილაიათის მმართველმა, მუსტაფას სახელი დაირქვა.

ამის შემდეგ ვახტანგ მეექვსე საბოლოოდ გადავიდა რუსეთში. იესე-მუსტაფამ ერთხანს გაძლო ხელისუფლებაში... სხვათა შორის, მისი შვილთაშვილია პეტრე ბაგრატიონი, რუსეთის არმიის ერთ-ერთი მთავარსარდალი ბოროდინოს ბრძოლისას. იგი მოზდოკშია დაბადებული.

იესე-მუსტაფას შემდეგ სულ რაღაც 17 წლის მანძილზე რამდენიმე მმართველი გამოიცვალა ქართლში, (აბდულა-ბეგი და სხვები) – ყველა ასეთივე გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციისა და სრულიად ბნელი განზრახვებით მოქმედნი.

ნადირ-შაჰ აფშარის სახელს უკავშირდება ირანის ფეხზე დადგომა. თეიმურაზ მეორის, კახეთის ბაგრატიონის მეუღლემ თამარმა 1743 წელს მოახერხა მასთან მოლაპარაკება – რომ ამ ანარქიას და კოშმარს ბოლო მოღებოდა, და გამეფდა თბილისში. იგი იმავდროულად ვახტანგ მეექვსის ქალიშვილი იყო. ერეკლე მეორე ამიტომაც არის „ბაგრატიონ-ბაგრატიონი". თამარი მალევე (1745 წელს) გარდაიცვალა და მეფობა მის მეუღლეს, თეიმურაზ მეორეს დარჩა.

ნადირ-შაჰი, უნიჭიერესი და მოქნილი პოლიტიკოსი, მიხვდა, რომ ქართლ-კახეთის ერთგულებას იგი მოიხვეჭდა იმით, რომ მის მმართველს დაეხმარებოდა „საშინაო დავალებების" შესრულებაში – თუნდაც ურჩი ფეოდალების მოთვინიერებაში. არაგვის ერისთავთა ალაგმვა და კონტროლის დამყარება დარიალის ხეობაზე

სწორედ ნადირ-შაჰის დახმარებით მოხდა. ნოვაცია კიდევ ისაა, რომ ნადირ-შაჰს არც რელიგიის შეცვლა მოუთხოვია ქართლის ქრისტიანი მმართველისგან. მეგობრებო, ასეთი იყო კოშმარი ჩვენი არცთუ შორეული ისტორიისა. მე მგონი, მაინც წინ ვართ დღეს. არა?

23. 04. 2014

მელია ტულეფიას შესახებ

„მელია-ტულეფიას“ რიტუალმა, რომელიც აღქმულ იქნა ფალიკური კულტის გადმონაშთად, საქართველოს მასმედია უკვე საკმაოდ შეძრა, მეტადრე უმრავლესობის დეპუტატის, სოსო ჯაჭვლიანის სკანდალური ჩართვის შემდეგ. ამ რიტუალის აღწერა, რომლის მონაწილე მამაკაციც წრეზე მოძრაობს, ხოლო სხვები ტანზე თითქოს ჯოხებს ურჭობენ, ივანე ჯავახიშვილს ჩაუწერია კონკრეტული პიროვნებისგან და მოტანილი აქვს კომენტარის გარეშე. ის, რასაც ეს პირი მეცნიერს უყვებოდა, ლაშხეთში ანუ ქვემო სვანეთში უნახავს.

ამრიგად ინტერპრეტაცია, რომ ჯოხები ფალოსებს განასახიერებენ, ივანე ჯავახიშვილთან არ გვხვდება. იგი მომდინარეობს მერი ინაძისგან, რომელიც თავისთავად საკმაოდ მაღალი დონის, პროდუქტიული მკვლევარია ანტიკური სიძველეებისა. თუმცა ამ საკითხში იგი ნამდვილად ცდება. ამავე თემას გამოეხმაურა ძველი აღმოსავლეთის მკვლევარი ნუნუ ბენდუქიძე, რომლის ინტერპრეტაციაც საქართველოში იმდენად არ არის ცნობილი. მისი მოსაზრებით, „მელია-ტულეფია“ უძველესი ხეთური რიტუალია ქრისტესშობამდე მეორე ათასწლეულისა, რაც განასახიერებს ადამიანის მიერ თაფლის გამოღებას. melis ხეთურად „ფუტკარს“

ნიშნავს. მას, ვისაც თაფლი გამოაქვს, ფუტკრები ნესტრავენ, რასაც რიტუალში ჯოხების სიმბოლური შერჭობა განასახიერებს.

მსგავსი რიტუალები ძველი სამყაროსთვის დამახასიათებელია. ბიბლიურმა სამსონმა, მას შემდეგ, რაც მოკლა ლომი, იგემა ის თაფლიც, რომელიც ლომის ხახაში მომდევნო დღეებში ფუტკრებმა მოწურეს. ანუ სიტკბო გარკვეული საფრთხის გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც იგავი-გამოცანა, რომელიც მან ფილისტიმელებს უთხრა, ასეთია: მოვერიე ძლიერს და ვიგემე ტკბილი. შოთა რუსთაველთან კი თამარის მჭვრეტელებმა უნდა იგემონ შერის (ანუ სპარს. ლომის) ყანდი (ანუ სპარს. თაფლი) როგორც ინიციაციური რიტუალის დაგვირგვინება (იხ. პროლოგი).

„პერშუს“ უძველეს ეტრუსკულ თამაშებში მისტერიის თვალებახვეულ მონაწილეს ხელით უნდა შეეპყრო ძაღლი, რომელიც მას ეტევებოდა (ალუზია ჰერაკლეს მიერ ჯოჯოხეთის ძაღლის, ცერბერის შეპყრობაზე). ხოლო ზემოხსენებულ ხეთურ რიტუალში საფრთხეს, რომელიც თაფლს ახლავს, თვით ფუტკრები განასახიერებდნენ. ცერბერის დაძლევას მშვენიერი პერსეფონეს გათავისუფლება მოყვებოდა. ოღონდ ბიბლიასა და პერშუს-თამაშებში ჰეროიკული თემა უფრო მეტადაა აქცენტირებული, ხეთურში კი ნაკლებად. ჩვენი საზოგადოების პრობლემა ისაა, რომ ამის შემეცნებით იგი არ დაინტერესდება: პარლამენტსა თუ სოციალურ ქსელებში გამართული თათხვა და აყალმაყალი კი ყველაფერს ურჩევნია.

24. 04. 2014

„ნაძირალა მარკოზაშვილი“

ალბათ გეხსომებათ, 2007 წელს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კახეთში ერთ-ერთ გამოსვლაში, რომელიც მაშინდელ ოპოზიციას მიუძღვნა, პარალელიზმის პრინციპის მოშველიებით ისაუბრა ერეკლე მეორის ეპოქაზე, კერძოდ, 1765 წლის ამბებზე. მან დაგმო ის ადამიანები, რომლებმაც მეფის ნაცვლად „ნაძირალა მარკოზაშვილს“ დაუჭირეს მხარი. რამდენადაც თელავშიც და სხვაგანაც ამ გვარის არაერთი წარმომადგენელი ცხოვრობდა და ცხოვრობს, მისმა ასეთმა მკვეთრმა განცხადებამ მათში შიშნარევი წყენა და გაურკვევლობის გრძნობა წარმოშვა.

სინამდვილეში აქ საუბარია პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაზე, ვინც იყო ქართლის ბაგრატიონი, ანუ ვახტანგ მეექვსის შვილი. ერეკლე მეორე, როგორც ცნობილია, იყო დედით ქართლის, ხოლო მამით კახეთის ბაგრატიონი (ანუ „ბაგრატიონი-ბაგრატიონი“, როგორც მას ამ ბოლო ხანებში არაერთხელ იხსენიებენ, ოღონდ მონარქიის აღდგენის მომხრეთა წრეებში).

პაატა ბატონიშვილის პრეტენზია სამეფო ტახტზე პრინციპში დასაბუთებული იყო, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად წაადგებოდა ქვეყანას ასეთი რამ იმ სიტუაციაში. შეთქმულება კონკრეტულ ქმედებებში არასოდეს გადასულა. შეთქმულნი იკრიბებოდნენ მარკოზაშვილის დარბაზში. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეს მარკოზაშვილი იყო „ფართის მესაკუთრე“, მეტი არავინ. აქ დადიოდა ქართლის რამდენიმე წარჩინებული გვარის შთამომავალიც, მაგალითად ალექსანდრე ამილახვარი.

შეთქმულება გასცა გრიგორიანული ეკლესიიდან მართლმადიდებლობაში ახალგადმოსულმა დათუნა ფეიქარმა (ეს მისი დარქმეული გვარი იყო), რომლის მეუღ-

ლეც მეფის სასახლეში მუშაობდა. მისი თქმით, პაატა ბატონიშვილი მას აზნაურობასაც პირდებოდა, თუკი შეთქმულება გაიმარჯვებდა.

შეთქმულების მონაწილენი სასტიკად დასაჯეს. პაატა ბატონიშვილს თავი მოჰკვეთეს, და როდესაც ჯალათი წმენდდა თავის სისხლიან ინსტრუმენტს, ამ დროს მოსულა ერეკლეს მალემსრბოლი, რომელსაც მოუტანია შეწყალების ფურცელი. თავისთავად ამაზრზენი სპექტაკლი... ალექსანდრე ამილახვარი დააკოჭლეს, გადაუჭრეს ფეხის მყესები, ხოლო მამამისი დიმიტრი, რომელიც დიდი სახელით და ავტორიტეტით სარგებლობდა, ვირზე უკუღმა შესვეს და ქალაქი ისე შემოატარეს.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სახელმწიფოებრივად გამართლებული იყო შეთქმულების აღკვეთა, დღევანდელი გადასახედიდან მიუღებელია ანგარიშსწორების ის საზარელი ფორმები, რომლებსაც იმჟამად მიმართეს. და ეს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ერეკლე მეორე ევროპისკენაც ისწრაფოდა და გარკვეულ რეფორმებსაც ატარებდა. გილიოტინა, სახრჩობელა და ეშაფოტი არც რუსეთს აკლდა, არც საფრანგეთს (რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს უშუალო მეზობლებზე სამხრეთით...). ჩვენს ისტორიას თუკი გადავხედავთ, ისე ჩანს, რომ ჰუმანურობა ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად პრეცედენტებისა, მყარ ტრადიციად მაინც ვერ იქცა.

2. 05. 2014

აბაშაში

ამ დღეს, ექვსი წლის წინათ, უკვე აბაშაში ვიყავი. როგორც ერთიანი ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატი, იქიდან თვეზე მეტხანს პრაქტიკულად არ გამოვსულვარ. ვიყავი თითქმის ყველა სოფელში, მათ შორის ძნელად მისადგომ სოფლებშიც. 50-მდე შეხვედრა ჩავატარე ამომრჩეველთან.

აბაშის რაიონი ყველაზე მიტოვებული და გაუბედურებულია საქართველოს სხვა რაიონებს შორის. პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო რეზინის საბურავებიანი ცხენშებმული ფორნების სიმრავლე. კანტიკუნტად თუ ჩამოივლიდნენ დანჯღრეული ჟიგულები, მოსკვიჩები ან 90-იანების დასაწყისში გამოშვებული ოპელები. რაიონის ტერიტორიაზე არ არსებობდა არც რესტორანი, არც კაფე. ამისთვის სენაკსა ან ქუთაისში უნდა წასულიყავით. სხვათა შორის, ნორმალური შხაპისთვისაც იქით უნდა გექნათ პირი, თუ მაინცადამაინც მდინარეში არ განიბანებოდით. ტუალეტი, რასაკვირველია, ორმოზე იდგა. ღამღამობით თვით რაიონულ ცენტრში ბაყაყების რამდენიმე ორკესტრი-ქორო მუშაობდა მთელი დატვირთვით. მათ აბაშა-ფილარმონიკა ვუწოდე (სად იყო ბერლინერ ან ვინერ ფილარმონიკა!).

ასეთი დამხვდა წინაპრების მხარე, მაგრამ ეს თუ არ გაიგე, რაა მამული. არჩევნებში ჩემი კონკურენტი რომან ბუალავა იყო. კარგა ხანს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საერთოდ არ აპირებდა ჩამოსვლას. ბოლოსკენ გამოჩნდა, თუმცა შეხვედრებით თავი არ მოუკლავს. რაიონში ნაციონალი ზონდერების მოზრდილი ჯგუფები დაძრწოდნენ ჯიპებით, მათთან 3-ჯერ მაინც ავარიდე ჩემს აქტივისტებს მასობრივი ჩხუბი და ცემა-ტყეპა. მაინც მომერიდნენ და უკან დაიხიეს.

ცალკეული კოორდინატორები მეუბნებოდნენ, აქ კარუსელები დატრიალდება, „მარშრუტკებს“ გამოყრიან, მოსახლეობა დაშინებულია, ბჟალავას ვანო მერაბიშვილი უდგას გვერდში და არჩევნებს ალბათ ვერ მოვიგებთო. ისინი მართლები გამოდგნენ, თუმცა ცდაც ხომ ბედის მონახევრეა. ამ სალაღობო სტრიქონებით ვუპასუხე: „კიდეც რომ გვერდს ედგას ბჟალავა ვანიას, არ ექვემდებარება აბჟალავანიას“.

გიორგობას სუჯუნის ეკლესიაში შევხვდი, სადაც ოდიშელი გამსახურდიები ლოცულობდნენ. იგი კაპადოკიელი წმ. მხედრის და დიდმოწამის სახელზეა აგებული. გილოცავთ, მეგობრებო, დამდეგ გიორგობას!

5. 05. 2014

ქეთევან დედოფლის ფრესკის ასლები

მალე საქართველოში ფრესკების ასლებს ჩამოიტანენ, ქეთევან დედოფლის წამების ამსახველს. ქეთევან დედოფლის წამება, გამოხატული ლისაბონის მონასტრის კედელზე, ისეთ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელმაც ევროპა შესძრა.

შაჰ-აბას პირველი, რომელსაც თავისმა ხალხმა და მეისტორიეებმა უდიდესი წარმატებების გამო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში „ქაბირი“ ანუ „დიადი“ უწოდეს, ევროპის სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრებოდა ერთხანს, თუკი შეიძლება ასე ითქვას. ასევე ცნობილია ამ მმართველის დამოკიდებულება საქართველოს ერთ-ერთ სამეფოსთან – ქართლ-კახეთთან მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა მიჯნაზე: ისფაჰანი არ ფიქრობდა ოდესმე შეგუებოდა მის დამოუკიდებლობას, დღის წესრიგში იდგა ქვეყნის იძულებითი მუსლიმიზაცია-

შიიტიზაციაა და ფაქტობრივად ბიბლიური ნაბუქადნეზარის აქტის განხორციელება, რაც ქართველთა მასობრივ დეპორტაციას გულისხმობდა ირანში.

დაშლილი საქართველოს სამეფოთა თუ სამთავროთა მმართველების, დედოფლების, უფლისწულების და თავადების პოლიტიკა ირანთან მიმართებით მერყეობდა შეურიგებლობიდან პოლიტიკურ პრაგმატიზმამდე, პრაგმატიზმიდან კი ოპორტუნიზმამდე, რაც სრულ ირანიზაციას და გამუსლიმებას გულისხმობდა.

როგორც ირკვევა, მძევლად მყოფ ქეთევან დედოფალს შეეძლო წლების მანძილზე ისე ეცხოვრა ირანში, რომ თავის სარწმუნოებაზე დარჩენილიყო. მაგრამ გარკვეულ მომენტში შაჰმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო გამუსლიმებულ ქართველებთან ურთიერთობისას, რომლებიც მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებდნენ ირანში. როდესაც შაჰი ეკითხებოდა მათ, თუ რატომ რჩებოდნენ მათი დედები ქრისტიანობაზე, ისინი პასუხობდნენ, ქეთევან დედოფლის გამო რჩებიან ასეთებად, მას ხათრს ვერ უტეხენო.

ქეთევანს შეეძლო შაჰის ულტიმატუმი გარეგნულად მიეღო, მერე კახეთს დაბრუნებულიყო და კვლავ განეგრძო ქრისტიანად ყოფნა, მაგრამ ასეთი სიცოცხლე უკვე ნაზრახი იქნებოდა მისთვის. წამხედურა, დამპყრობლის ძლიერებით აღტაცებული ქართველების დიდი მასა კი უპირობოდ გადადიოდა შიიტურ ისლამზე. ქეთევანის წამებამ შესძრა საქართველო, ირანი და ევროპა. მისი ქმედება უდიდეს მორალურ ძალად იქცა, რომელმაც განაპირობა ქართველთა ერთიანობა. მარტყოფისა და მარაბდის ველები არიან ამისი მომსწრენი, სადაც სეფიანთა ირანის სამხედრო ძლიერება დაიმსხვრა.

17. 06. 2014

გალაკტიონი და ევროინტეგრაცია

და ისევ ასოცირების თემაზე მცირე ლირიკული ინტერმეცო – ნახეთ რას წერდა საქართველოს სახალხო პოეტი თითქმის საუკუნის წინათ. იგი, ცხადია, ვერც ევროკავშირს, ვერც ასოცირების ხელშეკრულებას იგულისხმებდა, თუმცა ზოგადად თუ შევხედავთ, აქეთ მიმართულ პროცესს [ციკლიდან „ეპოქა“]:

საქართველო მსოფლიოში შესვლით
ბორკილების მეტს არაფერს ჰკარგავს!
შეიცვალა ახალგაზრდულ იერით
და წინანდელ საქართველოს არ ჰგავს;
გადიფანტოს ფიქრებიდან ნისლი,
დაიხსომე კიდევ უფრო კარგად –
აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით
ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს.

გალაკტიონ ტაბიძე

27. 06. 2014

პირველი მსოფლიო ომის ასი წლისთავი

გუშინ შესრულდა სარაევოს ცნობილი მკვლელობის 100 წლისთავი, სადაც სერბმა გავრილა პრინციპმა ორი გასროლით მოკლა ვიზიტზე მყოფი ავსტრო-უნგრეთის პრინცი და სამეფო ტახტის რეალური ფავორიტი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე, სოფია ფონ ჰოჰენბერგი. ამ მკვლელობას მოჰყვა ურთიერთობების დაძაბვა ვენასა და ბელგრადს შორის და ომში მეფის რუსეთის ჩართვა ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ.

პირველი მსოფლიო ომი, როგორც უდიდესი ევროპული ტრაგედია, რეალობად იქცა 1914 წლის აგვისტოში. სერბებს ძეგლი დაუდგამთ გავრილა პრინციპისთვის, რადგან ფაშისტური ტიპის სერბულ ნაციონალ-ბოლშევიზმს, ზუსტად რუსული ანალოგის თარგზე მოჭრილს და მის მოკავშირეს, ბოსნიაც, ხორვატიაც, მაკედონიაც და სლოვენიაც თავიანთ ტერიტორიებად მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია.

გავრილა პრინციპის უკან, როგორც ჩანს, იდგა სამი ბნელი და დამანგრეველი ძალა. პირველი იყო რუსი პანსლავისტების და რუსეთის „ოხრანკის" მიერ მართული სერბული ნაციონალიზმი. სერბთა პარალელურად რუსული პანსლავიზმი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპის სლავთა ტოტალურ რუსიზაციას. რამდენადაც ფრანც-ფერდინანდი ტახტზე მოხვედრის შემთხვევაში გეგმავდა სერიოზული რეფორმების ჩატარებას, მათ სურდათ ამისთვის ხელი შეეშალათ. კერძოდ, ეს იყო იმპერიის რეფორმირება სამი ეთნო-კულტურული ელემენტის შესაბამისად და არა ორის, როგორც ეს მანამდე იყო მიღებული: მხოლოდ ავსტრიისა და უნგრეთის გათვალისწინებით. ანუ სლავებს ფართო ავტონომია ეძლეოდათ. სერბია კი დანარჩენ სლავთა მიწების შემოერთებას გეგმავდა. მანამდე ეს მართლაც კულტურული და შედარებით ცივილიზებული ევროპული იმპერია ავსტრიისა და უნგრეთის დუალურობაზე იდგა, რაც ხელს აძლევდა უნგრულ, მადიარულ ნაციონალიზმს. უნგრულ ელიტას ხომ დუნაისპირეთის სლავების კულტურულად გამადიარება სურდა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ მკვლელობა მათ ინტერესებშიც შედიოდა. ხოლო მესამე ძალა იყო საფრანგეთის მასონური ლოჟა Grand Orient და მისი მოკავშირეები, რომელთაც სურდათ ცენტრალური ევროპის ორი გერ-

მანული სახელმწიფოს დაშლა და დეზინტეგრაცია, მეტადრე 1871 წლის დამარცხების გამო.

აქედან იღებს სათავეს რუსეთსა და სერბიასთან საფრანგეთის განსაკუთრებული ურთიერთობანი. მოკლედ, ასე შეიკრნენ ავსტრიის და გერმანიის წინააღმდეგ მსოფლიოს ეს დესტრუქციული ძალები. დიდი ბრიტანეთის მხრიდან კი გაუგონარი სიშლეგე იყო ამ ომში ჩაბმა. ამას უკვე ჰარვარდელი ისტორიკოსი ნეილ ფერგიუსონი პირდაპირ წერს. აქეთკენვე მიყავს კვლევა ავსტრალიელ ისტორიკოსს, ქრისტოფერ კლარკს. კონსტანტინე გამსახურდიამ (1891-1975), რომელიც ბერლინში შეხვდა ამ ომის სამწუხარო დასასრულს, თავის ესეებში გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის დანგრევა მოკავშირეთა მიერ შეადარა ტროას დანგრევას ბერძენთა მიერ ჩვ. წ-მდე 1200 წელს.

29. 06. 2014

მემედ აბაშიძე

მემედ აბაშიძე სამაგალითო ქართველი მუსლიმია და სამაგალითო ქართველი. იგი მრავალნაცადი პატრიოტი, დიდი ერუდიტი და მჭევრმეტყველი იყო. მას ახასიათებენ, როგორც მომხიბვლელობით გამორჩეულ ადამიანს. ოსმალეთის იმპერიაში თავისი ნიჭითა და გაქანებით იგი არ ჩამოუვარდებოდა თუნდაც დაუთ ფაშას (გურჯი მანელიშვილს), ერაყის დამოუკიდებლობის არქიტექტორს. სწორედ მისი დამსახურებაა აჭარის შენარჩუნება, რაც ნიშნავს, რომ სარფში არსებული საბაჟო სადღაც ლანჩხუთის მისადგომებთან არ გვიდგას დღეს.

როდესაც მემედ აბაშიძე 1918 წელს ტრაპიზონის ციხიდან გაიქცა (რაც მისი ფიზიკურად გადარჩენის ტოლფასი იყო), ჩასულა ფოთში, სადაც შეხვედრია თავის მეგობრებს. იგი იგონებს: „ბედმა არ გვიმტყუნა, დიდ საფრთხეს გადავრჩით... მეგობრებმა ყადირ შერვაშიძემ, სულეიმან დიასამიძემ, მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ და ზია აბაშიძემ დიდის ამბით მიმიღეს“.

გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის და მემედ აბაშიძის მეგობრობაც. ეს აქტუალურია დღეს, როდესაც გაუაზრებელ და დესტრუქციულ ქმედებებს აქვს ადგილი ქართველ მუსლიმებთან მიმართებით. მსგავს ძალადობაში მე ვერც ქართულს ვხედავ, ვერც ქრისტიანულს და ვერც ადამიანურს. რაც შეეხება მემედის შვილიშვილს, ასლან აბაშიძეს, მისი მოღვაწეობა არ არის მარტივად გასახილველი. იგი კომპლექსურია და წინააღმდეგობრივი თავის თავში. მან უდავოდ კარგად დაიწყო, როდესაც ზვიად გამსახურდიას პირდაპირი ხელშეწყობით გახდა აჭარის მეთაური. შემდეგ იგი მოხვდა საშინელი ადამიანების ეპოქაში. ესენი არიან, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკოსები და, მეორე მხრივ, შევარდნაძე საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ისტორია საკითხის ასე დაყენებას ვერ ეგუება, დარწმუნებული ვარ, უკეთეს გარემოში მისი ნიჭი ალბათ ბევრად უფრო ნაყოფიერად გამოვლინდებოდა.

1. 07. 2014

რა ზრდიდათ ქართველებს?

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ძველ ბერძნებს ფილოსოფია ზრდიდათ, ებრაელებს კანონი, რუსებს მათრახი, ჰოდა ქართველებს პატივმოყვარეობა“. ეს მოსაზრება ალბათ ყველაზე მეტად საზრდოობს რუსთაველისეული პოეტური სენტენციით, რომ სახელის მოხვეჭა სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა. რამდენადაც ამ აზრმა განსაკუთრებით მორწმუნე საზოგადოებაში გაუგებრობა გამოიწვია, მსურს განვმარტო: სახელი, თუკი ის იდეასთან გაიგივდება, სიკეთის მომტანია. წმინდანთა სახელები ქრისტიანობის უძლეველობას განაპირობებენ. ისინი, ცხადია, სიცოცხლეში ამაზე არ ფიქრობდნენ, თუმცა შედეგი აშკარაა მათი სიკვდილის შემდეგ. რუსთაველი არ აკონკრეტებს, გინდა თუ არა სიცოცხლეში მოსახვეჭელია ეს სახელიო. ასევე ცხადია, რომ რუსთაველი უკეთურების და ბოროტების გზით მოხვეჭილ სახელზე არ საუბრობს. მისთვის ლეგიტიმურია სახელის მოხვეჭა სამშობლოს, ასევე საქრისტიანოს სამსახურის გზით, ხმლით და წიგნით. ასეთი სახელი ჰქონდა მოპოვებული დავით აღმაშენებელს, რომელსაც იცნობდნენ ირანიდან ბრიტანეთამდე, ასევე თამარს, ხოლო მოგვიანებით გიორგი ბრწყინვალეს. თუკი რელიგიური კუთხიდან შევხედავთ, სამშობლოს და საქრისტიანოს მსახურებით მოხვეჭილი სახელები კონკრეტული დიდკაცებისა თუ გმირებისა ისევ და ისევ შთააგონებენ ადამიანებს, იზრუნონ სულსა და სასუფეველზე, იმავდროულად კანონიერების, სამართლიანობის, ლეგიტიმური კეთილდღეობის, უსაფრთხოების და სიკეთის იდეალთა დამკვიდრებაზე მიწიერ სივრცეში, რათა მომავალ თაობებს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში არ მოუწიოთ ცხოვრება.

9. 07. 2014

ქართული პარადოქსები

საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. მესმის, რამდენად უცნაური შეიძლება მოგეჩვენოთ ის, რასაც ახლა იგავურად დავწერ და ცოტაოდენ განვმარტავ, მაგრამ ასე ვხედავ: გინდ მლანძღეთ, გინდ დამცინეთ, როგორც ეს ბევრს სჩვევია ამ სივრცეში...

ზაქარია ფალიაშვილმა, გასული საუკუნის უდიდესმა ქართველმა კომპოზიტორმა, დაწერა ორი ოპერა: „აბესალომ და ეთერი" და „დაისი". ისინი მხოლოდ მაღალი ხელოვნების ქმნილებები როდია, არამედ მათში რეალურადაა ნაწინასწარმეტყველები თანამედროვე საქართველოს ბედიც. აბესალომის და ეთერის ბედი საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ბედია, ტრაგიკული და მწუხარების მომგვრელი, რომელსაც არ მისცეს საშუალება ეცოცხლა, გაეხარა, შემდგარიყო, ისევე, როგორც მეფე აბესალომს. და ამის მიზეზი იყო სატანასთან პაქტით შეკრული მურმანი, ოკუპანტთან მოთანამშრომლე ქართველი ბოლშევიკის კრებითი სახე.

მეორე ოპერაში („დაისი") მალხაზის და კიაზოს დაპირისპირებაა. ეს უკვე საქართველოს მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1991 წლის 9 აპრილისა. იგი მოკლულია როგორც მალხაზი, უდანაშულო და უმანკო ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა კიაზომ მშვენიერი მაროს გამო. მაგრამ პარადოქსული სახე სწორედ მამასახლისი კიაზოა, რომელიც მალხაზის მკვლელობის შემდეგ ქვეყნისთვის ომში ჩაერთვება. ბოლოს მტერთან ბრძოლაში იღუპება იგიც.

კიაზოა შევარდნაძე, მოუწია რა სათავეში ჩადგომოდა ქართულ სახელმწიფოს, რომლის დამოუკიდებლობასაც მთელი მანამდელი სიცოცხლე ებრძოდა. ამაშია მისი მოღვაწეობის მთელი პარადოქსი. რაღაცნაირი მა-

მასახლისი კიაზოა მიშაც, რომლის არაერთმა გადაწყვეტილებამ გააძლიერა და შექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები. ვარდების რევოლუციამ ფაქტობრივად ჭაობიდან ამოიყვანა სახელმწიფო. თუმცა კიაზოსავით მიშამაც დანაშაული ჩაიდინა 2-7 ნოემბერს ოპოზიციის (რომლის ერთ-ერთი ლიდერიც ვიყავი), თავისუფალი მასმედიის, ბიზნესის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, ასევე ბადრის და მისი ოჯახის მიმართ და დღეს იგი წავიდა ომში საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთან. ჰოდა დააცალე, შე კაცო, ამ ომის შედეგი ხომ გადამწყვეტი იქნება საქართველოსა და ცივილიზებული მსოფლიოსთვის. პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მერეც ხომ შეიძლებოდა.

P. S. ის, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ჩვენი მხრიდან სახელმწიფო გადატრიალება და ძალადობა იგეგმებოდა, არის სრული როშვა და აბსურდი. აქცია სულს ღაფავდა, დაშლის პირას ვიყავით 6-ში საღამოს. ამას დღესაც ვადასტურებ.

29. 07. 2014

დავით გურამიშვილის გარდაცვალების დღე

გუშინ დავით გურამიშვილის გარდაცვალების დღე იყო, ვინც საქართველო და უკრაინა პირველად დააკავშირა. ამავე დროს იგი პირველი დიდი პოეტია, პირობითად რომ ვთქვათ, რუსთაველის ლიტერატურული სკოლისა. ეს დღე მირგოროდში აღინიშნა. ძველი აღთქმის ელია წინასწარმეტყველის ეპიზოდში ელია ეტყვის თავის მოწაფეს, ელისეს: თუკი დამინახავ ცად ამაღლების ჟამს, ჩემი ნიჭი შენზე გადმოვაო. ასეც

მოხდება ელია თეზბიტელის ცად ამაღლებისას ცეცხლოვანი ეტლით.

ელისეს მსგავსად დავით გურამიშვილიც პირველია, ვინც განჭვრიტა რუსთველური გენიის ცეცხლოვანი ეტლი. ამაზე მეტყველებს მისი სრულიად თვითმყოფადი შემოქმედება, რომელშიც მან დაიტირა, პირველ ყოვლისა, შინაგამცემლობით, პარტიკულარიზმით, საკუთარი თავისა და ვინაობის ღალატით, უმეცრებით და გაუნათლებლობით, ასევე კავკასიელი ტომების ავაზაკურ-ბრიგანტული ცხოვრების წესით, მუსლიმი მეზობლების დამპყრობლური მადით იავარქმნილი სამშობლო.

2. 08. 2014

კაზანტიპის ფესტივალი

უკანასკნელ ხანებში მიდის გაუთავებელი დისკუსია, უნდა ჩატარდეს თუ არა კაზანტიპის ფესტივალი ანაკლიაში. მაგრამ რა ეკაზანტიპებათ? ეს უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც უკრაინაში ომი მიდის მთელი ქვეყნის არსებობისთვის, მისი პოლიტიკურ რუკაზე დარჩენისთვის და არა რომელიმე ლუგანსკის ან დონეცკისთვის? მაგრამ მანდ ალბათ ყველაზე დაბალი დონის ხალხი იკრიბება. შეიძლება ითქვას, ოლიგოფრენიზმის და სიყეყეჩის დონესთან უკვე საშიშად მიახლოებული გოგო-ბიჭები, და რომელთაც ერთი სერიოზული წიგნიც არ წაუკითხავთ, რომლებიც ქუჩაში დადიან ხოლმე ყურებში გაკეთებული სასმენებით და მთელი დღე განუწყვეტლად უსმენენ ამ მოსაწყენ, ყურთასმენის დამაზიანებელ მონოტონურ მუსიკას თუ ჯაგაჯუგს.

და ისინი, ვინც ირაზმებიან ამის საწინააღმდეგოდ და მზად არიან 17 მაისის მსგავსი სცენარი გაიმეორონ?

სადაც ერთ ჩანჩურა უბადრუკს, ტატუირებულს, გრძელთმიანს ან საყურეგაჩხერილს ხუთასამდე კუნთმაგარი და სქელკისერა საცემად მისდევს? ერთხელ მაინც თუ გახსენებიათ ან გაუპროტესტებიათ „ღვთის“ ამ სათნო მსახურთ ალაჰის სახელით ყელგამოჭრილი და აკუნწული ქრისტიანები მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ერაყში, სირიაში, ლიბანში, ეგვიპტეში, პაკისტანში? ან ოდესმე თუ მოსვლიათ იდეა, ასე რეპრესირებულთა შვილებისთვის მოაწყონ მართლმადიდებლური ხელოვნების და კულტურის ფესტივალი, ხატწერის, გალობის, ფოლკლორული ცეკვების კურსებით, რელიგიური შინაარსის ფილმებით და თეატრალური წარმოდგენებით რამდენიმე ენაზე? სახსრებს ვერ მოიძიებენ საამისოდ თუ რა?

17. 08. 2014

HOT BOOK CHALLENG

რადგან ბავშვობასა და მოწიფულ ასაკში წაკითხულ წიგნებზე ჩამოვარდა საუბარი hot book challeng-ში, შევეცდები მეც გავიხსენო ზოგიერთი წიგნი, რომელთაც ადამიანად ჩემს ფორმირებაში დიდი როლი ითამაშეს. აქ ნუმერაციას, ცხადია, არა აქვს მნიშვნელოვნების, მეტ-ნაკლებობის განსაზღვრის დანიშნულება, ეს უფრო რეტროსპექტივაა ალბათ.

1. გუსტავ შვაბი, „ძველი ბერძნული მითები“

2. ჰომეროსი, „ილიადა“ (რომან მიმინოშვილის თარგმანი)

3. ფირდოუსი, „შაჰ-ნამე“ (ის წიგნები, რაც ხელმისაწვდომი იყო)

4. ძმები გრიმების ზღაპრები (თავიდან ძველი გამოცემა, შემდგომ კი დავით წერედიანისეული თარგმანი)

5. გოეთეს „ფაუსტი“ (ბ პასტერნაკის თარგმანში, შემდგომ ორიგინალში)

6. შექსპირის „ჰამლეტი“

7. სერვანტესი, „დონ კიხოტი“

8. ჯეიმზ ჯოისი, „მხატვრის პორტრეტი ახალგაზრდობაში“

9. ჩარლზ დიკენსი, „დევიდ კოპერფილდი“

10. ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“ (ჩემ მიერ წაკითხული პირველი წიგნი)

11. სელმა ლაგერლიოფი, „საგა გიოსტა ბერლინგზე“ (შვედი მწერალი ქალი, ნობელიანტი, ჩემ მიერ წაკითხული მეორე წიგნი)

12. კონსტანტინე გამსახურდია Senior, „დავით აღმაშენებელი“ (ტეტრალოგია, წიგნი ჩემი დაბადების მერე მალევე დასრულდა)

13. გალაკტიონ ტაბიძე, „100 ლექსი“ (იყო ასეთი გამოცემა)

14. ალბერ კამიუ, „უცხო“

15. გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის 100 წელიწადი“

16. ჯ. რ. რ. ტოლკინი, „ბეჭდების მბრძანებელი“

17. ოსკარ უაილდის ზღაპრები – თავიდან ზვიად გამსახურდიასეულ თარგმანში, მერე უკვე ორიგინალშიც.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, იგი მთელი სისრულით მოწიფულ ასაკში შევიმეცნე, მას შემდეგ, რაც წავიკითხე ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანები“, მისივე „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ და მანანა გიგინეიშვილის გამოკვლევა მზიანი ღამის თემაზე.

წიგნების ჩამოთვლის გაგრძელება გვარიანად შეიძლებოდა.

8. 09. 2014

ვინ აშენებს სახელმწიფოს

კარლ გუსტავ ემილ მანერჰაიმი (1867-1951) ფინეთის მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. რუსეთის რევოლუციის შემდეგ თავიდან თეთრების მხარეზე მებრძოლ ფინეთის შეიარაღებულ ძალებს სარდლობდა, იყო ფინეთის რეგენტი 1918-20 წლებში, როგორც მარშალი წარმატებით მეთაურობდა ფინეთის დაცვას სტალინური ურდოსგან მეორე მსოფლიო ომში, რის შემდგომაც გახდა ფინეთის მეექვსე პრეზიდენტი 1944-46 წლებში. გარდაცვალებიდან 53 წლის თავზე იგი ფინეთის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ იქნა მიჩნეული. მას ეკუთვნის შემდეგი გამონათქვამი:

„სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები აშენებენ. ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების აშენებული ქვეყანა არავის უნახავს“.

ამ ციტატასთან დაკავშირებით კულტუროლოგმა ემზარ ხვიჩიამ ასეთი შეკითხვა დასვა: „ათენი, კართაგენი, ნოვგოროდი, ვენეცია და გენუა, ნიდერლანდები, ინგლისის იმპერია, ამერიკა ვაჭრების აგებული სახელმწიფოები არაა?“

ასეთ შეკითხვაზე პასუხი შეიძლება კომპლექსური იყოს: მე-16 საუკუნის შემდეგ სახელმწიფოების დაარსება, მეტადრე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების და ინდუსტრიალური რევოლუციის შემდეგ ალბათ მართლაც „ვაჭარ-ზღვაოსან-ავანტიურისტთა“ ნიშანს ატარებს. იმავეს ვერ ვიტყვით ათენსა და კართაგენზე, თუმცა მათ დაარსებაში ვაჭრებს გარკვეული როლი ცხადად მიუძღოდათ. ხოლო ამ საქმეში განსაკუთრებულად თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ძველი რელიგიის იდუმალებებში ხელდასხმული ქურუმები, ასევე იმავე საიდუმლოებებთან ზიარებული სახალხო გმირები,

რომელთა კულტებიც დღესაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ქალაქთან.

და თუკი ძველ სამყაროსთან მიმართებით ისევე წავყვებით აზრებს, როგორც ამას ახალ დროსთან მიმართებით ბევრი აკეთებს, ისინი უთუოდ მიგვიყვანენ ორ ფეხზე შეუქცევადად დამდგარ მაიმუნებთან, რომლებმაც ცეცხლი დაიმორჩილეს ხიდან ჩამოსვლის შემდეგ და დანარჩენ ცხოველებზე გაბატონდნენ. მერე მათ შორის გამოირჩნენ უფრო ძლიერი კაც-მაიმუნები. გარდა ამისა, მარშალი მანერჰაიმი მეწარმეებსა და კომერსანტებს იმდენად არ გულისხმობდა თავის ამ გამონათქვამში, რომლებიც თავისთავად ჯანსაღი სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელ საფუძველს წარმოქმნიან, არამედ უფრო ყველაფრით მოვაჭრე ხალხს, ყველა სფეროში შეუზღუდავად მოქმედ სპეკულანტებს.

17. 09. 2014

მაია ასათიანის გადაცემის შემდეგ

მეტად მძიმე საყურებელი აღმოჩნდა მაია ასათიანის დღევანდელი „პროფილი“. ჩვენს ცხოვრებას მართლაც ანათემასავით მოყვება მკვლელობების, სისხლიანი ოჯახური დრამების ისტორია, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის თავს დატრიალებულ უბედურებაზე. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის ისტორიას ავბედითი აჩრდილივით აჰყვა ახალი ფურცლის გადაშლისთანავე. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ეს ყველაფერი. მონოკაუზალური, ერთმიზეზობრივი რედუქციონიზმი ანუ რაღაც ერთ, ვითომდაც უმთავრეს გამომწვევზე დაყვანა არ გამოდის. შესაძლოა დიდტანიანი წიგნი დასჭირდეს და იმანაც ვერ ახსნას მთელი სისრულით.

ვინაიდან პირდაპირი პასუხის გაცემა მიჭირს, ერთი ასეთი სურათის წარმოდგენით შევეცდები სათქმელის გადმოცემას: წარმოვიდგინოთ უღრანი ტყე, რომელსაც კუნაპეტი ღამე დასწოლია ზედ. და აი, ამ ღამეში ცხოვრების ოსტატმა ჩირაღდანი აანთო. მისი ნათება იმდენად კაშკაშა იყო, რომ მან ერთბაშად გამოაჩინა მთელი სილამაზე ტყისა, ამავდროულად მოიზიდა მღამიობები, მღრღნელები, მწერები, ქვეწარმავლები და ათასი მავნე, უცნაური არსება. სამწუხაროდ, ნათება ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა – ჩირაღდანი მალე ჩაუქრეს მის ამნთებელს, სიცოცხლესთან ერთად. ამიტომაც ეს ყოველივე, რაც ნათებამ მოიზიდა, იქვე დარჩა და დღესაც აქ არის. არადა, ნათება რომ დიდხანს გაგრძელებულიყო, ქვეცნობიერიდან ამდგარი ნაგავივით მოწოლილი კორიანტელი მალე ისევ დაიფანტებოდა და გაქრებოდა.

19. 09. 2014

პოლემიკა კონსტანტინე გამსახურდიას ირგვლივ

ამას წინათ hot book challeng-თან დაკავშირებით ვწერდი კონსტანტინე გამსახურდიაზე (1891-1975) პოსტკომუნისტურ საქართველოში დე იურე ნებადართულ, მაგრამ ფაქტობრივად მაინც აკრძალულ მწერალზე. როსტომ ჩხეიძის ჟურნალის („ჩვენი მწერლობა“) ერთმა თანამშრომელმა ცოტა ხნის წინათ მომიყვა რომელიღაც მრევლის წევრი ახალგაზრდა კაცის ამბავი, რომელმაც უარი განაცხადა წაეკითხა „დიდოსტატი“. აუხსნია იმით, რომ ეს თითქოსდა არის ანტიქრისტიანული,

ანტიმართლმადიდებლური და მკრეხელური წიგნი. მის მოძღვარს თურმე უთქვამს, წიგნში მეფე და დღეს უკვე წმინდანად შერაცხული კათალიკოსი, როგორც სვეტიცხოვლის ამშენებელი, შეურაცხყოფილნი არიანო. აბა ერთი რუსეთს გადახედეთ, დღეს რომელიმე რუსი სამღვდელო პირი თავის დროზე ეკლესიისგან განკვეთილ ტოლსტოის ან მიხეილ ბულგაკოვს „ოსტატი და მარგარიტას“ არცთუ ქრისტიანული თემატიკის გამო თუ ახსენებს ნეგატიურად.

დაახლოებით ერთი წლის წინათ გავწევრიანდი ელექტრონული წიგნის სახლში „საბა“. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ასეთი ბიბლიოთეკის არსებობა ნამდვილად კარგი საქმეა. რამდენიმე ხნის წინათ აღმოვაჩინე, რომ ბიბლიოთეკაში თითქმის ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებია, კონსტანტინე გამსახურდიას გარდა! გამოიგონეს არგუმენტი, რომ დიდტანიანი ნაწარმოებებია, ჯერ ვერ დავბეჭდეთო, რაც სრულიად არადამაჯერებელია. არადა, თუკი მხოლოდ ტექნიკური პრობლემაა, 300 და 400-გვერდიანი არაერთი ნაწარმოები დაბეჭდეს და ეს რა გახდა? როგორც იმ საბედისწერო მოვლენების მსხვერპლს (დამხობილი პრეზიდენტის ოჯახთან ერთად) ხსენებული ფაქტის აღმოჩენისას სულში ელვისებურად გამიელვა გადატრიალების დროინდელმა ფორმულამ „ყველა მინუს ერთი“, რის მიღმაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იგულისხმებოდა. არ მეგონა, თუ ლიტერატურაში კონსტანტინე გამსახურდიასთან მიმართებითაც დღეს იგივე დაუწერელი კანონი იმოქმედებდა.

ვერ ელირსებიან ეს ღვარძლიანი კაცუნები, საქართველო არ დაივიწყებს თავის მწერალს, მისი კულტურისთვის დაუღალავ მებრძოლს საქართველოს ისტორიის უმძიმეს ჟამს, მისთვის დამაშვრალს და მის

ადვოკატს. დღეს თუ არა, საუკუნეების მერე მაინც აღდგება, როგორც „ნათელი მითი, საუკუნეთა არმურიდან გადმონაჟონი“.

კონსტანტინე გამსახურდიას ხმა, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისა, ადამიანურობის ხმაა ძალმომრეობით, ქაოტიზირებადი პოლიტიკით და ეკონომიკური უბედურებებით აღსავსე, ჭეშმარიტი ესთეტიკის ფაქტობრივი აკრძალვის ზღვარამდე მისულ თანამედროვე მსოფლიოში.

20. 09. 2014

ზვიად გამსახურდია და ზალცბურგი

1992 წლის ბოლოს უკვე გროზნოში გადასულმა ზვიად გამსახურდიამ ევროპაში იმოგზაურა, სადაც ფინეთისა და ავსტრიის საზოგადოებას გააცნო საქართველოში მიმდინარე საბედისწერო მოვლენების არსი – დასავლეთის მაშინდელ ლიდერთა ნაკლული ადამიანობით, ოპორტუნიზმით და წაყრუებით ხელებგახსნილი და გათავხედებული კრემლის ემისრების, აგენტების და ჯალათების მიერ დატრიალებული სისხლიანი კალოსი. მათ შური იძიეს საბჭოეთის დანგრევისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, კავკასიური ერთიანობის იდეის რეალიზაციისთვის, იმ გზავნილისთვის, რომ საქართველო და დასავლეთი რკინის ფარდამ აღარ უნდა გაყოს, არც პოლიტიკურად და არც კულტურულად.

ზვიად გამსახურდია ავსტრიაში იმყოფებოდა 1992 წლის ნოემბერში, თითქმის 1 თვის მანძილზე. მან უამრავი შეხვედრა გამართა ვენაში. აქ გაკეთებულ

წარწერაში მცირე შეცდომაა – ფოტო გადაღებულია არა ვენაში, არამედ ზალცბურგში, ადგილობრივ საზოგადოებასთან შეხვედრის შემდეგ. ეს შეხვედრა შედგა არქიტექტორ ჰიჩის მიერ დაპროექტებულ ნაგებობაში – პირველი გოეთეანუმის ასლი. ზვიად გამსახურდია აქ ჩამოვიდა ვენიდან და იმავე საღამოს დაბრუნდა ავსტრიის დედაქალაქში. მანამდე მოცარტის სახლ-მუზეუმი მოინახულა ზალცბურგში, სადაც თითქმის საათნახევარი დაჰყო.

შეხვედრაზე ზვიად გამსახურდია შეეხო როგორც საქართველოში, ისე რუსეთში შექმნილ ვითარებას. ლექცია მან გერმანულ ენაზე წაიკითხა, თუმცა ცალკეულ შეკითხვებს გერმანულად და ინგლისურად პასუხობდა. მას ნამდვილად არ გაუკეთებია ოპტიმისტური პროგნოზი. გორბაჩოვი და ელცინი მან შეადარა მარია ბლავაცკაიას, თეოსოფიური საზოგადოების დამაარსებელს. როგორც ცნობილია, მარია ბლავაცკაია თავის ნიგნებს ცნობიერად კი არ წერდა, არამედ მედიუმურად; არც „საიდუმლო დოქტრინა“, არც „განსაბურველებული ისიდა“ არ არის ცნობიერად დაწერილი, არამედ ნაკარნახევია ტელეპატიურად ინდოელი მაისტერების (ანუ მოძღვრების) – კუტჰუმისა და მორიას – მიერ. ასევე გორბაჩოვი და ელცინი არ იყვნენ გარკვეულნი იმაში, რას აკეთებდნენო. მათი საშუალებით მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედებდნენ ხან ანტიქრისტიანული, ხანაც ქრისტესთან და მიქაელთან დაკავშირებული ძალებიო.

დამამახსოვრდა ერთი-ერთი დამსწრეს ასეთი შეკითხვა, რომელიც ძირითადი მოხსენების შემდეგ დაუსვა ორატორს – თქვენი პერსონისა და პოლიტიკის მიმართ აქ, ევროპულ პრესაში იმდენი ირაციონალური სიძულვილი და აშკარა დეზინფორმაცია გადმოინთხა, რომ ცალკეულმა ავტორებმა თქვენი შემთხვევა თვით

კასპარ ჰაუზერის და რუსეთის მეფე დემეტრიოსსაც კი შეადარესო. ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ კასპარ ჰაუზერი დიადი და წმინდა ინდივიდუალობა იყოო, იგი სიკეთისა და ჭეშარიტების გზით მავალი მომავალი კაცობრიობის ერთგვარი წინამორბედიაო ახალ დროში. მის საფლავზე ბავარიაში აწერია, რომ იგი მისტიკურადაა მოვლენილი და საიდუმლო სიკვდილით წასული ამქვეყნიდანო. მეფე დემეტრიოსზე ცალკე აღარაფერი უთქვამს. აქ იგულისხმება რუსეთის მეფე ცრუ-დიმიტრი, ერთი ვერსიით ივანე მრისხანეს ვაჟი, მეორე ვერსიით კი ყოფილი ბერი გრიგორი ოტრეპიევი, რომლის ორწლიანი მეფობის დროსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან დაახლოების მცდელობას. ეს თემა ევროპაში იმდენად დიდ შეკითხვებს ბადებდა, რომ ლიტერატურის ისტორიას შემორჩა თვით ფრიდრიხ შილერის დაუმთავრებელი დრამა „დემეტრიოსი“. რუსული მართლმადიდებლობის რადიკალური ფრთა დიმიტრის ბრალად სდებდა, თითქოს მისი მიზანი მართლმადიდებლური რუსეთის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა იყო. ეს შეკითხვა სიმპტომატურია და აჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კონტექსტებში მოიაზრებოდა ზვიად გამსახურდია, როგორც დისიდენტი, საქართველოს პრეზიდენტი და იმავდროულად მსოფლიო მოქალაქე.

3. 10. 2014

კონსტანტინე გამსახურდია და უკრაინა

უკრაინაში მცხოვრები ქართველი პოეტის და დიპლომატის, რაულ ჩილაჩავას მიერ დაწერილი ეს შესანიშნავი ლექსი „კონსტანტინე გამსახურდიას წერილი პავლო ტიჩინას“ უკვე საკმაოდ მოხუცებულმა კონსტანტინე გამსახურდიამ 1975 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოიკითხა. ამ წერილის თავდაპირველი ტექსტი 1930 წლით თარიღდება. ცნობილია მისი გულითადი მეგობრობა უკრაინელ მწერლებთან – მიკოლა ბაჟანსა და პავლო ტიჩინასთან. ამ მეგობრობით, ასევე ესეით „უკრაინის თემიდა“, კონსტანტინე გამსახურდიამ პირველმა შემოიტანა ქართულ ცნობიერებაში უკრაინის, როგორც ჩვენი მეგობარი ქვეყნის თემა. იმ წყვეტის შემდეგ, რომელიც დავით გურამიშვილის მერე დადგა, მის მიერ უკვე ახალ დონეზე დაედო დასაბამი ქართულ-უკრაინულ კულტურულ ურთიერთობებს. ხოლო რაულ ჩილაჩავას ლექსის ნაიდენისეული თარგმანი რუსულად მართლაც შესანიშნავია – თითქოს ცხადად ჩაგესმის ქართული მუზების სიმღერა ახმიანებული ხრეშატიკის ხეების ქნარებზე.

РАУЛЬ ЧИЛАЧАВА

Константинэ Гамсахурдиа пишет письмо Павлу Тычине

Предстоящий мой приезд в Харьков имеет следующие цели: разыскать могилу Давида Гурамишвили (он мой духовный прадед, и я обязан это сделать), остаться хоть на несколько месяцев в Харькове и приступить к изучению украинского языка.

Из письма К. гамсахурдиа к П. Тычине. 1930 г.

Пишу тебе, Паоло, из Тифлиса.

Светает. Тишиной затоплен двор.

Вдали мазок упругий кипариса
Чуть засинел на фоне смутных гор.
О родина! Здесь тень летящей птицы
На мертвом камне запечатлена.
Все мировые шумные столицы
Засыпать может горсточка одна Земли родной.
Земли, где Горгасали, Гурамишвили были рождены,
Где из безвестья в славе воскресали
Великие грузинские сыны.
Паоло, у тебя на Украине Один из них
почил могильным сном. Две родины,
как вечных две святыни, Он слил
в грузинском имени своем. Он подарил
стиху мечей звучанье, Сверканье гор,
пьянящий сок вина, Им песня та,
что в Зубовке крестьяне Когда-то пели,
соединена С грузинской речью. Он поэт и воин,
Он мудрый виноградарь языка.
На месте том, где был он упокоен,
Сошлись столетья, царства и века!
Но смерти нет. И он всегда на страже,
Как ратник, чтобы вечной и святой,
Сияющей, как солнце, дружбе нашей Ни ложью,
ни позорной клеветой Никто не смел пятнать...
и я мечтаю Его могилу отыскать скорей,
Где нежно музы Грузии играют
На арфах украинских тополей.

Перевел А. найден

ეს ქართული ტექსტი არის რაულ ჩილაჩავას ლექსისთვის კონსტანტინე გამსახურიას წერილი პავლო ტიჩინას... (იხ. წინ)

კონსტანტინე გამსახურდია წერილს სწერს პავლო ტიჩინას

ძვირფასო პაოლო! ხარკოვში ჩემი ჩამოსვლის მიზანია: მოვძებნო დავით გურამიშვილის საფლავი (ის ჩემი სულიერი პაპაა და მე ეს უნდა გავაკეთო), დავრჩე თუნდაც რამდენიმე თვით ხარკოვში და შევუდგე უკრაინული ენის შესწავლას (ნაწყვეტი კ. გამსახურდიას წერილიდან. 1930 წ.).

ძმაო პაოლო!.. მე ამ ბარათს გწერ ტფილისიდან,
სადაც არ წყდება მშობლიური შუქის კიაფი.
უცხო ედემმა გული ჩემი ვერ მიიზიდა,
ვერ დააუფლა ჩემს არსებას გრძნობა იაფი.
ასი ბერლინი, ასი რომი, ასი პარიზი,
დღესვე რომ გახდეს ჩემი მონა, ჩემი ვასალი,
არ მენდომება უფრო დიდი სხვა ასპარეზი,
ვიდრე ეს მიწა დავით მეფის და გორგასალის.
საქართველოში ძველ დიდებას არ მისტირიან,
იგი მსოფლიოს მუდამ მისცემს ერთ-ორ გოლიათს!
ო, ჩვენი სულის სასწაული და მისტერია
მარად უკვდავი პოეზიის ერთი რგოლია.
ჩემო პაოლო, უკრაინის ბებერ ყორღანებს
და ტრამალებსაც მისწვდა მისი შუქი მთოვარი.
ქართული სიტყვის ტრუბადური, მძლავრი ორღანო
იქ განისვენებს, ვით მებუკე და მეომარი.
მე გული მტკივა, უცხოობა ვიცი რადგანაც,
მე მის უკუღმართ ბედ-იღბალზე ფიქრი მაოსებს.
საფლავს დავეძებ დიდოსტატის, ერთი მათგანის,
ვინც არ დანებდა წუთისოფლის მსახვრალ ქაოსებს.
ვით მეციხოვნე, ვით სარანგი შეფიცულ ძმათა,
გაჰყურებს სივრცეს ასწლეულთა ქონგურებიდან
უკვდავი მუზა, ჩაურაზოს სავალი რათა

მას, ვისაც სურდა ჩვენი ძმობის მზე მოებინდა.
მე იმ მზეს ვფიცავ, მე იმ მზის ქვეშ ჟამს ვეომები,
მე იქით მივალ, საითკენაც იგი მზე მიდის,
რომ კვლავაც ჩემი ავაზებით, ჩემი ლომებით
ძლიერვჰყო უფრო სიყვარულის ჩვენის თემიდი.

1974
20. 10. 2014

ძალადობა ქალთა მიმართ

ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი და არასასურველიც, რაიმე მზა რეცეპტის გამოგონება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე გახშირებულ ქალთა მკვლელობის თემაზე. მოკლედ ვიტყვი, რომ ძველი სოციალური სისტემა, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობებს საზოგადოებასა და ოჯახში, საფრანგეთის 1789-93 წლების რევოლუციიდან მოყოლებული პრაქტიკულად უკვე წარსულის კუთვნილებაა, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის საუბედუროდ, მეორე ნაწილისთვის საბედნიეროდ. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება მოსახლეობაში, ლექციების, სემინარების თუ თოქ-შოუების ფორმით და სახელმწიფოს ხელშეწყობით; ამ თემისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტების გამართვა; მართლმადიდებლური ეკლესიის, ასევე სხვა კონფესიების მიერ ამ საკითხის თემატიზება და წირვის დაყენება – ამ ყოველივემ შესაძლოა გაამართლოს, შესაძლოა არა, ისე რომ შანსები დაახლოებით თანაბარი იქნება.

ორიგინალური არ ვიქნები, თუ დავძენ: ის ფაქტი, რომ თანამედროვე სეკულარული სახელმწიფო ზოგადად დევნის ადამიანის (ქალის, მამაკაცის, მოხუცის

თუ ბავშვის) მკვლელობას, მიანიშნებს ამ მიდგომის კულტურულ-რელიგიურ ძირებზე. ასე ესმოდა კაცობრიობას ჰამურაბიდან მოსემდე, მოსედან იუსტინიანემდე, იუსტინიანედან საფრანგეთის რევოლუციამდე და იქიდან დღემდე. ეს აისახა კიდეც ამ ისტორიულ პირთა მიერ შესაბამის ეპოქებში შედგენილ სამართლებრივ სისტემებში. ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, როგორც კონკრეტული ეთნოკულტურული გენოტიპის მქონესთვის, როგორც ქრისტიანისთვის, როგორც მამაკაცისთვის, როგორც მოქალაქისთვის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში მოღვაწისთვის, ქალის მკვლელობა არის ადამიანის მკვლელობის განსაკუთრებულად შემზარავი და საზიზღარი ფორმა.

ეს მკვლელობები ჩადენილია ღირსებააყრილი, თავზე კონტროლ-და გონდაკარგული, სრულიად პაუპერიზებული მამაკაცების მიერ, რასაც თავის ღრმა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიზეზები გააჩნია. მათ კვლევას ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება პრობლემის დაძლევისთვის. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალადობას სხვადასხვა ფორმები შეიძლება ჰქონდეს – თუნდაც ყოველდღიური ლატენტური ზემოქმედება ქალზე (და ზოგადად ადამიანზე) ასევე მიუღებელია და დანაშაულს წარმოშობს ადრე თუ გვიან. ხშირად ამბობენ, რომ ჩვენთან უკვე მე-12 საუკუნეში იყო ქალის და მამაკაცის თანასწორობის იდეა – „ლეკვი ლომისა სწორია“. ვფიქრობ, ეს ზოგადად პოეტურ ფორმაში მოქცეული ქრისტიანული იდეაა, ფორმულირებული პავლეს ეპისტოლეში, რომ ქრისტეში არ არსებობს „არცა მამაკაცება, არც დედაკაცება“, არამედ ყველა ერთია, ანუ თანასწორი. ჰერმენევტიკული თვალსაზრისით თუკი შევხედავთ, „ლომი“ სუვერენულობის სიმბოლოა. იგი

პოეტმა იმიტომ შეარჩია, რომ არცერთ სხვა ცხოველში არ არის იმდენად გამოხატული ეს თანასწორობა ძუსა და ხვადს შორის, როგორც ლომებში.

თვით ქართული სიტყვა „თავისუფლება", რომელიც სუვერენულობის და პიროვნულობის მაღალ ხარისხს გულისხმობს, ასევე გზაა თანასწორობისკენ. თუკი ამ გზას სწორად ადგანან, მორალი იმპერატივად და თავსმოხვეულ აკრძალვებად კი არ იქცევა, არამედ შემოქმედებით ძალად. ქართველმა ქალებმა, პირობითად რომ ვთქვათ, კოლხი მედეადან ქეთევან დედოფლამდე და დღემდე ამ თვალსაზრისით დიდ სიმაღლეებს მიაღწიეს.

P. S. მედეას ხსენებაზე გთხოვთ, ნუ გაიმეორებთ ფიზიკური ნაკლის მქონე, ქალთმოძულე და პანელენისტი ევრიპიდეს ვერსიას მედეაზე, როგორც სისხლმოწყურებულ შურისმაძიებელზე – ამ ბერძენი მწერლისთვის ხომ ყველაფერი, რაც „ბარბაროსული" ქვეყნებიდან მოდიოდა, ავტომატურ რეჟიმში ნაკლული, მანკიერი და დამღუპველი იყო.

21. 10. 2014

მამაკაცი ეგზისტენციური პროგლემის წინაშე საქართველოში

უკანასკნელ ხანებში გაზეთებშიც და ტელევიზიებშიც საუბარი გახშირდა ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაზე, მაგრამ აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ კაცის პრობლემა განუყოფელია აქ განხილული საკითხისგან. უწინარეს ყოვლისა, დავძენდი, რომ უკანასკნელი 65-70 წლის მანძილზე ჩვენ, ქართველი მამაკაცები, გადაგვაჩვიეს მიზანმიმართულ შრომას.

15 რესპუბლიკაში ჩვენი მამაკაცები ყველაზე წარმატებულნი იყვნენ არა პატიოსანი შრომით, არამედ „კომუნისტურად“ ფულის კეთებით, როდესაც ყველა იპარავს. ეს არ არის ის ფულის კეთება საბაზრო თამაშის წესებით, რომელიც პრაქტიკულ და უნარიან ადამიანს აყალიბებს და რაც ასე გვჭირდება დღეს.

ცხადია, ეს ყველას არ ეხება – თუმც მათი პროცენტი შედარებით მცირეა. ჩვენგან საბჭოთა პერიოდში შექმნეს მოქეიფე და არაპრაქტიკული ხალხი. ან რისი მებრძოლი სული? მაშინ როდესაც ჩეჩნები დამპყრობლის ჯარს საბრძოლო გამოცდილების მისაღებად იყენებდნენ, ქართველები მასობრივად ყველაფერს აკეთებდნენ „სამშენებლო ბატალიონში“ მოსახვედრად, რომ ფეხი ფეხზე გადაედოთ. იქაც კი „კაპტიორკასა“ ან სასადილოში ეძებდნენ თბილ ადგილებს. საბჭოთა რუსებიც არ იკლავდნენ თავს ჩვენში პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდისთვის. ამას ერთვოდა ქუჩური მენტალიტეტიც – რაც მუქთახორობის გამართლების ერთგვარი ფორმაა. არ დაგვავიწყდეს მშობლების დაჟინებული სურვილიც ჰყოლოდათ დიპლომიანი შვილი. არცერთი ქართველი მშობელი, მაღალი ფენის ოჯახებიდან, შვილს პროფტექნიკუმში არ უშვებდა. ითვლებოდა, რომ იქ „სომხები, ქურთები და დებილები“ სწავლობენ. ბოლოს ვინ გამოდგა დებილი, დავინახეთ. არცერთ ქვეყანას პროცენტულად არ ჰყოლია ამდენი მწერალი, ხელოვანი, ფილოლოგი, იურისტი, ექიმი და ა. შ. როგორც ჩვენ.

როდესაც დაიშალა სსრკ და საქართველო უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა, გამოირკვა, რომ ხელში პრაქტიკული საქმის ცოდნა არ გვიჭირავს. ამან გამოიწვია ქართველი კაცის კატასტროფა, რაც მთავრდებოდა თვითმკვლელობებით, განარკომანებით, გაკრიმინალებით, საზღვარგარეთ ერთი ქვეყნიდან მეორეში ამაოდ

წანწალით, ასევე საზღვარგარეთ წასული ცოლის კმაყოფაზე არხეინი ცხოვრებით – რასაც სულ რამდენიმე ხნის წინათ თვითონვე დასცინოდა. ამრიგად, მამაკაცმა ვერ მოახდინა თვითრეალიზება – მან დაკარგა თავისი ფუნქცია და აღივსო ეგოიზმით, გახდა ბოროტი, შურიანი, ჭორიკანა, ყველაფრის მკადრებელი და ყველაფერზე ხელისმომწერი. რა გასაკვირია, რომ ასეთმა კაცმა ცოლიც მოკლას: ანუ ის, ვინც უფრო წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ქართველმა ქალმა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მამაკაცის ტვირთი აიღო თავზე. ხოლო სახელმწიფო, რომელიც არავის აუშენებია 90-იანებში, ცხადია, ვერ დაეხმარებოდა მისი ნანგრევის ქვეშ მოყოლილ მამაკაცს. მას თავის თავში არც გააჩნდა ძალა და უნარი, ეს ნანგრევები მოეშორებინა და ფეხზე წამომდგარიყო.

გამოსავალი ახალი სოციალური რეალობის შექმნაშია. ამიტომ სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები საშუალო და მცირე საწარმოების ასამოქმედებლად, გახსნას მოქალაქეთა პროფესიული გადამზადების კურსები, სასწრაფოდ შემოიტანოს სოფლის მეურნეობის რაიმე ახალი და ეფექტური მოდელი – თუნდაც ისრაელის კიბუცების მსგავსი, რომელიც ქალაქს მოწყვეტდა ადამიანებს, დაკავებულთ მხოლოდ სარემონტო სამუშაოებით, ყიდვა-გაყიდვით ან ტაქსისტობით.

22. 10. 2014

ავსტრიელები, ერთი მხრივ, გამოირჩევიან გერმანული პუნქტუალობით, დისციპლინირებულობით, შრომისა და ფედერალიზმის სრულიად ბუნებრივი კულტურით, მეორე მხრივ, მათ აქვთ ხოლმე აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპელებისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქე ამ სიტყვის დადებითი გაგებით, ასევე შინაგანად ცოცხალი აღქმა სამყაროსი. ვენა ხომ კარია აღმოსავლეთისა ცენტრალურ ევროპაში.

ამიტომაც ბევრ ადამიანს აქ განსაკუთრებული მიმართება აქვს საქართველოსთან. აი, რას წერს თბილისზე მე-20 საუკუნის ცნობილი ავსტრიელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი: „თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“ (იხ. ჰუგო ჰუპერტი, „თბილისის აპოლოგია“).

ჰუპერტისეულ ამონარიდში მხოლოდ ერთი ლაფსუსია: ჩინგის-ხანი არასოდეს ყოფილა საქართველოში, თანაც იგი ჯალალ ედინისგან განსხვავებით არც მუსლიმი ყოფილა. მაგრამ ჩინგის-ხანის ხსენებით ავტორის განზრახვა გასაგებია – მას უნდოდა მიეთითებინა აღმოსავლეთის ტირანიებზე, რომლებიც თავის იარაღად პოლიტიზებულ ისლამს იყენებდნენ და თავადაც სიამოვნებით იყვნენ ასეთი ისლამის ინსტრუ-

მენტები. სხვათა შორის, იგივე მისია საქართველომ რუსეთისთვისაც შეასრულა, თავიდან აარიდა რა პოლიტიკური ისლამით მართული ურდოების შემოსევა სამხრეთიდან.

25. 10. 2014

ევროპის შესახებ

ამ ნაწერში ევროპის რაობის შესახებ ვითვალისწინებ პიერ ბერტოს (1907-1986) ნააზრევს, ვინც იყო მწერალი, კულტურის ისტორიკოსი და საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე შარლ დე გოლთან ერთად. იმ დროს, როდესაც საქართველომ ჯერჯერობით გააკეთა თავისი არჩევანი ევროპის სასარგებლოდ, პოსტი ცალკეულ ასპექტებში პასუხობს კითხვას, რატომ ევროპა და არა რომელიმე სხვა. სიტყვას „ჯერჯერობით" შეგნებულად ვიყენებ, რადგან არავინ იცის, რა პროცესები განვითარდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალბათ ყველაზე სახიფათო ეტაპზე მყოფ მსოფლიოში.

მართლაც რა არის ევროპა, თავისი თითქმის ნახევარმილიარდიანი მოსახლეობით, ანგლოსაქსურ-გერმანული, რომანული, უგრო-ფინური და სლავური ეთნიკური ელემენტით, დაქსელილი რკინიგზის ხაზებით და შახტებით გამოხრული, სამრეწველო ინფრასტრუქტურით დაფარული, იმავდროულად დიდი ისტორიის და კულტურის მქონე, რაც წარსულის უამრავ მნიშვნელოვან ძეგლსა და მუზეუმში არის წარმოდგენილი? რაღაც საშუალოდ ოპტიმალურია სოციალური და ეკონომიკური პირობების სივრცესა და „აღთქმულ მიწას" შორის, საითკენაც სამხრეთიდან და

აღმოსავლეთიდან მიგრანტების თითქმის უწყვეტი ნაკადები მიიჩქარიან?

ევროპული იდენტობა, უპირველეს ყოვლისა, უნივერსალური მოდელია, რომელიც განმანათლებლობის ტრადიციებიდან იკვებება, იგი ეფუძნება სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთგამიჯვნას. ეს სოციალურ-პოლიტიკური ქმნადობა მომდინარეობს ფრანგულ-რესპუბლიკური სახელმწიფოს გაგებიდან, რომელში ინტეგრირებაც ყველასთვისაა შესაძლებელი, ვინც რესპუბლიკის ფასეულობებს იზიარებს და წარმოადგენს. ამიტომ ვერ გუობს ნამდვილი ევროპულობა დესპოტიზმსა და ავტორიტარიზმს. მეორე ხაზი დეფინიციისა უკვე არის განმანათლებლობის უნივერსალისტური ფასეულობანი, მიმართული აზრისმიერი თვითგამორკვევისკენ და შესაბამისად მოდერნიზაციისკენ.

ევროპა ამრიგად ხდება წყარო მოდერნიზაციის პროცესებისა, რომლებიც თანამედროვეობაში ჩქარდებიან და გლობალურ ხასიათს იძენენ. იგი განასახიერებს აღმატებულ პარადიგმას, რომელსაც სხვა კულტურებმა და ცივილიზაციებმა გარკვეული ფორმით უნდა მისდიონ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ევროპა ამისთვის არავითარ „მადლობას“ არ მოელის მათგან, არამედ უმალ მასიურ კონფლიქტებს უნდა ელოდოს. აქვე დავძენდი, რომ ხშირად ამ კონფლიქტებში მისი როლი შესაძლოა საკმაოდ უსუსურადაც კი წარმოჩნდეს, რის გამოც საუბარი ჩამოვარდნილა (და დღესაც გრძელდება!) მის ოპორტუნიზმსა და უზნეო პრაგმატიზმზე.

ევროპა ამავდროულად განასახიერებს სრულიად განსაკუთრებულ კულტურას, რომელსაც თავისი ინტელექტუალური პოტენციალის და ისტორიული გამოცდილების უჩვეულო ინტენსივობით ბადალი არა ჰყავს და,

შესაბამისად, მისი კოპირებაც შეუძლებელია. ევროპას თუმცა ემუქრება საფრთხე არამხოლოდ მის მიერვე გაჩაღებული რევოლუციური მოდერნიზაციისგან, არამედ სუპერსახელმწიფოებისგანაც, რომლებიც პოტენციურად საფრთხეს წარმოადგენენ მისთვის – მაგალითად, რუსეთი, აშშ, ჩინეთი; მაგრამ ევროპის ძველი უპირატესობა კვლავ ახლიდან იჩენს ხოლმე თავს, რადგან არცერთი სხვა ცივილიზაცია არ არის შემძლე ინტენსიური მიმოცვლის პროცესისგან ინოვაციის მსგავსი პოტენციალის წარმოქმნისა.

26. 10. 2014

დღევანდელობის კრიზისის შესახებ

საქართველოს დღევანდელი კრიზისი მრავალმხრივია – იგი არ ამოიწურება მხოლოდ პოლიტიკით, თუნდაც ეს სფერო მართლაც ბევრი თვალსაზრისით გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდეს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე. იგი მოდებულია კულტურულ, ეკონომიკურ სფეროებს, ხელი უდევს ადამიანურ ურთიერთობებზეც. დანყებული სახელმწიფოს ორგანოებიდან, არ დარჩენილა სოციალური ფენა, ორგანიზაცია, ჯგუფი, ოჯახი თუ კონკრეტული ადამიანი, რომელსაც არ შეხებოდა. რა არის საქართველო, კაცმა რომ თქვას? თუკი შევეცდებით ვთქვათ, როგორც იდეა, ეს უნდა არსებობდეს ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანამდე, მათ შორის არსებულ უხილავ სივრცეში. ამასთან დროითი კატეგორიაცაა – არსებობდა წარსულში, უნდა არსებობდეს ახლაც და უნდა იქნეს მომავალშიც.

როდესაც ჩვენ თვით ყველაზე უმნიშვნელო ურთიერთობაში შევდივართ სხვადასხვა ადამიანთან – და ჩვენი ცხოვრება ხომ სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობებისგან შედგება – და ის, რაც ამ ურთიერთობებში შთაიღვრება, საერთოდ არაა შეხებაში რაღაც სამყაროსთვის მნიშვნელოვანთან, რასაც მაგალითად, მე-19 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი იოჰან გოტლიბ ფიხტე „სამყაროს მორალურ წესრიგს“ უწოდებდა, რაც არ მომდინარეობს „სულის უკვდავების იდეიდან“, როგორც ამას მერაბ კოსტავა წერდა თავის წიგნში საქართველოს მისიაზე, რაც არ ითვალისწინებს სულს, რომელსაც ვაჟა-ფშაველას თქმით, მატერია „ვერ მოკლავს, ვერ დააბერებს, ტანს ვერ შეუცვლის საროსა“, რაც არ არის შედეგი ჭეშმარიტი ადამიანური ღირსების იმ გააზრებისა, როგორც ილიას ესმოდა, მაშინ სოციალური თანამყოფობა სრულ ნგრევას და კორუმპირებას განიცდის, მაშინ ადამიანები ნებით თუ უნებლიეთ კატასტროფულ მოვლენებს უწყობენ ხელს, დაღმავლობა, დაცემა და გახრწნა კი არ მცირდება, არამედ ახალი ძალით იკრებს ღონეს.

ამიტომაც ასეთ სისტემაში ადამიანი ფაქტობრივად აღარ განიხილება მეორე ადამიანის მიერ როგორც უდიდესი საიდუმლო და განუმეორებელი მიკროკოსმოსი, არამედ როგორც სრულიად გახსნილი, საკმაოდ ბანალურად დაპროგრამებული ბიოერთეული. ამიტომაც არ არის არც საქართველო – იგი რჩება მხოლოდ ისტორიის შედარებით ობიექტურად დაწერილ ან გაყალბებულ წიგნებში, მუზეუმებში, არქეოლოგიურ ძეგლებზე, ხელოვნების ნაწარმოებებში, მაგრამ არა რეალობაში. ამიტომაც არ მთავრდება სიძულვილის, შურის, ერთმანეთის ჩაძირვის, მოტყუების, „გადაგდე-

ბის“, კლანურობის, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა პროცესის იმიტირების და არანამდვილობის უწყვეტი ჯაჭვი. ვერ გაიგონებ ტელეეკრანიდან ერთ გულწრფელ და იმავდროულად გონიერ სიტყვას – ისმენ მხოლოდ დემაგოგიას ანდა ოხუნჯობას, ღლაბუცს, დაუსრულებელ სიცილ-ხარხარს, ვერ წაიკითხავ ერთ წესიერ წიგნს, ვერ მოისმენ ნორმალურ მუსიკას, ვერ ნახავ აზრიან სპექტაკლს, არ მცირდება ქვეყნის დატოვების მსურველთა რიცხვი, ასევე არ ჩანს იმ უფსკრულის ძირი, რომელშიც ქვეყანა მიექანება.

ამიტომაც სოციუმის გაჯანსაღება ადამიანსა და ადამიანს შორის იწყება და არა იქიდან, რას იტყვის ესა თუ ის რელიგიური თუ საერო ავტორიტეტი ან რა დირექტივა მოდის ვაშინგტონიდან თუ კრემლიდან. ამ ყოველივეს გაცნობიერების შემდეგ მივხვდებით, რომ საქართველოს უდიდესი მეფის, დავითის ზედწოდება „აღმაშენებელი“ თურმე სახელმწიფოს მასშტაბებით მოქმედ პრარაბს კი არ ნიშნავს, არამედ სულით და ჭეშმარიტებით ადამიანის მანუგეშებელს, გამაძლიერებელს, შემმართებელს – თავისი სახარებისეული სემანტიკით „სიყვარული აღაშენებს“; რომელიც ასე გაძლიერებული მიდის მეორე ადამიანთან და ზოგადად სოციუმთან. ასეთი ცნობიერებით განმტკიცებულ სოციუმს კი უკვე ვეღარაფერი დაამარცხებს.

1. 11. 2014

დღევანდელი რუსეთის თემები

ვლადიმერ სოლოვიოვის გუშინდელი თოქშოუ „საკვირაო საღამო“ ერთ-ერთ რუსულ არხზე, ერთი მხრივ, დიდად არ განსხვავდებოდა სხვა თოქშოუებისგან, რომლებიც ანალოგიურ თემატიკას ეძღვნება: უახლესი ისტორია, სსრკ-ს დაშლა, რუსეთის დღევანდელი პოზიცია უკრაინის მოვლენებთან და ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ ევროპასთან. მეორე მხრივ, ერთი ტენდენცია იყო საცნაური – რუსული სახელმწიფოს რეზონი დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების პირობებში და ამ რეზონის გამომხატველი რიტორიკა სულ უფრო მეტად აგრესიული და რადიკალური ხდება.

თითქმის პარადოქსია, რომ თოქშოუს წამყვან ამ ჟურნალისტს ვლადიმერ სოლოვიოვი ჰქვია, ანუ აქვს სახელი და გვარი, რომელსაც ატარებდა რუსული ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრის კორიფე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ვინც იმავდროულად იყო ისტორიასა და ცხოვრებაზე ფხიზელი, მახვილგონიერი დამკვირვებელი. ეს გახლდათ ფართო ჰორიზონტის მოაზროვნე, რომელმაც ერთ-ერთ ლექსში თავის ქვეყანას რიტორიკული შეკითხვა დაუსვა: რა აღმოსავლეთს გსურს მიეკუთვნო – ქსერქსეს თუ ქრისტეს შენ აღმოსავლეთს?

თანამედროვე რუსეთმა, როგორც ჩანს, ორიგინალურად გადაჭრა ეს დილემა: იგი აპირებს ერთსაც მიეკუთვნოს და მეორესაც: „მესამე რომის“ ანუ მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრის, მისი პოლიტიკური საყრდენის პოზიცია შეინარჩუნოს და ამასთან ერთად გააგრძელოს და განავითაროს „ევრაზიული“ ორიენტაცია, რომელიც გეოპოლიტიკურ დეფინიციასთან ერთად ეყრდნობა კო-

ლექტიური საწყისის პრევალირებას პიროვნულსა და ინდივიდუალურთან მიმართებით, იდეოლოგ დუგინის მიხედვით, გამოხატულს ისეთი ტერმინებით, როგორიცაა მართლმადიდებლური Sobornost არაბულ-ისლამური umma, ხოლო სახელმწიფოს მართვას რაც შეეხება, ამ კონცეფციის განხორციელება გულისხმობს ავტორიტარიზმს. თუ როგორი შეიძლება იყოს ეს ავტორიტარიზმი, ამის გათვალსაჩინოება შეიძლებოდა არამარტო პუტინის დღევანდელი სისტემის მაგალითით, არამედ მისი საბჭოელი წინამორბედებითაც.

ამგვარი მიდგომისთვის დამახასიათებელია ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის ან მოღალატეებად გამოცხადება, რომლებიც გარიგებაში იყვნენ იმპერიის დამანგრეველ ძალასთან, ანუ ამ შემთხვევაში დასავლეთთან, ან ისეთ ბნელ ფიგურებად, რომელთაც სისუსტე და სიმხდალე გამოიჩინეს, დანებდნენ რა მტერს. ერთ-ერთმა ორატორმა გუშინდელ თოქშოუში ეს კიდეც აღნიშნა. ვინღა რჩება? რჩებიან ლენინი, სტალინი და ბრეჟნევი. სტალინის პიროვნების კულტში მართლაც იყო რაღაც ქსერქსეული, ფილოსოფოს სოლოვიოვს თუკი დავესესხებით. ეს, ცხადია, მის პიროვნულ სიძლიერეზე და გონებრივ შესაძლებლობებზე ხაზის გადასმას სულაც არ ნიშნავს. მიხეილ შოლოხოვი, ყველაზე მეტად დაფასებული საბჭოთა მწერალი, რომელიც სტალინს ბევრჯერაა შენახვედრი პირადად, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში პასუხობდა: „დიახ, იყო პიროვნების კულტი, ოღონდ იყო პიროვნებაც“.

ახალი თემატიკა იყო ბერლინის კედლის დაცემის და გერმანიის გაერთიანების ნეგატიურ მოვლენად წარმოჩენა. „ჩვენ, როგორც გამარჯვებულ ქვეყანას, სრული უფლება გვქონდა, დამარცხებული ქვეყანა გაყოფილ მდგომარეობაში დაგვეტოვებინა“ – ვიღაცამ

ასეთი აზრიც გაახმოვანა. ისე გამოვიდა, რომ მაიდანი და უკრაინის კრიზისი პირდაპირი შედეგია გერმანიის გაერთიანებისა. როგორც ჩანს, ასეთია მოსაზრება გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც მეინსტრიმულობისკენ დიდი ხანია მიისწრაფვის და ძველი პანსლავიზმისა და ახალი ევრაზიზმის რაღაცნაირი სიმბიოზისგან იშვა. და რაც უნდა აბალანსოს შექმნილი ვითარება და იდიპლომატოს ქალბატონმა მერკელმა, იგი მათ გულს მაინც ვერ მოიგებს. პუტინის განცხადება, რომ სსრკ-ს დაშლა უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, ამით განსაკუთრებულად სიმპტომატური და ნიშანდობლივი ხდება.

პუბლიცისტი ალექსეი შიროპაევი დოსტოევსკიზე მსჯელობისას დასძენს, რომ მას არ სურდა დაეჯერებინა, თითქოს ბოროტება რუსეთში, იქნება ეს სოციალურ თუ პოლიტიკურ პლანში, გარედან არ მოდის, არამედ თვით ამ ქვეყანაშივეა საგულვებელი. დაახლოებით ასევე მსჯელობენ ისინი, ვინც დღეს პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ამინდს ქმნიან. აქედანაა მისწრაფება რაღაცისგან გამიჯვნისა და იზოლაციონიზმისკენ – რის მიღმაც, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთი იგულისხმება. რუსეთს თავისი ლატენტური „ჩუჩხეს“ თეორია გააჩნია – ცხადია, ჩრდილოკორეულისგან განსხვავებით უფრო რბილი. ბოლშევიზმმა საგრძნობლად დააზარალა რუსი ერი, რომლის აღმნიშვნელადაც ვარჩევდი ტერმინ Rossiane-ს – ანუ „რუსეთელი“, რაც მარჯვედ მოფიქრებული ტერმინია, თუმცა ქართულად მაინცადამაინც ვერ ულერს. ეს ერი დღემდე ვერ გამოსულა ამ შოკიდან, სადაც შებრუნებას აშკარად უპირებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთში უკანასკნელ ორ საუკუნეში არაერთი მსოფლიო მიღწევა აღინიშნა

როგორც სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში, ისე კულტურაში, საიდანაც უნდა გამოიყოს განსაკუთრებით ლიტერატურა, ნეორომანტიკული და პოსტრომანტიკული ჟანრის კლასიკური მუსიკა, ბალეტი, თეატრი, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, საკმაოდ განვითარებული ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებები. აღნიშვნის ღირსია ასევე მთარგმნელობითი კარტელი, რომელიც მსოფლიოს ლამის ყველა ენიდან თარგმნის და არამარტო მხატვრულ ლიტერატურას. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ერსა და სახელმწიფოზე მეტად კონკრეტული ინდივიდების დამსახურებაა, რომლებიც რუსული ნიადაგიდან მსოფლიო თვალსაწიერს წვდებიან.

10. 11. 2014

რუსული პოლიტიკური აზრის მაკიაველი

აი კიდევ ერთი: მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა" გადმოცემულია იმდროინდელი რუსული პოლიტიკის ერთი მაქსიმა, რომ ყველგან, სადაც რუსი ჯარისკაცის სისხლი დაღვრილა, რუსეთის მიწაა. საიდან იღებს სათავეს ასეთი მიდგომა? არსებობს კი პოლიტიკური შინაარსის წიგნი, თხზულება ან ტრაქტატი რუსულ სინამდვილეში, რომელიც პირდაპირ გადმოსცემდა რუსული სახელმწიფოებრიობის განვითარების ან განვრცობის გეგმას და დაასაბუთებდა მას თავის მიზანდასახულებაში?

ევროპაში მე-19 საუკუნეში ცნობილი გახდა ფსევდოეპიგრაფი „პეტრე დიდის ანდერძი". იგი არასოდეს დაუწერია რუსეთის ყველაზე ცნობილ რეფორმატორ მეფეს, რომელმაც ამ ქვეყნის ევროპიზაციის კურსს

დაუდო სათავე, რაც მის შიდა მოწყობას და სხვადასხვა რეფორმებს შეეხება. ეს მცირე ზომის თხზულება, სპეციალისტთა აზრით, ჩაწერილია ვარშავის ციხეში დაპატიმრებული პოლონელი ლეგიონერის, ვინმე სოკოლნიცკის მიერ. მასში საუბარია რუსეთის იმპერიის განვრცობაზე სამხრეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით.

სამაგიეროდ, რუსული სახელმწიფოს პრიორიტეტებზე ფიქრობდნენ და წერდნენ ის ადამიანებიც, ვინც ევროპული იდეების გავლენით კონსტიტუციისა და აბსოლუტიზმის შეზღუდვისთვის იბრძოდნენ – დეკაბრისტები. ისინი დემოკრატების და მედასავლეთეების სახელით არიან შესულნი ისტორიაში, თუმცა მათი ნააზრევი გვაფიქრებინებს, რომ ისინი დასავლური კულტურიდან და მეცნიერებიდან ათვისებულ ცნებებით სწორედ რუსული იმპერიის განვითარებისა და განვრცობის კონცეფციას ჩამოქნიან. მათ შორის გამორჩეული სახეა პოლკოვნიკი პაველ პესტელი, გერმანულ-ლუთერანულ ოჯახში აღზრდილი, ვინც განათლება დრეზდენში მიიღო. მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ რუსული დიდმპყრობელურ-პოლიტიკური აზრის მაკიაველი. პარადოქსია, რომ ეს ადამიანი სიკვდილით დასაჯეს, ჩამოახრჩვეს, როგორც პოლიტიკური მტერი, მაგრამ მისი ნააზრევი მაინც მნიშვნელოვნებას ინარჩუნებს დღეს რუსული პოლიტიკური აზროვნების გაგებისთვის.

პესტელის მტკიცებით, იმისთვის, რათა დავადგინოთ საზღვრები, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმ მოსაზრებით, რომ თვითგამორკვევის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ ერებს, რომელთაც დამოუკიდებელი პოლიტიკით სარგებლობა შეუძლიათ, ხოლო კეთილმოწყობის უფლება უნდა სძლევდეს თვითგამორკვევის უფლებას იმ ერებისთვის, რომელთაც პოლიტიკური დამოუკიდებ-

ლობით სარგებლობა არ შეუძლიათ და მონაცვლეობით სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოს ხელქვეითნი არიან.

ამ ნაწილში პესტელი, ცხადია, გულისხმობს ოსმალეთის იმპერიისა და ირანის გავლენებს კავკასიის რეგიონზე. პესტელისთვის ცხადია, რომ თუ რუსეთი თავის გავლენას ამ რეგიონში არ განავრცობს, ეს მისთვის ავტომატურად ნიშნავს მისი კონკურენტების დომინაციას აქ. ნიკოლოზ პირველის ეპოქაში, როდესაც მსახურობდა პესტელი, რუსეთის იმპერიის უმთავრესი პრობლემა მის სამხრეთ ფლანგზე კავკასიის მთიელები იყვნენ. რუსეთი კაზაკების სტანიცებს და ციხესიმაგრეებს ინტენსიურად აშენებდა მანდ, შესაბამისად ავიწროებდა მთიელებს. ერთ-ერთი ასეთი ციხესიმაგრე, აშენებული ერმოლოვის მიერ, კიდეც იყო გროზნო, შემდგომში ჩეჩნეთ-ინგუშეთის დედაქალაქი. ჩვენი ყველა მცდელობა, კავკასიის მთიელები მშვიდობიან და კეთილ მეზობლებად გვექცია, ფუჭი გამოდგა – აღნიშნავს პესტელი. ამიტომ ვიდრე მთიელები მთლიანად არ იქნებიან დამორჩილებულნი, მშვიდობა არ იქნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ, წერს პესტელი, ყოვლად შეუძლებელია დაიმორჩილო კავკასიის ველური მთიელი ერები მანამ, სანამ მათ ანაპაში ან ნებისმიერ ზღვისპირა პორტში გასასვლელი ექნებათ. შედეგიც დღეს აშკარაა – ჩერქეზები შავიზღვისპირეთში აღარ ცხოვრობენ.

პესტელი ერებს ყოფს ორ ნაწილად: მათ, რომელთაც შეუძლიათ პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობა, და მათ, რომელთაც ამ თავისუფლებით სარგებლობა არ შეუძლიათ. ის ამტკიცებს, რომ რუსეთმა, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობა, ეს ქვეყნები სამუდამოდ უნდა შეიყვანოს თავის შემადგენლობაში. ასეთი რატომღაც რუსეთის სამეზობლოში მცხოვრები ყველა ერი გამოდგა, მათ შორის პოლონელები, ფინელები, ქართველები. თავისი

კონსტიტუციის მეორე თავში პესტელი ავითარებს და აკონკრეტებს შოვინისტურ მოსაზრებებს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მეორე თავის მეოთხე პარაგრაფი – „რუსეთის მიერ შემოერთებული ტომების შესახებ“, სადაც მათ ათი თანრიგის მიხედვით ყოფს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს. რაც შეეხება კავკასიელ ერებს, პესტელი წერს, რომ ყველა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან აღმსარებლობით, ენით, ადათ-ნესებით, მმართველობის მეთოდებით, მაგრამ თავიანთი ველური და დაუოკებელი ბუნებით ყველანი ერთმანეთს ჰგვანან.

მიწები, რომლებზეც ისინი ცხოვრობენ, ძველთაგანვე ცნობილია როგორც ღვთივკურთხეული მხარე, მაგრამ ახლა ეს მიწები გაუდაბურებულია და არავითარი სარგებელი მათგან არ არის, რადგან მათ ნახევრად ველური ადამიანები ფლობენ. როგორც ჩანს, პესტელის ნააზრევიდან იღებდა თავის ინსპირაციას ალექსანდრ გრიბოედოვიც, რომელიც ხშირად საუბრობდა საქართველოს ათვისებასა და კოლონიზაციაზე, იქ კაზაკების ჩამოსახლებაზე.

ამ გეგმის პირდაპირი შედეგია რუსული იმპერიის მაღალჩინოსანთა მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური აჭრელება, რასაც შეუძლებელი უნდა გაეხადა სახელმწიფოებრიობა. გადმოცემით ვიცი, რომ სწორედ ეს გეგმა და მისი შედეგები იყო თემატიზებული კონსტანტინე გამსახურდიას წერილში, რომელიც მან 1973 წელს მისწერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ახალდანიშნულ ედუარდ შევარდნაძეს. იქვე ნახსენები იყო ქართული თავადაზნაურობის ის სერვილიზმი, რასაც ისინი გრიბოედოვის, როგორც იმპერიის და სამეფო კარის წარმოგზავნილის, მიმართ იჩენდნენ.

12. 11. 2014

მთვარის შუქის პირმშონი

გამოვიდა პუბლიცისტის, მწერლის, კრიტიკოსის როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანი „დევების სტუმარი“ (როსტომი 16 ბიოგრაფიული რომანის ავტორია). წიგნში თემატიზებულია ცხოვრება და შემოქმედება ვაჟა-ფშაველასი, რომლის სახეშიც ქართული სიტყვის გენიის გარდა ზოგადად სინდისია აკუმულირებული. სინდისი, ცხადი, ზოგადკაცობრიული და ზეეროვნული კატეგორიაა, მაგრამ როგორც სხივი სპექტრში, ისევე შეიძლება სინდისი გადატყდეს ამა თუ იმ ერის პრიზმაში. ამგვარად, გარდატეხილი ვაჟასთან, იგი თავისი სისრულით ვლინდება ქართულ მოდგმაში. წიგნი კარგი გაგრძელებაა პროფესორ გრიგოლ კიკნაძის, გიგი ხორნაულის და ზაურ წაქაძის მიერ დაწყებული მსოფლმხედველობრივი და მხატვრულ-დოკუმენტური ბიოგრაფიული კვლევებისა.

წიგნის 685 გვერდზე აღდგენილია ვაჟას, როგორც პოეტისა და ადამიანის პორტრეტი მე-19 საუკუნის სოციო-კულტურული ვითარების ფონზე. ბიოგრაფიული მომენტები, ადამიანური ურთიერთობები გადადიან შემოქმედებაში, მისი თითქოსდა არქეტიპული გმირების დახასიათებებში, მათ საქმეებში, განცდებსა და დისკურსში.

რუსთაველის გმირები: თითქოს ქართული იმპერიის დიდი შუადღის პირმშონი, ხმლით ხელში რომ იბრძვიან საქვეყნო ბედნიერებისთვის და მას აღწევენ.

ვაჟას გმირები: თითქოსდა შუაღამისას მთვარის შუქზე ამოსულნი დიდი ეროვნული ქვეცნობიერიდან; როგორც ანტიკური ტრაგედიების გმირნი, ოღონდ გარდასახულნი ახლებურად ამ ეპოქაში. და რა განვლიან კათარზისის ბჭეს, შესაძლოა ერთხელ მოუნდეთ „მობრუნება თავისა“.

როსტომ ჩხეიძე მარჯვედ ასრულებს თავის წიგნს ამ სიტყვებით.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ასევე ვაჟას რეცეფციას ქართულ სინამდვილეში, დაწყებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი პროცესიდან, დასრულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებამდე. წიგნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მის უპირობო ლიდერს და შემდგომში პრეზიდენტსაც შეეხება – ყველას გაახსენდება ზვიად გამსახურდიას მიერ ციტირებული ვაჟა: „რაც უნდა ჭირი მამკერძოთ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა. რწმენას ვერ შემაცვლევინებთ მოძალებულის ავითა“.

სწორედ ვაჟასეული მუხტის ამ ჩართვაზე პოლიტიკურ თემატიკაში პრეზიდენტის მიერ წერს ოთარ ჩხეიძე თავის „არტისტულ გადატრიალებაში“: „ვაჟას მოიშველიებდა... ვაჟათი დაამთავრებდა. გამოაცოცხლებდა სახეებსა ახალახალსა, მივიწყებულთა. იტყოდი: ვაჟასთან გაუთენებიაო“.

მახსენდება ის დიადი დღეები. ვაჟას ლექსი, ციტირებული ზვიად გამსახურდიას მიერ, იყო თითქოსდა მანტრა ძალთა მობილიზებისთვის იმ გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რომელსაც ერქვა და დღესაც ჰქვია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და მისი სახელმწიფოებრიობისთვის.

თუმცა წიგნში შეიძლებოდა მოხსენიება ვახტანგ რაზიკაშვილისადმი მიძღვნილი ლექსისა ზვიად გამსახურდიას პოეტური კრებულიდან „მთვარის ნიშნობა“, რომელსაც ავტორი ასეთის ტკივილიანი სტრიქონებით ასრულებს: „მამულის გლოვა და ტირილი ხარ, თავად ვაჟა ხარ გაქვავებული“.

წიგნის სათაური „დევების სტუმარი“ მიანიშნებს ვაჟასეულ ბუნების აღქმაზე, რომელიც კაცობრიობის ძველი ჭვრეტითი უნარებიდან მომდინარეობს. ვაჟა

მოჰიკანია ამ ჭვრეტისა. არქაული ადამიანისთვის სამყარო და ბუნება საკვირველი იყო სხვადასხვა სულებითა და არსებებით. კოპერნიკისეულმა რევოლუციამ მეცნიერებაში ეს სურათი რადიკალურად შეცვალა: პლანეტები და ვარსკვლავები ცაში გრავიტაციის ძალით მოძრავი სხვადასხვა ქიმიური ელემენტებისგან შენივთული ბურთებია, ბუნება კი სხვადასხვა ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების შედეგი, მეტი არაფერი.

„დევების ქორწილი“ ბუნების აპოთეოზია თავისი დიდებულებით და გრანდიოზულობით, იგი მყინვარწვერის სიდიადეა, ზვავის გრიალია, არაგვის ჩქეფაა, ჯიხვის ნახტომია, ნამქერია და გრიგალი. მაგრამ ადამიანის ადგილი არ არის მასში, თუ თავად ადამიანმა არ დაამკვიდრა საკუთარი თავი მის საუფლოში. ბუნება თავის დემონურ გამოვლინებაში უარყოფს ადამიანს და ამიტომაც დის კაცის თავ-ფეხი დევთა სუფრაზე. ვაჟას ანთროპოცენტრიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის ბუნება უადამიანოდ მაინც ჯოჯოხეთისეულ ელფერს იღებს, ამიტომაც მან ადამიანის თვითმყოფადი ინდივიდუალობა დასვა ბუნების ტახტზე, როგორც გვირგვინი შესაქმისა და ამით ღვთაებრივი შემოქმედის ნება აღასრულა. უსმელ-უჭმელი გაძღომა კი ბუნების მშვენიერებით ტკბობასთან ერთად ნიშნავს არა ბუნების განადგურებას – რაც ადამიანს ნამდვილად ხელეწიფების, არამედ ბრძოლას ბუნების განსულიერებისთვის, ძალისხმევას საყოველთაო ხსნის პროცესში ყოველი არსის გადარჩენისთვის. აქ მისი კონცეფცია საკმაოდ ენათესავება შელინგისა და ვლადიმერ სოლოვიოვის ქრისტიანულ მოძღვრებას.

ადრე ვწერდი, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ვედრება“ ჭეშმარიტი ადამიანობის კრედოა. მისთვის შეიძლება გვეწოდებინა Ecce homo – „აი ადამიანი“. თავის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ განზომილებაში იგი

შეეხება შესაქმის გვირგვინს, ღვთის ხატად შექმნილ ინდივიდუალობას, ჭეშმარიტების მეცნეს და იმავე ჭეშმარიტებისაგან განთავისუფლებულს, ამგვარად სუვერენულად-ქმნილს თავის აზრში, სიტყვასა და ქმედებაში. ძნელია წარმოიდგინო უფრო დიადი ჰიმნილოცვა:

გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.

მოკლედ: „დევების სტუმარი“ როსტომ ჩხეიძისა არის უკანასკნელ ხანებში გამოცემული ის წიგნი, რომლის წაკითხვაც ნამდვილად ღირს. იგი კარგი შენაძენია ქართველი მკითხველისთვის.

19. 11. 2014

„ჯინსების თაობა“

ამას წინათ გამახსენდა სტატია, რომელიც 1983 წელს დაბეჭდა ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარო“ – მას ერქვა „სისხლიანი ქორწილი სტალინის სამშობლოში“. ახლახან, 18 ნოემბერს შესრულდა 31 წელი იმ დღიდან, როდესაც ახალგაზრდების ჯგუფმა თბილისში თვითმფრინავი გაიტაცა საბჭოთა კავშირის საჰაერო საზღვრის გადაკვეთის მიზნით. ეს მცდელობა სისხლიანი ანგარიშსწორებებით დასრულდა ჯერ თვითმფრინავში, შემდეგ კი სასიკვდილო განაჩენების გამოტანით და მათი აღსრულებით ერთი წლის შემდეგ. საზოგადოებაში დღემდე არ ცხრება პოლემიკა ამ თემაზე. ამ ბიჭებს შორის ერთ-ერთი – გეგა კობახიძე – ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, ხოლო სოსო წერეთელს, როგორც უფროსკლასელს, კარგად ვიცნობდი სკოლიდან.

ტერმინი „ჯინსების თაობა“ შესაძლოა დამაინტრიგებლად ჟღერდეს, მაგრამ იგი მაინც ვერ ასახავს იმ თაობას და მის მისწრაფებებს, ვინც ამის მიღმა იგულისხმება. ჯინსები უბრალოდ ყველას ეცვა, ვისაც 200 ან 300 მანეთად მათი ყიდვის შესაძლებლობა ჰქონდა გადამყიდველთან. მათ შორის ბევრი იყო ისეთიც, ვისაც თავში აზრადაც არ მოუვიდოდა არც ეკლესიაში სიარული, არც ბიბლიის კითხვა, ასევე არც დისიდენტური და ანტისაბჭოთა იდეების გაზიარება. ასეთნი არც ამერიკასა ან ევროპაში ემიგრაციაზე იფიქრებდნენ.

ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, არა ჯინსების, არამედ სსრკ-ში აკრძალული ქართული, რუსული და ევროპული წიგნების თაობა, ასევე თანამედროვე მუსიკის აქტიური მსმენელი, სახლებში დადგმულ ვიდეოინსტალაციებში თანამედროვე ფილმების მაყურებელი, ეკლესიაში ახლადაღსაყდრებული პატრიარქის ფაქტორის გამო

აქტიურად მოსიარულე და იმავდროულად ინდური, ჩინური, სუფისტური, მექსიკური თუ სხვა ეზოტერული პრაქტიკებით გატაცებული ექსტრავაგანტების, როგორც ქართველი, ისე სხვა საბჭოთა დისიდენტების თაყვანისმცემელი თაობა.

საბჭოთა საქართველოს დატოვების მცდელობა მათ მიერ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგებია: ეს ახალგაზრდები, პირველ ყოვლისა ვგულისხმობ სოსო წერეთელს და ივერიელებს, სასტიკად აკრიტიკებდნენ საკუთარ მშობლებს კომუნისტური საქართველოს მაშინდელ პარტიულ ნომენკლატურასთან ახლო კავშირების გამო. ისინი ასევე მიიჩნევდნენ, რომ ქვეყანაში ბრძოლის და წინააღმდეგობის ყველა რესურსი ამოწურულია. ხშირად ისმის კითხვა: „კი მაგრამ წასულიყვნენ ტურისტულად, ვინ უშლიდათ. მე შენ გეტყვი, შესაძლებლობები არ ექნებოდათ“.

ვინც ამას ამბობს, საერთოდ არ იცის საბჭოთა კავშირის და „რკინის ფარდის“ ეპოქის სპეციფიკა: თვით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც კი მხოლოდ სრულიად შემოწმებულ ადამიანებს უშვებდნენ, შემმოწმებელი და დასტურის მიმცემი კი იყო KGB, სსრკ-ს სპეცსამსახური და საიდუმლო პოლიცია, რომელიც აჩრდილივით დაყვებოდა მათი გაგებით ყველა „საეჭვო“ ადამიანს. მასზე აუცილებლად დგებოდა საგანგებო დოსიე. კაპიტალისტურ დასავლეთში გაშვება კი მართლაც ურთულესი იყო. ამ ბიჭებს, რომლებიც თავიანთ პოზიციას ხშირად აშკარად და მკვეთრად გამოხატავდნენ საზოგადოებაში, ლეგალურად წასვლის შანსი არ ჰქონდათ. ცნობილი და პრივილეგირებული ოჯახის შვილობა ამ საქმეს არ შველოდა.

მიუხედავად ამისა, ასეთი სიტუაციის გამო თვითმფრინავის გატაცების მცდელობას გამართლება არა

აქვს – რადგან არ უნდა გაამართლო ისეთი რამ, რაც შორიდან კარგად გეჩვენება, მაგრამ თუკი პირადად შენ ან შენს ახლობელს შეეხება, მაშინვე ნეგატიური მოვლენა და ბოროტმოქმედება გახდება. ეს მცდელობა არც რაციონალურია და არც ზნეობრივი. ძალადობრივი მეთოდებით მორალური მიზნები არასოდეს მიიღწევა. ხოლო საბჭოთა დისიდენტებს არასოდეს გამოუყენებიათ ძალადობრივი მეთოდები. ისინი პირიქით, კანონის ფარგლებში ცდილობდნენ ხოლმე დარჩენას.

თუკი დავუშვებთ, რომ თვითმფრინავი ერთი წვეთი სისხლის დაღვრის გარეშე დაჯდებოდა საზღვარგარეთის რომელიმე აეროპორტში, შესაძლოა იქაურ ინსტანციებს ტერორიზმის ბრალდება უფრო მსუბუქ ფორმებში წაეყენებინათ მათთვის – პატიმრობას, ცხადია, ვერ აცდებოდნენ. მაგრამ მსხვერპლმა ჯერ კიდევ ცაში მყოფ თვითმფრინავში, შემდგომ კი თბილისში დაჯდომის შემდეგ სურათი შეცვალა.

ამ ამბავს მეორე მხარეც აქვს – მხედველობაში თუ არ მივიღებთ დასახული მიზნის მიღწევის არარაციონალურ და არაზნეობრივ გზებს, ასევე ნეგატიურ შედეგებს – აქ ვგულისხმობ მსხვერპლს ყველა მხრიდან, ასევე ცოცხლად გადარჩენილთა უმძიმეს ფსიქიკურ ტრავმებს – ამ აქციამ მართლაც შეარყია ანდროპოვის პერიოდის კომუნისტური საქართველოს ჭაობი. მან უამრავი ადამიანი ჩააფიქრა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ეს ახალგაზრდები მსხვერპლნი იყვნენ იმით, რომ საკუთარ ქრისტიანულ მრწამსთან შეუსაბამო გეგმები დასახეს. მათ შესაძლოა ეს გეგმა ისეთმა ვინმემ მიაწოდა, ვისაც სწორედ ეს უმძიმესი შედეგი აინტერესებდა. და მსხვერპლნი იყვნენ იმ საშინელი შედეგითაც, რაც დადგა.

სხვათა შორის, სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ ჩემი პირით შეუთვალა გეგას დედას, ნათელა მაჭავარიანს, მისთვის მიეცა ყველა საბუთი ამ საქმეზე. იგი პირობას იძლეოდა, რომ ყველა უცხოური არხის საშუალებით ამ ამბავს გაიტანდა საზღვარგარეთ. ქალბატონმა ნათელამ ამაზე უარი განაცხადა, თან მოიბოდიშა, ხელმოწერები გროვდება, დიდი იმედები გვაქვს, რომ განაჩენი შეიცვლება და ასეთმა მოქმედებამ იქნებ საქმე გააფუჭოსო.

ცხადია, დახვრეტის განაჩენის გამოტანა მორალურად არამართლზომიერი იყო, მეტადრე მღვდელი თეოდორეს ფაქტორის გათვალისწინებით, რომელსაც ამ ქმედებებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. ამის შემდეგ შეიკრიბა ხელმოწერები და მძიმე სანახავი იყო, როდესაც ზოგიერთმა ხელმომწერმა თავისი ხელმოწერა KGB-ს მხრიდან ზემოქმედების გამო უკანვე წაიღო. ისმის ასევე კითხვა: შეეძლო კი შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს, მათთვის თავიდან აერიდებინა დახვრეტის განაჩენი? სულ ცოტა, მას შეეძლო განაჩენის აღსრულების გაწელვა. მათი დახვრეტიდან სულ რამდენიმე თვეში ანდროპოვი გარდაიცვალა, ანუ პოტენციურად სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ყველაზე დიდი ლობისტი კრემლში. გზა „პერესტროიკისკენ“ ფაქტობრივად უკვე გახსნილი იყო.

21. 11. 2014

სვეტიცხოვლის მშენებლობის ისტორიული ფონი

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939), რომლის პოლიტიკური ფონია საქართველოს გაერთიანების პროცესი, ასევე კონფლიქტი ბიზანტიის იმპერიასთან, მელქისედეკ კათალიკოსი და მისი სამღვდელოება ელინოფილური, პრობიზანტიური განწყობებით გამოირჩევიან. მათ საპირისპიროდ მეფე გიორგი პირველი, გაერთიანებული საქართველოს ფაქტობრივად მეორე მმართველი, ვერ ურიგდება იმ ქართული მიწების მიტაცებას ბიზანტიელთა მხრიდან, მიწებისა, რომელიც ქართულ სამეფოს კონსტანტინოპოლმა თორნიკე ერისთავის წარმატებული სამხედრო მისიის შემდეგ გადასცა.

ამის შესახებ ისტორიკოსი სიმონ მასხარაშვილი წერს: „სვეტიცხოვლის სამშენებლო ხარჯები მთლიანად თავისთავზე აიღო ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მეორემ და მისმა ძმამ კონსტანტინემ. მათ სვეტიცხოველს კესტორიის მონასტერი და ას ხუთი სოფელი შესწირეს. იმპერატორთა სახსრებით სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის აღმართვა სვეტიცხოვლის სიწმიდის კიდევ ერთი დასტური იყო. თუმცა ამ ფაქტმა მრავალ ქართველს ელინოფილური „გრძნობები“ გაუღვივა. ბიზანტიის ერთმორწმუნე იმპერატორები თან სვეტიცხოვლის მშენებლობას აფინანსებდნენ და თან ქართულ მიწებსაც ისაკუთრებდნენ. მიიტაცეს სპერი, ბასიანი, იმიერ ტაო, თვალი ეჭირათ ამიერ ტაოზეც და სრულიად საქართველოზეც“.

კათალიკოსმა მელქისედეკმა და მეფე გიორგიმ ხუროთმოძღვარ არსუკიძეს მიანდეს აეშენებინა სვეტიცხოველი, რომელიც დააგვირგვინებდა არტანუჯელი

ბაგრატოვნების და აფხაზი ლეონიდების მესვეურობით გაერთიანებულ ქართულ-აფხაზური სამეფოს რელიგიურ-პოლიტიკურ სიმბოლიკას – უკვე აშენებულ ბაგრატის და ალავერდის კათედრალებს გვერდში ამოუდგებოდა სვეტიცხოველი, როგორც ქრისტიანობის უმთავრესი სიწმინდის გამომხატველი. იგი იმავდროულად ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იქნებოდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განფენილი სივრცის ერთიანობისა და მის ლეგიტიმურობას თავად მაცხოვრის კვართი უზრუნველყოფდა. როგორც უკვე აღინიშნა, სვეტიცხოვლის მშენებლობას ფინანსურად შეეწეოდნენ ბიზანტიის იმპერატორი ბასილი და მისი ძმა კონსტანტინე. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერა და გააღვივა ქვეყნის სამღვდელოებასა და არისტოკრატიაში პრობიზანტიური ტენდენციები.

პოლიტიკური კურსი, რაც გულისხმობდა წინააღმდეგობის გაწევას ბიზანტიური ექსპანსიისთვის, გიორგი პირველიდან და მისი სპასალარიდან, ზვიადიდან იღებს სათავეს, ვისი გვარის შესახებაც ორი ვერსიაა – ერთნი ფიქრობენ, რომ ბაღუაში იყო, მეორენი კი დადიან-ბედიანად მიიჩნევენ. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიზანტიელი კეისრებისთვის საქართველოს მმართველი არ იყო ცნობილი „მეფედ“, არამედ მხოლოდ დიდ თავადად. ამაზე მეტყველებს ტიტულები „ნოველისიმოსი“, „კუროპალატი“, „მაგისტროსი“. გიორგი პირველი ყოველგვარი ასეთი ტიტულის გარეშეა დარჩენილი ისტორიაში, რაც მის დამოუკიდებლობაზე მეტყველებს. გიორგი პირველის დროს ქართულ სამეფოს რამდენიმე ბრძოლის გადახდა მოუწია ბიზანტიასთან. საქრისტიანოს ერთი კეისარი უნდა ჰყოლოდა, ხოლო ყველა დიდი თავადი მას უნდა დამორჩილებოდა – ასეთი იყო ბიზანტიის, როგორც „ახალი რომის“ პრინციპი.

გიორგი პირველის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატ მეოთხე ავიდა, ბიზანტიამ გააგრძელა იგივე აგრესიული კურსი, რაც ექსპანსიასთან ერთად გულისხმობდა ქველმოქმედებასაც. სამღვდელოებისა და ფეოდალური არისტოკრატიის დიდი ნაწილი ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდა. მხოლოდ ეპისკოპოს საბა მტბევარისა და მის თანამოაზრეთა თავგანწირვამ და ძალისხმევამ გადაარჩინა ქართული სამეფო დაპყრობას. რომანის მიხედვით, მძევლად მყოფი ბაგრატი ჯერ კიდევ ბასილი კეისარმა გაათავისუფლა და გამოუშვა სამშობლოსკენ, მაგრამ ტახტზე ახალასული კონსტანტინე მოიწადინებს მისი მძევლობის გახანგრძლივებას, რის გამოც ჯარს დაადევნებს კატეპანი დოკიანის სარდლობით. ესეც საკმაოდ სიმპტომატური ამბავია. ქართველებმა დოკიანის ჯარი ტაოს საზღვართან უკუაქციეს.

ამიტომაც ათქმევინებს მწერალი გიორგი პირველს ბიზანტიელ კატეპანთან შეხვედრისას, რომ ბიზანტიელებმა ენა ძველბერძნებს მოპარეს, რჯული ებრაელებს, ბულგარელებს ცეტინიუმი, სომხებს ანისი, ბასიანის გადაღმა ქვეყნები კი ქართველებს, მაგრამ სინდისი, როგორც მათთვის სრულიად უცხო და უსარგებლო საგანი, არ დასჭირვებიათ და ამდენად არც მის მოპარვას ეცდებოდნენ.

plena exemplorum est historia „ისტორია სავსეა მაგალითებით“, წერდა ოდესღაც ციცერონი. პარადიგმა გვიჩვენებს დიდ, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ ქვეყანას, რომელსაც თავისებურად სურს რომის იმპერიის ტრადიციის გაგრძელება; მომადლიერებული ჰყავს მეზობელი ერთმორწმუნე, პატარა ქვეყნის სამღვდელოების და პოლიტიკური ელიტის სოლიდური ნა-

წილი, თან მის ტერიტორიებს იტაცებს და მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზეც უჭირავს თვალი.

P. S. აქვე დავამატებდი, რომ გარკვეული ხიფათი მაინც არის ამ ისტორიული პარადიგმის პირდაპირ გადმოტანისას დღევანდელობაში, რადგან ნათქვამია, რომ ისტორია ერთხელ შესაძლოა მოხდეს, როგორც ტრაგედია და შემდეგ განმეორდეს, როგორც ფარსი. ამის მეტს არას ვიტყვი.

28. 11. 2014

მერაბ კოსტავა საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე

მერაბ კოსტავას თეორიული ნაწერები პოლიტიკის, ისტორიისა და კულტურის თემაზე რაღაცნაირად ჩაიკარგა თვით ავტორის სიცოცხლეშივე და შემდგომ მოვლენებში, რომლებიც მის გარდაცვალებას მოყვა 1989 წლის 13 ოქტომბერს. არადა, მის ნააზრევს ეტყობა ერთი რამ – მათ უკან მთელი არსებით, მთელი თავისი სიმართლით და სინდისიერებით დგას მათი ავტორი. ეს ისაა, რაც მას უწვალია, უკითხავს, გამონწვლილვით შეუსწავლია 10-წლიან პატიმრობამდე, ლაგერში, გადასახლებასა თუ საპყრობილეში.

ვკითხულობ ამ სტრიქონებს და თითქოს ახლაც ჩამესმის მისი ფოლადისებური ხმა, რომელშიც იმავდროულად მისი საოცრად ბავშვური და იმავდროულად დიადი, წრფელი, საკაცობრიო სიმაღლეებამდე ასული მოაზროვნე გული ვლინდებოდა. ეს ამონარიდი თავისი 9 თეზისით ეხება 1918-21 წლების საქართველოს

დამოუკიდებელ რესპუბლიკას და მის ხელისუფლებას, ასევე მათ მიერ დამოუკიდებლობის ვერშენარჩუნების მიზეზებს:

„საქართველოს მთავრობა სრულ უსუსურობას იჩენდა იდეოლოგიურ-დისციპლინარული, დიპლომატიური და სახელმწიფო უშიშროებისთვის საშური ღონისძიებების გატარებისას. გაბედულობა და დამაჯერებლობა აკლდა მის ყოველ ქმედებას. არ იგრძნობოდა გამოცდილება კადრების შერჩევისას. არ იყო მჭიდრო და ორგანული პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას კავშირი ხალხთან. მის ავტორიტეტს უდავოდ აკლდა ელვარება. მის პიროვნებაში არ გამოსჭვიოდა ერთდროულად გმირი და ბრძენი, ნებისმიერ გარემოებაში უყოყმანოდ რომ მიყვება ხალხი. ახლადშექმნილ სახელმწიფოში არ იგრძნობოდა გონების დაძაბული მუშაობა, ნებელობითის ძალუმი პულსი, მიზანდასახული სწრაფვა მთელი ერისა – სახელმწიფოს შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთადერთი საწინდარი. ვის უნდა შთაებერა იმჟამად ქართველი ერისთვის დაუცხრომელი სული თუ არა საქართველოს მთავრობას.

შექმნილ ვითარებაში ბოლშევიკების გამარჯვება ამიერკავკასიაში შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა:

1. ქართველ სამოციანელთა მიერ გაღვიძებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ ვერ ჰპოვა სრული გამოხატულება პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში.

2. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა განაპირობა არა იმდენად შინაგანმა, რამდენადაც გარეგანმა ფაქტორმა. ამადაც სახელმწიფო საჭე უფრო შემთხვევითი პიროვნებების ხელში აღმოჩნდა.

3. საქართველოს მთავრობა ყველგან ეძებდა ხსნას, გარდა საკუთარი თავისა, ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების საქმეს არ განამტკიცებდა ჭეშმარიტი ინი-

ციატორისა და ეროვნული გმირის საყოველთაო ავტორიტეტი. ქვეყანას იმჟამად არ აღმოაჩნდა თავად ისტორიის მიერ განწესებული ამ საქმის ღირსეული წინამძღოლი. მოწამენი კი მრავლად დაშთნენ, რაც იშვიათი არაა დამარცხების შემთხვევაში.

4. პოლიტიკური პრაქტიკის სფეროში ბოლშევიკებს იმჟამად ჰყავდათ უფრო ძლიერი და გამოცდილი კონტინგენტი, ვიდრე სხვა პარტიებს.

5. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, სახელმწიფოებრიობა, როგორც სიკეთის ერთადერთი გეგმა ერისათვის, რჩებოდა მძლავრი იდეოლოგიური პროპაგანდის გარეშე. სტიქიურ პატრიოტული გრძნობების ამარა, მაშინ როდესაც ბოლშევიკებთან პოლიტიკური პროპაგანდის საქმე უმაღლეს დონეზე იდგა.

6. მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები საქართველოსათვის არასასურველად ვითარდებოდა.

7. ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბაიჯანელი მუსავატისტების უთანხმოებათა გამო ამიერკავკასიაში მოქმედებდნენ გამთიშველი ძალები. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ბოლშევიკებს კი მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ურთიერთთან და მათი წარმატების შესაძლებლობას კავკასიაში კიდევ უფრო აძლიერებდა რუსეთში ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვება.

8. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მოქმედების ერთიანი გეზი და მიზანი. მთავრობის შემადგენლობაში მყოფი მენშევიკები ალბათ არც კი მოისურვებდნენ საქართველოს რუსეთისგან გამოყოფას, იქ რომ მენშევიკებს გაემარჯვათ.

9. საქართველოს მთავრობას არ დაუსახავს პერსპექტივები ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული გარდაქმნისათვის, მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისთვის. არ გადადგმულა

კონკრეტული ნაბიჯები ახალი, განვითარებული სახელმწიფოს შესაქმნელად, რაიც იმთავითვე, იმ რთულ ვითარებაშიც კი აუცილებელი იყო, როგორც გარანტია დამოუკიდებლობის ღირებულების ამაღლებისა.

ხშირად საქართველოში მოსაუბრეთაგან გამიგონია როგორც წამოსროლილი სიტყვები: ქართველებს რომ დამოუკიდებლობა მოგვცა, მარტო ჩვენი მარგანეცი, ბორჯომის წყალი და კურორტები შეგვინახავდაო. ეს პარაზიტული აზრი კარგს არაფერს ამბობს მთქმელის სახელმწიფოებრივი შეგნების დონეზე. მარგანეცმა და კურორტებმა უნდა შეგვინახოს თუ თავგანწირვამ, ტიტანურმა შრომამ და მეურნის გამჭრიახობამ? ძალაუნებურად გიპყრობს ფიქრი: ნუთუ იმჟამადაც ასე აზროვნებდნენ ჩვენში? გამოდის, რომ თავისუფლების მთელი არსი გაყიდვა და გაქირავება ყოფილა, რათა შემდეგ დაჯდე და სტომაქი ამოიყორო. გამოდის, ჩვენც იმ პრიმიტიული ხალხების დონეზე ვყოფილვართ, ბუნების მიერ მორთმეულით რომ საზრდოობენ.

მაგრამ ასე არ სწირავს ჩვენი მღვდელი. ჩვენ ოდითგანვე ხალიბებად და გეორგიანებად სახელდებული პირველი მეტალურგები და სოფლის მეურნეები ვიყავით. ჩვენთვის უხსოვარი დროიდან იყო დამახასიათებელი შემოქმედებითი მიმართება გარემოსთან, რაც დღესაც ატყვია მიუდგომელი სიმაგრეებით გადაქსელილ საქართველოს მთებს, ტაძრებითა და ბაზილიკებით დამშვენებულ ხევებსა და ველ-მინდვრებს, მესხეთის გაშიშვლებულ დამრეცთა ტერრასებს, ძველქართული სოფლის მეურნეობის ამ ფანტასტიურ მოვლენას. დიახ, შემოქმედებითი და შრომითი შემართების უნარმა ოდითგან ფენიქსად აქცია მრავალგზის ფერფლიდან აღმდგარი საქართველო, მომაკვდავის სარეცლიდან კვლავ სიცოცხლისკენ გამოაბრუნა. ოცნება და იმედი სინამდვილედ უქცია.

მაგრამ საქართველოს მთავრობას, რომლის ინერტულობა გადამდებად მოქმედებდა ხალხზე, არ აღმოაჩნდა იმჟამად სახელმწიფოს შემოქმედებითად მართვის უნარი. მან ვერ გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობა ქვეყნის განახლებისა და აღშენებისათვის. განახლებას ვინღა დაეძებს, დამოუკიდებლობასაც კი ვერ გაუფრთხილდა და 1921 წელს, ბოლშევიკებმა, რუსეთის სტეპებიდან კავკასიაში შემოჭრილი მე-11 არმიის მეოხებით საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს საქართველოში".

რაც შეეხება თვალსაზრისს, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში პოლიტიკის გაგება და პოლიტიკური აზროვნება ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ ყოფილა, ამის თაობაზე შესაძლოა ითქვას შემდეგი: სოციალ-დემოკრატებმა უდიდესი ენერგია დახარჯეს ილია ჭავჭავაძესთან, მის ნააზრევთან და ასევე მის პოლიტიკურ მემკვიდრეებთან ომში – აქ ცხადია, ნოე რამიშვილს და აკაკი ჩხენკელს არ ვგულისხმობ, რომლებიც რაღაც სხვა, შინაგანი ძაფებით იყვნენ დაკავშირებულნი ილიასთან. ზოგიერთ მათგანს მართლაც შეეძლო რიკარდოს, მარქსის, პრუდომის და სხვა ევროპელი პოლიტოლოგების თუ პოლიტეკონომისტების თხზულებათა ორიგინალში გაცნობა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც პოპულარობა საქართველოზე გაცილებით ვრცელ და კომპლექსურ ასპარეზზე – რუსეთში მოიპოვა, როგორც, მაგალითად, ირაკლი წერეთელმა და კარლო ჩხეიძემ.

ზოგადრუსულ სივრცეში გავრცელებული პოლიტიკური მემარცხენეობის გარდა, ქართველი სოციალ-დემოკრატების აქილევსის ქუსლი არის აბსტრაქტულობა აზროვნებაში, და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათი

ნააზრევი გარკვეულ ევროპულ სტანდარტებს მართლაც ესატყვისებოდა. იგივე ითქმის მათ ორატორობაზეც. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში სხვა პარტიებიც არანაკლებ პროფილირებულები იყვნენ ამ მხრივ. ექვთიმე თაყაიშვილი, მაგალითად, ფედერალისტი იყო, რომელიც, სახელმწიფოებრივი შეგნებიდან გამომდინარე, თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ მეინსტრიმთან და არავინ „გარიგებაში" ამას არ უთვლიდა, ისევ და ისევ გამოუსწორებელი ბოლშევიკების გარდა. ხოლო, ერთი მხრივ, ქართველი ერის მისწრაფებების, მეორე მხრივ კი, ეპოქის პოლიტიკურ მაჯისცემაზე ხელი ყველაზე მეტად ალბათ მაინც ეროვნულ-დემოკრატებს ედოთ, უპირველეს ყოვლისა, რევაზ გაბაშვილს. არ ვიცი, ბედის ირონია იყო ეს თუ რა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითადი ფორმა სწორედ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა წარმოქმნეს: მათ, ვინც ამ დაპირისპირების ერთ-ერთ ძირითად თემად სწორედ ეს სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა აქციეს.

19. 12. 2014

კიდევ ერთხელ საყდრისის შესახებ

რაც პირადად შემეხება, მე სომხური კულტურის დამფასებელი ვარ. მათი საისტორიო მწერლობა მე-4 საუკუნიდან იღებს სათავეს. გაქრისტიანებიდან სულ რაღაც 100-150 წელიწადში მათ ალექსანდრიული განსწავლის, ფრიად მასშტაბური ისტორიკოსები ჰყავდათ – საკმარისია მოვსეს ხორენაცის დასახელება, მაშინ, როდესაც ჩვენ ქართლის მოქცევის ქრონიკის რაღაცნაირი წინარე ვერსია და „შუშანიკის წამება" თუ

გვქონდა დაწერილი. პირველი ქართული თეოლოგიური და ღვთისმსახურების ტექსტების დიდი ნაწილი წმ. ნინოს და მეფე მირიანის შემდგომ პერიოდში, როგორც ჩანს, სწორედ სომხურიდან იყო თარგმნილი. ქართული ეროვნული ინდივიდუალობა ისევე იდგა ბიზანტიისა და სომხეთის პირისპირ, როგორც ტიტანი პრომეთე ღმერთების წინაშე. სომხურიდან ემანსიპაცია მან ქალკედონის კრების შემდეგ თუ მოახერხა, ისევე, როგორც ბიზანტიურისგან ემანსიპაცია – ათონელთა და სხვა მთარგმნელთა მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა, როდესაც უკვე ქართულად ამეტყველდა საღვთო წერილიც, ლიტურგიკაც, თეოლოგიაც და პატრისტიკაც.

სომხურმა დიასპორამ თავისებური კოლორიტი შესძინა თბილისს. ჩემმა ბავშვობამ მათთან გაიარა და არაერთი მეგობარი მყოლია, გულითადობით და სიკეთით გამორჩეული. როგორც ჩანს, უმძიმესმა ისტორიამ, დევნამ, დიასპორაში ცხოვრებამ, უმეფობამ და უსახელმწიფობამ მათთან თავისებური ელიტა ჩამოაყალიბა. მისი წარმომადგენლების უმეტესობა გამოირჩევა უკიდურესი ნაციონალიზმით, რომელიც მეტწილად ლატენტურია, ისინი ჩასაფრებულნი არიან და ყოველთვის აქვთ მზაობა ნებისმიერი გეოპოლიტიკური გარიგებისთვის, თუნდაც თავისი მეზობლების საზიანოდ მოხდეს ეს. სწორედ ისინი ცდილობენ ხოლმე, ყოველივე ქართულს დაეპატრონონ, მიითვისონ, რაც ილიამ ცხადყო თავის პოლემიკურ ნარკვევში „ქვათა ღაღადი".

ამ ყოველივეს დაგვირგვინებაა ის, რომ ეს მითვისება და დასაკუთრება საკმაოდ შთამბეჭდავი რესურსების ჩართვის შედეგად კიდევაც აისახება მთელ მსოფლიოში გამოცემულ სხვადასხვა ცნობარებში, ლექსიკონებში, ენციკლოპედიებში, გამოკვლევებში. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ ელიტას მე ვერ ვაიგივებ ჩვეულებრივ

სომხებთან, ვისგანაც ბევრი სიკეთე მახსოვს. და დღემდე მიმაჩნია, რომ ქართულ-სომხურ მეგობრობას და სოლიდარობას ალტერნატივა არა აქვს.

ზვიად გამსახურდიას 70-იან წლებში ჰქონია ურთიერთობა ერთ სიძველეთა მოყვარულთან, რომელსაც ლევონი ერქვა და თბილისელი სომეხი გახლდათ. მახსოვს მისი მონათხრობი, თუ როგორ მოუყვა ლევონმა თავისი სიზმარი: შავ ზღვაზე ვიყავი, ზღვა გაიპო და იქიდან ამოვიდნენ სომეხი ნათელღებულები, რომლებიც ვეფხის ტყავებით იყვნენ შემოსილები. მათ შორის მთავარს ოქროს საწმისიანი კვერთხი ეპყრა ხელთო. ზვიად გამსახურდიას ეს ერთი შეხედვით უწყინარი სიზმარი საკმაოდ სიმპტომატური ეჩვენა.

პრემიერ-მინისტრის მიერ ამას წინათ საყდრისის საბადოს მისამართით ნახსენებმა ტერმინმა „სტერილური არქეოლოგიური ძეგლი" გამახსენა ეს ამბავი. ხსენებული ტერმინი იმდენად ნომინალისტურია, რომ ჩემთვის მისი გაგება თითქმის შეუძლებელია. და თუკი ჩვენ ამდენად გადავუსვამთ ხაზს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, გამოჩნდება ვიღაც, ვინც ამ ნომინალისტურ ტერმინში სრულიად რეალურ შინაარსს ჩადებს და კიდევ ერთ არგუმენტს მიუმატებს თავის ვერსიას – რომ საქართველო სულაც არ არის „ოქრომრავალი კოლხეთის" მემკვიდრე.

ეს ყოველივე თან დაერთვის ურთულეს გეოპოლიტიკურ კონსტელაციას კავკასიაში – საქართველო ძალიან ცუდადაა გაჩხერილი რუსეთის სამხედრო ბაზების სამ კომპლექსს შორის: ესენია გიუმრის, ცხინვალის შემოგარენის და აფხაზეთის ბაზები. როდესაც რუსეთი მათ შორის კომუნიკაციის გზების მოძიებას დაიწყებს, რაც შესაძლოა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის

შემდგომი რღვევის ხარჯზე მოხდეს, მოსალოდნელია ამ ელიტის წარმომადგენელთა ღიად ჩართვაც ჩვენს საზიანოდ. შესაძლოა ბათუმიც მოექცეს ასეთი დესტრუქციული პროცესების ეპიცენტრში. ხოლო თურქეთი, როგორც დამბალანსებელი ფაქტორი, ამ შემთხვევაში მაღალი ალბათობით გვერდზე გაიწევა – პუტინის და ერდოღანის ბოლო შეხვედრამ ცხადყო, რომ ეს ქვეყნები ყოველთვის მოილაპარაკებენ. კარგი იქნება, თუ ჩვენს ხარჯზე არ მოხდება ეს.

23. 12. 2014

რელიგიური დღესასწაულები

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით

როგორც ჩანს, იოანე ნათლისმცემლის ქადაგებათა მოსასმენად მოსული ადამიანები ცალ-ცალკე ან ერთად ჩადიოდნენ იორდანეში. ისინი გარკვეული ხნით მთლიანად უჩინარდებოდნენ წყალში იმის ნიშნად, რომ გულისხმაჰყვეს იოანეს მოწოდება და დაადგნენ შენანების გზას. ეს პროცესი გამოხატულია ებრაული ზმნით tevol, რაც ნიშნავს „წყალში განბანვას“ ჩაყვინთვით, ჩაყურყუმალავებით. სახარებათა ორიგინალურ ტექსტში მისი შესატყვისია ბერძნული baptistenai. სემანტიკური თვალსაზრისით ალბათ უპრეცედენტოა ქართული სიტყვა „ნათლისღება“, რამდენადაც შემოწმება შევძელი, მას მსოფლიოს არცერთ ენაში არ მოეძებნება ანალოგი. ის მიანიშნებს თვით ქრისტეზე, ანუ ჭეშმარიტ ნათელზე, „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოანე 1, 9)...

უშუალოდ ნათლისღების შემდეგ, მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებათა მიხედვით, უდაბნოში გასულმა იესო ქრისტემ აიღო მძიმე მარხვა და კიდეც მოუწია

მტერთან შეხვედრამ: თავადი ამა სოფლისა სამგზის შეეცადა მის ცდუნებას, სურდა რა შეუქცევადი გაეხადა კაცობრიობის საყოველთაო დაცემა: პურებად აქციე ქვები, ტაძრიდან გადმოვარდნილმა დასძლიე მიზიდულობის ძალა და თაყვანი მეცი, რომ მსოფლიოს მპყრობელი გაგხადოო. დაღმავალი გზა, ედემში პირველცოდვით და ცდუნებით დაწყებული, რომელმაც ადამიანის ბუნებაში სიკვდილის თესლი ჩანერგა, დასრულდა ნათლისღებით იორდანესთან და ცდუნების დაძლევით უდაბნოში. ეს ადამიანის ახლად შობაა სულიწმინდით და უკვე აღმავალი გზის დასაწყისია.

ნათლისღება უფლის მიერ დაწესებული საიდუმლოა და ამდენად, ის ადამიანს აძლევს საჭირო ძალას, რათა მან თავისი ცხოვრების მანძილზე შეინანოს, ანუ განჭვრიტოს და დაძლიოს პირველცოდვა როგორც მის ანთროპოლოგიურ, ისე მიწიერ-ისტორიულ განზომილებაში. მოუნათლავად დარჩენას, ცხადია, გვიან მონათვლა სჯობს, რადგან ქრისტიანული მიდგომით ბავშვობისას მონათლულ ადამიანს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს უკუაგდოს თავდაპირველი ცდუნების სამნაირი გაგრძელება უდაბნოში, რითიც სამგანზომილებიან მატერიაში მისი გახევების მოსურნე და სინათლის იმიტატორი ძალები მის ამჯერად სულითაც მოკვდინებას ლამობენ. ადამიანი ვერ სძლევდა მათ მხოლოდ თავისი ადამიანური „ეგოს“ ანაბარა დარჩენილი.

19. 01. 2014

დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

არასწორია ცნება „აღმაშენებლის“ დაკავშირება ერთმნიშვნელოვნად „მშენებლობასთან“, მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფემ გელათიც აღაშენა და ბევრი სხვაც აშენდა მისი მეფობისას 1089-1125 წლებში, ხიდი იქნება ეს, სოფელი თუ ქალაქი. დღეს მშენებლობის ბუმია მთელ მსოფლიოში და ეს ნიშნავს, რომ მისი სულის ზეობის ხანაა? ნამდვილად არა.

„აღშენება“ ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „აგება, აღმართვა, სიკეთით ავსება, დასახლება, განგებულება, დამტკიცება, განახლება, შეძენა“; „მეცნიერებაი განალაღებს, სიყვარული კი აღაშენებს“, ამბობს პავლე მოციქული (1 კორინთელთა, 8, 1). ზენასამყაროულ სიყვარულს შეუძლია ნუგეში გვცეს, განგვამტკიცოს ცვალებად, ათასი ვერაგობით და სიცრუით სავსე სამყაროში. იგი სულიწმინდის ნიჭია და მადლი.

ამდენად დავით მეფემ სრულიად საქართველოს ერი (რომელიც ზეეთნიკური ტერმინია და არაერთ ეთნოკულტურულ ერთეულს მოიცავს) „აღაშენა“ სულიწმინდის ცეცხლოვან ენერგიაში ნაზარდი ზნეობით, ფილოსოფიის სიბრძნეზე ნალესი აზროვნებით, „მარტივი სრული სამშზის და ერთცისკროვნების“ მიერ განათლებული სულიერი ჭვრეტით, დაუღალავი ბრძოლით და შრომით. ფარნავაზის, გორგასლის და ბაგრატ მესამის სამეფო ფენიქსივით აღსდგა და მიაღწია მანამდე არნახულ ძლიერებას.

9. 02. 2014

მამა გაბრიელის ნეშტის გადმოსვენებაზე

წმინდანები ყოველთვის წმინდანები არიან, რა გზებითაც უნდა მიაღწიონ ამას. წმინდანთა მიმართ მხოლოდ ღრმა სულიერი მოწიწება შეიძლება გაგაჩნდეს. ჭეშმარიტი გაგებით ცივილიზებულმა კაცობრიობამ არ შეიძლება დასახოს სხვა იდეალი, თუ არა წმინდანი, ღვთის წინაშე გამართლებული და ღვთისგანვე ხელდასხმული კაცი. მაგრამ მათი თაყვანისცემა ყოველ ეპოქაში მიუღებელ ფორმებშიც გადასულა. ასეთ მასაში, მამა გაბრიელის ნეშტის გადმოსვენების ფოტოზე რომ ვხედავთ (თანაც ჯარით გაძლიერებული და რისთვის არიან სამხედროები აქ, ვერ ვხვდები), ნამდვილად იკარგება სიფაქიზე და შინაგანობა რელიგიური განცდისა. ამას არც საშვები შეუწყობს ხელს, არც უხრწნელობაზე აპელირება, თითქოსდა ეგაა სასწაული...

მარტო კათოლიკურმა ეკლესიამ რეფორმაციამდე დაარიგა ან გაყიდა 300 000-ზე მეტი წმინდა ნაწილი: თავისქალა, ძვალი, ფრჩხილი და ა. შ. ნამდვილად არ მინდა წავიდეთ ისეთი კათოლიკობისკენ, რომელიც თვით ვატიკანმა საუკუნეების წინათ ისტორიაში დატოვა. ხოლო სასწაულებს ამ ეპოქაში ტყუილად ნუ ვეძებთ. არ დაგვავიწყდეს ახალი აღთქმა: „უკეთური და მემრუშე მოდგმა სასწაულს ეძებს: მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა. მიატოვა ისინი და წავიდა“.

იონას სასწაული ეს ინდივიდუალიზებული და გაცნობიერებული ქრისტიანობის სასწაულია, რომელსაც პოლიტიკური ისტორიის მსვლელობაში წარმოშობილი ბნელი და ურჩხულეული წარმონაქმნები ვერაფერს დააკლებენ, კიდევაც რომ შთანთქან.

23. 02. 2014

წმ. მოციქული ანდრიას დღესასწაული

წმ. ანდრია პირველწოდებული გალილეველი იყო, ისე, როგორც მოციქულთა დიდი უმრავლესობა. გალილეა, მეტადრე კი გენესარეთის ტბის (ებრ. yom kineret) შემოგარენი თავისი სამოთხისებური მშვენიერებით ყოველთვის იპყრობდა მათ ყურადღებას, ვინც კი ოდესმე ყოფილა წმინდა მიწაზე. ამ მხარეს ებრაულად galilea goim ერქვა, ანუ „ხალხთა გალილეა“. იქ ებრაელები აღრეული იყვნენ იბერო-კავკასიურ, კელტურ, ასევე სემიტური მოდგმის სხვა ხალხებთან. აქ იუდაიზმის სხვადასხვა დინების გარდა, ანტიკურობის სხვა რელიგიური კულტებიც არსებობდა. ამიტომაც არ მგონია შემთხვევითი ანდრიას წამოსვლა იერუსალიმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მან იქადაგა ლაზეთში, კოლხეთში, იბერიასა და სვანეთში. იგი ღვთისმშობლის ხატით მოვიდა აწყურში, რომელსაც იმჟამად სოსანგეთი ერქვა, და საფუძველი ჩაუყარა პირველ ქრისტიანულ ტაძარს ჩვენს ქვეყანაში.

საღმრთო გარდამოცემის მიხედვით, რომელიც არის ჩვენი legenda aurea, ანდრიამდე მარიამ ღვთისმშობელს ერგო წილად საქართველოში ქადაგება, მაგრამ ვერ შეძლო წამოსვლა. „წილხვდომილობა“ (რაზეც სოციალურ ქსელში ამდენი ქილიკია ბოლო ხანებში) ნიშნავს იმას, რომ აიეტის კოლხეთის, ასევე ქუჯის და ფარნავაზის მემკვიდრე ქვეყანაში უნდა შეერთდეს ის, რაც გაყოფილი იყო ძველ სამყაროში: სიბრძნე და სიყვარული, როგორც სიცოცხლის უმთავრესი მანიფესტაცია. ეს არის გზა თავისუფლებისკენ – რასაც ილია ჭავჭავაძე „ღვთაებამდე კაცთა ბუნების აღმზრდელს“ უწოდებს.

ანდრია მოციქული ღვთისმშობლის მისიის შემსრულებელია. სიცოცხლე და შემეცნება გაყოფილია ადამის

ძველ სამოთხეში: ამაზე მეტყველებს ედემს რგული ორი ხე. გაყოფილი იყო ეს იერუსალიმის ტაძრის სიმბოლიკაშიც: მის ორ უმთავრეს სვეტს, რაზეც იდგა ეს ტაძარი მორიას ბორცვზე, იაკინი და ბოასი ერქვა. სვეტიცხოველში, ანუ ქართული სულიერების ცენტრალურ საკურთხეველში, ეს ერთი გახდა. ასეთია ძველი ქართული რელიგიური მონიზმი. გილოცავთ წმ. მოციქული ანდრიას დღეს. გვახსოვდეს: იქ, სადაც სიცოცხლის ერთგულების გზით სიყვარულსა და სიბრძნეს აერთიანებენ, სწორედ წმ. ანდრიასა და მარიამ ღვთისმშობლის სულიდან გამომდინარე მოქმედებენ.

12. 05. 2014

ფერისცვალება

ქრისტეს ფერისცვალება, თაბორის მთაზე ასვლის შემდეგ რომ იხილეს მისმა მოწაფეებმა, მისი ნამდვილი, ღმერთკაცობრივი სახის განჭვრეტაა ზეგრძნობად, ფიზიკურ სფეროს მიღმა არსებულ „ეიდოსთა“ (ანუ ცოცხალი იდეების) სამყაროში – მითხრა ერთხელ მამაჩემმა. ეს მრავალი წლის წინათ იყო, ჩვენ იმჟამად რომელიღაც მიყრუებულ ეკლესიას ვსტუმრობდით ჯერაც „უძრაობის“ პერიოდში, როდესაც ასეთ სამლოცველოში მისვლაც კი გმირობის ტოლფასი იყო: წირვები პირდაპირი ეთერით არ გადაიცემოდა, მასზე დამსწრე სახელმწიფოს მეთაურები და თანამდებობის პირნი კამერებთან არ პოზირებდნენ.

მისი გამოცხადება თაბორის ხელთუქმნელ, წარუვალ ნათელში იმავდროულად საწინდარია კაცობრიობის, მთელი სამყაროს, მთელი კოსმოსის ფერის-

ცვალებისა, რომელიც უკვე მისი ჯვარცმით, სიკვდილით და მკვდრეთით აღდგომით განხორციელდა. ამაზე მიანიშნებენ მოსესა და ელიას უკვდავი ინდივიდუალობები, რომელთაგანაც ერთი მაცხოვრის მარჯვნივ გამოისახება, მეორე – მარცხნივ. მათი არცნობა წარმოუდგენელი იქნებოდა იქ მყოფ მოციქულთათვის, რომლებიც ძველაღთქმისეულ ტექსტების სულს, სჯულს და კანონს კარგად იცნობდნენ. და არამარტო იცნობდნენ – უყვარდათ. ანუ რუსთველისეული იდეალური მიჯნურივით, „უყვარდათ და გამოსცნობდნენ". გილოცავთ, მეგობრებო, ამ დღესასწაულს! თაბორის ნათლის ჭვრეტამ, დაე, გულმეცნიერნი გაგვხადოს ჩვენც.

P. S. რაც შეეხება ფერისცვალების მთას, იგი ფიგურირებს ზვიად გამსახურდიას ცნობილ ლექსში „მესხეთისადმი": „წმინდა გიორგი, საქართველოს ნათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს". ფერისცვალების მთა ნამდვილად არსებობს, იგი ძალიან კარგად ჩანს როგორც ასპინძიდან, ისე საროს დედათა მონასტრიდან. როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდიამ ვახტანგ გურგენიძესთან ერთად იმოგზაურა მესხეთში. მან ღამეც კი გაათენა სოფელ საროში, ამის შემდეგ თავის ცნობილ ლექსში გადმოსცა იქ მიღებული შთაბეჭდილებანი.

19. 08. 2014

ღვთისმშობლობა

დღეს ღვთისმშობლის მიძინების დიდებული დღესასწაულია. ეს საუფლო სცენა არაერთ ხატსა და ფრესკაზეა გამოსახული, რომელიც ხშირად ამშვენებს ჩვენი ქვეყნის ეკლესიებსა და მონასტრებს. მანდ მოჩანს ღვთისმშობელი მარიამი სასიკვდილო სარეცელზე, ირგვლივ მოციქულნი, ათორმეტთან ერთად ხშირად პავლე მოციქული და დიონისე არეოპაგელიც, ავტორი იმ ანგელოლოგიური ტრაქტატებისა, რომლის სულიდან გამომდინარეც მოგვიანებით მოღვაწე იბერიელი ღვთისმეტყველი უფლისწული მურვანოსი მოქმედებდა, პეტრე იბერად წოდებული.

მაგრამ აქ გამოსახული დასასრულთან, დაისთან და გარდაცვალებასთან განა რაიმე კავშირშია? არა, ეს უმალ დასაწყისია, ნამდვილი განთიადია სიბრძნის და სიყვარულის, ჭეშმარიტი ზეიმი და აპოთეოზია კაცობრიობისა. მანამდე ჯვარცმულმა და მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთკაცმა თავისი აღთქმა შეასრულა და წარმოაგზავნა სული ჭეშმარიტებისა, ნუგეშინისმცემელი. იგი მოციქულებსა და ღვთისმშობელზე გარდამოვიდა ცეცხლის ენებად. იგი ქრისტეს გზით მავალი კაცობრიობის მოძღვარი გახდა აღმავლობის და ზეციურ სამშობლოში კვლავ დამკვიდრების გზაზე. ღვთისმშობლის მიძინებასთან ერთად იგი განა გვტოვებს, არამედ რჩება სამუდამოდ ჩვენთან, ყველა ქრისტიანთან, ახალი აღთქმის ყველა მოსავთან, იღებს რა მარადდედობრივ, მარადქალწულებრივ, მარად საღმრთო სძლის უკვდავ და წარუვალ სახეს ადამიანთა აღქმაში. და კაცობრიობამაც უფალთან თითქმის გააიგივა ეს სახე, ჰიპოსტასური გაგებით მაინც. ამიერიდან სიბრძნე სიყვარულის გარეშე აღარ იარსებებს და არც სიყვარული

– სიბრძნის გარეშე. აი, რისი სიმპტომია პავლეს და დიონისეს გამოსახვა მიძინების ამ კონტექსტში. ისინი ხომ ჭეშმარიტი ღვთისმეტყველების დამწყებნი არიან ღვთისმშობლის ახალ ძესთან, იოანე მოციქულთან ერთად. სწორედ მათ დასვეს დიდების ტახტზე სიბრძნე და სიყვარული, რომელიც ამიერიდან ისევეა ღვთაებრივი, როგორც ადამიანური... – ვწერდი იმჟამად.

ამ დღის მადლმა დაიფაროს საქართველო და სრულიად კაცობრიობა.

28. 08. 2014

სვეტიცხოვლობა

დღეს სვეტიცხოვლობაა. დავით აღმაშენებლის შეკითხვა „რაი უწყით, რაი არს სვეტსა ამას შინა და რასა თაყვანს ვცემთ" ლეგიტიმური კითხვაა ცნობიერი ადამიანისა, რომელიც სამყაროს წინაშე დგას და არ სურს იგი მისთვის რაღაც ამოუცნობ ენიგმად დარჩეს: თუნდაც იმიტომ, რომ ამ სამყაროში საკუთარი როლი დაინახოს და განსაზღვროს. თვით დავითმა ზენა-სამყაროული გამოცხადებით პასუხი მიიღო ამაზე, მაგრამ ჩვენ კი ვიცით? მართლაც რა არის „სვეტი ღმრთივბრწყინვალე და მირონმდინარე", რომელიც ზეციდან ნათებად გადმოვიდა წმინდა ნინოსა და მისი დობილი-მოწაფეების ერთობლივი ლოცვისას, მას შემდეგ, რაც მეშვიდე სვეტი თეთრებში მოსილმა ჭაბუკმა, დიდი ალბათობით, მთავარანგელოზმა, ზეცად აღმართა? რომელმაც ელვისებურად გააცისკროვნა კედარისგან გამონათალი სვეტიც და მის ძირში დაკრძალული სიდონიას უხრწნელი ცხედარი საუფლო კვართით ხელში?

ცხოველი ანუ ცოცხალი სვეტი, ისევე, როგორც საუფლო კვართი, ერთი სუბსტანციითაა მოქსოვილი: ესაა ღვთის, როგორც სამყარომდე არსებული და სამყაროს შემოქმედი პირველარსის, უქმნელი მადლი და ენერგია.

სვეტში იმანენტურადაა მოცემული მამა, როგორც სამყაროს შემოქმედი და სუვერენი; ძე, როგორც ზენასამყაროული სიყვარული, რომელიც სიცოცხლის ფენომენში მანიფესტირებს; და სულიწმინდა, რომელიც ჭეშმარიტების სულია და ყოფიერების მირიადი ფორმის წარმომქმნელი.

სვეტი ღვთის სულია, რომელიც შესაქმისას სამყაროულ წყლებზე იძროდა.

სვეტმა აღმართა ადამიანი ისე, როგორც დღეს არის: ფეხებით მიწაზე და თავით ვარსკვლავეთისკენ.

სვეტი უქმნელი ზენა ნათელია, რომელიც წინ უძღოდა ეგვიპტიდან უდაბნოში გასულ მოსესა და მის ერს.

სვეტი ძლიერებაა დავით მეფსალმუნის სამეფოსი. იგი ისრაელს, იუდეას და სამარიას იფარავს წარმართების სამხედრო ძლიერების წინაშე.

სვეტი სოლომონის სიბრძნეა, ტაძარში ქვის ორ სვეტად, „იაკინად“ და „ბოასად“ ჩამოქნილი, რაც სპირიტუალურსა და მატერიალურზე, შემოქმედსა და მის მადიდებელზე მიანიშნებს.

სვეტი ელია წინასწარმეტყველის ეტლის ცეცხლოვანებაა, რომელსაც ზეცად მიჰყავს იგი.

სვეტი ძველაღთქმისეულ წინასწარმეტყველთა და იოანე ნათლისმცემელის შთამაგონებელია, მომავალი ზეციური სასუფევლის ქვეყნად გარდამოსვლის საკითხზე.

სვეტმა დააფიქრა ბერძენი ფილოსოფოსები ძის მომავალ განკაცებაზე.

სვეტი მართალი საქმისთვის აჯანყებულ მაკაბელთა შემართებაა.

სვეტი ნათებაა გოლგოთის თავზე. სვეტი ძალაა, რომელმაც განახორციელა ღმერთკაცის სხეულის აღდგომა მისი საფლავიდან და მთელი კოსმოსის ტრანსფიგურაცია, რამაც ტაძრის კრეტსაბმელი ორად გააპო.

სვეტი ქალწული მარიამის მიერ თქმული ლოცვაა, რომელიც შემოქმედისკენ მიიქცევა.

სვეტი თორმეტ მოციქულზე გადმოსული მადლია: ერთი მხრივ, თითოეულის ინდივიდუალობის გამომხატველი, მეორე მხრივ, ზოგადად ღმერთკაცებრივი სიბრძნისა. ამიტომაც სვეტიცხოვლის ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისაა.

სვეტი კრებითი სიბრძნეა, რომელიც ერთობლივი მედიტაციით, ლოცვით, მსჯელობით, ანალიზით და სინთეზით მიიღწევა მსოფლიოს შვიდ საეკლესიო კრებაზე.

სვეტი იხილა კაპადოკიელმა ნინომ, ჩვენი ქვეყნის მფარველმა ანგელოზმა. ამით იგი სრულიად განსაკუთრებულია წმინდანთა შორის.

სვეტი თორნიკე ერისთავის და ქართველთა სამხედრო კორპუსის წარმმართველია ჰალისის ბრძოლაში, რასაც შედეგად მოყვა ათონის მთაზე ქართული ლავრის დაარსება.

სვეტია ის „მარტივი და სრული სამმზე", რომელსაც დავით აღმაშენებელი თავისი ამქვეყნიური სიცოცხლის მწუხრზე ევედრება სულიერი მხედველობის განათლებას.

სვეტი გაერთიანებული საქართველოს პირველმიზეზი და საყრდენია. იგი დავით აღმაშენებლის და თამარის სამხრეთ და ჩრდილოკავკასიური იმპერიის უხილავი ხერხემალია.

უსასრულოდ შეიძლებოდა გაგრძელება. რაც დრო გადის, სვეტი მით უფრო მეტად უნდა აღიმართოს

ადამიანების მართებული საქმეებიდან, აზრებიდან თუ სიტყვებიდან. ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ლექსში ადამიანი თავადაა მოუდრეკელი და შეუმუსვრელი სვეტი ცასა და მიწას შორის. დაე, აღიმართოს იგი ყველა ჩვენგანის, ასევე ყველა ჩვენი მოკეთეს ცხოვრებასა თუ საქმიანობაში, შინ თუ გარეთ.

14. 10. 2014

გიორგობის დღესასწაული

წმინდა გიორგის დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოში და საქრისტიანოში მეხუთე-მეექვსე საუკუნეებიდან მოდის. ეს სახელი არის არამხოლოდ ქრისტიანული საეკლესიო გარდამოცემის მყარი შემადგენელი, არამედ ალბათ ყველაზე მეტად არის გადაჯაჭვული მითოლოგიასთანაც (ამის შესახებ ქვემოთ). ამ წმინდანის სხვადასხვა „ცხოვრებებს" შორის არის კიდეც ისეთი ვერსიები, რომლებიც საკმაოდ შეიცავენ ზღაპრულ-ფანტასტიკურ ელემენტებს, როგორიცაა, მაგალითად, დადიანესეული (სხვა ინვარიანტში „დაკიანესეული") არაკანონიკური ვერსია.

იმპერატორ დიოკლეტიანეს სტრატეგოსი გიორგი, წარმოშობით კაპადოკიელი, რომელიც ჯერ ფარული ქრისტიანი იყო, შემდეგ კი წამებული გახდა იმის გამო, რომ – იმპერატორის ბრძანების მიუხედავად – ზევსისა და აპოლონის ქანდაკებებთან მსხვერპლი არ მიიტანა, მე-4 საუკუნის წმინდად ისტორიულ ქრონიკებში არსად ჩანს. ისტორია მის დასჯაზე ამ ეპოქისთვის ტიპურია – პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში არაერთ ქრისტიანს მოუწია სიკვდილი იმის გამო, რომ იმპერიის ამა თუ იმ კულტის უპატივცემულობაში დასდეს ბრალი.

ქრისტიანების პასუხი ასეთ შემთხვევაში ერთი იყო: სამსახოვანი და ერთარსება ღმერთი უხილავი და უსხეულო გონიერი ძალაა, რომლის ერთმა ჰიპოსტასმა, ანუ ძემ მიიღო კაცებრივი სახე, იშვა პალესტინაში ქალწული მარიამის მიერ, ჯვარს ეცვა ჩვენი სიყვარულის გამო, დაფლულ იქნა და აღსდგა მკვდრეთით. შემდგომ კი დიდებით ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა. იგი დიდებით დაბრუნდება მომავალში და განსჯის ცოცხლებს და მიცვალებულებს. ჩვენ მხოლოდ მას ვცემთ თაყვანს, ხოლო ის რიტუალები, რომლებში მონაწილეობასაც თქვენ გვთავაზობთ, სინამდვილეში დემონების კულტმსახურება და პრაქტიკაა, რასაც ჭეშმარიტ ღმერთთან საერთო არაფერი აქვსო.

რომის იმპერიას ძირითადად ორი ტიპის იმპერატორები მართავდნენ: სამხედრო-ტირანული (მაგალითად, დომიციანე, ვესპასიანე, ტრაიანე და სხვები) და ფილოსოფოსთა ტიპის მმართველები (მაგალითად, მარკუს ავრელიუსი, ადრიანე და სხვები), რომლებიც კარგად იცნობდნენ ძველბერძნული ლიტერატურის, ფილოსოფიური სკოლების და თეატრის ტრადიციებს. ქრისტიანების დევნას და სიკვდილით დასჯას უპირატესად სამხედრო-დიქტატორული ტიპის კეისრები ახორციელებდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა დიოკლეტიანეც.

სტრატეგოს გიორგისაც vita-ს მიხედვით მოუწია სხვადასხვა საწამებელ ინსტრუმენტზე წამება და სიკვდილი, მაგრამ რამდენადაც მან არ გადათქვა თავისი პრინციპი მსხვერპლთშეწირვასთან მიმართებით, იმპერატორის განზრახვა და იმედები გაწბილდა. ჩაითვალა, რომ ტირანი დამარცხდა, რამდენადაც მისი მიზნები ვერ განხორციელდა – მან ქრისტიანობა ვერ მოსპო. ხოლო დიოკლეტიანეს სიკვდილიდან მალევე, უკვე იმპერატორ კონსტანტინეს მიერ მილანის ედიქტი გამოიცა, რამაც სათავე დაუდო ქრისტიანობის

აღმავლობას უკვე სახელმწიფოს დონეზე და იგი უმნიშვნელოვანეს კულტურულ და რელიგიურ ფაქტორად აქცია მთელ იმპერიაში. ამის გამო სვანეთში დაცულ ხატებზე, რომლებიც საუკეთესო ქართული და ბიზანტიური იკონოგრაფიის ტრადიციების გამომხატველია, წმინდა მხედარი შუბით გმირავს კაცს, რომელიც კეისრის ჩაცმულობას ატარებს.

რაც შეეხება ურჩხულთან ბრძოლის მოტივს, იგი კანონიკური ჰაგიოგრაფიული ტექსტიდან მოდის. მოტივს მითოლოგიური ელფერი დაჰკრავს: იგულისხმება ლასია, ქალაქის მეფის, სელინოსის ასული, რომელიც ურჩხულისთვის უნდა შეეწირათ და წმინდა გიორგიმ დაიხსნა, შუბით განგმირა რა ურჩხული. შესაძლოა იმის დაშვება, რომ ეს ამბავი რეალისტორიულ პლანში მოხდა, თუმცა არა უშუალოდ ფიზიკურ სიბრტყეში, სადაც ადამიანმა პირდაპირი მნიშვნელობით დიდი რეპტილია განგმირა. მისი განმარტება და გაგება იგავურ-სახისმეტყველურად უფრო უპრიანია: ურჩხული გაიაზრება როგორც წარმართობა, ასული კი ადამიანის სამშვინველი, ანუ ანიმა. სახელმწიფო რესურსზე დაყრდნობილმა წარმართულმა რელიგიამ, რომელიც ექსტატურ პრაქტიკებზე იყო გადასული, ბინდავდა ადამიანის გონებას, აჩლუნგებდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების უნარს, ამკვიდრებდა გაღმერთებული კეისრის კულტს და ორიენტალურ მაგიურ-დემონურ წეს-ჩვეულებებს ნერგავდა, სასიკვდილოდ გაწირა ადამიანის ანიმა, ანუ სამშვინველი. მაგრამ ის, რაც დაცემისა და დეგრადაციისთვის გაიწირა წარმართობის ურჩხულის მიერ, აღსდგა ქრისტეში. და ის, რასაც მიქაელ მთავარანგელოზი ზეცაში ამარცხებს, მას წმინდა გიორგი მიწიერ-ისტორიულ სიბრტყეში დასძლევს.

ქართულ ტრადიციაში კაპადოკიელი წმინდანის სახე ეროვნულ გენიას შეერწყა. „თეთრი გიორგის“ სახე

გავრცელებული იყო ქართველ მთიელთა საკულტო გარდამოცემებში. იგი აისახა ხევისბერთა სარიტუალო ზეპირ ტექსტებში, ვიდრე მათ ქართველი ეთნოლოგები და ფოლკლორისტები ჩაწერდნენ. წმინდა გიორგის კულტი საქართველოს სამხრეთ-კავკასიურ სამეფოში (თავისი ჩრდილო-კავკასიური დომენებით) სრულიად გაითავისა სამხედრო-პოლიტიკურმა არისტოკრატიამ. შემთხვევითი არ არის დიდგორის ბრძოლის მონაწილეთა იმაგინაცია თეთრცხენოსანი ხმლიანი მხედრისა, რომელიც მათ წინ მიუძღოდათ. მასვე ვხედავთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბზეც, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდნენ: იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ივანე ჯავახიშვილი. მანამდე ვაჟა-ფშაველას ლექსში, სადაც პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ფშაველი ჯარისკაცი დედას წერილს სწერს, ასევე იელვებს ეროვნული გენიის ეს იმაგინაცია:

რუსეთში მყოფი ვნატრულობ, სამშობლო ვნახო თვალითა. ერთი რამ უნდა გაუწყო, გავკვირვებულვართ ამითა: როცა ომი გვაქვ ქართვლის ჯარს, ნათელი გვიძღვის ღამითა; კაცი რამ ლურჯცხენიანი, ამოღებულის ხმალითა, მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს ტურფა იერით, ტანითა. სახე აქვს შავად მოცული მას დიდის კაეშანითა. ეს ჩვენი ჩუმი მფარველი ლაშარის ჯვარად ვსცანითა.

ივანე ჯავახიშვილი წერს, ქართულ ტრადიციაში წმინდა გიორგი ქრისტეზე პოპულარულიაო. მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, ვერ დავეთანხმები დიდ მეცნიერს. ქართველები წმინდა მხედრის სახეში სწორედაც რომ ქრისტეს ჭვრეტდნენ მის მებრძოლ ასპექტში: ვისი ბრძოლაც, სახარებისეული ტექსტისა არ იყოს, მიმართული იყო არა სისხლისა და ხორცის, არამედ ბნელეთის არამატერიალურ ძალთაგან წამოსული ტირანიის წინააღმდეგ.

სემანტიკურად აშკარად ამ წმინდანის სახელს და მის კულტს უკავშირდება საქართველოს აღმნიშვნელი სახელები სხვადასხვა ენებში: ევროპული გეორგია, ჯორჯია, ჟეორჟი, რუსული გრუზია, არაბული ჯურზან, ოსური გურზიაგ, ვაინახური გურჟი მოხქ, სპარსულ-ოსმალური გურჯისტან და სხვა. რაოდენობრივად ყველაზე ბევრი ტაძარი, სალოცავი და ნიში საქართველოში ალბათ მის სახელზეა აგებული.

23. 11. 2014

მთავარანგელოზობა

დღევანდელი საეკლესიო დღესასწაული ეძღვნება წმინდა მთავარანგელოზთა კრებას. მთავარანგელოზები, ისე, როგორც სხვა ზეციური არსებანი, ბიბლიური და ქრისტიანული ნარატივების მიხედვით მოიაზრებიან, როგორც უსხეულო, გონიერი ძალები. მათ სხვაგვარად უწოდებენ ზეციურ მღვდელმთავრობებსაც, რაც გულისხმობს, რომ მათი კოსმოსური კულტის ძირითადი ობიექტი არის სამსახოვანი, ერთარსება ღმერთი, ვინც სუფევს როგორც ცნობიერების მიღმურად, ისე ცნობიერებისთვის მისაწვდომად.

ქრისტიანული ღვთისმეტყველება იცნობს ანგელოზთა ცხრა დასს. მოძღვრებას მათ შესახებ საფუძველი ჩაეყარა ათენში, სადაც მოციქულმა პავლემ პირველ საუკუნეში მოაქცია წარმართი ფილოსოფოსი და ქურუმი დიონისე, შემდგომში ცნობილი დიონისე არეოპაგელის სახელით. მათ ამის შემდეგ ერთად განავითარეს ქრისტიანული ანგელოლოგია. იგი, როგორც ჩანს, ზეპირი გადმოცემის ფორმით არსებობდა, გადადიოდა თაობიდან თაობაზე და შემონახულია მეხუთე-მეექვსე საუკუნეებით დათარიღებულ ტექსტებში. მათი ჩამწერი,

ფორმის მიმცემი და სისტემატიზატორი სხვადასხვა მეცნიერული თეორიებით (რომელთა შორისაც გამოირჩევა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია) არის იბერიელი უფლისწული მურვანოსი, შემდგომში ღაზას ეპისკოპოსი, ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი პეტრე იბერის სახელით.

ანგელოსთა დასი, დიონისეს მიხედვით, არის ცხრა. მათი სახელები ცნობილი არ არის, გარდა 9 მთავარანგელოზისა, როგორიცაა მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი, ორიფიელი, იეგუდიელი და სხვა. თვითონ სახელი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ არსებათაგან თითოეულს თავისი ინდივიდუალობა გააჩნია, თუმცა ასეთნი მხოლოდ მთავარანგელოზნი როდი არიან: ინდივიდუალობა აქვთ სხვა ანგელოზებსაც, რომელთა სახელებიც არც ერთ გადმოცემაში არ გვხვდება. თვით სიტყვა „იერარქია“ წმინდა მთავრობაზე მიანიშნებს. დიონისურ ტექსტებში ტიპოლოგიურად დაჯგუფებულ იერარქიებს ეწოდებათ: ანგელოზნი, მთავარანგელოზნი, მთავრობანი, უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი, საყდარნი, ქერუბიმნი, სერაფიმნი. ისინი გამოისახებიან ხან ადამიანის ფორმის მქონე ფრთოსან არსებებად, ხან ასევე ფრთოსანი ცხოველების ან ფრინველების სახით, ხანაც ცეცხლოვან ბორბლებად.

„ფრთები“ იქ, სადაც არც ატმოსფეროა, არც ჟანგბადი და არც მიზიდულობის ძალა, უნდა მიანიშნებდეს არა იმდენად ფიზიკურ ფრენაზე, არამედ ცნობიერების დონეზე, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი ადამიანის ცნობიერების დონეს: ფრთების საშუალებით ანგელოზი დაუბრკოლებლად გადაადგილდება სულიერ კოსმოსში. ასევეა რუსთაველის მიხედვით ქრისტიანი ბრძენის გონებაც – „გონება უც ვითა ტრედი“. ცნება „სიწმინდე“ ამ კონტექსტში მიანიშნებს იმაზე, რომ არაცნობიერის ხვედრითი წილი ამ ცნობიერთან შედარებით უზომოდ

მცირეა, ეს უკანასკნელი თითქმის არც არის ანგელოზებთან, განსხვავებით ადამიანებისგან. ეს ცნობიერება არ არის მიჯაჭვული არანაირ მატერიალურ საგანს, ასევე არანაირ კერძო წარმოდგენას ან შეხედულებას, რომელიც შესაბამისობაში არ არის ღვთაებრივ სიყვარულთან, ასევე სამყაროსა და ადამიანის ქმნადობის ღვთაებრივ გეგმასთან.

მოყოლებული პირველივე საუკუნეებიდან, როდესაც ხდებოდა დადგენა ქრისტიანობის ძირითადი ხაზისა, ამ უსხეულო, გონიერ ძალთა ცალკე თაყვანისცემა წარმართულ და ერეტიკულ შეხედულებად იქნა მიჩნეული. რუსთაველის უკვდავ პოემაში, რომელშიც სრულად აირეკლა ქრისტიანული ღვთისმეტყველების რაღაცნაირი სუმმა, ამის შესახებ პირველ სტროფშივეა მითითებულ: ეს უსხეულო ძალნი სამყაროსთან ერთად არიან შექმნილი მამის აზრით, რომელიც იმავდროულად ნებაა, ძის ძალისხმევით და ინდივიდუალური ყოფიერების მქონეებად ჩამოყალიბდნენ სულიწმინდის საშუალებით:

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა.

თუ რატომ არ თაყვანისიცემოდნენ ანგელოზები ცალკე აღებულნი, აიხსნება შემდეგნაირად: ისინი არიან ღვთის ნების გამშუალებელნი, გამოხატავენ მის სხვადასხვა სათნოებას და, ამავე დროს, არიან მისი ორგანოებიც – თვით ამ სიტყვის სემანტიკაც ღვთაებრივი ნების ერთგვარ „მაცნეზე“ მიგვითითებს. სამყაროს ქრისტიანული სურათი კი მონისტურია, სადაც ღმერთი, ზეციური ძალები, ადამიანი და ბუნება ერთ მთლიანობას ნარმოქმნის.

21. 11. 2014



საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი კონსტანტინე ზ. გამსახურდია და მისი თანაშემწე ბაქარ ცობეხია.
24. 06. 2012, საფრანგეთი, რიქსჰაიმი.

შარჟის ავტორი ირაკლი ჩხარტიშვილი

პოლიტიკა
ეკონომიკა
სახელმწიფო

ზვიად გამსახურდიას ვითომდაც „გამონათქვამი“

სოციალურ ქსელში ვრცელდება ზვიად გამსახურდიას ვითომდაც გამონათქვამი 90-იანი წლებიდან, რომ მას ყველაზე დემოკრატ ამერიკელს უკანასკნელი რუსის KGB-ს აგენტი ურჩევნია. მინდა იცოდეთ, რომ ესაა ჩვეულებრივი, ბანალური ხრიკი KGB-სუკის მემკვიდრეებისა. ამ ინსინუაციით და ინტერპოლაციით ისინი მიზნად ისახავენ, ერთი მხრივ, ისარგებლონ დაბნეულობით და მოკლე ვადაზე გათვლილი მცირედი კაპიტალი ჩაითვალონ, მეორე მხრივ, ჩირქი მოსცხონ მის სახელს (რომელსაც უკვე მკვლელობიდან მე-20 წელსაც ლამის ისევე მძვინვარედ ებრძვიან, როგორც სიცოცხლეში).

ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც მერაბ კოსტავასთვის მის მიერ ავარიის მოწყობა, როგორც „ოსების გენოციდის“ განხორციელება, როგორც შევარდნაძესთან მისი „ალიანსი“, როგორც დასახვრეტთა სიის გადაცემა „პროკურორი“ რაზმაძისთვის, როგორც პიესის იმ სიტყვების ავტორობა, რეჟისორმა ვარსიმაშვილმა რომ

ათქმევინა „ბუნკერში“, თუ დაგვამხობენ, დაე გაიუუჟოს მთელი საქართველოო, როგორც „გრუზია ტოლკო დლია გრუზინ“-ის ძირითად სამოქმედო პრინციპად ქცევა, როგორც „სინდისის პატიმრებით“ ციხეების ავსება... რამდენი ერთი ჩამოვთვალო.

მჯერა, რომ ამდენ სიყალბეს და სიცრუეს გაუძლებს ეს საზოგადოება და სათანადო ადგილსაც მიუჩენს მის გამავრცელებლებს. აქვე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: საპარლამენტო კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებები, ჯერ შექმნილიც არ იყო, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე გაავრცელეს ვითომდაც მის მიერ დაწერილი წერილი თვითმკვლელობის წინ, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთია: „მე ამ ქმედებას ვასრულებ სრული ცნობიერებით, რადგან ვერ შევძელი კანონიერების აღდგენა და მოქალაქეების დაცვა“ (კრინტიც არაა დაძრული მის თანმხლებ პირებზე). ეს წერილი რატომღაც არავის უნახავს 2009 წლის ნოემბრამდე. წარმოიდგინეთ, ის რომ მართლა არსებულიყო, რა დღეში იქნებოდა სუიციდისტთა პარტია, რომლის გავრცელებულ ვერსიასაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებაზე ბალუაშვილ-ბაბილაშვილის პროკურატურა ფარულად ყოველთვის მხარს უჭერდა! ალბათ ყველა ოჯახში დადებდნენ მის ფაქსიმილეს 1994 წელსვე.

ამ ყველაფერს დაერთო რუსი ჟურნალისტის, პაველ ვოშჩანოვის მიერ გავრცელებული სისულელე, რომლის თანახმადაც ზ. გამსახურდია ვივეკანანდას თუ ბჰუტოს თეორიიდან გამომდინარე პერმანენტული მართვადი ქაოსის თეორიას ამუშავებდა და სახელმძღვანელო მაქსიმად იყენებდა. არადა, იგი ხომ დე გოლს სწორედ იმის გამო აიდეალებდა, რომ კანონმორჩილებას და სახელ-

მწიფო ინსტიტუტების შეურყეველობას ქადაგებდა? ესეც მისი თვითმკვლელობის თეზისის გასამაგრებლად იყო შემოგდებული, ნებით თუ უნებლიეთ.

დღეს ვაჟას დაბადების დღეა და მისი სიტყვებით ვიტყვი: „შხამის და გესლის მთესველნი, მოისპნენ, არარაობდნენ, ჩვენი სიკვდილის მსურველნი ყორნები ველარ ჩხაოდნენ“.

3. 08. 2012

არჩევნების წინ

ძვირფასო მეგობრებო, ამ წერილს ვწერ არა როგორც პოლიტიკოსი (თუმცა გასული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან) და არა როგორც სახელმწიფოს სამსახურში მყოფი დიპლომატი, არამედ როგორც ერთი თქვენგანი, ქართველი და მოქალაქე.

არ შემიძლია რაიმეს განცხადება და რაღაცისკენ მოწოდება, რადგან თითქმის აღარ მრჩება ჰაერი და სივრცე. როგორც კი ჰაერს შევისუნთქავ, რომ რაიმე ამოვთქვა, სული სისხლისღვრის, დაპირისპირების და ძალმომრეობის წინათგრძნობით მევსება, გიგანტური პროვოკაციების ლანდი რომ წამოსდგომია თავზე.

აქ ორ მხარესთან ერთად უხილავად ჩასაფრებული და გააზრებულად მოქმედი მესამე ძალის ყოფნა იგრძნობა. ამადაც ჩემი აზრები იმავე მიმართულებით იძვრის, საითკენაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიმართვა მიანიშნებდა და ეს ყველა ბრძნული განზრახვის მქონე მღვდელმსახურის პოზიციაცაა. პატრიარქის ამჟამინდელი მიმართვის დედააზრი კონფრონტაციისთვის ხელის შეშლა და პროცესების პოლიტიკურ კალაპოტში მოქცევაა. შეგნება იმისა, რომ

ეს არჩევნებია და არა არმაგედონი, სადაც „კეთილმა“ ერთი დაკვრით უნდა გაანადგუროს „ბოროტი" და გააქროს იგი მყისიერად.

აქვე დავძენ, რომ მწყემსმთავრის პოზიციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს რჩევებს, რეკომენდაციებს და შეფასებებს, წამოსულს ამერიკის და ევროპის დედაქალაქებიდან, ანუ ჩვენი პარტნიორებისგან. ვფიქრობ, მათზე სწორება სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

მე ყველანი ჩემიანებად მიმაჩნიხართ, ისინიც, ვინც მაძაგებენ და მაკრიტიკებენ აშკარად თუ ფარულად. ჩემიანებად არ მიმაჩნია მწამებლები და უცხო ქვეყნის ემისარ-აგენტები. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეებს, ორივე მხარეს ბევრია ჩემი მეგობარი. ამიტომაც, დაე, გაიმარჯვონ ქართველებმა,პატიოსანმაადამიანებმააქაც დაიქაც,ოღონდნუგავამარჯვებინებთფარულადმოქმედ მესამე ძალას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა ეკალივით გასჩხერია თვალში და თითქოს გვეუბნება: მიდით, რაღას უყურებთ, დაუპირისპირდით ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, რომ მერე თქვან მთელი მსოფლიოს გასაგონად, ამათ არ შეუძლიათ იგუონ სახელმწიფოებრიობა, უჩვენოდ აქამდე ვერ შედგნენო.

შემინდეთ, მეგობრებო. ერთხელ უკვე ვიყავი დაპირისპირებაში გარეული, თუმცა არც მაშინ მემეტებოდნენ გაბრიყვებული და მოტყუებული ქართველები (ალბათ შევარდნაძის და რამდენიმე კაცის გარდა) და მახსოვს პრეზიდენტის მოწოდებაც: „არცერთი ქართველი კრემლის სატანას“. სისხლში ხელი არასოდეს გამისვრია, მაგრამ მხარს ვუჭერდი ორგანიზებულ წინააღმდეგობას სამეგრელოში. მიმაჩნდა, რომ ეს იყო დამოუკიდებლობის მონაპოვართა შენარჩუნების და პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენის ბოლო შანსი. სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა...

იმავე ნაკადში ვერ შევალ და თქვენც იმავეს გირჩევთ. იმ წლებმა უმძიმესი ღია ჭრილობა დატოვა და მას ახალი ჭრილობა არ უნდა დაემატოს. გვახსოვდეს გადამწვარი თბილისის ცენტრი, სამეგრელოს აოხრებული ქალაქები და დაკარგული აფხაზეთი.

დაბოლოს: თუ პროცესები გონიერების ფარგლებს მაინც გასცდება, შესაძლოა მავანმა ხელი ასწიოს სახელმწიფოზე, ხოლო სახელმწიფოს ზოგიერთ ძალოვან სეგმენტს არ ჰქონდეს ადეკვატური, მართლზომიერი რეაქცია და დაარღვიოს ძალის გამოყენების მიღებული ნორმა, როგორც ეს ხდება ხოლმე, სამწუხაროდ. ასე დაერთვის ერთი უბედურება მეორეს და აღმოვჩნდებით მოჯადოებულ წრეში, საიდანაც ძნელად თუ მოიძებნება გამოსავალი.

მჯერა, რომ უსამართლობის და ძალადობის გამოვლინებები, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ისინი, ქვეყანაში აუცილებლად აღიკვეთება ჩვენი საერთო ძალისხმევით.

უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,
უძლეველი ქვეყანაზე არის მხოლოდ სამართალი.

აკაკი

ამიტომაც კარგი იქნება, თუკი ყველა გავისიგრძეგანებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე.

25. 09. 2012

პარლამენტი ქუთაისში

პარლამენტის ქუთაისში გადატანა აშკარად წარუმატებელი და უვარგისი პროექტია. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დასაშლელ-ასაწყობი ცირკის კარავი ან ატრაქციონი არ არის, რომ ერთი ქალაქიდან მეორეში ატარო. ამ ნაბიჯის გამართლება ხდებოდა იმით, რომ ქუთაისში შეიქმნებოდა სამუშაო ადგილები, დამატებითი ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო კვანძი, დატრიალდებოდა ფინანსური რესურსი. მაგრამ ეს ყოველივე საკმაოდ არადამაჯერებელია.

სხვადასხვა ქალაქში განთავსებული მთავრობა და პარლამენტი უცხოა თვით გვარიანად „დეცენტრალიზებული" აშშ-სა და ევროპის ქვეყნებისთვის: ვერ წარმომიდგენია თეთრი სახლი, სენატი და პენტაგონი ვაშინგტონში, კონგრესი ნიუ-იორკში, ფედერალური საბჭო ბერნში, ნაციონალური საბჭო – ციურიხში, ბუნდესტაგი ბონში, სხვა დანარჩენი – ბერლინში. თუმცა ჩვენი ტრადიციული ქვეყნისთვის ბედის ირონია ისაა, რომ ქუთაისური მოდელი აშკარად ევროკავშირიდანაა აღებული: საპარლამენტო ასამბლეა სტრასბურგში, ევროპარლამენტი და ევროკომისიები – ბრიუსელში. თუ მაინცადამაინც ქალაქზე ზრუნავდნენ და ამ საქმეში ადმინრესურსის ჩართვა უნდოდათ, შეიძლებოდა თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადმოტანა (მაგალითად, შვეიცარიის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო არის არა ბერნში, არამედ ბელინზონაში, ანუ იტალიურ ნაწილში), ასევე სხვადასხვა სამსახურისა, რომლებიც დაკავშირებულია თუნდაც ზღვასთან, სატყეო საქმიანობასთან, ბუნების დაცვასთან, მეტეოროლოგიასთან და ა. შ.

კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნებოდა ქვეყნის დედაქალაქის გადატანა ქუთაისში, რაც დროის და

ისტორიის ჩარხის უკან დატრიალებას ემსგავსებოდა – დავით აღმაშენებელს იმიტომ არ აუღია თბილისი, რომ 9 საუკუნის მერე დედაქალაქი აღარ ყოფილიყო. გორგასალზე აღარაფერს ვიტყვი. იმავე დავითის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან დიღმის ტრასაზე გადატყორცნეს და გზაზე დააყენეს, თითქოს უკანვე, ქუთაისისკენ. მის ადგილს კი ველოსიპედი „ამშვენებს“, ერთგვარი სიმბოლო ჩვენებური კოჰაბიტაციისა.

პარლამენტის ისევ თბილისში გადმოტანა ძველი შენობის მოწესრიგებასთან ერთად შესაძლოა დაახლ. 50 მილიონ ლარამდე დაჯდეს. დაბოლოს, რამდენიმე ვარიანტი, თუ რაში შეიძლება გამოდგეს ქუთაისში დარჩენილი შუშებიანი ძვირად ღირებული შენობა: 1) მანდ განთავსდეს უნივერსიტეტი 2) განთავსდეს ბიზნეს-ცენტრი (თუმცა საკითხავია, რომელი ბიზნესის?) 3) თუკი რუსეთი აშშ-სა და ევროკავშირის თანხმობით შეგვთავაზებს ოკუპირებული ტერიტორიების დანარჩენ საქართველოსთან რაღაცნაირ ფედერაციულ ან კონფედერატიულ კავშირს, მანდ შეიძლება განთავსდეს მისი ფედერალური საბჭო, იგივე ზედა პალატა ან სენატი, რომელიც ასეთ შემთხვევაში ალბათ შეიქმნება. 4) განთავსდეს ამაზე ბევრად ფუტუროლოგიური – გაერთიანებული კავკასიის პარლამენტი. ამისთვის კი აღარ უნდა არსებობდეს არც პუტინშჩინა, არც „იმრატ კავკაზ“. მანამდე კი დაველოდოთ პარლამენტის დაბრუნებას თბილისში, ისევ თავის ძველ შენობაში, და იმედი ვიქონიოთ, რომ მის წინ მდებარე პატარა მოედანი პროსპექტთან ერთად უსასტიკესი დარბევების მოწმე აღარასოდეს გახდება.

3. 03. 2013

ამას წინათ ერთ-ერთი სააგენტო წერდა, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები უდაბნოს მონასტერში შესაძლოა დაბრუნდნენ. რა ბერკეტებია დღეს ჩვენს ხელში ასეთი მოვლენების საწინააღმდეგოდ? ბერკეტი ამ შემთხვევაშიც იმაზე მეტი ნამდვილად არ გვაქვს, რაც სხვა საჭირბოროტო საკითხებთან მიმართებითაა (საზოგადოებრივს ვგულისხმობ...), მაგრამ აქ არის ერთი ფაქტორი გასათვალისწინებელი: როგორც ირკვევა, საქართველოს რკინიგზა აქამდე ძირითადად აზერებზე მუშაობდა და ახლაც მუშაობს.

ბლეფია, თითქოს ევრაზიული ტვირთები (ჩინეთი, ცენტრალური აზია) ჩვენს ტერიტორიაზე მოძრაობდნენ. აი თუნდაც ერთ-ერთი ბერკეტი ზემოქმედებისა... ეს, ცხადია, სახელმწიფოს პრეროგატივაა. დაე, იცოდნენ, რომ საქართველო არ არის აზერბაიჯანის საზიდი კორიდორი, არც სანავთობე პორტი. რა თქმა უნდა, ტვირთები ჩვენთვისაც მომგებიანია, მაგრამ ესეც საკითხავია – რამდენად. შევარდნაძის და ნაციონალების დროს ყველაფერს დაბალი ფასი ედო. და ეშმაკმა უწყის, ჩვენთვის ნაკლებად მოხილვად სფეროებში რა კორუფცია ტრიალებდა.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ დღევანდელ სიტუაციაში ყველამ თავისი გაინაღდა – რუსეთმაც, ჩვენმა სხვა მეზობლებმაც, ასევე „სტრატეგიულმა პარტნიორებმაც". და ეს უბრალო მიზეზის გამო ხდება: საერთაშორისო პოლიტიკა და მისი არენა არ არის ფილანტროპიული კლუბი. იგი მივარდნილ ადგილზე აშენებულ კაზინოს ჰგავს, სადაც არ არსებობს პოლიცია, ხოლო მისი მოთამაშეები ძირითადად შეიარაღებული ბანდიტები არიან, რომელთათვისაც მორალი ოდენ

ფატა-მორგანაა. ისინი ხან თაღლითობით, ხან კი პისტოლეტით აკეთებენ საქმეს.

ახლა წარმოიდგინეთ, ამ კაზინოში შედის ჩვენი წარგზავნილი. ბანდიტები, აქვთ რა ადამიანის ფსიქოლოგიის და სისუსტეების უტყუარი ალღო (ისე, როგორც ნამდვილ კრიმინალებს სჩვევიათ ეს), ცხადია, ზუსტად დაინახავენ, რომ მათ არ იციან რა უნდათ, თან მიდრეკილნი არიან ისევ თავისიანების მოსატყუებლად. ისინი ჩვენს წარმომადგენელს დაიამხანაგებენ, ოღონდ არათანასწორი პირობებით – ისე, რომ თვითონ შეხვდეთ მაქსიმუმი, ჩვენს წარგზავნილს კი მინიმუმი. ეს უკანასკნელიც, რახან სხვა გზას ვერ ხედავს, თანხმდება ამაზე. აი, ეს რეალობა უნდა დავინახოთ და მერე შეიძლება რაღაცები თანდათან გამოვასწოროთ კიდეც.

3. 04. 2013

კონფლიქტები ქართულ სოფლებში

ჩვენ მომსწრენი ვართ კონფლიქტებისა, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს სოფლებში ხელს უშლის გასხვისებული მიწების ახალ მეპატრონეებს, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ყველაზე გახმაურებულია დიცის ინციდენტი. ეს ყოველივე გვიჩვენებს, რომ ბრმად და მავნებლურად წარმოებულ საბაზრო ურთიერთობებს შეუძლიათ გამოუსწორებელი ზარალი მიაყენონ ქვეყანას და სამართლებრივი სისტემის დამკვიდრების პროცესს. პირდაპირი პასუხისმგებლობა აქ ეკისრებათ მათ, ვინც თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის ყველაზე მავნე, ყველაზე დამანგრეველ ასპექტებს არანაირი ანგარიში არ გაუწია და ასე პირდაპირ გაასხვისა მიწები.

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში ის ორლესული მახვილია, რომელსაც შესაძლოა უდავო სარგებელიც მოჰქონდეს, მაგრამ თავისი საფრთხეებიც აქვს მცირე ქვეყნებისთვის. საუბედუროდ, საქართველოში არავინ იფიქრა იმ ფილტრების დაყენების აუცილებლობაზე, რაც თავიდან აგვარიდებდა ასეთ საფრთხეებს. ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი გამოსავალი ასეთ შემთხვევებში იქნება შემდეგი:

1. საადგილმამულო ბანკის შექმნა, რომელიც გამოისყიდის ამ მიწებს (როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის ეპოქას დიდად არ გავცილებივართ).

2. აუცილებელია იაფი აგრარული კრედიტების გამცემი ინსტიტუტების დაფუძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია კოლაფსი სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც ისედაც სულს ღაფავს.

3. აუცილებელია ბაზრის დაცვა იაფი უცხოური პროდუქტის შემოდინებისგან, რათა ქართულ პროდუქციას გასავალი ჰქონდეს.

12. 04. 2013

აგვისტოს კონფლიქტი

2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის მიზეზების გამოძიება და ნამდვილი სურათის რეკონსტრუქცია შესაძლოა ბევრისმომცემი იყოს, მაგრამ არ მოხერხდება უბრალო მიზეზის გამო: ვერ დაიკითხება რუსული მხარე, კრემლის მაღალჩინოსნები, თავდაცვის სამინისტრო და სპეცსამსახურები. ეს კი აუცილებელია ობიექტური, დიფერენცირებული სურათისთვის. სხვაგვარად სრულ სიმართლეს ვერ მივიღებთ. ასევე უნდა დაიკითხოს აშშ-ს მაშინდელი ელჩი და მოხდეს ასევე ამ ომზე „ვიკილიქსის“ ყველა მონაცემის გაშიფვრა და ინტერპრეტაცია. ქა-

რთული მხარის დაკითხვა პრეზიდენტის ჩათვლით არანაირ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება ზოგადად ომის დამწყებს, იგი ცხადია: რუსეთმა სეპარატისტების ზურგის გასამაგრებლად იქ ჩააყენა შეიარაღებული ძალები, რომლებიც მალევე – შევარდნაძესთან დადებული დაგომისის კაპიტულანტური ხელშეკრულების შემდეგ 1992 წლის 24 ივნისს – „სამშვიდობოებად" გადანათლა. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე კონფლიქტი „გაიყინა", ამ პროცესს შესაძლოა საქართველოს წინააღმდეგ ქრონიკული აგრესია ეწოდოს. იგი გამწვავდა 2004-ში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ აგრესორს „კბილი მოუსინჯა", მაგრამ იმხანად საქართველო ტრაგედიას გადაურჩა. მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ ამ მოვლენებიდან სწორი დასკვნები ვერ გააკეთა, იგივე უფრო მძიმედ და დამანგრეველად 2008 წლის აგვისტოში განმეორდა.

საერთაშორისო სამართლით საქართველოს 2008 წლის აგვისტოში სრული უფლება ჰქონდა საკუთარ ტერიტორიაზე აღედგინა თავისი იურისდიქცია, მაგრამ სხვა საკითხია, რომ ამას მსოფლიოში პრაქტიკულად არავინ განგახორციელებინებს – რუსეთთან არსებულ სტატუს კვოს დარღვევას არავინ დათანხმდება, რასაც შესაძლოა რაიმე ფორმით შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვეს. საპირისპიროდ რუსეთმა სულ რომ დააუთოვოს ჩეჩნეთი, ინგუშეთი და დაღესტანი, არავინ ეტყვის რამეს.

ამიტომაც ორი ვარიანტი რჩება: ან ტუჩზე რძეშეუმშრალი „აღუები" ვართ და იმდენად ბრიყვები, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებას ვერ ვშიფრავთ, ან რომელიღაც სერიოზული აქტიორის ინტერესი იყო, კბილი მოესინჯა რუსეთისთვის. ოღონდ ეს ექს-

პერიმენტატორი წაუგებელ თამაშს თამაშობდა. წავაგეთ მხოლოდ ჩვენ. გამოსავალი იყო 2008 წლის აგვისტოს დასაწყისშივე ნიქოზიდან და რამდენიმე სოფლიდან მოსახლეობის დროებით გამოყვანა, ასევე ყველა ქართული შეიარაღებული ნაწილის მოცილება იქაურობიდან. კონფლიქტის ზონაში უნდა დარჩენილიყო პოლიცია და რაც შეიძლება მეტი ჟურნალისტი და კორესპონდენტი. ეს ჩვენს საეტაპო გამარჯვებას გარდაუვალად გახდიდა და, სულ ცოტა, არსებული სტატუს კვო არ დაიღვეოდა.

14. 04. 2013

ქართველი სამხედროები ავღანეთში

უკანასკნელ ხანებში ჩვენს საზოგადოებაში წარმოიშვა დისკუსია ავღანეთში ქართული სამხედრო მისიის არსებობასთან დაკავშირებით. მსხვერპლმა ეს დისკუსია კიდევ უფრო გაამწვავა. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ისტორიისთვის თვალის გადავლება სავსებით საკმარისია პარალელების მოსაძებნად. ახალი და განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი ხდება.

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალი მონაწილეობდა თავისი ჯარით სინდთა (ანუ ინდოეთის) მეფის წინააღმდეგ სასანური ირანის ჯარებთან ერთად. ამ კონტრიბუციას მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო-პოლიტიკური ბალანსისთვის და ქართული სამეფოს დამოუკიდებლობისთვის. ქართული ჯარები ამის შემდგომ მონაწილეობას იღებდნენ არაბებთან ერთად სხვადასხვა სამხედრო კამპანიებში, ისინი იბრძოდნენ მდინარე ჰალისთან, ანატოლიაში ბიზანტიის გადასარ-

ჩენად თორნიკე ერისთავის წინამძღოლობით, მოგვიანებით მონღოლებთან ერთად ეგვიპტესა და ირანში. როდესაც მონღოლები ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ, ქართველებს ვხედავთ სეფიანთა ირანის მმართველებთან ერთად იმავე ინდოეთის, ავღანეთის, ერაყის, ოსმალეთის სამხედრო კამპანიებში. აქ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მმართველთა პოლიტიკური ჩანაფიქრი იყო და უმეტესწილად მიზნად ისახავდა ქვეყნისთვის უსაფრთხოების ფაქტორთა გაძლიერებას. ჯარიც ასეთ კამპანიებში, ცხადია, იწვრთნებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს მონაწილეობაზე რუსეთის სამხედრო წამოწყებებში, თუნდაც ნაპოლეონურ ომში პეტრე ბაგრატიონთან ერთად, რისი შედეგიც იყო მშვიდობა და წესრიგი ევროპაში ვენის სამშვიდობო კონგრესის შემდგომ. ხანგრძლივ ვადებზე საქართველოს წვლილი აქაც მხედველობაში იქნა (და უფრო მეტადაც იქნება) მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა სუვერენული ქვეყნის გადაწყვეტილება – დამოუკიდებლობა ხომ აღარც გვქონდა.

იგივე ითქმის ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობაზე პირველ და მეორე მსოფლიო ომებში რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მხარეზე – ქართულ წვლილს დღევანდელი მშვიდობის მიღწევაში ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით ვერავინ დაამცრობს. როდესაც ქვეყნის უსაფრთხოება გარკვეულწილად დამოკიდებულია მსოფლიო პოლიტიკის დიდ მოთამაშეებზე (და არავინ უარყოფს, რომ რუსეთიც ასეთი დიდი მოთამაშეა), კეთილი ვინებოთ და ამ მხრივ საფასურის გადახდას სიგიჟედ და ანგარებად ნუ მოვნათლავთ.

ბოლოს დავაზუსტებ: საკითხავია, თუ რამდენად ვიყენებთ სხვის ომებში მონაწილეობას ჩვენი კონკრეტული სახელმწიფოებრივი მიზნებისა და ამოცანებისთვის ამა თუ იმ პოლიტიკურ კონიუნქტურაში. წინა პოსტში მე ასევე აღვნიშნე: კარგი იქნებოდა თუ მსოფლიოს წინაშე თუნდაც ამ მართლაც ტრაგიკულ მომენტში არ წარმოვჩნდებით, როგორც შინაგანი კონფლიქტებით დაღრღნილი საზოგადოება. ისე მე თუ მკითხავთ, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო, როგორც მოკავშირე და მეზობელი, პირდაპირ ჩაწერილიყო რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციაში. ეს ჩვენი უსაფრთხოებისთვის მართლაც სერიოზული გარანტია იქნებოდა. მაგრამ ეს დღის წესრიგში არ დგას ამჯერად.

11. 06. 2013

სამღვდელო პირთა პროცესი

სამღვდელო პირთა პროცესის თაობაზე 17 მაისის მანიფესტაციის და მისი მიმდინარეობისას მომხდარი ექსცესების გამო, რომელიც ახლახან გადაიდო: ფაქტია, რომ 1983 წლის საჩვენებელი პროცესის შემდეგ, რომელიც ცკ კომპარტიის პირველი მდივნის, ე. შევარდნაძის საქართველოში გაიმართა თვითმფრინავის გატაცების საქმის გამო და სხვებთან ერთად მამა თეოდორე ჩიხლაძე განსასჯელ სკამზე აღმოჩნდა, სასულიერო პირი არ გასამართლებულა.

ასეთ რამეს, თავისთავად ცხადია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ვერ აღმოვაჩენთ, ოღონდ არც ე. შევარდნაძის მმართველობისას (როგორც უნდა შევაფასოთ ეს პერიოდი). და არც მ. სააკაშ-

ვილის ზეობის 9-წლიან პერიოდში (ფაქტია, მათაც ვერ გაბედეს). ეს, რასაც დღეს ვხედავთ, აშკარად საჩვენებელი პროცესია, რომელსაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს.

აქ შესაძლოა იკითხონ: სასულიერო პირი შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა? არამცდაარამც – იქნება ჩემი პასუხი. მაგრამ ფაქტია, რომ სამღვდელო პირთა ადვოკატები მოითხოვენ საქმის დახურვას დანაშაულის შემცველობის ქმედებათა და მტკიცებულების არარსებობის გამო. ის გარემოება, რომ ხსენებული სასულიერო პირები სადღაც წყევლა-გინებით გარბიან უზარმაზარ, რამდენიმეათასიან მასასთან ერთად, არასგზით არაა საკმარისი მათი ბრალეულობის დასადგენად. სასტიკად არ მომწონს, როდესაც სასულიერო პირი ილანძღება, უშვერება რელიგიური თვალსაზრისით ცოდვაა, თუმცა ეს ქმედება კანონით დასჯადი არ არის. იქმნება სიტუაცია, როდესაც ან ყველაა დამნაშავე, ან არავინ.

სხვა მომენტია, რომ სასულიერო პირებს 17 მაისს მოუვიდათ შეცდომა, როდესაც ადამიანების დიდი მასა დაიძრა მეორე, მცირერიცხოვანი აქციის მიმართულებით და მათ ეს ხალხი არ შეაჩერეს. ცხადია, რომ ორი ასეთი აქციის კერათა დაახლოებას მოჰყვება ძალადობა, რაც ქრისტიანობის მეთოდების არსენალისთვის – მოყოლებული ძველი რომიდან დღემდე – უცხოა და მიუღებელი. ქრისტიანობა, დაწყებული მოციქულთა ეპოქიდან, მოქმედების ორ ლეგიტიმურ იარაღს ცნობდა: ქადაგებას და გადარწმუნებას. ყველას უნდა დაენახა, რომ ქრისტიანებთან საქმე და სიტყვა ერთია და ეს მათ დამაჯერებლობას განაპირობებდა. მეორეა, რომ სხვაგვარადაც მომხდარა ისტორიაში, ძალადობა, საუბედუროდ, სიყვარულის და თავისუფლების ღმერთის, ქრისტეს სახელითაც ჩადენილა და ეს კაცობრიობის უდიდესი ტრაგედიაა.

17 მაისს უაღრესად ეფექტური იქნებოდა სრულიად მშვიდობიანი დემონსტრაცია და ჩვენება იმისა, რომ ჩვენ ვიცავთ და საუკუნოდ ვიდგებით უბიწობის და ჰეტეროსექსუალურობის გზაზე, რომ სხვაგვარად საფრთხე შეექმნება ჩვენს ზოგადადამიანურ და ეროვნულ იდენტობას, ჩვენს კულტურას. სექსუალური ორიენტაციის თაობაზე კი დავძენ: ვფიქრობ, სადავო არაა, რომ როგორც ევანგელური, ისე კრებებისდროინდელი და თანამედროვე ქრისტიანობაც თავის მეინსტრიმში შესაძლოა აღიარებდეს როგორც უბიწობას, ისე ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას. სხვა ყველა ორიენტაცია მის ფარგლებს ცდება. ამადაც აქცია ტრადიციული ორიენტაციის დასაცავად და სხვა, არატრადიციული ორიენტაციის მიუღებლობა სრულიად გასაგებია. ოღონდ მშვიდად, მტკიცედ, მაღალი კულტურით, ძალადობის ელემენტების გარეშე.

24. 07. 2013

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში

საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ: დღევანდელი არჩევნები შინაარსობრივად მაინც რეფერენდუმი იყო, შეკითხვით – გსურთ თუ არა გასული წლის 1 ოქტომბერს დაწყებული, არსებითად მაინც რევოლუციური ცვლილების გაგრძელება და ახალ, კიდევ უფრო ხისტ ეტაპზე გადაყვანა? იმ 1 ოქტომბრის შემდეგ ადგილიდან უკვე დაძრული რევოლუციური პროცესები ხომ გაჩერდა ნაციონალური მოძრაობის მიერ არჩევნების შედეგების აღიარებით, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის გაუწევლობით და საბოლოოდ კოჰაბიტაციით.

კოჰაბიტაცია ნიშნავს სხვადასხვა პოლიტიკური გეზის და პარტიულად დაპირისპირებული პრეზიდენტის და პრემიერის რალაცნაირ თანაარსებობას. ეს ისედაც მთავრდებოდა, თუკი მაინცადამაინც მე-5 ნომერი არ გაიმარჯვებდა. მაგრამ რევოლუციის მეორე ტაქტი – 41 ნომრის გამარჯვების შემთხვევაში – უკვე გულისხმობდა გარდაუვალ ვადამდელ არჩევნებს, „ოცნების“ მხილებას „ნაციონალებთან“ გარიგებაში, დაპატიმრებათა ახალ ტალღას, ახალ სასამართლო პროცესებს, რუსეთსა და ევრაზიულ კავშირთან ისეთი დაახლოების კურსს, რაც ამერიკული და ევროპული ინტერესების ჩარჩოდან გამოვიდოდა.

ხალხის დიდმა რაოდენობამ ასეთ მკვეთრ ცვლილებას ხმა არ მისცა, რადგან რყევები უამრავი მოუგვარებელი პრობლემით დატვირთულ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობისთვის სასურველი არ არის. ამავე დროს, დამდგარი შედეგით კოჰაბიტაცია მაინც ხავერდოვნად სრულდება. დღეს საქმე არა „სამართლიანობის აღდგენაშია“, როგორც ყველას პირზე აკერია, არამედ მის დამკვიდრებაში. საქმე „აღდგენაში“ მაშინ იქნებოდა, რომ ოდესმე ყოფილიყო სახეზე ეს სამართლიანობა. მაგრამ იგი ჩანასახოვანი სახით მხოლოდ 1990-91 წლებში ამოილანდა და მაშინვე სასტიკად ჩახშობილი იქნა. და ვეჭვობ, დღეს რომელიმე პოლიტიკოსი თუნდაც თავის გუნებაში აპელირებდეს ამაზე. ყოველი შემდგარი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩვენი ასე თუ ისე არსებული სახელმწიფოებრიობის პირობებში ახალი ეტაპია განვითარების გზაზე.

მისასალმებელია ამ ახალი ეტაპის გავლა მშვიდ გარემოში, ექსცესების, შეხლა-შემოხლის, ისტერიის,

კონფლიქტების გარეშე. წარმატებას ვუსურვებ გამარჯვებულ კანდიდატს, ბატონ გიორგის, ხოლო სხვებს ვუსურვებ ნაყოფიერ მოღვაწეობას ოპოზიციურ ასპარეზზე.

28. 10. 2013

ელჩ ნორლანდის განცხადებაზე

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ნორლანდმა განაცხადა: „ქართველები აფხაზებს ეპყრობოდნენ დაახლოებით ისე, როგორც მანამდე რუსები – ქართველებს".

თუკი ელჩი ნორლანდი არ დააზუსტებს ამ გამონათქვამს, გაუგებრობას ვერ ავცდებით, ვინაიდან საქართველო, როგორც სახელმწიფო, სულ რაღაც 22 წელია არსებობს. მანამდე ის სუვერენულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც" საქართველოს სსრ-ს ფარგლებში შექნილია სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების მიერ და „ქართველებს" ეს ტერიტორიები არასოდეს დაუპყრიათ.

ერთადერთი ომი, რომელიც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელმა ქვეყანამ წარმართა, იყო 1992-93 წლის აფხაზეთის კონფლიქტი, რომელშიც „ხელისუფლებად" წოდებული (შევარდნაძე-კიტოვანი-იოსელიანი) ერთი მხარე მონაწილეობდა, მეორე კი პრაქტიკულად ომის გაჩაღებაში არ ჩარეულა. ასევე გაურკვეველია თავად „ქართველებს" თუ უნდა მოუხადოს ვინმემ ბოდიში ამდენი დევნილის და ლტოლვილის გამო ხსენებული

კონფლიქტის ზონებიდან. გეტოს ტიპის დასახლებებში წეროვანსა და გორთან, მგონი, ქართველი ეროვნების ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ.

ეს აჩენს ასევე კითხვებს, კონკრეტულად რომელმა ქართველებმა რომელ აფხაზებს და ოსებს უნდა მოუხადონ ბოდიში? ანუ ეს სახალხო დიპლომატიის კოლექტიური ბოდიში იქნება თუ სამთავრობო დონეზე უნდა განხორციელდეს? ან იქნებ ქართველთაგან აფხაზების და ოსების ჩაგვრის და ფიზიკური განადგურების ისეთივე მუზეუმები უნდა აშენდეს, როგორც ბერლინში დგას თუნდაც ჰოლოკოსტის (ანუ ებრაელთა გენოციდის) მუზეუმი?

15. 11. 2013

ქვეყნის მუნიციპალური მოწყობა

ქვეყნის მუნიციპალური მოწყობა ისე, რომ ამით მოხდეს ბალკანიზაციის წახალისება, მართლაც მიუღებელია. რეგიონების ერთეულთა დაკანონებას აუცილებლად მოჰყვება რეგიონული ენის შემოღების მოთხოვნაც, რადგან ევროპას უკვე აქვს რეგიონული ენების ქარტია. დადგება საკითხი, სვანეთში რატომ არ უნდა შემოვიღოთ სვანური ენა, სამეგრელოში – მეგრული, ასევე ახალქალაქი-წალკა-ნინოწმინდაში – სომხური, მარნეულში – აზერბაიჯანული, პანკისში – ჩეჩნური ენები.

შესაძლოა ამას რელიგიური ფაქტორებიც დაერთოს, რადგან მუსლიმებმა ისლამის ნიშნით მოისურვონ ავტონომია, კათოლიკეებმა და მართლმადიდებლებმა

ასევე თავიანთი კონფესიების ნიშნით. საკუთარი, შიდაქართული კონფლიქტების გარდა (აფხაზეთი, ცხინვალი), ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს ბოსნიის კონფლიქტი 90-იანებისა, როდესაც მხარეები დაყოფილი იყვნენ ასე: მუსლიმები (ცენტრით სარაევოში), სერბები (ანუ ორთოდოქსები ცენტრით პალეში) და კათოლიკეები. მოსტარის ისტორიული მეჩეთის აფეთქების შემდეგ, კონფედერაციაში მუსლიმები და კათოლიკეები ერთად დაჯგუფდნენ, სერბები – ცალკე. აქეთკენ მივდივართ? ან იქნებ აგრესიული მეზობელი გვავიწყდება თავისი დუგინებით და ჟირინოვსკებით, რომელიც სიამოვნებით წაახალისებდა ამ ყოველივეს?

ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო ნამდვილ რესპუბლიკანიზმთან, რაც გულისხმობს 100-ვე პროცენტით სეკულარულ, ეროვნულ, იმავდროულად დემოკრატიულ პოზიციას (თუმცა პროექტს შეიძლება „რესპებთან" ჰქონდეს საერთო, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის პოპულარობასა და რეიტინგზე ისევე ამოვიდნენ, როგორც გურიასა და იმერეთში ფითრი ამოდის ხოლმე მსხლის ხეზე). მისაღები უნდა იყოს ევროპულობის ისეთი გაგება, რაც ჩვენს სპეციფიკას გაითვალისწინებს – რადგან იდეაში „ევროპა" არ არის ქათმების ფერმა, სადაც ყველა ფრინველი თეთრი ფერისაა.

6. 12. 2013

თამარ კორძაიას გამონათქვამზე

თამარ კორძაია: „მე ვარ სოხუმელი და, როდესაც ომი დაიწყო, ის პერიოდი ძალიან კარგად მახსოვს, 15-16 წლის ვიყავი. რა თქმა უნდა, ეს ომი არ დაწყებულა ერთ დღეს და მახსოვს, ყველაფერი როგორ ხდებოდა, როგორ გრძნობდნენ თავს აფხაზები ქვეყანაში, როგორ ცდილობდნენ დაეცვათ თავი და დაემტკიცებინათ, რომ ისინი იყვნენ კარგები, სამსახურის ღირსნი, თანამდებობის ღირსნი და ასე შემდეგ“.

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ საერთოდ ეჭვი შემეპარა, რამდენად იცნობს თ. კორძაია (ან ახსოვს) აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას 80-იან წლებში. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც NGO-ს რილიზს ვკითხულობდი. აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში სწორედ რომ ეთნოკრატიული რეჟიმი იყო გაბატონებული, მიუხედავად იმისა, რომ ომამდე ქართული მოსახლეობა იქ 44 პროცენტი იყო – სწორედ ქართველებს უნდა ემტკიცებინათ, „რომ ისინი იყვნენ კარგები, სამსახურის ღირსნი“ და ა. შ. და ხშირ შემთხვევაში ვერ ამტკიცებდნენ. ამის შანსი მცირე იყო, რადგან იქ მძვინვარებდნენ იმპერიის ცენტრიდან ზურგგამაგრებული ეთნოკრატები, როგორებიც იყვნენ კონსტანტინ ოზგანი, ენვერ კაპბა, ბ. კეხირ-იფა და სხვები. თანამდებობებზე მაშინდელ აფხაზეთში სწორედაც რომ ეთნიკური ნიშნით ხვდებოდნენ – ეს აპარტეიდული სისტემა შექმნა კრემლმა და მისმა შეფიდეოლოგმა მიხაილ სუსლოვმა. იგი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ანტიქართული ეთნოშოვინიზმის მამად. და 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სწორედ ეს ეთნოშოვინისტები

კრემლისა გაჰყვიროდნენ და ახლაც გაჰყვირიან მთელ მსოფლიოში: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდია პრიზივალ, გრუზია ტოლკო დლია გრუზინ!

ნეტავ, ქალბატონი თამარიც ხომ არ აპირებს დაეთანხმოს მათ?

8. 12. 2013

გვამების მოთხოვნა

გავრცელებულმა კადრებმა, სადაც საქართველოს ნომერ პირველი ძალოვანი აცტეკების ქურუმივით მსხვერპლთა გვამებს ითხოვს, გამახსენა 2009 წლის აპრილ-ივლისის პერმანენტული აქციები და საკნების ქალაქი რუსთაველის პროსპექტზე. ხელისუფალთა მიზანი იყო ისედაც შესუსტებული აქციებისთვის მუხტის გამოცლა და ეს კიდევაც შეძლეს მაშინ. გამახსენდა უფრო შორეული წარსულიც: 1991 წლის შემოდგომა, ხანა დაპირისპირების, დასაწყისი უმძიმესი კატასტროფებისა. მიტინგები უზენაეს საბჭოსთან, ტელევიზიასთან და პრეზიდენტის რეაგირება. როდესაც ოქტომბრის დასაწყისში ტელევიზიიდან თბილისის ზღვისკენ უკუქცეულ თენგიზ კიტოვანის დაჯგუფებას ომონელებმა ცეცხლი გაუხსნეს თემქის მიდამოებში, ზვიად გამსახურდიამ გააჩერა ომონი, დიდძალი სისხლი დაიღვრებაო. როდესაც ოქტომბერ-ნოემბერში სულ ცოტა სამი ძალოვანი სეგმენტი ცდილობდა პრეზიდენტის გადარწმუნებას, რომ აუცილებელი იყო თბილისის ზღვის ბაზის შტურმით აღება, პრეზიდენტი უარზე იდგა – სისხლი არ უნდა დაიღვაროსო.

როდესაც 22 დეკემბერს პარლამენტის შენობის დაბომბვა დაიწყო, მებრძოლთა თქმით, პრეზიდენტი

მათ ეუბნებოდა, ფეხებში მაინც ესროლეთ, ეგენიც ქართველები და ადამიანები არიან, ნუ გავიმეტებთო. ერთი წლის შემდეგ ზვიად გამსახურდია უკვე დევნილი პრეზიდენტის სტატუსით გროზნოდან ვენაში ჩავიდა, სადაც პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, ბატონო პრეზიდენტო, თბილისის ომის სამხედრო თვალსაზრისით მოგება თუ შეგეძლოთო? დიახ, შეგვეძლო, მაგრამ დავმარცხდებოდით მორალურად, – იყო პასუხი. აი, მერე უკვე სამხედრო თვალსაზრისითაც წავაგებდითო.

სააკაშვილმა და მერაბიშვილმა კი 2009 წელს სხვა გზა აირჩიეს და შედეგიც აშკარაა. აქედან ჩანს, ვინ რა ფასეულობებზე აგებდა პოლიტიკას. ზვიად გამსახურდიამ თავისი მსხვერპლით საქართველო გადაარჩინა გაცილებით უფრო დიდ და მასშტაბურ დაპირისპირებას, ტოტალურ სამოქალაქო ომს და ალბათ, უცხოურ ინტერვენციასაც. იგი მომავალზე ორიენტირებული, ახალი აზროვნების, ახალი ცნობიერების პოლიტიკოსია. იგი პირნათელი დარჩა ისტორიაში. დიახ, პოლიტიკოსი, ამას ხაზგასმით ვამბობ მავანთა გასაგონად. „უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი, უძლეველი ქვეყანაზე არის მხოლოდ სამართალი“ (აკაკი).

30. 01. 2014

მუხროვანის ამბებზე

ჩემი წინანდელი პოსტინგი, რომელიც შეეხებოდა ძალოვანთა რეაქციას მუხროვანის მოვლენებზე, იყო ერთგვარი Flashback ანუ გაშუქება ისტორიული ფონიდან. ახლა კი რაც შეეხება საკითხის მეორე, აქტუალურ ასპექტს, ოღონდ 22 წლის პერსპექტივიდან დანახულს: გამოძიებამ აუცილებლად უნდა გაარკვიოს შემდეგი საკითხები:

1. იყო თუ არა მუხროვანის ამბები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

2. თუკი იყო ასეთი მცდელობა, გაარკვიოს, რას გეგმავდნენ ხსენებული ოფიცრები.

3. თუკი ეს არ იყო გადატრიალების მცდელობა, უნდა დადგინდეს, რაში დაჭირდა ხელისუფლებას ეს ყოველივე.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემთხვევაში (და მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის არჩეული და ლეგალური ხელისუფალი, საააკაშვილია, ივანიშვილია, ღარიბაშვილია, მარგველაშვილია, ნათელაშვილია, ბურჯანაძეა თუ სხვა) სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური უფლება და ვალდებულება, მოიხმაროს ძალა და ყველანაირი საშუალებით აღკვეთოს ასეთი მცდელობა. ამისკენ მოუწოდებს მას საზოგადოების ინტერესი.

როგორც ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, ეს ვერ მოხდებოდა ზვიად გამსახურდიას დროს, რადგან 1 წლის თავზე ახლად ფეხადგმული სახელმწიფოს ნაწილი მოისყიდეს, ნაწილი კი პირდაპირ ჩაკლეს. ამდენად ვერავინ განახორციელებდა ძალისმიერი მეთოდებით გადატრიალების აღკვეთას, რომელშიც იმავდროულად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ. თუკი დადგინდება, რომ 2009

წელს ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, მაშინ უნდა გაირკვეს, რამდენად მართლზომიერად იქნა გატარებული სპეცოპერაცია. თუკი აქაც დადებითი შედეგი დადგება, სახელმწიფო გამართლდება, მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილის ბრძანება იურიდიულად გაუმართავია, ბრუტალურია და მას შუასაუკუნეების აზიელი დესპოტის ელფერი დაჰკრავს. და ასევე გვახსოვდეს: იმისთვის, რომ აღარასოდეს განმეორდეს სამხედრო საბჭოს და სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის კოშმარი და სახელმწიფოს მკვლელობა, სამხედრო გადატრიალების ნებისმიერ მცდელობასთან ცერემონიები ნამდვილად არ არის საჭირო.

31. 01. 2014

სამართლიანობის აღდგენის შესახებ

სამართლიანობის დამკვიდრების („აღდგენად" წოდებული) პროცესი გვიჩვენებს, რომ უსამართლობა ჩვენი უახლესი ისტორიის მყარი შემადგენელი ნაწილია (1992-2012). ცოტა ხნის წინათ მე მხარი დავუჭირე „სამართლის ეროვნული კომისიის" შექმნის იდეას, რომლის დაკომპლექტებაც უნდა მოხდეს კვალიფიციური და შედარებით მიუმხრობელი სამართლის სპეციალისტებით (სრულიად მიუმხრობელი საქართველოში არავინაა, თუმცა ალბათ მსოფლიოშიც). ასეთი კომისიები ფუნქციონირებს არგენტინაში და ჩილეში, ანუ ქვეყნებში, რომელთა უახლესი ისტორიაც საკმაოდ პრობლემურია და ამგვარად დამუშავებას, გააზრებას, შესაბამისად გადალახვას მოითხოვს.

შემოგთავაზებთ კონკრეტული შემთხვევების და მოვლენების ნუსხას, რომლებიც, ჩემი თვალსაზრისით,

უნდა იქნეს განხილული ამ კომისიის მიერ. შესაძლოა რაიმე გამომრჩეს, თუმცა თქვენ დაამატეთ: 1. სამხედრო გადატრიალება 1991-92 წლების მიჯნაზე და თბილისის ომი. არალეგიტიმური „სამხედრო საბჭოს" და „სახელმწიფო საბჭოს" შექმნა. იყო თუ არა გაყალბებული ე. წ. „იმედის არჩევნები" (?) 1992 წლის ნოემბერში. 2. დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგების დარბევები და დახვრეტები თბილისში 1992 და 1993 წლებში. 1992 წლის 2 თებერვლის მანიფესტაცია, რომელზეც, შეუმოწმებელი მონაცემებით, დაიღუპა 23 მშვიდობიანი მოქალაქე და დაიჭრა 185 ადამიანი. შემდგომში სამართლიანად იქნა თუ არა ჩატარებული ზვიად გამსახურდიას მომხრეთა სასამართლო პროცესები? იდევნებოდა თუ არა პრეზიდენტის ოჯახი? 3. ლაშქრობები სამეგრელოში. ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, სენაკის, დარჩელის დარბევა და აოხრება, ზოგ შემთხვევაში არაერთგზის. 4. ცხინვალის დაბომბვა 1992 წლის მაისსა და ივნისში. ავტობუსის დაცხრილვა, სადაც 20-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა (ეთნიკური ოსები). რამდენად შეესაბამებოდა ჩვენს ინტერესებს დაგომისის ხელშეკრულება რუსეთთან 1992 წლის 24 ივნისს. 5. აფხაზეთის ომის დაწყება 1992 წლის 14 აგვისტოს. გაგრის დაკარგვა 1992 წლის ბოლოს, სოხუმის დაცემა 1993 წლის სექტემბერში. რამდენად შეესაბამებოდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს სოჭის ხელშეკრულება. 6. ვისი მიზეზით ჩაიშალა ბობოყვათის მოლაპარაკებები 1993 წლის შემოდგომაზე კანონიერ და ფაქტობრივ ხელისუფლებებს შორის. ადმირალ ბალტინის სამხედრო ძალების შემოყვანა დასავლეთ საქართველოში. საქართველოს გაწევრიანება დსთ-ში. 7. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნა სამეგრელოში. ძალიან დიდი ალბათობით მისი

ლიკვიდაცია ქართული და რუსული უშიშროების სამსახურების მიერ სამეგრელოში განხორციელებული სპეცოპერაციით. 8. გიორგი ჭანტურიას მკვლელობა. 9. პასუხისმგებელი იყო თუ არა ფაქტობრივი ხელისუფლების ორგანოები ენერგეტიკულ კოლაფსზე, 1992-2001 წლებში, რისი შედეგიც იყო ტოტალური უშუქობა, ასევე გათბობის არარსებობა მოქალაქეთა ბინებში. რა კავშირში იყო ამ ყოველივესთან ე. წ. მე-9 ბლოკი? 10. მოტყუებული მეანაბრეების საქმე შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს – ვინ აგებს პასუხს. 11. ფინანსთა მინისტრის, დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობა თუ მკვლელობა. რამდენად მართებულად და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ჩატარდა პრივატიზაცია ამ წლებში? 12. რატომ მოკლეს ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომელი ფრედ ვუდროფი ფასანაურთან. 13. იქნა თუ არა გაყალბებული 1995 წლის არჩევნები. 14. იქნენ თუ არა გაუსამართლებლად დახოცილი „მხედრიონის" წევრები. 15. ვისი განხორციელებულია ტერორისტული აქტი ე. შევარდნაძეზე 1995 წელს? არის თუ არა დამნაშავე ამაში იგორ გიორგაძე? 15. იყო თუ არა მოსკოვში გია ყარყარაშვილზე განხორციელებული თავდასხმა კავშირში ე. შევარდნაძის ხელისუფლებასთან (ამ თავდასხმის შედეგად იგი დაინვალიდდა). 16. ზვიად გამსახურდიას გვარდიის ოფიცრის, აკაკი ელიავას გაუსამართლებლად დახვრეტა ზესტაფონში 1999 წელს. იმავე პერიოდში ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერის, ნ. ლეჟავას მკვლელობა მერაბ კოსტავას ეზოში. 17. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა თუ მკვლელობა. 18. გიორგი სანაიას მკვლელობა (იყო თუ არა იგი ჩადენილი საყოფაცხოვრებო საფუძველზე თუ პოლიტიკური მიზე-

ზები ჰქონდა). 19. ჩეჩნების შეიარაღებული რაზმის გადასროლა რ. გელაევის მეთაურობით ე. შევარდნაძის ძალოვანთა მიერ კოდორის ხეობაში. 20. მუხროვანის ამბოხი ე. შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ. 21. იყო თუ არა დაკითხვებზე ეჭვმიტანილთა წამებების, ასევე შსს-ს შენობების მაღალი სართულებიდან გადმოგდების შემთხვევები 1992-2001 წლებში. 22. იყო თუ არა გაყალბებული 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები. 23. 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუცია" – ე. შევარდნაძის როლი. 24. იქნა თუ არა გაყალბებული 2004 წლის მარტში ჩატარებული განმეორებითი არჩევნები, რომლის შედეგადაც ნაციონალური მოძრაობა აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში, ხოლო ოპოზიციიდან მხოლოდ „ახალი მემარჯვენეები" დაუშვეს პარლამენტში. 25. სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაცია და აფრასიძეების ამოხოცვა 2004 წლის გაზაფხულზე. 26. „ციხის ბუნტი" 2006 წელს, რომელსაც მოყვა მსხვერპლი. 27. პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას საქმე. 28. რამდენად კანონიერად იყო განხორციელებული ბიზნესების და კერძო საკუთრების ჩამორთმევები, ასევე შენობებიდან იძულებით გასახლებები (მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებისა) 2004-10 წლებში? 29. სანდრო გირგვლიანის საქმე. 30. ბუტა რობაქიძის საქმე. 31. ვაზაგაშვილის საქმე. 32. 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევა. სპეცრაზმის შეჭრა „იმედში". 33. უკანონო მოსმენები და მათი გაშვება ტელევიზიებში (ჩემი, ცოტნე გამსახურდიასი, შალვა ნათელაშვილის და სხვების), რითიც ჩირქი მოეცხოთ კონკრეტულ ადამიანებს. 34. იყო თუ არა გაყალბებული 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და იმავე წლის მაისის საპარლამენტო არჩევნები? 35. რატომ დამყარდა ციხეებში განსაკუთრებულად სასტიკი რეჟიმი 2008-

12 წლებში? რამდენი ადამიანია ნაწამები? რამდენია გარდაცვლილი? 36. 2008 წლის 5-დღიანი ომი ცხინვალში. რამდენად მართებულია ტალიავინის დასკვნა. 37. იყო თუ არა მომიტინგეთა და არაძალადობრივად მოქმედ პირთა დაპატიმრებები და რეპრესიები 2004-2012 წლებში პოლიტიკურად მოტივირებული? რამდენად კანონიერი განაჩენები გამოჰქონდა სასამართლოს? 38. მუხროვანის ამბოხი და ხელისუფლების რეაგირება მასზე 2009 წელს. 39. გურამ შარაძის მკვლელობა 40. ხელს უწყობდა თუ არა მონოპოლიებს საქართველოს ბიზნესგარემოში მ. სააკაშვილის ხელისუფლება? 41. რატომ შემოდო ზურაბ ადეიშვილის ხელქვეითმა პროკურატურამ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე თაროზე, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში 2011 წელს სავსებით იყო დასაბუთებული აუცილებლობა ამ საქმის გამოძიებისა? 42. რატომ მოხდა 2011 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევა განსაკუთრებული სისასტიკით. 43. იყო თუ არა მართებული ბანკი „ქართუს" წინააღმდეგ განხორციელებული სანქციები 2011 წელს? 44. გულისხმობდა თუ არა ხელისუფლების პოლიტიკა 2004-12 წლებში ელექტრონული მასმედიების შეზღუდვას და მონოპოლიზებას? 45. ლაფანყურის სპეცოპერაცია 2012 წელს.

ამ საკითხების გამოკვლევის გარეშე სამართლიანობაზე ნუ ვისაუბრებთ. მესმის ისიც, რომ ასეთმა პოზიციამ შესაძლოა ვერ ჰპოვოს პოპულარობა: ნაციონალების მომხრეებს წესით არ უნდა ეპიტნაოთ 2004-12 წლების საკითხთა მოქცევა მასში, „ოცნების" და უფრო რადიკალური პარტიების წარმომადგენლებისთვის კი 1992-2004 წლების პერიოდის ნეგატიურ კონტექსტში

განხილვას რაღაცნაირი შეთქმულების სუნი ასდის და ამდენად შესაძლოა აქ თქმული საკუთარი ხედვის რევიზიად აღიქვან.

ნაპოლეონ ბონაპარტეს ასეთი ფრაზა ეკუთვნის: „ისტორია არის იმ სიცრუეების ერთობლიობა, რომელზეც ხალხი შეთანხმდა“.

ეტყობა მე ვწერდი ისტორიაზე ანუ იმ სიმართლეთა ერთობლიობაზე, რომელზეც ხალხი ვერ თანხმდება.

7. 02. 2014

ბჟეზინსკი უკრაინაზე

ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი think-tank-ის ხელმძღვანელი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი ზბიგნევ ბჟეზინსკი უკრაინის მოვლენებზე წერს, რომ პუტინს საბედისწერო შეცდომა მოუვიდოდა იანუკოვიჩის ღია მხარდაჭერით, მაგრამ რუსეთს კვლავაც შეუძლია უბიძგოს უკრაინას სამოქალაქო ომისკენ. შეუძლია ხელი შეუწყოს ყირიმის და ზოგიერთი ინდუსტრიულად განვითარებული აღმოსავლეთ ნაწილის გამოყოფას უკრაინისგან. მას შეუძლია იმ ფაქტის იგნორირებაც, რომ ეს გამოიწვევდა უკრაინელთა უმრავლესობის მყარ სიძულვილს რუსეთის მიმართ... ისე წარმოჩნდება, რომ პუტინის ნოსტალგიური ოცნება ევრაზიული კავშირის აღდგენისა რუსეთის მეთაურობით დაეფუძნებოდა დაშინებისა და იძულების პოლიტიკას. დასავლეთმა (როგორც აშშ-მ, ისე ევროკავშირმა) კონსტრუქციული როლი უნდა ითამაშოს ამ პროცესში და არ მისცეს საშუალება რუსეთის მიერ გაღვივებულ პროცესს უფრო მეტად განვრცობისა.

რუსეთის მიმართ სიძულვილი კრემლში რომ არ ანაღვლებთ, ზუსტად ამაზე მეტყველებს ახლა უკვე ატოცის მიდამოებში გაგრძელებული მავთულხლართები. ისინი ვერ გაცდნენ არქაული ეპოქის მეფე ნაბუქოდონოსორის და ფარაონ რამზესის დამოკიდებულებას – თუკი ესა თუ ის ქვეყანა პრობლემაა, იგი რუკიდან უნდა წაშალო და მისი ტერიტორია სხვებს დაუნანილო. „რბილი ძალა" (soft power) ანუ ისეთი პოლიტიკა მეზობლებთან, რომ შენი თავი მიმზიდველად და სასურველად წარმოაჩინო, მათ არ შეუძლიათ და არც სურთ.

26. 02. 2014

რომელ ბანაკს ვეკუთვნი?

პასუხი გოჩა გვასალიას შეკითხვაზე, თუ რომელ ბანაკს ვეკუთვნი:

„მე საქართველოს ბანაკში ვარ და თანაც იმ კაცობრიობას ვეკუთვნი, ვისთვისაც მოაზროვნე გულის განვითარებაა უმთავრესი პრიორიტეტი. სოციალურ პლანში ესაა ბახტინისეული პოლიფონიურობა ანუ თავისუფლება სულიერ-კულტურულ ცხოვრებაში, თანასწორობა სამართლებრივ-ადმინისტრაციულ სფეროში და ძმობა-სოლიდარულობა-კოოპერატიულობა ეკონომიკურ სფეროში. არ მინდა ვინმემ მიგულოს პუტინის მოიმედე ევრაზისტებთან, არც აშშ-თი აღტაცებულ სააკაშვილისტ-ატლანტისტებთან. საერთოდ არანაირ ისტებთან.

საქართველოს მომავალი მზა სქემებით და რეცეპტებით არანაირად არ მესმის. იგი ჩვენ თვითონ უნდა ვშვათ ჩვენი აზროვნებით, წარსულის განცდით და მო-

მავლის ჭვრეტით, ნებელობითი აქტებით. იოანეს გამოცხადებაში ნახსენებია ძლიერი ანგელოზი უფლისა, რომელსაც ცალი ფეხი წყალზე უდგას (პოლიტიკური ოკეანეთი, ზღვაოსანი ხალხების საუფლო) და ცალი ფეხი ხმელეთზე (პოლიტიკური კონტინენტალიზმი). ამაზე დიდებული და აზროვანი ხატი ჩვენი მომავლისთვის მე არ მეგულება. და თუ ვინმე უზუსტესად და ზედმიწევნით ჩამოგიყალიბებთ საქართველოს მომავალს, ნუ ერწმუნებით, რადგან იგი უცილოდ თაღლითი და მანიპულატორი იქნება".

5. 03. 2014

ამერიკელი რესპუბლიკელები და რუსეთი

უკრაინასა და ყირიმში შექმნილი სიტუაცია მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი ფაქტორი გახდა. ამერიკელი რესპუბლიკელები აშკარად ხარობენ ვლადიმერ პუტინის ამ რადიკალური კურსის გამო და ეს მათთვის საუკეთესო საშუალებაა, დაარტყან პრეზიდენტ ობამას. მას შიდაპოლიტიკურად უსწორებენ ანგარიშს. მაგალითად, ნიუ-იორკის ყოფილი მერი რუდი ჯულიანი: „პუტინი წყვეტს, რა უნდა გაკეთდეს და ამას ნახევარ დღეში აკეთებს... ის იღებს გადაწყვეტილებას და ასრულებს. თანაც სწრაფად. მერე სხვა ყველანი რეაქციის რეჟიმში არიან. აი, მესმის ლიდერი". ასევე რესპუბლიკელი „ქორების" წარმომადგენელი სარა პეილინი: „ხალხი აღიქვამს პუტინს ისეთ კაცად, ვინც ეჭიდავება დათვებს და ბურღავს ნავთობისთვის; იგი აღიქვამს ჩვენს პრეზიდენტს ისეთ კაცად, ვინც ატარებს დედიკოს ჯინსებს, ბალანსირებს და ლაყლაყებს".

საქართველოში კარგად ცნობილი სენატორი ჯონ მაქქეინი არიზონადან ასევე ბარაკ ობამას აკიდებს ყირიმის მოვლენების გამო სრულ პასუხისმგებლობას: „ეს საბოლოო შედეგია უნიათო საგარეო პოლიტიკისა, როდესაც ამერიკის ძლიერებისა აღარავის სჯერა“ (this is the ultimate result of a feckless foreign policy in which nobody believes in America's strength anymore). მის კვალობაზე ლინდზი გრეჰემი ქეროლაინიდან დასძენს: „ჩვენ გვყავს სუსტი და გადაუწყვეტელი პრეზიდენტი, რომელიც იწვევს აგრესიებს“. ხოლო არკანზასელი ტომ კოტონის თქმით, „ობამას აკანკალებული უმოქმედობით წაქეზებულმა პუტინმა მოახდინა უკრაინის ყირიმის რეგიონის ანექსია“.

ნამდვილად ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები, მაგრამ პუტინი ჯერჯერობით თავის ხელობას წარმატებით მისდევს, ხოლო დასავლეთი, რეაქციის რეჟიმში გადასული, სრული ჩავარდნის საფრთხის წინაშეა. გადატვირთვის reset-პოლიტიკა ჩაიფუშა.

7. 03. 2014

სინგაპურიზაციის შესახებ

რამდენადაც უკანასკნელ ხანებში დაწყებული შეხლა-შემოხლა აგრარული უნივერსიტეტის დახურვასთან დაკავშირებით არ ცხრება, მინდა გავიხსენო საქართველოს „სინგაპურიზაციის“ იდეა და შევეცადო მისი ვარგისიანობის და მართებულობის განსაზღვრას. რამდენადაც არცთუ ისე შორეულ წარსულში მოგვიწევს გადანაცვლება, გავიხსენოთ ამ იდეის ავტორები მიხეილ სააკაშვილი და კახა ბენდუქიძე.

სინგაპური მდებარეობს ნახევარკუნძულზე და ასევე განთავსებულია მცირე კუნძულებზე. იგი თავისი ტერიტორიით შესაძლოა საქართველოს რომელიმე პროვინციის ფართობს ფლობდეს. იგი ერთ-ერთია აზიური „ვეფხვებიდან" ჰონგ კონგთან, სამხრეთ კორეასა და ტაივანთან ერთად. მისი ეკონომიკა დახასიათებულია, როგორც ყველაზე თავისუფალი, ინოვაციური, შეჯიბრისუნარიანი, ბიზნესისადმი კეთილგანწყობილი. მისი მოსახლეობა არიან პრაქტიკულად ინგლისურენოვანი ჩინელები, რომელთა უმრავლესობაც მომსახურების სექტორშია დასაქმებული.

ამ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს კორუფცია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გარეფაქტორებია, რომლებმაც სინგაპურის არსებობა ამ ფორმით განაპირობეს. ქვეყანა ASEAN-ის ჯგუფის წევრია, იგი მსოფლიოში მეოთხე ფინანსური ცენტრია, დიდი მნიშვნელობისაა გემთმშენებლობის თვალსაზრისით, კაზინოების და ნავთობის გადამუშავების მხრივაც. მისი არსებობით დაინტერესებულნი არიან არამარტო აშშ და დიდი ბრიტანეთი, არამედ ჩინეთი, ინდოეთი და ქვეყნების ხსენებული ჯგუფი.

სინგაპურს არ გააჩნია სოფლის მეურნეობა. მისთვის გაცილებით მომგებიანია (შეიძლება 8-ჯერ მეტადაც კი) სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი თუნდაც კამბოჯიდან ან ინდონეზიიდან, ვიდრე საკუთარის მოყვანა. აი, საიდან მოდის საქართველოში აგდებული და ნეგატიური დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ! ან სხვანაირად როგორ ავხსნათ სრულიად არაკომპეტენტური პირის, „მამალი ძროხების" ავტორის, ბაკურ კვეზერელის დანიშვნა სოფლის მეურნეობის მინისტრად? და რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში, განსხვავებით თუნდაც ხელსაყრელი სამეზობლოს

მქონე სინგაპურისგან? რუსეთი, რომელთანაც ლამისაა ომის საზღვარზე ვართ და თითქმის ჰერმეტულადაა ჩაკეტილი. სომხეთი და აზერბაიჯანი, რომელთათვისაც მხოლოდ ტრანზიტის ქვეყნის ფუნქცია გვაქვს და, როგორც ბოლო ხანებში გამოირკვა, საქართველოს რკინიგზა მხოლოდ მათზე, მეტადრე აზერებზე მუშაობდა. არანაირი ტვირთი ცენტრალური აზიიდან და ჩინეთიდან ჩვენზე არ გადიოდა. ხოლო ყველაზე კეთილგანწყობილი თურქეთისთვის მათი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ბაზარი ვიყავით და ჯერ კიდევ ვართ.

ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სინგაპურიზაცია სრული უტოპიაა და ჰგავს აკაციის გადანაჭერზე ბაობაბის დამყნობის მცდელობას. მაგრამ სამწუხაროა, რომ ამგვარ ექსპერიმენტებს სოფლის მეურნეობის განვითარება ემსხვერპლა. და თუ მაინცადამაინც ცალკეული „სინგაპურული" კომპონენტების გადმოღება უნდოდათ, უნდა დაეწყოთ სასამართლოს ნამდვილი რეფორმირებით, რაც ნორმალური საინვესტიციო გარემოსთვის აუცილებელია, იმავე სოფლის მეურნეობის განვითარებით და ექსპორტზე გასვლით, სამუშაო კადრების აღზრდით და, რაც უმთავრესია ბიზნესში, არა კიბოსებრი წარმონაქმნის, ანუ მონოპოლიების შექმნით, არამედ მათი აღმოცენების ყველანაირი საფუძვლის მოშლით.

სხვათა შორის, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით კიდევ იმას ვიტყოდი, რომ საქართველოში კონცენციონალურის გარდა შესანიშნავად იმუშავებდა მაღალი დონის, თუნდაც უფრო ძვირად ღირებულ ბიოპროდუქციაზე, ბიოდინამიკურზე რომ არაფერი ვთქვათ, ორიენტირებული აგრარული წარმოება. ასეთი პროდუქტების მოყვანის პროექტები 1991 წელს იყო

სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და სავარაუდოდ, არაერთი მეურნეობა შეიქმნებოდა ასეთი, რომ არა ის ავად სახსენებელი გადატრიალება. მაგრამ კიდევ უფრო ცხადია, რა უნდა უყო (როგორ უნდა მოაცდინო) შენს მიწას, რომ ყიდულობდე თურქულ, ირანულ, ეგვიპტურ ხილსა და ბოსტნეულს, კიტრს, პომიდორს, კარტოფილს, ხახვს, პურის ფქვილს, სიმინდის ფქვილს, კომპოტებს და ა. შ.

15. 03. 2014

რუსული მიწების შემკრებელი

ჟირინოვსკიმ იხუმრა ამას წინათ, შევცვალოთ რუსული ენისთვის უცხო ტერმინი „პრეზიდენტი" და მას „რუსული მიწების შემკრებელი" (собиратель русских земель) ვუწოდოთო. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ეს კარგად ასახავს პუტინის ამომრჩევლის შეკვეთას.

მიხეილ ჯავახიშვილის ნოველაში „ლამბალო და ყაშა" ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: ყველგან, სადაც რუს ჯარისკაცს სისხლი დაუღვრია, რუსული მიწააო. პუტინის პირველი პრეზიდენტობისას უმთავრესი ამოცანა იყო „საშინაო დავალებების" შესრულება: ჩეჩნეთის დაუთოება, ოლიგარქები (ბერეზოვსკი, იუკოსი), მასმედიის ბოლომდე გაკონტროლება, ქვეყნის ცენტრალიზაცია FSB-ს კადრებით.

პუტინის მთავარი ამოცანა მეორე პრეზიდენტობისას უკვე ცარისტული იმპერიის და სსრკ-ს აღდგენაა სხვა სახელით. მისი ყველაზე თვალსაჩინო ტროფეები უნდა იყვნენ უკრაინა და საქართველო. მოულოდნელად მისი გეგმები ჩაშალა უკრაინის მაიდანმა. მისი პირველი რეაქცია მაიდნის ამბოხზე ყირიმის მიერთებაა. ხოლო მისი გეგმაა უკრაინის ნაბიჯ-ნაბიჯ დაპყრობა, ჯერ

ლუგანსკის და დონეცკის, შემდეგ ოდესის და ნიკოლაევის ოკუპაცია, რითიც იგი უკრაინას ზღვას მოსწყვეტს.

ბოლო ამოცანა ალბათ იქნება კიევის დაკავება. ამის შემდეგ ლვოვსა და დასავლეთ უკრაინასაც მისდგებიან. ეს ყველაფერი „ფაშიზმთან ბრძოლის“ ლოზუნგით შეიფუთება. უდიდესი საფრთხის ქვეშ არიან ის ქვეყნები, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობაა: ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა. საქართველოს რაც შეეხება, მიზანშია ამოღებული ჯავახეთის სომხური მოსახლეობა და „თრიალეთის ოსთა“ საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი. თავიდან სწორედ მათი ინტერესების ვითომდაც დაცავად შესაძლოა კრემლმა პრეტენზია განუცხადოს საქართველოს. სომხებს ათქმევინებენ, რომ ნატოს „თურქები“ შემოჰყავს, ოსებს ათქმევინებენ, რომ ხდება მათი იძულებითი „ქართველიზაცია-გრუზინიზაცია“.

რბილი და სიმბოლური სანქციები დასავლეთის მხრიან პუტინს ვერ გააჩერებს. მან ჩამოიხსნა ნიღაბი და ღიად განაცხადა თავის მიზნებზე. სანქციები უნდა იყოს მკაცრი და ყოვლისმომცველი; თანაც მოკლე ვადაში ეფექტური, რადგან 6-7 წელიწადი თუ ვუცადეთ, პუტინის ახალი გასამხედროებული პოლიტიკით გამოწვეული დესტრუქცია და ზიანი გიგანტურ მასშტაბებს მიაღწევს.

ბოლოს მინდა დავძინო, რომ რუსეთის მოქმედება ამჯერად ეთნიკურობის პრინციპზე იგება და იგი ტოტალურ ფრაგმენტაციაზე მიდის. რასაკვირველია, ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი შესაძლოა გათავისუფლდეს გარკვეული კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვითმმართველობის ფარგლებში, მაგრამ ეს უნდა გააკეთონ ჭეშმარიტი გაგებით თავისუფალმა ადამიანებმა: სპეცსამსახურების ემისრები ამას ვერასოდეს შეძლებენ.

21. 03. 2014

სომხური ენის სტატუსი

თორნიკე ჭელიძე მართებულად აღნიშნავს, რომ „სომხური ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება იქნება უდიდესი პრობლემა დღევანდელი საქართველოსათვის“. თუ ეს მოხდება, მაშინ ადგილობრივ მოსახლეობას იქ მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციის წაქეზებით გაუჩნდება მეტი აგრესია ქართული ენის გაძლიერებული სწავლების გამო. სახელმწიფოებრიობის ეროზიის პროცესი სამხრეთ საქართველოში დიდი ხანია დაწყებულია, ხოლო ერთიანი საქართველოს, უფრო სწორად, კავკასიურ-ქართული იმპერიის რღვევა კიდევ უფრო დიდი ხნის წინათ დაიწყო. რეალურად ეს პროცესი თითქმის შეუქცევადი გახდა თემურ-ლენგის შემოსევებიდან მოყოლებული. ხოლო რღვევა უკვე რუსეთის მოხელეთა მონაწილეობით და სეპარატიზმის წაქეზებით დაიწყო მე-19 საუკუნეში და გაგრძელდა მე-20 საუკუნეში. ინერციით 21-ე საუკუნეშიც გადმოვიდა.

საქმე ის კი არაა, რომ ვინმე პატივს არ სცემს სხვის კულტურასა და ენას, ან მათი მატარებლების დაჩაგვრას აპირებს (თუმცა ასეთნიც შეიძლება იყვნენ ქართულ საზოგადოებაში) – არამედ ის, რომ სახელმწიფო ენა ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს. ვერც საფრანგეთში, ვერც გერმანიაში მოქალაქეობას ვერ ეღირსება ადამიანი, ვინც გერმანულსა და ფრანგულს ვერ ფლობს. ჩვენმა სახელმწიფომ 90-იანების დასაწყისში სრულიად მართებულად მოქალაქეობა უპირობოდ მიანიჭა ყველას, ვინც ჩვენს საერთაშორისო ინსტანციების მიერ აღიარებულ საზღვრებში ცხოვრობდა.

ეს პროცესი ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობიდან დაიწყო – შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ მისი პრეზიდენტობისას მიმდინარეობდა პარლამენტში იმ კანონის დამუშავება (და რატიფიკაცია

უბრალოდ ვერ მოესწრო სახელმწიფო გადატრიალების გამო), რომლის მიხედვითაც ყველა, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე იღებდა საქართველოს მოქალაქეობას. სხვათა შორის, ეს ასე არ ყოფილა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს და მისასალმებელია ენების და კულტურების დაცვა გაქრობისგან, როგორც ამას ევროპის ქარტიაში ვკითხულობთ, ოღონდ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამით ისტორიული ფანტაზიებიდან მოქმედმა ნაციონალისტებმა და ანექსიონისტებმა ისარგებლონ და დარტყმა მიაყენონ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

სწორ დროს სწორი ნაბიჯის გადადგმა – ესაა ყველაზე რაციონალური ქმედება. ხელი უნდა შეეშალოს ისეთი მიკროსამყაროს შექმნას, რომელშიც რეგიონალურ ენას „მიაწვებიან“ და ორიენტირებული იქნებიან თავის ძირითად ქვეყანაზე, ამ შემთხვევებში – სომხეთსა ან აზერბაიჯანზე. ინტეგრაციას საქართველოში უკვე ზედმეტად ჩათვლიან. ქართული ენის სწავლის საჭიროება ასეთ შემთხვევაში აღარ დადგება მანდ. ამიტომ საკითხი ასე დგას: რამდენად დროულია ახლა ეს? ვფიქრობ, ჯერ უნდა დადგინდეს სახელმწიფო ენის ცოდნის დონე პრობლემურ რეგიონებში, ასევე მათი კულტურული და ეკონომიკური ჩართულობის ხარისხი დანარჩენ საქართველოსთან მიმართებით. მანამდე სახელმწიფომ თარჯიმნების ძლიერი ინსტიტუტი უნდა შექმნას. და თუ ეს არასასურველი მიმართულებით განვითარდა, იცის ვინმემ, რა ბერკეტები აქვს სახელმწიფოს ამის საწინააღმდეგოდ? არა მგონია. ან არის ქართული „რბილი ძალა“ (soft power) იმ დონეზე, რომ მსგავსი განვითარებები თავიდან აიცილოს? არც ეს მგონია.

21. 03. 2014

გამარჯვების დღე ყირიმში

დღეს რუსეთის პრეზიდენტი „სამამულო ომში“ გამარჯვების დღეზე ყოველგვარი საერთაშორისო ნორმის, საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვის გზით მიერთებულ ყირიმში იბარებდა სამხედრო აღლუმს. ჯერ სამხედრო ხომალდების, შემდეგ ავიაციის მონაწილეობით. იგი ტრიუმფატორის იერით დაცურავდა კრეისერებს შორის თავისი კატარღით. იარაღის ჟღარუნის მიზანი ცხადია: შეეშინებინა როგორც „შორი“, ისე „ახლო“ საზღვარგარეთი. თან მოეხდინა საკუთარი მოქალაქეების მობილიზება.

უკანასკნელ ხანებში სრულიად გაშიშვლდა რუსეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, რაც გულისხმობს საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობას, მათი დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვას. ამის გამართლება მარტივად ხდება მათთან: „იქ სადაც მე არ ვიქნები, ჩემი მტერი შემოვა“ (ამ შემთხვევაში ნატო და დასავლეთი) ანუ святое место пусто не бывает.

რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კონცეფციიდან გამომდინარე თუნდაც პატარა, დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობა მის „ახლო საზღვარგარეთში“ თავსებადი არ არის მის სახელმწიფოებრიობასთან. ოკუპირებული ზონები უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში ემსახურება შემდეგ მიზნებს: 1. ჰქონდეს ზემოქმედების გარკვეული ბერკეტი ამ ქვეყნების შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე; 2. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ქაოსის ან არეულობის შემთხვევაში სრულად მოახდინოს მთელი ქვეყნის ოკუპაცია, ანუ კვლავ „გაამთლიანოს თავისი ტერიტორია“, რასაც ბოლომდე ცარისტული იმპერიის თუ არა, სსრკ-ს მასშტაბში ნამდვილად მოიაზრებს.

ეს ზონები ასეთ შემთხვევაში სამხედრო პლაცდარმის ამოცანას შეასრულებს. ამიტომაც გულში მეცინება, როდესაც მავანთ ჰგონიათ, რომ ურთიერთობებს დაათბობენ დიპლომატიური შეხვედრებით და ხისტი, აგრესიული რიტორიკიდან უფრო მეგობრულ რიტორიკაზე გადასვლით. მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც მინდა მოვულოცო ჩვენს ვეტერანებს ეს დღე და ვუთხრა, რომ მათ ამაოდ არ უბრძოლიათ. არცერთი მსხვერპლი, გაღებული წმინდა გულით და იდეალიზმით, თუნდაც ჩვენს პრობლემატურ სამყაროში ამაო არ არის, რადგან ისინი უკეთესი სამყაროსთვის იბრძოდნენ ისე, როგორც შეეძლოთ; და ისე, როგორც ამის შესაძლებლობა იყო ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე.

9. 05. 2014

ლევან ვასაძის გამოსვლის პასუხად

ლევან ვასაძე ინგა გრიგოლიას ეთერში: „დაქუცმაცებული საქართველო გააერთიანეს ოთხჯერ: ფარნავაზმა, ვახტანგ გორგასალმა, დავით აღმაშენებელმა და რუსებმა. ჩვენი ენერგიით – იმ უდღეურმა ნოე ჟორდანიამ, 33 თვე რომ გაძლო რესპუბლიკამ, ვერაფერი გააკეთა. და თქვენ ფიქრობთ, ჩვენ გავყრიდით იმ თურქებს ბათუმიდან და დავიბრუნებდით აჭარას, რომ არა რუსეთის იმპერია?.“.

ბატონო ლევან, ნამდვილად არ გასწავლით ისტორიას, მაგრამ რუსეთის იმპერიამ, 1801 წლიდან მოყოლებული, არაერთი ათწლეულის მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ დაიპყრო საქართველოს 2 სამეფო (ქართლ-კახეთის და იმერეთის) და 6 სამთავრო – ოსმალური გავლენის ქვეშ მყოფი სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, სვანეთი

და აფხაზეთი, რომელსაც მალე აჭარა და ოსმალეთის საქართველოს ნაწილებიც მიემატა.

თქვენი თეორია მაშინ გამართლდებოდა, თუ გრიგოლ რობაქიძის თქმისა არ იყოს, რუსეთი საქართველოს დომინაციით შექმნიდა კავკასიაში Das Heilige Östliche Reich-ს ანუ „აღმოსავლეთის წმინდა იმპერიას", რომელიც მისი მოკავშირე იქნებოდა. მაგრამ სიხარბით, აპოლიტიკურობით, კორუფციით და ბრმა შოვინიზმით დაავადებულმა იმპერიამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა. დიახ, შანსი, რადგან ეს რუსეთს სამუდამო მეგობრებს შესძენდა კავკასიაში და არა, ერთი მხრივ, მოძულე მტრებს, მეორე მხრივ – ქედმოხრილ მონებს და ლაქიებს.

ეს „გაერთიანება" ასეთ (თუნდაც არაესთეტურ) სურათს მაგონებს: წარმოვიდგინოთ მდინარესთან დაგლეჯილი კამეჩი, რომლის მიმოფანტულ ნაწილებსაც სხვადასხვა წვრილფეხა ცხოველი ძიძგნის. ამ დროს მდინარიდან ამოდის უზარმაზარი ნიანგი, ცხოველები გარბიან და იგი გადასანსლავს ყველაფერს, რაც მის კუჭში თავისთავად გაერთიანდება. ასე გაერთიანდა საქართველო რუსეთის კუჭში, მაგრამ იმპერიამ ის მაინც ვერ მოინელა. სხვათა შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ეროვნული ენერგიის მანიფესტაცია გამორჩეულ ინდივიდებშიც ხდებოდა. იმავე აჭარას თუ ვახსენებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ კუთხის დაბრუნებაში მემედ აბაშიძის ღვაწლიც – მისმა ავტორიტეტმა და გონიერებამ გადაწონა აჭარის გამუსლიმებული ბეგლარბეგების ეგოიზმი და პატივმოყვარეობა. ხოლო 1918 წელს თურქების შემოტევა შეაჩერა ქართული გვარდიის გმირულმა ბრძოლამ გენერალი მაზნიაშვილის მეთაურობით, ასევე პირველ მსოფლიო ომში ჯერ კიდევ მებრძოლმა გერმანიამ, რისი წყალობითაც აჭარა

და ბათუმი შევინარჩუნეთ. ხოლო ცოტა მოგვიანებით საბჭოთა რუსეთმა ახალ თურქეთთან დადებული ყარსის ხელშეკრულების საიდუმლო პროტოკოლებში ფაქტობრივად პორტო-ფრანკოს სტატუსი დააკანონა ბათუმსა და აჭარასთან მიმართებით.

ნოე ჟორდანიას კრიტიკა გასაგებია და რიგ საკითხებში უდავოდ მისაღები, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას და დაპყრობას რაც შეეხება, ეს ნამდვილად ისტორიის ბედუკუღმართობა იყო. რუსეთმა, როგორც სჩვევია, დაარღვია ხელშეკრულება, ხოლო გამარჯვებულმა ანტანტის ბლოკმა უმოქმედობით და ოპორტუნიზმით მწვანე შუქი მისცა საქართველოს ანექსიას. 1918-21 წლები ჩვენი დამოუკიდებლობის ისტორიაა, ეს ხანა საბჭოთა საქართველოში მცხოვრები თაობებისთვის ერთგვარ გამონათებად რჩებოდა, ამადაც ეს პერიოდი აგდებულად არ უნდა მოვიხსენიოთ.

20. 05. 2014

კიდევ ერთხელ ლევან ვასაძის გამოსვლის პასუხად

ლევან ვასაძის გუშინდელი გამოსვლა ინგა გრიგოლიას ეთერში იყო კარგად მომზადებული და დავარცხნილი PR-ული თვალსაზრისით. ოღონდ ჩემი აღქმისთვის (და ჩემი აღქმა თავისებურია, რადგან 14 წელიწადი ევროპაში გამოუსვლელად ვიცხოვრე) ეს იყო 90-იანების ამერიკელი ნეოკონსერვატორის გამოსვლა, ასე ისაუბრებდნენ ბუში, ჩეინი, რაისი. ან ასე ისაუბრებდა დღეს ვაშინგტონელი „ჩაის-პარტიის“ რომელიმე რადიკალი ლიდერი: ესენი არიან

რეიგანისტები, ოღონდ განძარცვულნი ყოველივე სიმპათიურისა და სანდომიანისგან, რაც რონალდ რეიგანს ჯერ კიდევ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში მართლმადიდებლობა დომინანტი კონფესია არ არის, ნეოკონების დისკურსში გეები, გეი-ქორწინება და ბავშვის აყვანა უარყოფითადაა თემატიზებული.

შესაბამისად, საქართველოს სიტუაციაზე გადმოტანისას, ლევან ვასაძის ძირითადი ფოკუსჯგუფი სწორედ მრევლია იმ ინსტიტუციისა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. კანონის იურიდიულმა დაკონკრეტებებმა და ნიუანსირებებმა გააღიზიანა საზოგადოება, თორემ ის, რომ არავის დისკრიმინაცია და დაჩაგვრა არ უნდა ხდებოდეს განსხვავებულობის გამო – საკამათოც არ ყოფილა აქამდე. თანაც ეს ხომ ძირითადი უფლებებია, ასახული ჩვენს კონსტიტუციაში.

ამიტომაც ამ კანონმა მხოლოდ დესტაბილიზაციის პოტენციალი გაზარდა, ნავთი დაასხა ისედაც მზარდ უკმაყოფილებას, გააღვივა ანტიევროპული, ანტიდასავლური სენტიმენტები. რას იზამთ, ვიღაცისთვის დასავლეთი მხოლოდ გეი-კულტურაა, გეი-პარადებია, ტრანსვესტიტებია. მიდი და უმტკიცე რამდენიც გინდა, რომ ასე არ არის: ამაოდ დაშვრები. პოზიცია „პოლიტიკაში არ ვარ“ თუნდაც ასეთი პოპულარული სახისგან, როგორიც ლევან ვასაძეა, დღეს თითქოსდა მიზნად ისახავს აისხლიტოს ის ბრალდებები და საყვედურები, რასაც ხალხი უყენებს პოლიტიკოსებს. ანუ თან ვარ პოლიტიკაში, თან არ ვარ. ასეთ დროს ცდილობენ თავი არ გააიგივონ მათთან, ვინც პოლიტიკოსებად მოიაზრებიან, და იმ პოპულარულ სემანტიკასთან, რაც პოლიტიკას ჩვენში დაუმკვიდრდა: ეგოიზმი, მუქთამჭამელობა, მომხვეჭელობა, ცრუ დაპირებანი და ა. შ.

საჰაერო თავდაცვის საშუალებები საქართველოში არ უნდა განვათავსოთ, რადგან რუსეთი გაბრაზდებაო, განაცხადა ირაკლი ალასანიას ინიციატივაზე. მაგრამ თავი რითი დავიცვათ, თუკი ჩრდილოელმა მეზობელმა ჩვენი ოკუპაცია ან მორიგი ტერიტორიული ერთეულის ჩამოჭრა განიზრახა – ამაზე არაფერი თქმულა.

რისი „კონტრა" არის ლ. ვასაძე, გავიგეთ – LGBT-ს, აბორტებისაც, თუმცა რისი „პრო", ანუ რას უჭერს მხარს, მაინცადამაინც ვერა. ალბათ ბიზნესს და დაბალ გადასახადებს. ეს გზა კი საითკენ მიდის როგორც განვითარებული ევროპის ქვეყნებში, ისე საქართველოში, ასე თუ ისე ცნობილია. იგი სავსეა იმ სოციალური დაავადებებით, უსამართლობებით, დესტრუქციებით, რომელიც პოსტმოდერნის ეპოქაში რაღაცნაირი პანდორას ყუთის გახსნისას ჩვენს სამყაროს მოედო.

1. 06. 2014

აფხაზეთი დღეს

რაც შეეხება აფხაზეთში შექმნილ ვითარებას: ასე იცის საკუთარი ისტორიის უგულებელყოფამ, ასევე კუთხურმა, პროვინციულმა, ტომობრივ-ნაციონალისტურმა და აპარტეიდულმა დაბრმავებამ, ისეთმა, რაც აფხაზეთში მძვინვარებს გასული საუკუნის 70-იანებიდან მოყოლებული. ამ ცნების მიღმა, ცხადია, სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმს არ ვგულისხმობ, რის მიღმაც თანამედროვე მრავალეთნიკური სახელმწიფოს მშენებლობა მოიაზრება კომპეტენციების დელეგირებასთან, დემოკრატიული სახელმწიფო ინსტი-

ტუტების გაძლიერებასთან, დახვეწასა და სეკულარული კულტურის დამკვიდრებასთან ერთად.

დაფიქრება მართებდათ 1989 წელს, 1992-შიც, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია დაარღვიეს თბილისის მოძალადე, სახელმწიფოს გადამტრიალებლების რეჟიმის მხარდამხარ და მისცეს მათ ომის გაჩაღების საბაბი ამ სამოთხისებურ ლანდშაფტში (რკინიგზა უნდა დავიცვათო...). მანამდე, 1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მათ შესთავაზა სრული დამოუკიდებლობა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, შეიმუშავა რა მათთან ერთად კომპრომისული ვარიანტი და სამშვიდობო პროცესს დაუდო სათავე.

დაფიქრება მართებდათ, როდესაც რუსი ინვაზორების კარნახით აფხაზეთში ცოტა ხნით გადასულ, უკვე დევნილ ზვიად გამსახურდიას 1993 წელს უაზრო და მუხანათური ულტიმატუმი წაუყენეს: აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცანი და ჩვენ მოგეხმარებით, თბილისში დაბრუნდეო, რის შემდეგაც ყველასგან გაწირულმა პრეზიდენტმა აფხაზეთი დატოვა და გაემართა ჯგაღრა-ჯგიხაშკარი-ხიბულის ღალატიანი, ცოდვიანი გზისკენ, სადაც თავისი გოლგოთა და წიწამური ელოდა.

უნდა ეფიქრათ, რა იდგა რუსული ოკუპაციის, ასევე 2008-ში მოსკოვის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის მიღმა; ასევე რა იდგა აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიღმა, როდესაც ქართველებს აძევებდნენ და ასახლებდნენ, მათ ადგილს კი ძირითადად არმენული და კაზაკური წარმოშობის მიგრანტები ავსებდნენ. ახლა გვიანია თითზე კბენანი, რადგან მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. რუსეთის გეგმა აქაც ყირიმის შთანთქმის თარგზეა მოჭ-

რილი. მართალია, ამ სიტუაციაში რეცეპტები არ არსებობს, მაგრამ ერთადერთი გარანტი აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ენის გადარჩენისა ისევ საქართველოა, ქართულ-აფხაზური სოლიდარობა.

2. 06. 2014

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

ჩაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმაც. თუკი შევაფასებთ მძიმე უახლესი წარსულის გათვალისწინებით, ასევე გეოპოლიტიკური დაპირისპირების მიჯნაზე მყოფი ქვეყნის კვალობაზე შესაძლოა ითქვას, რომ სრულიად ჩვეულებრივად ჩაიარა.

უახლესი ისტორია ძალაუფლების და ადმინრესურსების ბოროტად გამოყენებით, ასევე პირდაპირი ძალმომრეობებითაა სავსე. გეოპოლიტიკური დაპირისპირების მიჯნა კი განაპირობებს იმას, რომ თითოეული ჩვენი არჩევნები მარტო ჩვენი საქმე არ არის. სადმე ანდორაში, ლუქსემბურგსა ან პორტუგალიაში (რომლებიც არ ემიჯნებიან რუსეთს და ახლო აღმოსავლეთის ნევრალგიური კვანძიდან არ არიან სულ რაღაც 800-1000 კილომეტრით დაცილებულნი) სულ სხვანაირი ხასიათი ექნებოდა ამ ელექტორალურ პროცესს.

თუკი ჩვენი წარმმართველი პარტიების ძირითად კონტინგენტს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ პუტინის რუსეთთან კაპიტულაციას არავინ ემხრობა. ასეთნი, ვისზეც იფიქრებ, რომ შესაძლოა ამას დაყაბულდნენ, მაინც მარგინალურ ზონაში რჩებიან. ეს ჩვეულებრივი ამბავია: გასული საუკუნის ევროპის

ისტორიის მიმოხილვისას ვხედავთ, რომ 1941-45 წლებში ჰიტლერულ რაიხთან მეზობლობის გამო გერმანულ შვეიცარიაში (ოკუპირების საფრთხის ქვეშ მყოფში) საკმაოდ ძლიერი იყო ჰელვეტოფაშისტური პარტია, ხოლო ავსტრიაში გერმანიასთან „ანშლუსამდე" (ანუ შეერთებამდე) და მერეც – ავსტროფაშისტური პარტია.

თუკი მკითხავდით, რამდენად სამართლიანი პროცესია არჩევნები, გიპასუხებდით: მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია ამაზე უკეთესი სისტემა, მასში ბევრი სიშლეგეა მაინც.

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა რადიოთი გამოსვლისას: „ბოლშევიკები ამბობენ, ხალხურ დემოკრატიას ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ გამოთქმაშიც ჩანს. „დემოს" ბერძნულად ნიშნავს ხალხს. მაშ რა გამოდის, ხალხური ხალხოკრატია?" უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ, დემონოკრატიას ვამყარებთო, განაგრძობს ის.

დემოკრატიის და ლიბერალიზმის ერთი უბედურება ისაა, რომ ჭეშმარიტება არა მასში განივთებული აზრისმიერი ენტელექიით, შემეცნებითი რეალური მიღწევებით, არამედ ხმების რაოდენობით იზომება. თავის დროზე კარგი იქნებოდა ეთქვა მერაბ მამარდაშვილს (აი, თუნდაც მაშინ, როცა განაცხადა, ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო...), რომ ჭეშმარიტება ხმების რაოდენობაზე შეუდარებლად მაღალი კატეგორიაა. ირჩევენ არა იმას, ვინც ყველაზე ახლოა ჭეშმარიტებასთან, არამედ იმას, ვინც ყველაზე ბევრ ხმას მოაგროვებს.

16. 06. 2014

რუსეთის პოლიტიკა

ჩვენ სრულიად სამართლიანად ვაკრიტიკებდით რუსეთს იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო, რომელსაც მეტადრე 2000 წლიდან ეწევა. მაგრამ მხედველობიდან თითქმის გამოგვრჩა, რომ მისმა ხელმძღვანელობამ თავად ეს ქვეყანა ჩააგდო უდიდეს საფრთხეში.

რუსეთის ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად უარი თქვა დიპლომატიასა და საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტაზე ჯერ საქართველოსთან, შემდეგ კი უკრაინასთან მიმართებით. მანვე გამუდმებული სპეცოპერაციებით და „წმენდებით" მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის რადიკალიზაცია – სადაც ყველანაირი რესურსი რომელიღაც ერთი ადგილობრივი კლანის ხელში მოაქცია, მარიონეტულობის და კორუმპირებულობის 100-პროცენტიანი ნიშნულით ასეთი ანტიპოლიტიკური ქმედებებით მან გადაიკიდა დასავლეთი, თავისი ბუნებრივი მოკავშირე, სრულიად დაამსხვრია და გააცამტვერა ამ დასავლური სახელმწიფოების ნდობა მისადმი.

მან თავისი მიკერძოებული პროპაგანდით დასავლეთი მხოლოდ LGBT-ს, რადიკალურ-ანტისოციალური ლიბერალიზმის, იმპერიალისტური აგრესიის მხარედ გამოაცხადა. არადა ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, მურმანსკიდან პალერმომდე ხომ მაინც ერთი ტიპია ცივილიზაციისა. ამ ცივილიზაციის თეისტურ რელიგიებს (ქრისტიანობა, იუდაიზმი, ევროპული და ევრაზიული ტიპის ისლამი) ჰყავს ინდივიდუალობის მქონე ღმერთი თავისი სახელით, ასევე ინდივიდუალიზმზე აგებული აზროვნებისა და შრომის კულტურა, რაც გულისხმობს ელიტების პასუხისმგებლობის დაყენებას, მათი კონტროლის მექანიზმებს, კანონის წინაშე თანასწორობას და ბევრ სხვასაც. გაუგონარი სიშლეგეა

დასავლეთს არჩიო ჩინეთი, ტოტალიტარული მონოლითი, მილიარდ-ნახევარს მიღწეული, პარტიის დიქტატურაზე დაფუძნებული.

არაოფიციალური მონაცემებით, 30 მილიონი ჩინელი მიგრანტი უკვე ცხოვრობს რუსეთის აღმოსავლეთში. მათი რიცხვი მომავალში მოიმატებს. და მახსენდება მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის სიტყვები, რომელიც გასული საუკუნის 80-იანებში უთხრა მოსკოვიდან ჩამოსულ ჩინოსანს: „ჩვენს მდგომარეობას მაშინ მიხვდებით, როდესაც უნიტაზის პროექტს პეკინში დაგამტკიცებინებენ“.

20. 06. 2014

მიწის შესყიდვის საკითხი

რამდენადაც ვიცნობ მიწის შესყიდვის პრაქტიკას როგორც შვეიცარიაში – მე ხომ ამ ქვეყანაში 14 წელიწადი გამოუსვლელად ვიცხოვრე – ასევე სხვა ევროპულ ქვეყნებში, ვადასტურებ, რომ ეს პროცედურა იქ უკიდურესად გართულებულია უცხოელთათვის. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მიწა ღირს 10-ჯერ და ზოგ შემთხვევაში 20-ჯერ ძვირი ჩვენთან შედარებით, რაც დამატებითი შემაკავებელი ფაქტორია. რა არის იქ ამ ყოველივეს მიზანი? ეს უბრალოდ საკუთარი მოსახლეობის, საკუთარი ქვეყნის დაცვაა და არავითარი ფაშიზმი ან ქსენოფობია.

ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ, მაგალითად, ისრაელში მიწას ასე ადვილად შეიძენს ბიზნესინტერესების გამო იქ ჩასული ადამიანი? მოკლედ და კონკრეტულად: იმისთვის, რომ უცხოელმა შეიძინოს მიწა, ის პრაქტიკულად ინტეგრირებული უნდა იყოს ამ ქვეყნებში.

ანუ უცხოელად აღარც უნდა ითვლებოდეს. ჩვენთან კი რა ხდება? „ბენდუქონომიკის" პერიოდში მწვანე შუქი აენთო ყველას, ვისაც კი რამდენიმე ათასი ან ათეული ათასი დოლარი ედო ჯიბეში და სურდა მიწის შეძენა საქართველოში.

როგორ ფიქრობთ, გლეხი, რომელიც ქრონიკული უფულობის გამო მზადაა 1 ან 2-საათიანი გზა გამოიაროს თავისი გაზზე გადაყვანილი მსუბუქი მანქანით თბილისამდე, სადაც 5 საათს მაინც იტაქსავებს და ისევ უკან დაბრუნდება 30-იოდე ლარით ჯიბეში, მიწას არ გაყიდის? თუ ეს ასე გაგრძელდა, ყველაფერი იქნება ისე, როგორც ეს პოეტური ფორმითაა ჩამოყალიბებული გალაკტიონ ტაბიძის ნაკლებად ცნობილ ლექსში, სადაც პოეტმა თქვა, რასაც ვხედავთ, ეს საქართველო არააო: „საქართველო როცა იყო, ხალხიც ჰყავდა თაოსანი. ამას ცხადად გვიდასტურებს შოთას ვეფხისტყაოსანი". ხელისუფლებისგან მოველით ადეკვატურ და კარგად გააზრებული საკანონმდებლო პოლიტიკის გატარებას მიწის გასხვისების საკითხში, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად.

27. 06. 2014

ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალება

როდესაც თვალი გადავავლე გამოხმაურებებს ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებაზე, ჩემთვის ერთი რამ გახდა თვალშისაცემი: ერთნი, განადგურებულნი და რეპრესირებულნი, ვის თავზეც წისქვილის ქვაღა დარჩა დასაბრუნებელი, სასტიკად გმობენ და აძაგებენ მას სამშობლოს წინაშე ჩადენილი დანაშაულობების გამო. გიფიქრიათ, რამდენად სამართლიანი და ობიექტური

იქნებოდა მათთან შედავება? მეორენი საუბრობენ მის პოლიტიკურ ფორმატზე, მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ მიღწევებზე. ამ გრანდიოზული პოლიტიკური პროექტების ფონზე რეპრესირებულები, განადგურებულები საერთოდ არ განიხილებიან, როგორც ფაქტორი.

მთელი ჩემი ცხოვრებიდან 42 წელიწადის მანძილზე – როდესაც ის ხელისუფლების სათავეში მოვიდა, 11 წლის გახლდით – ე. შევარდნაძე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ჩემი, ჩემი თაობისა და ჩემი თანამოქალაქეების ბედს, რომელიც საკმაოდ მძიმე გამოდგა. მიმაჩნია, რომ მეც ერთ-ერთი ვარ მის მრავალრიცხოვან მსხვერპლთაგან, დაზარალებული ადამიანურად, პოლიტიკურად, სამართლებრივად, სოციალურად. და რა უნდა ვთქვა? დიდსულოვნების თამაშს ნამდვილად ვერ დავიწყებ, ვერც ვეცდები ამ წუთს გავხდე ასეთი, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა აქეთკენ მოგვიწოდებს. ამის უფლებას თუნდაც ჩემი განადგურებული მეგობრების და ახლობლების აჩრდილები არ მომცემენ, მამაზე რომ არაფერი ვთქვა – ის ხომ საქართველოს დანაკარგია და არამარტო ჩემი ოჯახის. ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები, არავინ მძულდეს, და არც დაუმსახურებლად მიყვარდეს ვინმე. ყოველთვის მწამდა სამყაროში ზნეობრივი წესრიგის არსებობა, სადაც ყველა საბოლოოდ იმას მოიმკის, რასაც დასთესს.

ხოლო შევარდნაძის გუშინდელ დაკრძალვაზე მგლოვიარე მოქალაქეების სიმცირე იკითხება როგორც ხალხის მკაფიო გზავნილი, მიმართული ყველა ლიდერის, პოლიტიკოსის და სახელმწიფო პირის, როგორც ახლანდელთა, ისე მომავალთა მიმართ: „როგორი დიდი სახელი და მიღწევებიც უნდა გქონდეთ საერთაშორისო

მასშტაბით, როგორც უნდა გაფასებდნენ რუსი თუ ევროპელ-ამერიკელი კოლეგები, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი უპირველესი მსაჯული საქართველო და მისი ხალხია. და თუ შეგატყობთ, რომ თქვენი ქვეყანა არ გიყვართ და გსურთ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენოთ იგი, რომ ჩვენი სოციალური პრობლემები და გაჭირვება მხოლოდ ღობის ჩხირია თქვენთვის, ნუ მოელით ჩვენგან სიყვარულსა და დაფასებას ნურც სიცოცხლეში, ნურც გარდაცვალების შემდეგ". დაიმახსოვროს ეს ყველამ.

14. 07. 2014

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება

ეროსი კიწმარიშვილის ცხედრის დათვალიერების შემდეგ დაიწერა, რომ მას ჰქონდა „სტანც-მარკა" ანუ ლულის ანაბეჭდი შესაბამისი დაზიანებებით. კრიმინალისტიკაში ისეა, რომ „სტანც-მარკა" მიბჯენით სროლაზე მიუთითებს, ისევე როგორც შემავალი ჯვარედინი ნახეთქი ჭრილობა.

როგორც დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე 2009-11 წლებში, ვიტყოდი, რომ თეორიულად შესაძლებელია სხვისი ხელითაც განხორციელებულიყო ეს გასროლა. აქ მნიშვნელობა ექნება სიკვდილის გამომწვევი იარაღის დახრილობის კუთხეს, ასევე ძალადობის კვალს სხეულზე. გამოსაკვლევია, იყო თუ არა გარდაცვლილის თითის ანაბეჭდები მკვლელობის თუ თვითმკვლელობის იარაღზე. თავის ქალა ნებისმიერ შემთხვევაში დაზიანებული იქნება. ცნობისთვის: ზვიად გამსახურდიას ცხედარს, თუკი ვიმსჯელებთ ძირითადი მოწმეების გადმოცემებით, არ აღენიშნებოდა არც

სტანც-მარკა, არც ჯვარედინი ნახეთქი ჭრილობა, თუმცა სროლა ახლო მანძილიდან უნდა ყოფილიყო განხორციელებული. ტყვიის მიერ გაკვალული გზა (ანუ შემავალი ხვრელიდან გამომავალისკენ) იყო ზემოდან ქვემოთ და რამდენადმე წინიდან უკან. დანაშაულის ყველა კვალი და ნივთმტკიცება დაკარგულია ან შეგნებულადაა განადგურებული 1994 წლის იანვარშივე.

იარაღი, რომელიც გარდაცვლილთან აგდია, შესაძლოა იყოს: 1. თვითმკვლელობის იარაღი, რომელიც იქვე დავარდა 2. მკვლელობის იარაღი, რომელიც მკვლელმა დააგდო წასვლისას გარკვეული მიზნით 3. პირადი იარაღი, რომელიც ამოიღო მოკლულმა თავის დასაცავად (ან ამოღებას ეცადა), მაგრამ ვეღარ მოიხმარა სათანადოდ და სიკვდილის დადგომის გამო ხელიდან გაუვარდა.

ასევე წმინდად ფსიქოლოგიური კუთხიდან უცნაურია, რატომ უნდა მოიკლას თავი ადამიანმა, თუკი მას კონკრეტული გეგმები გააჩნია და მათზე საჯაროდ საუბრობს.

16. 07. 2014

დაპირისპირება სომხურ ეკლესიასთან

გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს მეზობლად მდებარე ვრცელი და აგრესიული ქვეყნის სპეცსამსახურებმა კიდევ ერთი პროვოკაცია მოაწყვეს თბილისში, რომელსაც ერთი შეხედვით საყოფაცხოვრებო კონფლიქტის სახე ჰქონდა – ვგულისხმობ მასობრივ ჩხუბს სომხურ ეკლესიასთან. ასეთ შემთხვევებში იაფფასიან, პრიმიტიულ, ზოოლოგიურ ინსტინქტებთან ახლომყოფ ნაციონალიზმს იყენებენ ხოლმე ცეცხლზე დასასხმელ

ნავთად. ასევე მოსალოდნელია, რომ ამ მიმართულებით პროვოკაციები გაგრძელდეს. პროვოკაცია რესტორანში ან სტადიონზე რომ მომხდარიყო, იმდენად თვალშისაცემი არ იქნებოდა. მაგრამ სხვა სურათია, როდესაც ტაძართან ხდება.

ჩვენს ქვეყანაში კონფესიურ ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტები არასოდეს ყოფილა. წარმოიდგინეთ, რომ სულ რაღაც ორიოდე ჰექტარზე ძველ ქალაქში ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული ტაძრები, მეჩეთი და სინაგოგა. ასევე ნუ დაგვავიწყდება, რომ ხსენებული ვრცელი და აგრესიული ქვეყნის არათავისუფალი მასმედიები ხშირად საუბრობენ ეთნიკურ პრობლემებზე, რომელიც „ქართველებს" თურმე აქვთ სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, აფხაზებთან, ოსებთან და ა. შ. ხულიგნობის ჩამდენები და ჩხუბის წამომწყებნი უნდა დაისაჯონ კანონის ძალით, რათა მსგავსი პროვოკაციები ძირშივე აღიკვეთოს. ასევე თავისი თვალთახედვა საზოგადოებას უნდა ამცნოს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომაც.

22. 07. 2014

სააკაშვილის საქმე

ძალიან მოკლედ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, როდესაც მისი ადვოკატისა და სხვათა მიერ გატარდა პარალელები ზვიად გამსახურდიასთან: უპირველეს ყოვლისა, წამოჩოქილ ადამიანს ქვას ვერ ვესვრი. როდესაც ძალაუფლების ზენიტში იყო, ჩემგან სათქმელი არაერთგზის ეთქვა საჯაროდ, ამავდროს მკვეთრად.

რაც შეეხება შედარებას, ზვიად გამსახურდიას ნამდვილად ეთქმოდა რუსთველის პერსონაჟის დარად, „მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსა“ – იგი ყველა ძალის და აქტორის მიერ გაიწირა.

მიხეილ სააკაშვილს თავისუფლად ეთქმის: „მაგრამ აშშ-ს „გოსდეპი“ და ბრიუსელი არ გაწირავენ კაცსა „ოცნებისგან“ განაწირსო“. და იმასაც ვიტყვი, რომ ჩემს თვალში დასავლეთისა და პუტინური რუსეთის დაპირისპირებაში პირველი უფრო პროგრესული და მომავალზე ორიენტირებული ძალაა, რომელზეც სწორება უნდა მოხდეს. მაგრამ უპირობოდ „კეთილისა“ და „ბოროტის“ დაპირისპირება ეს მაინც არ არის.

15. 08. 2014

ახალი ძალა ერაყსა და სირიაში

ნამდვილად დააშავებს ცივილიზებული სამყარო, თუკი ყველა სამხედრო საშუალების გამოყენებით ერთი კარგად არ მიჯეჯგვავს და არ დალეწავს სირია-ერაყის ზონაში ფსევდორელიგიური პათოლოგების, ყურანის არათუ ცალმხრივად ინტეპრეტირებული, არამედ სულმთლად ვერგაგებული და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით დაზომბებულ, პიკაპებზე ამხედრებულ, კალაშნიკოვებიან და რაკეტებიან ბანდებს, რომელთან შედარებითაც 1992-93 წლების „მხედრიონი“ მართლაც უწყინრად და მშვიდობიანად გამოიყურება.

საკითხთან, თუ რამ წარმოშვა ISIL გვაქვს ორი „მზა“ პოზიცია – ერთი უფრო ვესტერნული, რომ აშშ-ს მანამდელმა სამხედრო ჩარევებმა და მსოფლიო პოლიციელის როლის თამაშმა მისი მხრიდან იმდენად დააზარალა მისი პრესტიჟი და რეპუტაცია, რომ იგი

მსგავს ამბებში ჩართვას თავზე ვეღარ იღებს; ის ფაქტობრივად გასულია ერაყიდან, რამაც ისლამისტები გაათამამა. მეორე კი კონსპიროლოგიური და თავისი წარმოშობით უფრო აღმოსავლური თეზაა, რომლის მიხედვითაც აშშ-ს და ერაყის სპეცსამსახურებმა შეაიარაღეს ისლამისტები თავიდან სირიაში ასადის რეჟიმის დასამხობად. ეს ძალა მალე გადავიდა სუნიტურ ერაყში, სადაც ძლიერი იყო რევანშის განწყობილება ერაყის ხელისუფლებაში შიიტების აღზევების გამო.

ეს სუნიტები შიიტებს საერთოდ არ მიიჩნევენ მუსლიმებად და ადამიანებად, რომ იცოდეთ. დღეს ისე მოხდა, რომ ქურთები, ერაყის ოფიციალური ხელისუფლება და ირანი ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ. ანუ ისინი ერთ ბანაკში არ აღმოჩნდებოდნენ ამ საერთო მტრის გარეშე. აქ ალბათ მახლობელი აღმოსავლეთის მომავალ კარტოგრაფიაზეც მუშაობენ, რაც გულისხმობს, რომ წარმოიქმნას ქურთული სახელმწიფო, რაც დღესდღეობით რეალობასთან ახლოა.

საქმე ისაა, რომელ ტერიტორიებზე იქნება ეს ახალი სახელმწიფო. ჩემ მიერ ნახსენები ორივე თეზა ალბათ გარკვეულ რეალობებს ასახავს. თეზა, რომ ცალსახად რუსეთი დგას ისლამისტთა ზურგს უკან, არადამაჯერებელია, რადგან რუსული იარაღის ფაქტორი არასაკმარისი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ ეს ძალა პრორუსულ ძალად გამოვაცხადოთ. რუსეთი ნამდვილად დგას ასადის დიქტატორული რეჟიმის უკან, რომელსაც უპირისპირდებოდნენ ISIL-ს მებრძოლები. ქურთული სახელმწიფო ჩრდილოეთ ერაყში პრაქტიკულად რეალობაა, აბა შეადარეთ სიტუაცია 1991 წელს და მიხვდებით.

რაც შეეხება დღევანდელ ერაყს, იგი არ არის იმდენად სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნი. სამხრეთში

ირანული ან არაბული წარმოშობის შიიტები არიან, ქურთებს კი სულ სხვა ეთნოკულტურული კონსტიტუცია აქვთ. მათ შორის არიან მუსლიმი ქურთები და იეზიდი ქურთები, რომელთაც ISIL-ის მებრძოლები „ეშმაკის მსახურებად" მოიხსენიებენ და პირდაპირ თავებს აჭრიან. თანაც არასდროს ისტორიაში მათ არ ჰქონიათ საკუთარი სახელმწიფო. დღეს კი ერბილში საკუთარი პარლამენტი აქვთ.

27. 08. 2014

ახალი რეგულაციები უცხოელთა კანონში

საოცარია, რა კატეგორიის ხალხი და „ექსპერტები" ამუშავებენ და კურირებენ საგარეო საქმეთა სამინისტროდან /საკონსულო დეპარტამენტიდან/ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა ვიზებისა და ქვეყნების რეესტრი? ან რა ჯურის ექსპერტები უმზადებენ პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებებს? თვალშისაცემია არაკვალიფიციურობა, ეროვნული ინტერესების არგათვალისწინება და პოლიტიკური სიბეცე.

კანონის პრინციპი უნდა იყოს იმ საფრთხეების ნეიტრალიზაცია, რომელიც უკავშირდება საქართველოში არალეგალური ლტოლვილების ან იაფი მუშახელის მასობრივ შემოდინებას. მაგალითად, არანაირი აზრი არ ექნება შვეიცარიიდან შემოსული ჰიპოთეტიური მიგრანტების პრევენციას, რადგან ამ ქვეყნის შიდა მოხმარების პროდუქტი, თუ სწორად მახსოვს, 72-ჯერ აღემატება საქართველოსას. ასევე ჩილელი, არგენტინელი მიგრანტებისა და ა. შ. (ან საერთოდ რა ესაქმებათ მიგრანტებს

ამ ქვეყნებიდან საქართველოში? იქიდან ტურისტი ან ბიზნესმენი თუ ჩამოვა).

ვიზების საკითხში აუცილებლად უნდა მოხდეს ისეთი ქვეყნების გათვალისწინება, სადაც მოსახლეობის უდიდესი სიჭარბის გამო დიდია ემიგრაცია. ასეთი ქვეყნებია ინდოეთი და ჩინეთი. შემდეგი კატეგორია არის აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნების ჯგუფი, სადაც მძვინვარებენ ბანდები, ხუნტები, სამოქალაქო ომები, არის ეკონომიკური კატასტროფა. თავად მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველო ვერ დაიტევს ყველა გაჭირვებულს. ამიტომ კანონმდებლობაში უნდა აისახოს პოლიტიკური მომენტი – თუკი ადამიანი დევნილია თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო და ამას იგი დაამტკიცებს დოკუმენტურად, საქართველომ მას თავშესაფარი უნდა მისცეს. აი, ეს იქნებოდა ნამდვილი ევროპული მოთხოვნა.

საქართველოში ყოფნის უფლება არანაირად არ უნდა შეეზღუდოთ ევროპელებს, ამერიკელებს, ასევე ჩვენს იმ თანამემამულეებს, რომელთაც აქვთ სხვა ქვეყნების მოქალაქეობა. რაც შეეხება საზღვარზე ვიზის გაცემის გაუქმებას, საკამათო საკითხია. რადგან ამ გზით ბევრ არალეგალს შეუძლია შემოპარვა. თუმცა უმჯობესი იქნებოდა მათ მიეცეთ აეროპორტში თავშესაფრის მოთხოვნის დაყენების უფლება. იმ პერიოდში, ვიდრე მოთხოვნის განხილვა მოხდება, საჭირო იქნება მათი მოთავსება ლტოლვილთა დახურულ იზოლატორ-ცენტრში და თუ დააკმაყოფილებენ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, მხოლოდ მაშინ შეუშვან ქვეყანაში. თუ არადა, უნდა მოხდეს მათი დეპორტაცია იმ ქვეყანაში, საიდანაც ისინი ჩამოვიდნენ, ან გაშვება მესამე ქვეყანაში, საითკენაც სურთ.

27. 08. 2014

შეხვედრა მინსკში

„დღეს, მინსკში, უდავოდ წყდება მსოფლიოს და ევროპის ბედი. სწორედ ასე ვაფასებ მე ჩვენი შეხვედრის პოტენციალს. ჩვენ ერთად უნდა მოვძებნოთ ერთადერთი სწორი გამოსავალი, რაზეც დამოკიდებულია მშვიდობა კონტინენტზე“ – ეს სიტყვები ეკუთვნის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მინსკში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ჩასულები არიან ევროკავშირისა და „ევრაზიული ტროიკის“ წარმომადგენლები.

სამიტი ეძღვნება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებას. საქმეც ისაა, რომ „ევრაზიაც“ თავისი არსით (ისტორიულად, მენტალობის მხრივ, კულტურულად...) ევროპაა, უნდა მავანს ამის გაგება თუ არა. კაცმა რომ თქვას, პოლიტიკა თამაშის წესებია. თუ მოხერხდება მათზე შეთანხმება, მაშინ ერთობლივი სივრცე მურმანსკსა და პალერმოს, დუბლინსა და ვლადივოსტოკს შორის რეალობის მეტ კონტურებს შეიძენს.

ევრაზია დღევანდელი მდგომარეობიდან ევროპა რომც არ იყოს, მაინც აჯობს ასე ვთქვათ, ვიდრე სამუდამოდ გარიყული დარჩეს, ცივი ომის მდგომარეობაში, ტირანებისა და მაფიოზურ-ოლიგარქიების ტყვეობაში. ევროპა ეს არის მდგომარეობა, რომელიც აუცილებლად დადგება აღმოსავლეთშიც. რაც ახლა არ გამოდის, აუცილებლად გამოვა მომავალში. გამოვა ჭკვიანური, მიზანმიმართული პოლიტიკით, ხან ძალისმიერი, ხანაც უფრო დიპლომატიური ნაბიჯებით, კარგად შეთანხმებული, ორკესტრირებული ქმედებებით, სადაც ევროპა და ამერიკა ერთიანი, კარგად გააზრებული პოლიტიკური კონცეფციით წარსდგებიან.

რაც შეეხება პრეზიდენტ პოროშენკოს, მისი განცხადებით, უკრაინა არ აპირებს საკუთარი ევროპული არჩევანის შეცვლას რუსეთის და მისი ამჟამინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პოზიციების გამო. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პარტია „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას რადაში სექტემბერში მოახდენს. „გუშინ ძალიან ეფექტურად წარვმართეთ მოლაპარაკებები მინსკში“.

ამ მოლაპარაკებებმა აჩვენა, რომ უკრაინის სუვერენიტეტისა და უკრაინელი ხალხის ევროპული არჩევანის თაობაზე არანაირი სახის ვაჭრობა არ იქნება, ისევე, როგორც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ რატიფიცირების ვადის გადაწევაზე. მისივე თქმით, უკრაინის ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რათა უკრაინა 2020 წლისთვის ევროკავშირის წევრი გახდეს. ამავე დროს ევროკავშირთან რატიფიკაციის ხელშეკრულებაში ამ შეთანხმებით შევა ცალკე პუნქტი, რომელშიც რუსეთის ყველა ეკონომიკური ინტერესი იქნება გათვალისწინებული უკრაინასთან მიმართებით. მაგრამ საქმეც ისაა, რომ რუსეთის უმთავრესი ინტერესი თავად უკრაინის, როგორც სახელმწიფოს წაშლა და ლიკვიდაციაა. იგი უკრაინას კულტურულადაც და პოლიტიკურადაც თავის განუყოფელ ნაწილად განიხილავს. და საქართველოც ასევე განიხილება საბოლოო ჯამში. nash iug, მორჩა და გათავდა. ამიტომაც მოსალოდნელია დიდი შუხერი, როგორც ამას წინათ მომწერა ერთმა მეგობარმა უკრაინიდან.

28. 08. 2014

რისი შედეგია დანაშაულობათა ზრდა?

უკანასკნელ ხანებში საქართველოში გახშირდა სხვადასხვა მძიმე დანაშაული. ფიქრობენ, რომ მათი რიცხვის ზრდა პირდაპირ კავშირშია ამნისტიასთან, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელდა. თუმცა ისინი, ვისაც საპირისპირო თვალსაზრისი გააჩნიათ, ამტკიცებენ, რომ დანაშაულის დონე ყოველთვის მაღალი იყო და წინა ხელისუფლების პირობებში გასაიდუმლოებული.

ყბადაღებული „ნულოვანი ტოლერანტობა", სადაც დრაკონული (შეკრებითი) კანონების საფუძველზე ათეულ ათასობით ადამიანი იყო შეყრილი დილეგში, აღარ უნდა აღდგეს. სამაგიეროდ აუცილებელია ასპროცენტიანი ოპერატიულობა სამართალდამცავთა მხრიდან, სათვალთვალო კამერები ქუჩების და მოედნების ყველა კუთხეში, სადარბაზოებშიც კი. უნდა შეიქმნას შეწყალებულთა და ამნისტირებულთა შორის განსაკუთრებული ნაძირალების კართოტეკა და მათი კონტროლზე აყვანაა საჭირო.

ქურდებისა და მაყურებლების ყოვლად მანკიერ სისტემას ერთი პლუსი მაინც ჰქონდა: ყველაფერზე წამსვლელ კრიმინალს საპყრობილეში მოხვედრის შემდეგ ტყავს გააძრობდნენ, თუ არ მოკლავდნენ, ნამდვილ ჯოჯოხეთს გამოატარებდნენ. ამ ყველაფერს დანაშაულის პრევენციის თავისებური ეფექტი, როგორც ჩანს, გააჩნდა.

ასეთი სისტემა დღეს ვეღარ აღდგება და ვერ იფუნქციონირებს (არც უნდა აღდგეს), მაგრამ სისასტიკით და კრიმინალური ფანტაზიით გამორჩეული დამნაშავეებისთვის უნდა იყოს განსაკუთრებული რეჟიმის ციხე (რასაც გერმანიასა და შვეიცარიაში Zuchthaus

ჰქვია), სადაც მოხვედრის კანდიდატმა ერთი რამ უნდა იცოდეს: „ბულიონჩიკებს“ იქ არავინ დაალევინებს. ასეთი ციხის პირობების კონციპირება უნდა მოახდინოს მაღალი დონის ფსიქოლოგთა და სხვა დარგების სპეციალისტთა ინტერდისციპლინარულმა ჯგუფმა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის გამოცდილებას გაიზიარებს.

4. 09. 2014

ნასულები შეთქმულებას ამზადებენ?

ორიოდე სიტყვა ქვეყანაში ნაცშეთქმულების მოარული აჩრდილის შესახებ, რამდენადაც ლაპარაკია ზონდერჯგუფებზე, თანხებზე, მოსალოდნელ არეულობებზე, პროვოკაციებზე და ა. შ. პირველყოვლისა ცხადია, რომ ახალგაზრდა კაცმა თავისი ძალოვანი სამინისტროს მოპოვებული რეალური ინფორმაციები კი არ გაგვიზიარა, არამედ იმ გუნდისა და კოალიციის დაკვეთა, რომელსაც თავად ეკუთვნის. კოალიციას უკვე გაუცნობიერებელი შიშები აწუხებს, როგორც ვატყობ. ისიც პიაროობს, როგორც ჩრდილოელ მეზობლებთან იტყვიან, piarisia.

როგორც ერთი მშვიდობიანი რევოლუციის, ასევე ორი შუაგზაზე გაჩერებული რევოლუციის აქტიური მონაწილე და ლიდერთაგანი (1989 წლის 4-9 აპრილის, 2007 წლის 2-7 ნოემბრის და 2009 წლის 9 აპრილი – 17 ივლისისა) გეტყვით, რომ ნაციონალურ მოძრაობაში მე ვერ ვხედავ რევოლუციის მომწყობ ტიპაჟებს. უბრალოდ ვერ გაქაჩავენ. ისინი ვერც ოპოზიციაში გრძნობენ თავს მაინცადამაინც კომფორტულად, რადგან უჭირთ სახელისუფლებო რესურსის და ბერკეტების გარეშე.

ამ საქმეს მეტ დამაჯერებლობას ვერც გიგი უგულავას ავტორობით ცნობილი ყალბი fake-წერილი მატებს.

არც იმან მოგატყუოთ, რომ ისინი ვარდების რევოლუციით მოვიდნენ ხელისუფლებაში. აღნიშნული პოლიტიკური ცვლილების ზოგიერთ შედეგს მე მართლაც ვაფასებ, მაგრამ ფაქტია: 2003 წლის 3-23 ნოემბერს ე. შევარდნაძემ პრაქტიკულად ყველა პუნქტში დათმო. ეს ხომ უიშვიათესი პოლიტიკოსი იყო, ვისაც შეეძლო 100-ით ნოლზე წაგება, თუკი საჭიროება მოითხოვდა. და თუ საქმე რევოლუციაზე მიდგება, ნამდვილი რევოლუცია ახლახან უკრაინის მაიდანზე გათამაშდა. ხოლო მაიდანის მსგავს მოვლენებზე საქართველოში რუსული „არარბილი" ძალა დიდი ალბათობით ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციას შეეცდება.

ასევე მტერსა და მის შეთქმულებაზე ყურადღების გადატანას და ამით რაღაცის მოგებას კაცობრიობის ისტორიაც იცნობს. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ „ბუა" საქართველოში არსებულ ყველა ძალაუფლებრივ-პოლიტიკურ ფორმაციას ჰყავდა: შევარდნაძის „ბუა" იყო იგორ გიორგაძე, სააკაშვილის „ბუა" იყო თავიდან იგივე გიორგაძე, შემდეგ ოქრუაშვილი თავისი „ზილებით". ივანიშვილის კოალიციამ კი „ბუად" თავად სააკაშვილი გაიხადა. კოალიციას ვურჩევ, შეთქმულების და საფრთხის პოტენციალი სხვაგან ეძებოს, კერძოდ:

1. შეუსრულებელ დაპირებებში (მაგალითად სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით).

2. მათი თავდაპირველი ლიდერის მხრიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებაში – თან ვმართავდე, თან „აკოფში" ვიჯდე, არც ქართველებს და არც არავის უყვარს მსოფლიოში.

3. არაკვალიფიციურ, უნდობლობის გამომწვევ, უნიჭო კადრების შერჩევაში, თანამდებობებზე ვიწროპარტიული ლოიალურობის და ნეპოტისტური ნიშნით დაწინაურებულ ადამიანებში (მათ შორის ზოგჯერ ხვდებიან ნარკომანიაში შემჩნეული და კორუმპირებული პირები).

4. გაურკვეველ და ყოველგვარ პროფილს მოკლებულ საგარეო პოლიტიკაში, რომელზეც რუსები იტყოდნენ **не рыба, не мясо.**

5. პრეზიდენტს, პრემიერს და თავდაცვის მინისტრს შორის გედის, კიბორჩხალას და ქარიყლაპიას მსგავსი დამოკიდებულების უკვე საჯარო თემად ქცევაში, რაც ინფანტილურობაში გადადის.

6. კოალიციის შესაძლო ჩამოშლაში, მისი ცალკეული სუბიექტების მხრიდან საკუთარი თამაშის დაწყებაში.

7. კრიმინალობის განუხრელ ზრდაში, მკვლელობებში, ქურდობებში, ყაჩაღობებში, რაც „რეიდებით" ვერ გამოსწორდება.

8. ბიუჯეტის მძიმე გარღვევებში.

9. გაჩერებულ, გაყინულ ან სულაც არდაწყებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

10. საკმაოდ მაღალ ხელფასებთან ერთად მსუყე პრემიების დარიგებაში.

11. .....

აი, ამ საკითხებში უნდა ეძებოს სახელისუფლებო გუნდმა შეთქმულების კერა. და არანაირად არ გაუვა ვინმეს, ყველა ოპოზიციონერს თუ ოპოზიციურ ძალას ნაციონალების ან მათი სატელიტის იარლიყი მიაკეროს.

11. 09. 2014

პრემიერმინისტრი თუ პრეზიდენტი

რასაც დღეს ვხედავთ გიორგი მარგველაშვილთან და „ოცნების“ გუნდის ერთ ნაწილთან მიმართებით, არის საჭადრაკო პატი. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რაზეც ამას წინათ ვწერდი – კანონი არ არის სრულყოფილი. იგი თავის თავში შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის და ფუნქციების გადაკვეთის შესაძლებლობას არამარტო პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, არამედ პრეზიდენტსა და საგარეო უწყებას შორისაც.

რომ წარმოვიდგინოთ კონფლიქტის ასეთი კონტინუიტეტი ან ესკალაცია, სადამდე შეიძლება ის მივიდეს? პრეზიდენტი ვერ შეძლებს და არც მოისურვებს პარლამენტის დათხოვნას, რადგან მას არ ჰყავს ძლიერი გუნდი, რომელიც ვადამდელ არჩევნებს მოიგებდა. მოსულები კი შესაძლოა კიდევ უფრო უცხონი და აგრესიულნი გამოდგნენ და საერთოდ გამორიცხონ მასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობა. ჩვენი პოლიტიკა ხომ სინამდვილეში ანტიპოლიტიკაა და კონტრპოლიტიკა; ანტისახელმწიფოებრიობა კი ჩვენი სულის ძირითადი მელოდიაა დღეს. ჩვენ ხომ იშვიათად ვემსგავსებით ილიას მოწაფეებს, არჩილ ჯორჯაძეს ან რევაზ გაბაშვილს. უფრო მეტად ვემსგავსებით არსენა ყაჩაღს (თავისი სიმპათიური მხარეებით), ასევე გიორგი კუჭატნელს და ზაალ ბარათაშვილს (თავიანთი ანტიპათიური მხარეებით).

ახლანდელი პარლამენტი ვერ შეძლებს მის იმპიჩმენტს, რადგან ამას ესაჭიროება ორი მოთხოვნის დაკმაყოფილება: 1. უნდა დადგინდეს, რომ პრეზიდენტმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა; 2. რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია. ჯერჯერობით არცერთი არ ხდება. მათ ჯერ პარლამენტში უნდა

გადაწყვიტონ ეს საკითხი, რასაც ასევე ესაჭიროება უმრავლესობა. დარწმუნებული არ ვარ, რომ „ოცნება“ საკუთარ კოალიციაში მოახდენს აბსოლუტურად ყველა ხმის მობილიზებას. არაფერს ვიტყვი ნაციონალური უმცირესობის დარწმუნებაზე ამ მიმართულებით. ამის შემდეგ კი პარლამენტმა უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მეტად საეჭვოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მწვანე შუქი მისცეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას პარლამენტში. ხოლო რამდენ ხანს გაგრძელდება ეს საჭადრაკო პატი, ძნელი სათქმელია.

18. 09. 2014

ფიქრები შოტლანდიის რეფერენდუმზე

შოტლანდია კვლავ გაერთიანებულ სამეფოში დარჩება, ახლახან ჩატარებული რეფერენდუმის შედეგიდან გამომდინარე. მიმაჩნია, რომ გაიმარჯვა სალმა აზრმა და ასეთივე პრაგმატულობამ. უნიონისტთა სიმრავლით ედინბორო ტონის მიმცემი აღმოჩნდა. სამი საუკუნეა ეს კავშირი არსებობს ინგლისსა და შოტლანდიას შორის. მაგრამ იგი გაცილებით ღრმაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

შოტლანდიური სეცესიონიზმის გაღვივებაში, როგორც ჩანს, თავისი არცთუ უმნიშვნელო წვლილი აქვს შეტანილი „მამაც გულს“, რომელიც თავისთავად კინემატოგრაფიული შედევრია. ფილმის ფინალში გაერთიანებული სამეფოს მომავალი დედოფალი თავის მამამთილს, მომაკვდავ მეფე ედვარდს ეუბნება, რომ ახლა მის მუცელში მწიფდება ნაყოფი, რომელიც სწორედ

შოტლანდიელი უილიამ უოლესისგანაა. ამით რეჟისორს სურდა ეთქვა, რომ სამეფო მომავალში დედოფლების გარშემო გაერთიანდება და ეს დედოფლები გენეტიკურადაც შოტლანდიელები იქნებიან. ფილმი, ცხადია, ჰიპერბოლიზებულია და, ამდენად, არ მიყვება ისტორიას: არც რეალური რობერტ ბრუსი იყო ასეთი უსახური და მერყევი კაცუნა, მთლიანად დამოკიდებული კეთრისგან ცოცხლად ჩამპალი, ბნელ ოთახში გამოკეტილი მამის პოლიტიკურ პრაგმატიზმზე და არც რეალური უოლესი ჰექტორის, ელ-სიდის, ჟანა დ'არკის და გარიბალდის ფორმატის მქონე პატრიოტი-განმათავისუფლებელი.

შოტლანდიური გვარდია დღეს ბრიტანეთის არმიის ელიტური ნაწილია. შოტლანდიური წარმოშობისა იყო კოლონიზაციის ხანის არაერთი მნიშვნელოვანი სარდალი თუ გენერალი, ვინც ბრიტანეთის იმპერიას ახალ-ახალი მიწები შემოუერთა. წარმოშობით შოტლანდიელები არიან თვით ალსტერის უნიონისტები, ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის ყველაზე თავგამოდებული მომხრენი. ეთნოლოგიურ-კულტურული თვალსაზრისით შოტლანდიელები, ისევე როგორც ირლანდიელები, იბერიული წარმოშობის პიქტები არიან, რომლებიც კელტებს შეერივნენ. კლასიკური ინგლისელები კი – კელტების, საქსონელების და ნორმანების შთამომავლები. შოტები ეს ის ეროვნული უმცირესობაა, რომლის გარეშეც იმპერია ვერ შედგება.

ჩვენს სინამდვილეზე თუკი გადმოვიტანთ, ჩვენი შოტლანდია არის ძველი აფხაზეთი – იქ, სადაც „აფხაზი" ქართველ-გეორგიანელის მონათესავე ცნება იყო, თავისი შინაარსით უფრო ზეეთნიკური. „აფხაზს" აღნიშნავდა აფსუაც და მარგალიც. ჩვენი ერთგვარი შოტლანდიაა აგრეთვე სამეგრელო, როგორც იმ ძველი აფხაზეთის პირდაპირი გაგრძელება. შოტლანდიის გამოყოფა დიდი

ბრიტანეთიდან იმავენაირად მიუღებელია, როგორც სამეგრელოს გამოყოფა ერთიანი ქართული სხეულიდან. წარმოუდგენელია ერთიანი საქართველო აფხაზეთისა და სამეგრელოს გარეშე. ეს იგრძნო ილიამაც, როდესაც სამეგრელოს საქართველოს ხერხემალი უწოდა.

შოტლანდიაც თავისებური ხერხემალია დიდი ბრიტანეთისა. ეს რეფერენდუმი შედეგია ლონდონის მხრიდან წარმოებული რბილი, გონივრული და პრაგმატული პოლიტიკისა. იყო შეცდომებიც – ეს დასტურდება იქიდანაც, რომ დევიდ ქემერონმა სამომავლოდ ავტონომიის გაფართოებაზე ისაუბრა. ის, რაც ბრიტანეთმა ვერ შეძლო ირლანდიაში, შეძლო შოტლანდიასთან მიმართებით. ხოლო ირლანდიის დამოუკიდებლობა სწორედ ბრიტანეთის მხრიდან გამოჩენილ სისასტიკეთა და ძალადობათა ჯაჭვის შედეგია.

ფედერალიზმი, მართალია, არ დაინერგა ჩვენს პოლიტიკურ კულტურაში; არადა იგი უფრო განვითარებული ფორმაა სახელმწიფო მოწყობისა, ვიდრე უნიტარიზმი. სამწუხაროდ, მტრული გარემოცვა და მათი მხრიდან ქვეყნის დეზინტეგრაციის მცდელობები ამის საშუალებას არ იძლეოდა. ფედერალიზმი, რომელიც ორგანულად, ბუნებრივად ამოიზრდება ქვემოდან, ნაცვლად ზემოდან დეკრეტირებულისა, სავსებით მისაღებად მიმაჩნია. თანამედროვე ფედერალიზმი უბრალოდ ძალაუფლების დელეგირების და გადანაწილების კულტურაა, მეტი არაფერი. ცხადია, მანამდე ჩვენს შეგნებაში უნდა გაჯდეს, რომ პარტიკულარიზმი, კუთხურობა უდიდესი ისტორიული სირცხვილი და ცოდვაა.

ბრიტანეთი ისევე განსხვავდება რუსეთისგან, როგორც ცა დედამიწისგან. წარმოსადგენია ისიც, რომ სწორედ საქართველო შესაძლოა ყოფილიყო სსრკ-ს ან რუსეთის შოტლანდია, თუკი რუსეთის მმართველი

ელიტა თავად არ აღმოჩნდებოდა ამ ზომამდე ანტი-პოლიტიკური, არაპრაგმატული, ხარბი და მოძალადე; თუკი ისტორია ისე წარიმართებოდა, რომ ქართველის მეხსიერებას კოშმარად არ დააწვებოდა მთელი წყება მძიმე, უსიამო ისტორიული მოვლენებისა – პეტრე პირველის გულგრილი მიდგომით თუ ტოტლებენის მხრიდან სიტყვის გატეხვით დაწყებული და აგერ ახლახან ხაშურსა და მუხრანს შორის სხვადასხვა სოფლებში მავთულხლართების გაჭიმვით დამთავრებული. ამ მოვლენებს შორის კი მომხდარია ანექსიები, ოკუპაციები, ხელშეკრულებათა ფეხქვეშ გათელვები, ჩაგვრა, აჯანყებათა ჩახშობები, რუსიფიკაცია, პოლიტიკური მკვლელობები. ამიტომაც ეს სულ სხვა რეგისტრის ურთიერთობაა. ღმერთი ფარავდეს საქართველოს.

19. 09. 2014

ერთი ფურცელი უმძიმესი ნარსულიდან

წინამდებარე დოკუმენტი „დროებითი პოლიტიკური საკონსტიტუციო საბჭოს შექმნის შესახებ", გამოქვეყნებული გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 21 იანვრით თარიღდება. ეს ის დროა, როდესაც შიგნიდან გამომწვარ და ფასადმონგრეულ პარლამენტის შენობას ჯერ კიდევ ბოლი ასდის, ხოლო დელისის და დიდუბის მეტროების მომიჯნავე ტერიტორიაზე საპროტესტოდ გამოსული და იქვე დახვრეტილი მოქალაქეების სისხლი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მორეცხილი ასფალტიდან.

ამ ახალშექმნილ ორგანოში შედიან: ვაჟა ადამია, ლევან ალექსიძე, ირაკლი ბათიაშვილი, აკაკი ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, დავით ბერძენიშვილი, კოტე გაბაშვილი,

თამაზ გამყრელიძე, გურამ გეგეშიძე, არჩილ გოგელია, რომან გოცირიძე, გურამ თევზაძე, ჯაბა იოსელიანი, ალექსანდრე კავსაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, თენგიზ კიტოვანი, დავით კუპრეიშვილი, ნოდარ ლომოური, გიორგი მაისურაძე, ნოდარ ნათაძე, მიხეილ ნანეიშვილი, თედო ნინიძე, თედო პაატაშვილი, ზურაბ ჟვანია, თემურ ჟორჟოლიანი, თემურ ფიფია, რევაზ შავიშვილი, გიორგი შენგელაია, ელდარ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა, ივლიანე ხაინდრავა, თამაზ ჯანელიძე.

რას განვიცდი ასეთი სიის კითხვისას? არავითარი ნიშნისმოგება, არავითარი ტკბობა იმით, რომ თავად არანაირად არ გავრეულვარ მათ ამქარში. განუზომელი მწუხარება მეუფლება შინაგანად, როდესაც ვხედავ ჩემს თანამემამულეთა ასეთ მარცხს, რომელიც ქართული სახელმწიფოს დიდ დამარცხებაში გადაიზარდა. ადამიანმა ასეთ შემთხვევაში საკუთარ თავში უნდა მონახოს ვაჟკაცობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან, ასევე სამოქალაქო შეგნებასთან ერთად და საჯაროდ განაცხადოს, რომ მის მიერ გადადგმული მსგავსი ნაბიჯი მცდარი იყო. აქ ჩამოთვლილი ადამიანების უმრავლესობას პირადად ვიცნობ. მათთან შეხება მქონია ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ მეგულება მათ შორის ჭკუათამყოფელი, რომელიც შინაგანად არ განიცდიდეს ასეთ „საბჭოში“ ყოფნას და ამით ამაყობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა ძალზე მოკლე, ლაპიდარული რეზოლუციით 2001 წელს შეაფასა ეს მოვლენები, როგორც სახელმწიფო გადატრიალება, მაინც აუცილებელია მეცნიერულად შესწავლილი და,

იმავდროულად, გარკვეული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის დადება ამ მოვლენებზე. ეს უნდა იყოს ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, სახელმწიფო სამართლის სპეციალისტების და ფსიქოლოგების შრომის პროდუქტი. ამავე დროს საზოგადოებამ (და ამ შემთხვევაში ორივე მხარეს მყოფ ადამიანებსაც ვგულისხმობ), თავის მხრივ, სახელი უნდა დაარქვას ამ მოვლენებს და უნდა სცადოს მაქსიმალურ კონსენსუსამდე მისვლა.

7. 10. 2014

საქართველო-დაღესტნის გზის მშენებლობა

უკანასკნელ ხანებში მიმდინარეობს პოლემიკა რუსეთის ფედერაციის მიერ დაღესტნის მონაკვეთზე გზის მშენებლობის შესახებ, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასია საქართველოსთან უნდა დააკავშიროს. ამაზე ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა სხვადასხვა ტიპის კომენტარები. მაგალითად, ითქვა, რომ რუსეთი თავის ტერიტორიაზე რას ააშენებს, ჩვენ ნამდვილად არ გვეხება. ასევე ცალკეულთა მიერ დადებითად შეფასდა გზის მშენებლობა – რაც მეტი გზა იქნება, ეკონომიკისა და ვაჭრობისთვის, მით უკეთესიო. ისეთებიც იყვნენ, ვინც განაცხადეს, ეს გზა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს უფრო მეტად დააკავშირებს ერთმანეთთანო; ეს კი კავკასიის ერთიანობას ხელს შეუწყობს, რაც ჩვენს წინაპრებს ეოცნებებოდათო.

ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მიერ გაყვანილი ყველა გზა სამხედროა. თავიდანვე ასე ჰქვია მე-19 საუკუნის დასაწყისში გაყვანილ გზას სტეფანწმინდისა

და დარიალის ხეობის გავლით – военно-грузинская дорога. იმავე დანიშნულებით გაიყვანეს როკის გვირაბიც, ე. შევარდნაძის ცეკას მდივნობის პერიოდში. რუსეთის საგარეო და საშინაო-პოლიტიკურ რეალურ (და არა დეკლარირებულ) კონცეფციაში არ მოიაზრება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებისაც დსთ-ს სივრცეში. ეს ტერიტორიები ან ისევ რუსეთისა უნდა გახდეს, ან არადა რომელიმე მტრული ძალა, ვთქვათ, დასავლეთი, თურქეთი ან რომელიმე ისლამური ბლოკი დაეუფლება მათ და გამოიყენებს ჩვენ საწინააღმდეგოდ – ასე მიიჩნევენ მათი პოლიტოლოგები, ისინი, ვინც ტონის მიმცემნი არიან.

რუსეთი ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობს, რის გამოც დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. ასევე დაუდგენელია საზღვრები ორ ქვეყანას შორის. შეიძლება ასეთ ვითარებაში გზების მშენებლობაზე საუბარი? და თუ მხოლოდ სააკაშვილში იყო საქმე, იგი აღარ არის დღეს ასპარეზზე და რატომ შედგომია რუსეთი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პოლიტიკას? როდესაც რუსეთი ჩვენ გვავალდებულებს, არასოდეს გამოვიყენოთ ძალა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, თვითონ რატომ არ იღებს იმავე ვალდებულებას, არასოდეს გამოიყენოს ძალა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ? მაგრამ ერთია, რომ ვალდებულებას არ კისრულობს. მეორე უბედურება კი ისაა, რომ იგი ნაკისრ ვალდებულებებსაც ყოველთვის არღვევდა. მაგალითად, ასე დაარღვია მან ერეკლე მეორესთან 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი, მოახდინა რა აღმოსავლეთ

საქართველოს სამეფოს გაუქმება; დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულება ჟორდანიას პირველ რესპუბლიკასთან, მოახდინა რა საქართველოს ოკუპაცია, დაბოლოს, დაარღვია 1991 წლის მარტში ყაზბეგის ხელშეკრულება ზვიად გამსახურდიას მეორე რესპუბლიკასთან, ხელი შეუწყო რა სახელმწიფო გადატრიალებას, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის ჩამოცილებას საქართველოსგან.

ხელშეკრულებების დარღვევა ნიშნავს დიპლომატიის, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის ფაქტობრივ უარყოფას და ფეხქვეშ გათელვას, ასევე უხეში სამხედრო ძალის გამოცხადებას პოლიტიკის ერთადერთ ფაქტორად. ამიტომაც ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა განაცხადოს – ჩვენ მართალია, არ გვეხება, თუ რა საგზაო სამუშაოებს აწარმოებს რუსეთი თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს გზა საქართველოს საზღვარს არ გადმოკვეთს. ის ადგილი კი, სადაც გზა ჩვენს საზღვართან მოვა, განსაკუთრებულად უნდა იქნეს გამაგრებული სამხედრო თვალსაზრისით. მან ასევე უნდა წამოჭრას დასავლური მონიტორინგის ოფისის გახსნის საკითხი კახეთის რეგიონში. ასევე ნუ დაგვავიწყდება, რისკენ მოუწოდებდა ქართველებს აკაკი შანიძე 1917 წელს დაწერილ ამ ლექსში: „ცალი თვალით პონტოსაკენ, ნუ აშორებ გურგანს ცალსა, ყური უგდე გურჯი ბოლაზს, ნუ, ნუ აღებ დარიალსა“.

15. 10. 2014

დაპირისპირება ქრისტიანებს და მუსლიმებს შორის საქართველოში

საქართველოს ზოგიერთ სოფელში პერიოდულად იფეთქებს ხოლმე დაპირისპირება მრევლსა და ლოკალურ მუსლიმურ თემებს შორის. რა არის ეს, მხოლოდ სახელმწიფოს სისუსტე? მაგრამ ვფიქრობ, მარტო სახელმწიფოს სისუსტეში არაა საქმე. ამას განაპირობებს კიდევ რამდენიმე ფაქტორი:

1. ვიღაცასა და რაღაცაზე დამოკიდებულ და მეურვეობის ობიექტად გადაქცეული ხალხის მდგომარეობა უკანასკნელ 200 წელიწადში, როდესაც ქართველმა ერმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და გადაეჩვია აზროვნებას, ასევე სახელმწიფოებრივ კულტურას. ამ პერიოდში რუსული პოლიტიზებული ორთოდოქსული თეოკრატიის წარმომადგენლები მას ასწავლიდნენ, რომ ქართველი მუსლიმები „თათრები" არიან, რომლებიც „სათათრეთში" უნდა გადასახლდნენ. ეს იყო იმპერია, რომელიც მუსლიმური რელიგიის გამო ჩეჩენი, ჩერქეზი და აფხაზი მუჰაჯირების დეპორტაციას ახდენდა ოსმალეთში. „ვისაც დარჩენა სურს, იგი უნდა მოინათლოს" – იყო მათი გზავნილი.

2. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მეტადრე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ თავისი მისიისა და ამოცანების ახლებურად განსაზღვრის სტადიაში, ანუ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული სამღვდელოების ერთმა ნაწილმა გააგრძელა ცარისტული რუსეთის პოლიტიზებული ორთოდოქსიის პრინციპებით აზროვნება და მოქმედება. აქვე პარადოქსი ისაა, რომ პუტინის „ევრაზიული" რუსეთი, მეორე მხრივ, ამის საპირისპიროდ იქცევა – ისლამს რუსეთის ნომერ მეორე რელიგიად აცხადებს,

მართლმადიდებლობას თითქმის უთანაბრებს და მისი PR-ით სახელმწიფო ტელევიზიები არიან დაკავებული.

3. სეკულარული კულტურის სისუსტე, სადაც ვერ ახერხებენ აუხსნან მოსახლეობას, რომ ეს ადამიანები იგივე ქართველები არიან, რომელთაგან წარჩინებულებმაც ისტორიის კრიტიკულ მომენტებში აჭარისა და სამცხის შენარჩუნებაში საქართველოსთვის უდიდესი წვლილი შეიტანეს.

4. ხალხის დიდი ნაწილის დაუსაქმებლობა და ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც მას ადვილად წამონთებადს ხდის. ამის გამო აზროვნებს (ეს პირობითად, თორემ აზროვნებასთან რა საერთო აქვს ამ ემოციურ-ქოლერიკულ ამოფრქვევებს...) მზა შაბლონებით: „მტერი სამხრეთიდან", „თურქები, რომლებიც მეთოდურად გვიპყრობენ", „მართლმადიდებლობის მოსპობის გეგმა ამოქმედდა" და ა. შ.

19. 10. 2014

პუტინის ბოლო გამოსვლის შესახებ

ვლადიმერ პუტინის მიერ ამას წინათ წარმოითქვა სიტყვა ვალდაის კლუბში, სოჭთან ახლოს, რომელიც ისტორიულ გამოსვლადაა მიჩნეული. ეს სიტყვა კიდევ ერთი სიმპტომია იმისა, თუ რა საშიშ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში გვიწევს ცხოვრება. როგორც ჩანს, არცერთი ქვა არ დარჩება თავის ადგილზე, რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს და იმ წესრიგს, რომელიც მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, იალტისა და პოტსდამის შეხვედრების შედეგად მივიღეთ მსოფლიოში.

ცხადია, რომ ეს წესრიგი, დამყარებული გამარჯვებულ მხარეთა ურთიერთშეკავებაზე, არ იყო ბოლომდე სამართლიანი, ნაკლებად ითვალისწინებდა ჰუმანიზმის პრინციპებს, ზოგჯერ ირღვეოდა ხან აშშ-ს, ხან სსრკ-ს და მისი ტრადიციების გამგრძელებლის, რუსეთის მიერ, ხანაც სხვა რომელიმე რეგიონულ-დომინანტი ქვეყანაც ადგებოდა იმავე გზას, მაგრამ იგი ახლანდელ თუ პერსპექტიულ ძალაუფლებრივ-პოლიტიკურ ჯუნგლთან შედარებით უფრო მეტად უსაფრთხო იყო მაინც. ახლა საკითხავი ის არის, თუკი პუტინისეულ ლექსიკას დავესეხები, რომელი ტაიგის დაცვას აპირებს „დათვი“ და ჩვენ ამ ტაიგის რომელ კუთხეში მოგვიაზრებს. ასევე რას ნიშნავს „დაცვა“ – ამ ზონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ხომ არა? და ასეთ უნდობლობას რა მოყვება, ისიც ვიცით: გაგრის, სოხუმის, ცხინვალის, თამარაშენის, ქურთას, კეხვის და სხვა ადგილების მაგალითზე. ალბათ გვეცოდინება მალე გალის მაგალითზეც აფხაზეთის ახალი „პრეზიდენტის“ და რუსეთთან ახალი ინტეგრაციის პირობებში, სადაც ჯერ კიდევ დარჩნენ ქართველები.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინს, როგორც ატილას და ჩინგისხანს, დიდ გეოპოლიტიკურ სივრცეებზე აქვს მზერა მიპყრობილი, მისი დარჩენა ან წასვლა ბევრს არაფერს გადაწყვეტს – რადგან საქმე კოლექტიურ პუტინშია, რომელიც რუსეთში იყო მანამდეც და იქნება მერეც.

საქართველომ ამ შემთხვევაში უნდა იმოქმედოს შემდეგი პრინციპებით: 1. უნდა ემზადოს ყველაზე უარესისთვის – ესაა სამხედრო ინვაზია ყველაზე საშინელი ფორმებით, რასაც შედეგად შეიძლება მოყვეს

საქართველოს გაქრობა პოლიტიკური რუკიდან, მისი ტერიტორიის დაყოფა ზონებად და ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის დევნილად ქცევა; 2. უნდა ელოდოს ამ სიტუაციაში ყველაზე უკეთესს – ესაა ყველანაირი დიპლომატიური საშუალების გამოყენებით ნარმატების მიღწევა იმ მხრივ, რომ ეს არ მოხდეს და რუსეთმა უკან დაიხიოს. ამ გამოცდის გავლა ქართულ სახელმწიფოებრიობას ნამდვილად განამტკიცებს ხანგრძლივ პერსპექტივაში; 3. მიიღოს ის, რაც ამ ორ უკიდურესი განვითარების სცენარს შორისაა საგულვებელი – და ყველანაირად ეცადოს განამტკიცოს მიღწეული. ხოლო ჩვენი მოკავშირე დასავლეთი რას იზამს, მოდით, ამაზე დასკვნებს ჯერჯერობით ნუ გავაკეთებთ – ეს ჯერჯერობით არავინ იცის, თავად იქაურ Think-tank-ებშიც ანუ იდეების გენერირების ცენტრებშიც არ იციან, როგორც ეს ჩანს.

27. 10. 2014

საპარლამენტო არჩევნები უკრაინაში

უკრაინის არჩევნები თავისი შედეგებით თავისთავად დადებითი მოვლენაა: თუნდაც იმიტომ, რომ ამ ახალ პარლამენტში აღარ ისხდებიან ისინი, ვისთვისაც რუსეთთან მეგობრობა მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის ძირის გამოთხრას და რუსეთის ნეობოლშევიკურ ძალებთან, ასევე ძალოვან ორგანოებთან თანამშრომლობას ნიშნავს. პუტინის მომხრეებისთვის, რა თქმა უნდა, დემოკრატიული არჩევნები უკრაინაში არ იქნება. მათი არგუმენტი, ჩვენ დემოკრატიაზე თავს ისედაც არ ვდებთო – რა დიდებული გამართლებაა! ეგ დაახლოებით იგივეა, თვეში ერთხელ კაცი მოკლა და თქვა, მე ხომ

არ ვამბობ, ჰუმანისტი ვარ-მეთქი. დემოკრატიის ოაზისისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიქტატურის, მაფიის, ოლიგარქიის, პეტროდოლარების და ბუნებრივი რესურსებით მიღებული ფულის ოფშორებში გადაშვების, ქურდების და რეკეტიორების ბუდეს ემსგავსება პუტინის ევრაზიული რაიხი. რუსეთი ისე აწარმოებს ომს უკრაინის აღმოსავლეთში, რომ თავის ჯარისკაცებზე უარს ამბობს. ისინი კი ე. წ. სახალხო რაზმების უმრავლესობას შეადგენენ დონბასში.

პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი რუსეთში რეკორდებს ხსნის. სიტუაცია დიდად არ შეცვლილა რუსი კლასიკოსის მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინის შემდეგ, როდესაც იგი წერდა: „თუკი რუსებს მიანდობენ აირჩიონ წინამძღოლი, ისინი აირჩევენ ყველაზე ცრუს, არამზადას, სასტიკს, მასთან ერთად მოკლავენ, გაძარცვავენ, ძალადობით გამოიჩენენ თავს, საბოლოოდ კი მას აკიდებენ საკუთარ ბრალეულობას. დრო რომ გავა, ეკლესია მას წმინდანად შერაცხს“.

უკრაინულ არჩევნებში სიმპტომატურია ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა, ისევე, როგორც ეს ჩვენს არჩევნებში ხდება ხოლმე ბოლო ხანებში. ის, რასაც ხალხი მხარს უჭერს (სულერთია, უკრაინა იქნება, საქართველო თუ ყოფილი საბჭოეთის სხვა რომელიმე ქვეყანა) – ესაა მშვიდობა და არა ომი, ასევე შრომა, სახელმწიფო ინტერესების დაცვა და საქმის კეთება მუცელღმერთობის, უქნარობის, კორუფციის და ნათესაობის ნიშნით შერჩეული კადრით სახელმწიფო სტრუქტურების გამოტენვის ნაცვლად. დაახლოებით მსგავს შედეგებს ჩვენს მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც უნდა ველოდოთ.

როგორც ჩანს, საპარლამენტო კოალიცია ჩვენთანაც გარდაუვალი გახდება მომავალში. ეს იქნება ნამდვილად

ახალი პოლიტიკური კულტურის დასაწყისი და როგორც ერთპარტიულობის, ისე ორპარტიულობის დასასრული. აი, როგორ აფასებს უკრაინის არჩევნებს კიევში მცხოვრები ქართველი პოეტი და დიპლომატი რაულ ჩილაჩავა: „უკრაინულ არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა ძალიან დაბალი აღმოჩნდა – 50%-ზე ნაკლები. 27 საარჩევნო უბანზე მოქალაქეებს არ მიეცათ ურნებთან მისვლის საშუალება. ლიაშკოსა და ტიმოშენკოს პარტიების მარცხს ხსნიან იმით, რომ მათმა საომარმა რიტორიკამ არ გაამართლა, ხალხმა მშვიდობას დაუჭირა მხარი. პრორუსული ძალების ერთგული დარჩა 13%. ეს არცთუ ბევრია, რადგან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ისინი მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ. საპარლამენტო კოალიცია ჩამოყალიბდება პოროშენკოს ბლოკის, სახალხო ფრონტისა და თვითდახმარების პარტიებისგან. შესაძლოა მათ შეურთდეს სვობოდა. ლიაშკო, ტიმოშენკო და ოპოზიციური ბლოკი დარჩებიან (ალბათ) ოპოზიციაში. ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, ეს პარლამენტიც დროებითია და სავარაუდოდ, თავის სრულ ვადას ვერ ამოწურავს.

28. 10. 2014

თავდაცვის მინისტრის გადადგომა

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებამ გადადგომამდე არცთუ უშორეს წარსულში გადამტყორცნა, როდესაც მაღალი ტრიბუნიდან სსრკ-ს ბოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართული გვარით და, ყურს რომ ჭრიდა, ისეთი დასავლურ-ქართულაქცენტიანი რუსულით წარმოთქვა: „ძიქტატურა ნასტუპაეტ... ნე რუგაეტე მენია“. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას გამოსვლას, იქ ყვე-

ლა აქცენტს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. იყო კრიტიკულიც, კოოპერატიულიც და კონსტრუქციულიც, ისიც ჩანდა, რომ სხვა გზა არა აქვს. თავისთავად პარადოქსია საკითხის ასე დაყენება – პიროვნებას და პიროვნებათა ჯგუფს ხელს ახლებ და ამით პროცესს, კონკრეტულ შემთხვევაში „ევროინტეგრაციას“ ხელყოფ. არა, ეს რა ჩამორჩენილობაში ვტოპავთ მაინც, თუკი ეს მართლაც ასეა.

რატომღაც ვფიქრობ, ბედისწერად ხომ არ ექცა პოსტსაბჭოთა საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადადგომა: გავიხსენოთ თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის მინისტრობის პრეტენდენტი – გადადგა და წავიდა რკონში. მერე იცით. გიორგი ყარყარაშვილი, მინისტრი – გადადგომის წინ ტანკებიც შეიყვანა უშიშროების სამინისტროს ეზოში, რომელთაც გაისროლეს. მერე იცით. ირაკლი ოქრუაშვილი, მინისტრი, გადადგა და მერე მოუწია ხმაურიანი ტელეჩართვებით ევროპიდან ახალახალი იმპულსების მიცემა აქციებისთვისაც და სკანდალებისთვისაც. არა, ღმერთმანი, ირაკლი ალასანია ამათზე გაცილებით პოზიტიური და ცივილიზებული სახეა, რა შედარებაა.

ერთი მხრივ, ცხადია, რომ საქართველო დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრშია მოქცეული. ალასანიას აქტივობებმა, როგორიცაა, მაგალითად, საჰაერო თავდაცვის სისტემების განთავსება საქართველოში, კიბერბანკის შექმნა იმ შემთხვევისთვის, თუკი პუტინის რუსეთი წამოიწყებს კიბერშეტევას დასავლეთის წინააღმდეგ, კრემლი აშკარად გააღიზიანა. მათივე ზეწოლით ძალაუფლების ცენტრმა ივანიშვილ-ღარიბაშვილის ინიცირებით დარტყმა განახორციელა ალასანიაზე.

თავად მე ქართულზე არანაკლებ ევროპულ კულტურაზე გავზრდილვარ. პოლიტიკურადაც იმთავითვე ეს ორიენტაცია მიკავია და პუტინის რუსეთის მხრიდან იარაღის ლესვას შეშფოთებით და განგაშის განწყობილებით შევყურებ. როგორც უნდა იყოს, მაინც ყურს მჭრის ყველაფრის ტოტალურ საზომად და კრიტერიუმად ერთი მაგიური სიტყვის გამოცხადება – ესაა „ევროატლანტური ინტეგრაცია". არ ვიცი, რამდენჯერ გამოიყენა გამომსვლელმა. ის თითქოს ძველაღთქმისეული იეღოვასავითაა – ყველაფერს თავისთავად მოაგვარებს, გადაჭრის, თავის ადგილზე დაალაგებს, ის თითქოს პანაცეაა. ან წინა ხელისუფლება ამავე მიმართულებით არ მიდიოდა? და ვინც ასე არ ფიქრობს, სულ ცოტა პასიური „ევრაზისტი" ხომ გამოდის? ჰოდა ამ მოცემულობის გათვალისწინებით ვფიქრობ, რომ აჯობებდა მაიდანიზაციას მაინც ავცდენილიყავით, ჩვენ ასეთი მასშტაბის გახლეჩვას შესაძლოა ვეღარ გავუძლოთ.

5. 11. 2014

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის შესახებ

დღეს 2007 წლის ნოემბერში გამართული აქციის სასტიკი დარბევიდან 7 წელი გადის. ბევრი წამიკითხავს ამ აქციაზე, მის გასამართლებლად თუ საწინააღმდეგოდ დაწერილი. ოპონენტების მიერ იგი ცალსახად ბადრი პატარკაციშვილისა და „მოსკოვის" მიერ მართულად იქნა გამოცხადებული – დაახლოებით ისე, როგორი გრანდიოზული კარიკატურაც – მიმაგრებული ფოსტატელეგრაფის შენობაზე – დაახვედრა ხელისუფლებამ

პარლამენტის შენობასთან 5 დღით ადრე შეკრებილ 100 000-ზე მეტ ადამიანს.

უსამართლოა ბრალდება, რომ მე რამენაირი ფორმით „ვიმართებოდი" ვინმეს მიერ. რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილის როლს, ეს ცალკე საკითხია და სერიოზულ განხილვას იმსახურებს. – მისი ფრაქცია საკმაოდ აქტიური იყო პოლიტიკაში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, გოგა ხაინდრავა, როგორც მისი ერთგვარი რწმუნებული პოლიტიკურ-ფინანსურ საკითხებში, ვალერი გელბახიანი, როგორც რწმუნებული ინტერპარტიულ საკითხებში, და გიორგი თარგამაძე, როგორც მისი რეპრეზენტანტი მასმედიაში. ახლო ურთიერთობაში იყო ბადრისთან ლევან გაჩეჩილაძე, ასევე ხიდაშელ-უსუფაშვილის ტანდემი. იყო საუბარი იმაზეც, რომ ბადრი თავისი მომავალი პარტიის ერთ-ერთ სახედ გუბაზ სანიკიძეს მოიაზრებდა. სხვებზე რა მოგახსენოთ.

თუკი გამოვეხმაურები როგორც მისი მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების ხაზგასმას მის ებრაელობაზე, დავძენ, რომ – თავისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე – ბადრი არ ყოფილა ებრაელი. ჩემთვის კლასიკური ებრაელი ნიშნავს ისეთ ადამიანს, ვინც რაციონალურია, პრაქტიკული, ასჯერ და ათასჯერ რომ გაზომავს და მერე გადაჭრის. მილიარდერი ბადრი კი თავისი შეცდომებით, ქართულ პოლიტიკურ ჭაობში შემოჭრით ნამდვილი ქართველია.

ბადრის რესურსი იყო სამი მიმართულებით – ერთი პოლიტიკური, რამდენადაც იგი თავის ბრიტანულ რეზიდენციაში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრებს აწყობდა (მისი ერთ-ერთი ვიზიტორი იყო თუნდაც პრეზიდენტ ბუშის ძმა, ფლორიდის გუბერნატორი ჯებ ბუში). მეორე იყო ფინანსური რესურსი, რომელიც პირადად მე თვალით არ მინახავს: როგორც მე, ისე პმ

„თავისუფლება" თვითონვე ვაფინანსებდით ჩვენს ღონისძიებებს. მესამეა ტელეიმედის პროპაგანდისტული მანქანა, რომლის მსგავსიც არც მანამდე, არც მერე არ ყოფილა ჩვენს უახლეს ისტორიაში. რამდენიმე შეხვედრაზე როგორც ბრიტანეთში, ისე თბილისურ რეზიდენციაში ბადრისთან მე სერიოზული საუბრები მქონდა. მიუხედავად იმისა, მავანს ეს ხელს აძლევს თუ არა, ის მე განმიხილავდა როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს, მეტადრე თბილისთან და სამეგრელოსთან მიმართებით.

ყველაფერი იგეგმებოდა კოლეგიალურ ფორმატში, გაერთიანებული ოპოზიციის სხდომებზე, 2007 წლის სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული. არაერთ სხდომას, სხვათა შორის, მე ვთავმჯდომარეობდი. ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ის, რომ 2 ნოემბრის აქციას, როგორც პრელუდია, წინ უსწრებდა 30 ოქტომბრის ზუგდიდის აქცია, სადაც ჩვენ (უპირველეს ყოვლისა, პმ „თავისუფლების" აქტივმა და ეროვნული მოძრაობის ვეტერანებმა) გავტეხეთ მეგის ქარდავას ზონდერჯგუფების და ადგილობრივი კუდ-ის სასტიკი წინააღმდეგობა.

2-7 ნოემბრის აქციებს ასევე წინ უსწრებდა ე. წ. საგურამოს მანიფესტი, სადაც წამოწეული იყო ქვეყნის დემოკრატიზაციის თემა, კონკრეტული ინსტიტუციონალური ცვლილებების მოთხოვნები, საპარლამენტო რესპუბლიკა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდაჭერა და ა. შ. ჩემთან ერთად აქ იყვნენ სხვა ლიდერებიც, შალვა ნათელაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, გია თორთლაძე, პაატა დავითაია, ჯონდი ბაღათურია, კახა შარტავა. ჩვენ დაახლოებით ერთი პოზიცია გვეჭირა. ჩვენვე ვიყავით „იმედის" გადაცემების და პირდაპირი ჩართვების ხშირი სტუმრები, რამაც აქციების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა.

7 ნოემბერსვე საქართველოს ტელევიზიებით დაიწყო ხელისუფლების მიერ მანიპულირებული უნიჭო პიერკამპანია, სადაც ატრიალებდნენ ფარულ ჩანაწერებს, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ ვითომდაც ჩვენი ჯაშუშური კავშირი კრემლსა და მის სპეცსამსახურებთან. ეს ჩანაწერები სინამდვილეში არაფერს არ ამტკიცებდა. არცერთი დემოკრატიული ქვეყნის სასამართლო ამ ჩანაწერებს სერიოზულ მტკიცებულებად არ განიხილავდა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტში მე მომიწია ამ საკითხებზე მისვლა და საკმაოდ ხანგრძლივი დაკითხვა. როგორც იქ გაირკვა, ჩემი ყველა სატელეფონო ჩანაწერი ისმინებოდა. ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერში ცოტნე გამსახურდიას ვეუბნები, რომ რუსეთში შეიძინოს თეთრი ხარი. როგორც ირკვევა, ამან მოყურადებული კონტრდაზვერვა ფრიად დააბნია.

სინამდვილეში მე ვგულისხმობდი ერთ კონკრეტულ ამბავს, რომ ზუგდიდის დაცემის შემდეგ აფხაზეთში, კერძოდ, ილორში, დროებით გადასულ ზვიად გამსახურდიას 1993 წელს შეუთავაზებია იქაური აფხაზებისთვის, მოეძებნათ თეთრი ხარი – მე მას უძველესი ტრადიციისამებრ შევწირავ ილორის წმ. გიორგის სალოცავს ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო მომავლისთვისო, უთქვამს. აფხაზებს თეთრი ხარი ვერ მოუძებნიათ. ჰოდა მეც ვუთხარი ცოტნეს განმარტების გარეშე, რომ შეეძინა ეს თეთრი ხარი. ვგულისხმობდი იმას, რომ ეს ხარი შემდეგ ილორის წმინდა გიორგისთვის შეგვეწირა. საქართველოს კონტრდაზვერვამ ჩათვალა, რომ ეს იყო სპეცოპერაციის კოდური დასახელება, რომლის მიღმაც იგულისხმებოდა ბადრი პატარკაციშვილი და მთავრობის სასახლის შტურმი, რასაც მოჰყვებოდა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა. (!)

აქციაში ჩართულ ადამიანებს განსხვავებული სულისკვეთება ამოძრავებდათ: რევანშისტებისთვის ეს იყო პირდაპირი უკმაყოფილება 2003 წლის ნოემბრის რევოლუციისა და ცალკეული რეფორმის გამო. სხვების მოტივაცია კი ალბათ უფრო ის, რომ „ვარდების“ დროს დეკლარირებული სამოქალაქო და დემოკრატიული იდეალები ფეხქვეშ იქნა გათელილი: ნამდვილად ურჩხულებრივი მუტაცია განიცადა შსს-მ, სასამართლო სისტემამ და სასჯელაღსრულებამ. დააუთოეს პოლიტიკური სპექტრი, მოახდინეს ოპოზიციური პარტიების და ზოგადად საზოგადოების მარგინალიზაცია. ამ ყოველივემ ხალხში შექმნა სრულიად ისტერიული და ირაციონალური განწყობა, რომელიც დაახლოებით ასე გადმოიცემა: „ოღონდ ესენი გავუშვათ და ვინც გინდა, ის მოვიდეს“. შედეგებსაც ვიმკით.

7. 11. 2014

კახა ბენდუქიძის გარდაცვალება

კახა ბენდუქიძე იყო ერთ-ერთი სერიოზული ექსპერტი და ინტელექტუალი, რომელმაც იცოდა, როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო და ეკონომიკა. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქვეყანაში განათლების დონის აწევისთვის. დასანანია მისი გარდაცვალება – ჩვენი საზოგადოება მსგავსი ადამიანებით ნამდვილად არ ყოფილა განებივრებული. შეიძლება ითქვას, იგი დასავლური, „ევროატლანტური“ ორიენტაციის ადამიანი იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაინც ძველი და იმავდროულად კარგად ცნობილი დასავლეთისა.

მინდა სწორად გამიგოთ – ჩვეულებრივ ნეოლიბერალიზმზე აწყობილი დასავლეთი სულ უფრო მეტად

შედის კრიზისში. იგი ვეღარ ახერხებს დაუპირისპირდეს მსოფლიო კატასტროფას და მეტიც – ზოგჯერ ისეთი შეცდომები მოსდის, რომ ამ კატასტროფას პირდაპირ ხელს უწყობს, აჩქარებს. ომებსა და კონფლიქტებს ბოლო არ უჩანს, ღარიბები უფრო ღატაკდებიან, იზრდება სოციალურად დაუცველთა რიცხვი და სოციალური უსამართლობა კვლავ მძვინვარებს. მცირერიცხოვანი, მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე და შედარებით დაუცველი ერების სახელმწიფოებრიობა კიდევ უფრო დაუცველი ხდება ბლოკური აზროვნების, ცივილიზაციათა კონფლიქტის, გლობალიზაციის, ახალი ფინანსური ბაზრების და ეკონომიკის მარადიული ზრდის დოგმის მძვინვარების პირობებში.

ეს მარადიული ზრდის დოგმა, ცოტა არ იყოს, ჰგავს ერთ ლენინისეულ დაკვირვებას, რომელიც მან ემიგრაციაში ყოფნისას ციურიხში, ერთ ოჯახში სტუმრობისას მოახდინა, სადაც საქანელა იდგა: კარგი იქნებოდა ეს საქანელა მუდამ წინ მიდიოდეს და უკან აღარ ბრუნდებოდესო. ახალ გამოწვევებს ახალი იდეებით ესაჭიროება დაპირისპირება. ეჭვი მეპარება, კახა ბენდუქიძე ღია ყოფილიყო ამ ახალი იდეებისთვის ან თავად გამხდარიყო ამ ახალი იდეების გენერირებისთვის ერთ-ერთი კატალიზატორი ან საკვანძო ფიგურა.

ერთ-ერთ ადრეულ პოსტინგში, რომელიც ირაკლი ალასანიას გადაყენებასთან დაკავშირებით დავწერე, ნათქვამი იყო, რომ „ევროატლანტური ორიენტაცია" თითქოს ძველაღთქმისეული იეღოვასავითაა – ყველაფერს თავისთავად მოაგვარებს, გადაჭრის, თავის ადგილზე დაალაგებს, იგი ნამდვილი პანაცეაა.

ევროატლანტური ორიენტაცია, რომელიც ჩვენ გვჭირდება, არ უნდა იყოს ავტომატური, ინერციით მოძრავი, რუტინული, არაფრისმთქმელი, შაბლონურ,

უინტერესო და გაცვეთილ ფრაზებთან ასოცირებული, არ უნდა დარჩეს ბუნდოვანი ხალხის დიდი მასისთვის. იგი მთლიანად ჩვენს ეროვნულ ინტერესებს უნდა იყოს მორგებული, უნდა ექვემდებარებოდეს ახლიდან დეფინირებას და ყოველ ჯერზე უფრო ღრმა გააზრებას, პრაგმატულ გათვლებს, კრიტიკულ შემოწმებას, შიდაქართულ დისკუსიას და მუდმივმოქმედ დიალოგს იმავე დასავლეთთან. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, თავად დასავლეთს თუ გააჩნია მკაფიო, ნათელი და შემოწმებული ხედვა თავისი გაფართოებისა და რამდენად ახლებურად აქვს გააზრებული რუსეთთან ურთიერთობათა საკითხი. ვნახეთ „ცივი ომიც“, ვნახეთ „დაყვავებისა, მოთაფლვის და პეტრომილიარდების“ პოლიტიკაც. რა იქნება აწი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

„ეკონომიკა და ბიზნესი“

ვაგრძელებ ჩემს მოსაზრებათა, შეფასებათა და ინფორმაციების გადმოცემას, რომელიც დავიწყე კახა ბენდუქიძის გარდაცვალების შესახებ დაწერილ ჩემს პოსტინგში, და რომელმაც საკმაო ვნებათაღელვა გამოიწვია და განსხვავებული მოსაზრებანი წარმოაჩინა.

ერჰარდი, თანამედროვე ეკონომიკის მამა, მიიჩნევდა, რომ ეკონომიკა თითოეულ ადამიანს და საყოველთაო სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ კი რა მდგომარეობაში ვართ დღეს?

ბიზნესი, წესით, ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ერთი მხრივ, წარმოუდგენელია ეკონომიკამ ბიზნესის და მოგების გარეშე იმუშაოს. იგი „ნორმალურ“ შემთხვევაში 65-75 პროცენტს შეადგენს ეკონომიკისა. მეორე მხრივ, არსებობის სექტორები, რომელთაც არ მოაქვთ მოგება – მაგალითად, განათლებამ რა მოგება

უნდა მოიტანოს? მე აქ მახსენდება განსვენებული კახა ბენდუქიძის გამონათქვამი: „ყველაფერი შეიძლება გაიყიდოს სინდისის გარდა".

დღევანდელი საქართველოს შემთხვევაში ბიზნესი ალბათ მთელი ეკონომიკის 90 პროცენტს და შესაძლოა მეტსაც შეადგენს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უსისტემო, ტოტალური და მაფიოზური პრივატიზაცია 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო. დაუვიწყარია ყოფილი პრემიერის და პუტჩის ერთერთი მოთავის, თენგიზ სიგუას პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გადაწვეს თბილისის ცენტრი მან და კიტოვანმა: პრეზიდენტმა პრივატიზაცია შეაყოვნა და იმიტომო.

2010 წლიდან საქართველოდან გასულია მილიარდ ორას ორმოცდაათი მილიონის ღირებულების საწარმოო დანადგარები და ტექნიკა, მათი დიდი ნაწილი უბრალო ჯართად. დღეს საქართველო ვერ აწარმოებს ცელსაც კი. ჰო, ცნობისთვის, ცელები დღეს ირანიდან შემოაქვთ, რომელიც ოხრახუშსაც კი ვერ ცელავს. ისინი ნარამარა გამოდის მწყობრიდან, როგორც სოფლებში მითხრეს. რაც შეეხება ადგილობრივ სამჭედლოებს, სადაც შეიძლებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება, ისინიც სანთლითააა საძებნელი: ერთი არის ზესტაფონში, მეორე აბაშაში. სხვაგან რა გითხრათ.

უკანასკნელ ხანებში ლაპარაკობდნენ სინგაპურზე. სხვათა შორის, სახელმწიფოს წილი ამ მართლაც მდიდარ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობასაც უპირატესად ინგლისურენოვანი ჩინელები შეადგენენ, არის 65 პროცენტი.

საქართველოში დიდი ალბათობით სახელმწიფოს წილი 7-10 პროცენტია. ამის ზუსტად თქმა არ არის ადვილი საქმე.

ჩვენი ბაზარი სიძლიერით ახლოსაც ვერ მივა აზერბაიჯანის და მით უფრო რუსეთის ბაზართან. იგი ძალიან სუსტია. საქართველოს იმპორტი დღეს განიზომება 8 მილიარდით, ექსპორტი – 3 მილიარდით. შეუსაბამობა, მაგრამ ასეთი?

შვეიცარიაში სახელმწიფო სუბსიდიების წილი იმ ბიუჯეტში, რომელიც ფერმერს წარმოებისთვის ესაჭიროება, არის 80 პროცენტი. საქართველოში ეს წილი 0 პროცენტს შეადგენს. დაახლოებით შვეიცარიის მსგავსადაა საქმე ალპურ ქვეყნებში – იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში. და ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ ნორმალურია?

უამრავი დაუმუშავებელი სავარგულია საქართველოში. ამდენ დაუმუშავებელ მიწას თქვენ ვერ ნახავთ ვერც ბალტიურ ქვეყნებში, ვერც უკრაინაში, ვერც პოლონეთში; მით უფრო სხვაგან, უფრო დასავლეთით. როგორც კვლევები აჩვენებს, მოსახლეობის დაახლოებით 24 პროცენტი პრაქტიკულად შიმშილობს. არ ვიცი, როგორ უნდა მოახერხო ეს ისეთი ბუნებრივი პირობების ქვეყანაში, როგორიც ჩვენია?

და ჩვენი საბანკო სისტემა, აგებული ძირითადად ჰაიეკის ლიბერალური მონეტარიზმის თეორიაზე? ეს ბანკები სხვა არაფერია, თუ არა დიდი ზომის ლომბარდები და ოფიციალური მევახშეობის დაწესებულებები. ისინი წარმოებას, ეკონომიკას და ინდუსტრიას ხელს ვერ შეუწყობენ. გვრჩება უამრავი მოქალაქე, ვისაც სახლები აქვს ჩადებული ამ ბანკებში. მათი დიდი უმრავლესობა თავის ქონებას ალბათ ვერ შეინარჩუნებს.

ამიტომაც კვლავ აქტუალური რჩება ის რემარკა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ გამოთქვა ლავრენტი ბერიასთან შეხვედრაზე 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ახალი პარტიული ხელმძღვა-

ნელი მარად უკმაყოფილო ინტელიგენტებს, კონსტანტინე გამსახურდიას და პავლე ინგოროყვას გაესაუბრა: მთავარი ისაა, რა ეროვნების ხალხი იცხოვრებს სამომავლოდ იმ სახლებში, რომელსაც თქვენ, კომუნისტები აშენებთ და იმ ტერიტორიებზე, რომელთაც თქვენ კეთილმოაწყობთო.

14. 11. 2014

„მიწების პრივატიზაცია და დამუშავება“

გუშინ სამეგრელოში გახლდით. გზად იმერეთი და ქართლი გავიარეთ. ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რომ უამრავი მიწაა დაუმუშავებელი. მთელი მასივები, შეიძლება ითქვას.

ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ ჩვენი საკვები პროდუქტების ორი მესამედი მაინც იმპორტით შემოგვაქვს. დაუმუშავებელი მიწების დიდი ნაწილი შესაძლოა გაყიდულია და არის დაკონსერვებულ მდგომარეობაში. კაცმა არ იცის, რას ელოდებიან მათი პატრონები.

მიწები მე-19 საუკუნეშიც იყიდებოდა, როდესაც ქვეყანაში ილიას საადგილმამულო ბანკი ფუნქციონირებდა. აკაკი წერეთელმაც კი გაყიდა ერთხელ საკუთარი მიწა, თუმცა ილიამ ეს არ აპატია თანამებრძოლს. იგი იმპლიციტური უარყოფითი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავადმა აკაკი როსტომის ძე წერეთელმა მიწა ანანოვს მიჰყიდა.

წელს ზაფხულში, ზემო იმერეთში ყოფნისას ერთერთ ხეობაში წავაწყდი ადგილობრივ მაცხოვრებელს, ილია დ...ძეს. მან მდინარესთან მისასვლელი შედარებით მოსახერხებელი გზა მიმასწავლა, გამავალი ბუჩქნარებსა

და ყანების ღობურებს შორის. საუბრიდან გამოირკვა, რომ ილია 3 ჰექტარ სიმინდის ყანას თავისი ხელით თოხნის, მოსავალსაც თვითონ იღებს და აბინავებს, ჰყავს 10 მსხვილფეხა პირუტყვი, 14 ღორი, 100 შინაური ფრინველი.

ილია დ...ძეს ერთი მოზრდილი ვაჟი ჰყოლია. იგი არ მონაწილეობს არც მიწის, არც შინაური ცხოველების და ფრინველების მოვლაში. ძირითადად კომპიუტერული თამაშებით და „ჩატაობითაა" დაკავებული. ალბათ ოცნებობს ქვეყნის დატოვებაზე. მეუღლე უკვე მესამე წელია საბერძნეთშია წასული და აქეთ დაბრუნებაზე არც ფიქრობს.

ზვიად გამსახურდიას შემდეგ არჩევნებში არ წავსულვარო, რადგან არცერთი ხელისუფლება ხალხისკენ არ არისო, დასძინა. ვიდრე ცოცხალი ვარ, აქაურობას არ მივატოვებო.

ჩემს თვალში ეს კაცი რაღაცნაირი გმირია. მას აქვს ანთეოსისებური კავშირი თავის მიწასთან, რაც მას ძალებს აძლევს. მას აქვს პალესტინაში ჩასული პირველი სიონისტებისთვის დამახასიათებელი, სიჯიუტესთან შერწყმული იდეალიზმი. იგი თითქოს მარტოდ დარჩენილი მეციხოვნეა, პარტიზანია, რომელიც თავის უბანს ყველა საშუალებით იცავს.

საბაზრო ეკონომიკის აქტორებს მხოლოდ ჰედონიზმი, სიხარბე და წრეგადასული ინდივიდუალიზმი ახასიათებთო, დაწერა სოროსმა წიგნში „გლობალური კაპიტალიზმის კრიზისი". ილიას დ...ძის მსგავს ადამიანთა არსებობა იმედისმომცემია. ემპათიას მოკლებული, ჰედონიზმით და სიხარბით დაპროგრამებული რობოტების არ უნდა იყოს ბურთი და მოედანი არც ბიზნესში, არც სახელმწიფო სექტორში.

16. 11. 2014

არჩევნების შესახებ

გუშინ ინტერპარტიულ-ოპოზიციური თანამშრომლობის ფორმატში მონაწილე პარტიების წარმომადგენლები, შეკრებილები დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნის თემაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შევხვდით. ვიდრე ამ შეხვედრაზე ვისაუბრებდე, ერთს ვიტყვი: სამართლიანი, ყველასთვის თანაბარი საარჩევნო გარემოსა და თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული საარჩევნო კანონის და ზოგადად სისტემის შექმნა საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ღერძული საკითხი იყო და დღესაც არის.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ჯერ კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰქონდა პრეტენზია საბჭოთა, კომუნისტურ ხელისუფლებასთან საარჩევნო კანონის საკითხზე – კომუნისტებს სურდათ ერთპარტიული არჩევნების ჩატარება, სადაც მხოლოდ მაჟორიტარები იყრიდნენ კენჭს. მათ იცოდნენ, რომ შედეგსაც შესაბამისს დადებდნენ. ზვიად გამსახურდიამ და მისმა მოძრაობამ მათ მიაღებინეს მრავალპარტიული საარჩევნო კანონი, უპრეცედენტო სსრკ-ს სივრცეში, სადაც მანდატების ნახევარს პროპორციულად ირჩევდნენ, ნახევარს კი მაჟორიტარული წესით.

ხელისუფლებები, რომლებიც 1992 წლის 6 იანვარს მოყვნენ, ადმინისტრაციულ რესურსს ეფექტურად იყენებდნენ სწორედ მაჟორიტარების საშუალებით. მაჟორიტარობის კანდიდატი გამოირჩეოდა მძიმე ქისით, ფლობდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ რესურსს და იყენებდა მათ ბერკეტებს, დაპირებებიც შესაბამისი ჰქონდათ, რამდენადაც მოსახლეობის მხრიდან

არანაირი პოლიტიკური დაპირების მოლოდინი, სურვილი და მზაობა არ ყოფილა: გავაკეთებ გზას, ავაშენებ ხიდს, რაიმე შენობას ან გავამაგრებ ჯებირს, ჩავყრი კომუნიკაციებს და ა. შ. პარლამენტში გასული მაჟორიტარი, როგორც აგრესიულ-მორჩილი უმრავლესობა, ყოველთვის ხელისუფლების და უმრავლესობის რეზონს უჭერდა მხარს.

აშკარაა უთანაბრობაც – ყველა ოლქში, სადაც ირჩევა მაჟორიტარი დეპუტატი, არ ცხოვრობს ამომრჩევლის ერთი და იგივე რაოდენობა. თვალსაჩინოებისთვის: 5000 კაცი ირჩევს დეპუტატს ყაზბეგში, ხოლო 146 000 ქუთაისში.

დავით უსუფაშვილმა გვითხრა, რომ სისტემის შეცვლას მხარს უჭერს. საუბარია ან საერთო-ეროვნულ პროპორციულ სიაზე მთლიანად ან საოლქო-პროპორციულ სისტემაზე. ამას ებმის საკითხები ბარიერის დაწევაზე, საარჩევნო ადმინისტრაციაზე, საეთერო დროზე და ა. შ. ეს, ცხადია, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. თუმცა როგორ შეიცვლება ეს სისტემა და დაუჭერენ თუ არა მხარს კოალიციაში შემავალი ძალები ამ ცვლილებას, ამის თქმას იგი ნამდვილად ვერ შეძლებდა გუშინ. მან ასევე გვითხრა, რომ ერთგული რჩება 2008 წელს გაკეთებული იმ ხელმოწერისა, რომელიც გულისხმობდა საარჩევნო სისტემის შეცვლას, მაგრამ მიუხედავად შეთანხმებისა, მაშინდელმა მმართველმა პარტიამ პოზიცია ერთ ღამეში შეცვალა. ეს ყველას კარგად გვახსოვს.

საუბრიდან ისე გამოვიდა (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება), რომ ერთადერთი, რის გარშემოც ამ ჭრელი ძალების კონსენსუსი უნდა შედგეს, გონიერებაა. მაგრამ გახსენდებათ ოდესმე ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალთა

კონსენსუსი გონივრული იდეების გარშემო პრაქტიკულად შემდგარიყო? ეს კი, ცოტა არ იყოს, პესიმისტურ განწყობაზე მაყენებს.

ამასობაში ფორმატის ბოლო შეკრებაზე დაზუსტდა მოთხოვნა საბოლოო რედაქციით: „საქართველოს პარლამენტი შედგებოდეს საერთო-პროპორციული წესით არჩეული 150 წევრისგან".

ვნახოთ, რა გამოვა.

26. 11. 2014

საახალწლო მოსალოცი

საუკუნეზე საკმაოდ მეტია გასული მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ ქართველობას მიმართა საახალწლო მისალოცი ტექსტით „რა გითხრათ, რით გაგახაროთ". მასში წამოჭრილია საკითხი, თუ რამდენად აქვს საფუძველი ჩვენს ოპტიმიზმს, რომელიც თავის მხრივ, სიცოცხლის ძირითადი ფასეულობას ფილოსოფიურ საკითხთანაა გადაჯაჭვული. უნდა გვიხაროდეს თუ არა? დღეს საკითხავი აი ეს არის.

შეიძლება სწორი იყოს ის მიდგომა, რომ ოპტიმიზმის გარეშე მომავლისკენ სვლა თავად ამ მომავალზე იმოქმედებს. ანუ ოპტიმიზმი რაღაცნაირად „ჭედავს" პოზიტიურ მომავალს და მას თითქოს კეთილად აპროგრამირებს. მეორე მხრივ, ოპტიმიზმმა და ჭარბმა პოზიტიურობამ შესაძლოა ჩვენი მხედველობის კიდეგან დატოვოს არაერთი ნაკლოვანება, ჩავარდნა, მანკიერება. ამიტომაც სწორი ბალანსია დასაცავი – სიმართლესაც თვალი უნდა გაუსწორო და არც პესიმისტურ შავნაღვლიანობაში უნდა გადავვარდეთ. ზუსტად იმავეს

ცდილობდა ილია ჭავჭავაძეც. ამიტომაც შევეცდები ამ დიდებული წერილის ცალკეულ საკითხებს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვე და დღევანდელობის რაკურსიდან დავინახო.

სულ ღვთის წყალობას ნუ გავიძახითო, წერდა იგი, ჩვენც გაგვენძრია ხელი, კარგი იქნებოდაო. ღვთის სახელის ხსენება განა ურიგო საქმეა, დავსძენდი აქ. ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები ღვთის სახელის ხსენებისას მის დიად, წარუვალ არსებასთან და უქმნელ ენერგეტიკასთან განსაკუთრებულ შეხებაში მოვდივართ. ამიტომაც ჩვენ უფლის სახელთმადიდებლებიც ვართ, მაგრამ არ ვარგა ყველაფრის მასზე აკიდება, რწმენა, რომ ჩვენს გასაკეთებელს ის უპირობოდ გააკეთებს. ღმერთი მზა ცნებად არ უნდა აქციო. ეს უკვე გზაა სულიერი დაინვალიდებისკენ, და, რა თქმა უნდა, ფარისევლობისკენაც. ვამბობთ, რომ ცოდვილები ვართ, დაცემულნი და უვარგისნი, მაგრამ გვავიწყდება, რომ ამის ძახილი კი არ არის საქმე, არამედ მანკიერებისგან უბრალოდ განშორება, როგორც ქრისტიანული ტრადიციის თვალსაჩინო მასწავლებლები აღნიშნავენ. ასე რომ, პირადი, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თავზე აღება არც ილიას დროს გვიყვარდა და არც ახლა გვიყვარს.

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა"-ო, იტყოდნენ ილიას დროს, და ამ ქვეყანაში მარტო ქართველებს უგუბდება სულიო, წუხდა იგი. ეს კვლავაც აქტუალურია საკითხია: ღმერთმა ქართველებს მართლაც უნიკალური ქვეყანა მოგვცა – ბუნებრივი რესურსების, ეკოსისტემის, გეოპოლიტიკური მდებარეობის მხრივაც. მაგრამ დღეს ქვეყანაში ხარობს ის „ქართველი," შესაბამისად ამნაირთა პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც კონკრეტულ

ინტერესთა მქონე ზესახელმწიფოების ელიტათა მიერაა ხელდასმული. ქართველს საკუთარ ქვეყანაში სული დღესაც ვერ მოუთქვამს: 70 პროცენტიანი უმუშევრობა, სამათხოვრო პენსია, ცხოვრების სასაცილო მინიმუმი, ვითომდაც უფასო ჯანდაცვა, სინამდვილეში ფასიანი; 23 პროცენტი მოსახლეობისა პრაქტიკულად შიმშილობს; განათლების უმდაბლესი ხარისხი და ისიც ფასიანი. მოკლედ ფასები ევროპისკენ, ხელფასები და შემოსავლები ეშმაკისკენ. გაჭენებული დოლარი, ჩამოწეული, აწეული და ისევ ჩამოცოცებული. ბიუჯეტში – მსუყე გარღვევა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერც ამ წელიწადმა მოგვიტანა – აფხაზეთი ნაწილობრივ მიიერთა რუსეთმა, გეგმავს „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ცხინვალის რეგიონის ურცხვად, პირდაპირ მიერთებას. რუსული კბილების ღრჭიალი კახეთისკენ, ავარიის ხეობების მხრიდან. ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ასოცირებას. თავისთავად კარგი ფაქტია, იგი გარკვეულ წინსვლაზე მეტყველებს, მაგრამ ამაზე ხალხში იტყვიან: ცოლი მყავს და გაღმაო. უსამართლო პოლიტიკური სისტემა, არათავისუფალი მასმედიები, შოუებად ქცეული პოლიტიკური ცხოვრება, გაუთავებელი ყვირილი და ჩხუბი, ზოგჯერ ხელჩართულიც.

პოზიტიური დინამიკა რაში ჩანს? ჩვენი სპორტსმენების წარმატებები, ჩვენი ხალხის სულიერი შემართება, რომელიც ჩვენდა სასიხარულოდ იგრძნობა. სასამართლოში გამამართლებელმა განაჩენებმა იმატა. ადვოკატებსაც შესაბამისად ცოტა მეტი საქმე გაუჩნდათ. ბიზნესის წარმომადგენლებიც უფრო მეტ საქმეებს იგებენ სახელმწიფოსთან დავაში. ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე ლაპარაკი მაინც მიდის და ესეც

საქმეა – თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერ სიტყვაა საქმე და მერე საქმეა საქმე, დათა თუთაშხიასი არ იყოს. პოლიციაც უფრო კორექტული გახდა. სახელმწიფო, რომელიც ახლა გვაქვს, შეუდარებლად წინაა იმასთან შედარებით, რაც 90-იანებში იყო. კიდევ რა? ჰო, არ დამავიწყდეს: კიდევ ის, რომ ბუნებამ გაგვანებივრა თბილი ზამთრით.

წარსულში რამ გვიხსნა და ახლა რა გვიშველის? კითხულობ, ილია და პასუხსაც თავად სცემს: უწინდელ დროში ცოდნამ – ომის საქმისა იქნება ეს, ხმლის ჭედვა თუ ციხესიმაგრის მშენებლობა. ანუ გვქონდა „დროის შესაფერი ხერხი, დროის შესაფერი ცოდნა“. ორიგინალური არ ვიქნები, თუკი ვიტყვი, რომ 21-ე საუკუნეში დღევანდელი იარაღი ეს განათლებაა. ნამდვილ ბრძოლის ველზე წაგებულ ბრძოლას კიდევ ეშველება, განათლების ველზე წაგებულს კი არაფერი. ჩვენ არა ვართ განებივრებული ისეთი ახალგაზრდებით, ვინც ევროპული უნივერსიტეტების განათლების დონეს შეაწყვილებდა საკუთარი ისტორიის მიუკერძოებელ ცოდნასთან და არამარტო ცოდნასთან – მის განცდასთან. რამ უნდა ასწიოს სახელმწიფოებრივი შეგნება, თუ არა განათლებამ და პრაქტიკულად ვინ უნდა განახორციელოს ეს ზეამოცანა, თუ არა ასეთმა ახალგაზრდობამ.

თუ შეგიძლია თვალი აგვიხილე, ყურიდან ბამბა გამოგვაცალე – მიმართავს ილია ახალ წელიწადს. მე კიდევ დავამატებდი: ახალო წელიწადო, შესაძლოა, მაკიაველივით გამჭრიახნი ვერ გავხდეთ, მაგრამ ახლომხედველობის სენიდან მაინც განგვკურნე და მოგვეც ძალა, რომ ელემენტარული შორსმჭვრეტელობა განვავითაროთ ჩვენში. ასევე გვესწავლოს ერთმანეთის

მოსმენა და დაფასება, ანუ ის, რაც ყველაზე მეტად უჭირდა ქართველობას. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და მიუხედავად ყველაფრისა, სიხარულის და ოპტიმიზმის საფუძველი მაინც გვაქვს: ყოველივე ის, რაც დიდი და ფასეულია ჩვენს ისტორიაში, კვლავაც მუშაობს ჩვენს ცნობიერ-კულტურულ გენოტიპში და თუ ძალიან მოვინდომებთ, იგი ახლიდან, მეტამორფოზირებული სახით განხორციელდება. ამიტომაც ჩვენი საქმე აუცილებლად გამობრუნდება.

31. 12. 2014

მურთაზ ჩახავას ერთი მეგრული ლექსი

ეს ლექსი ეკუთვნის ფოთის მკვიდრს, აწ განსვენებულ მურთაზ ჩახავას. იგი მეგრულ ენაზეა დაწერილი და რატომღაც მეგრულ ფოლკლორში შეუტანიათ ისე, რომ მისი ავტორი არ მიუწერიათ.

მურთაზ ჩახავა ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც ღირსეული, წმინდა წერილში გათვითცნობიერებული, ღმერთის რწმენით აღვსილი და იმავდროულად ნატიფი გემოვნების ადამიანი. მას 80-იანებში ხშირად ვხედავდი ხოლმე ნახევრად იატაკქვეშა ეროვნულ-დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად სიონის ტაძარში. ხელს ნამდვილად არ მიშლიდა ის ფაქტი, რომ იგი „ძველმორწმუნეთა ეკლესიის“ ეპისკოპოსი იყო და იოანე-იონას სახელს ატარებდა. მისი თეოლოგიური შეხედულებები, რომელთაც არანაირად არ ვეთანხმებოდი, ნამდვილად არ მიშლიდნენ ხელს, დამენახა ეს ადამიანი ისე, როგორიც ის სინამდვილეში იყო.

გთავაზობთ ლექსს მეგრულად და ჩემეულ თარგმანს სალიტერატურო ქართულ ენაზე.

შურიშ რტინი

აკისერუ უსერეთ,
ცა გეორე ონგარდღას,
ბორია ირქენს, ფურცელეფს
ევრე-ავრე ოფართხანს.
გოვალ, გოტყვაც თოლონჭეს,
ცაქ გიხირიტ ობუალეს,
შკურინაფილ ტორონჯეფქ
გოლა გეგნიტკარჩალეს.
სო იდი დო სო ფურინ,
სო იდი დო სუ ფურინ,
ქარწყექ დახე დობლურინ,
ნიტე ღურელ ქოპუნინ.
გურქ აკომცუ ქუმუცალო,
თოლქ ემაფშუ ვალუას,
მუ გურზუ დო მუ მუტადუ
ჩხანამქ გითოფალუას.

სულის გაფრენა

ჩამოღამდა დაღამების გარეშე,
ცადაქმნილი მტირალა დღეს ადგას,
ქარ-ბორიო დაუბერავს ფოთლებს და
აქეთ-იქით მიმობნეულთ ფანტავს.
თვალსაწიერს გაელვება დააჩნდა,
სამზეოს ცა გახვრიტაო თითქოს,
და მტრედების გუნდმა ფრთების ტკაცუნით
წამოშლილმა გადუფრინა მაღლობს.
სად შობილი სად გაფრინდი, ეს მარქვი,
სად შობილი სად გაფრინდი, მითხარ,
ხედავ, ჩემო, თითქმის სული დავლიე,

ახლაც ვნატრობ, ნეტავ ვიყო მკვდარი.
გული გამხმარ ფეტვისდარად დამეფშვნა,
ხოლო თვალნი აღმვსებია ელვით,
როგორ გინდა გაუძლო და უყურო,
მზეს, ღრუბლების ღიობიდან ჩენილს.

15. 01. 2015

მშვიდობის შესახებ

მშვიდობის კონცეფციას გააჩნია მნიშვნელოვანი კულტუროლოგიურ-ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური განზომილებები. ტრადიციულად აღმოსავლურ კულტურებში მშვიდობას უფრო მეტი საერთო აქვს შინაგან მდგომარეობასთან (მშვიდობა ჩვენს გონებასა და გულში), მაშინ, როდესაც დასავლურ სამყაროში მშვიდობა გაგებულია, როგორც ადამიანის გარეთ არსებული მდგომარეობა, როგორც ომების ან ძალადობის არარსებობა, ასევე ისეთი სოციალური წესრიგი, სადაც ადამიანების ყველა ძირითადი ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია.

მაგალითად, ინდუიზმის ფილოსოფიურ-მჭვრეტელობით სისტემაში სიტყვა მშვიდობა არის „სჰანტი," რაც გულისხმობს გონების სრულყოფილ წესრიგს ან გონების მშვიდობას. იგივე ითქმის ბუდისტურ ნირვანაზე, რომელიც უმაღლესი მშვიდობის მდგომარეობას და საკუთარ თავთან და სამყაროსთან შერიგების უმაღლეს ხარისხს გულისხმობს. მაჰათმა განდის ფილოსოფია სწორედ ინდუისტურ-ბუდისტური კულტურების წრიდან მომდინარეობს და ე. წ. „აჰიმსას" კონცეფციას ეფუძნება, რაც ნიშნავს ზოგადად ყოველგვარი

საზიანოსაგან და ბოროტისგან თავის შეკავებას. მან თქვა: „აჰიმსა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს არა-ძალადობას. მაგრამ ჩემთვის მას აქვს უფრო მაღალი, უსასრულოდ მაღალი მნიშვნელობა. ის ნიშნავს, რომ შენ არ შეგიძლია აწყენინო ვინმეს, შენ არ შეგიძლია ბოროტი აზრების თავში გავლება, თუნდაც მათ მიმართ, ვისაც მტრებად მიიჩნევ. ვინც ამ დოქტრინას ასრულებს, მისთვის მტრები არ არსებობს".

ქრისტიანობაში მშვიდობა არის როგორც სულის მდგომარეობა, ისე გარკვეული წესრიგი ადამიანის გარემომცველ სოციალურ პლანში, რომელიც ფიზიკური და სულიერ-მორალური ძალისხმევით მიიღწევა. სახარებისეული ტექსტების მიხედვით სულიერ მდგომარეობას აღწერს შემდეგი ადგილი: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ". ხოლო აქეთკენ მიმართულ ძალისხმევას უკვე სოციალურ პლანში გამოხატავს ეს ამონარიდი: „ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა". თუკი ბუდიზმი მშვიდობას აღწევს ნირვანით და თანაგრძნობით ყველა არსების მიმართ, ქრისტიანობა ამავე მიზნამდე სიყვარულით მიდის, რისი გამოხატულებაცაა ჯვარცმული ღმერთკაცი, ზოგადად კაცობრიობის და ყველა ცოცხალი არსების გამო ვნებული ჯვარზე.

ნორვეგიელი კულტუროლოგის და კონფლიქტების მკვლევარი, ჯონ გალტუნგი, მშვიდობის პოზიტიურად და ნეგატიურად გაყოფას გვთავაზობს. ნეგატიური მშვიდობა ნიშნავს ომის, კონფლიქტის არარსებობას სახელმწიფოებს შორის ან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, მაგალითად, როგორიცაა ბალკანეთის ომი. მეორე მხრივ, პოზიტიური მშვიდობა ნიშნავს ომის ან

კონფლიქტის არარსებობას, რომელიც ერწყმის თანასწორობას, სამართლიანობას და განვითარებას. გამოდის, რომ ნეგატიური მშვიდობა ყოველთვის ომით და არეულობითაა ორსული, რამდენადაც ან მახვილს ლესავენ, ან იარებს იშუშებენ, რომ ომი განაახლონ. იგივე დატვირთვის მქონეა ფონ კლაუზევიცის დეფინიცია, რომ ომი – ეს არის პოლიტიკის გაგრძელება, ოღონდ სხვა საშუალებებით. აქედან გამომდინარე პოლიტიკაც შესაძლოა ომს გულისხმობდეს, თუმცა პირდაპირი გაგებით ასე არ გაფორმდეს. რამდენადაც გალტუნგის თეორიას ისტორიაში ჰყავს წინამორბედი გერმანელი ფილოსოფოსის და – თეოლოგის – ბარუხ სპინოზას სახით, რომელიც თვლიდა, რომ „მშვიდობა ეს მხოლოდ ომის არ-არსებობა როდია, არამედ უდიდესი ქველმოქმედია, შობილი სულიერი ძალმოსილებიდან".

2014 წლის 6-9 მარტის მართლმადიდებელ ეკლესიათა მწყემსმთავრების ერთობლივ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „სამართლიანობისა და მშვიდობის მთავარი საფრთხე, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ მასშტაბებში მომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან. მისი შედეგები ხილულია საკაცობრიო საზოგადოების ყველა დონეზე, რომელშიც ხშირად უგულებელყოფილია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პირადი ღირებულებები, ძმური სოლიდარობა და სამართლიანობა. ამ კრიზისის მიზეზები ძევს არამხოლოდ ფინანსურ სფეროში, არამედ მორალურ და სულიერ ნიჰილიზმში. არ ვქმნით რა ხელისუფლების სიხარბისა და თვითკმაყოფილების ამსოფლიურ კერპებს, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი მოწოდება მდგომარეობს მსოფლიოს გარდაქმნაში სამართლიანობის, მშვიდობისა და სიყვარულის საწყისებზე. ეგოცენტრულობა და ხელი-

სუფლების ბოროტად გამოყენება აკნინებს მრავლისათვის ადამიანური პიროვნების წმინდა თვისებების შესახებ წარმოდგენას, მათ არ სურთ დაინახონ ხატი ღვთისა მცირეთაგან ძმებსა და დებში (შდრ. მათე, თავი 25), მრავალი რჩება გულგრილი სილარიბის, ტანჯვისა და ძალადობის მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან კაცობრიობის უბედურებად".

ქრისტიანისთვის ჭეშმარიტი მშვიდობა შესაძლოა მხოლოდ ქრისტეში იყოს. იორდანეზე ნათლობა დასაწყისია მშვიდობის და სიყვარულის სასუფევლის გადმოსვლისა ამქვეყნად. ნათლისღებას გილოცავთ!

19. 01. 2015

პირთა საძიებელი

ა

აბას I 26, 112, 113
აბაშიძე ასლან 117
აბაშიძე ზია 117
აბაშიძე მემედ 62, 80, 116, 117, 236
აბდულა-ბეგი 31, 106
აბდულ-ჰამიდი 25
აბო თბილელი 62
აბრაამი 50
აბულაძე ილია 177
აგროსი 56
ადამია ვაჟა 264
ადეიშვილი ზურაბ 18, 223
ადორნო თეოდორ 36, 82
ადრიანე პუბლიუს ელიუს ტრაიანუს 187
აზიზი 25
ათათურქი მუსტაფა ქემალ 27
აიეტი 179
აიხენდორფი იოზეფ 34
აიხი გიუნტერ 34
აკე I 55
აკე II 55
აკუსილოხი 55
ალასანია ირაკლი 239, 274, 275, 281
ალექსიძე ლევან 264
ამელინა იანა 83
ამილახვარი ალექსანდრე 109, 110
ამილახვარი დიმიტრი 110
ანანოვი ალექსანდრე 285
ანრია პირველწოდებული 179, 180
ანდროპოვი იური 158, 159
ანტონ კათალიკოსი 46
არისტარქე 56
ასადი ბაშარ 251
ასათიანი აკაკი 264
ასათიანი მაია 125
ასპეტი 57
ასტურიასი მიგელ ანხელ 104
ატილა 271

ბ

ბაბილაშვილი ჯამლეთ 196
ბაგამ 57
ბაგრატ ფარნავაზიანი 57
ბაგრატ IV 162
ბაგრატ III 62, 177
ბაგრატიონი ბაქარ 106
ბაგრატიონი პეტრე 106, 207

ბათიაშვილი ირაკლი 264
ბალტინი ედუარდ 220
ბალუაშვილი ანზორ 196
ბაჟანი ნიკოლა 131
ბარათაშვილი შადიმან 29
ბარნუკ I 56
ბარნუკ II 56
ბასილი II 160, 161
ბაქრაძე აკაკი 264
ბალათურია ჯონდი 278
ბახმანი ინგებორგ 34
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 59
ბეკონი ფრენსის 31
ბენდუქიძე კახა 227, 280-283
ბენდუქიძე ნუნუ 107
ბენი გუდმენი 34
ბერდიაევი ნიკოლოზ 85
ბერეზოვსკი ბორის 230
ბერია ლავრენტი 284
ბერტო პიერ 140
ბერძენიშვილი დავით 264
ბივრატი 57
ბობროვსკი იოჰანე 34
ბოდრიარი ჟან 74
ბუალავა რომან 111, 112
ბუეზინსკი ზბიგნევ 224
ბრამსი იოჰანეს 67
ბრენტანო ფრანც 34
ბრეჟნევი ლეონიდ 146
ბროსე მარი 62
ბრუსი რობერტ 262
ბულგაკოვი მიხეილ 127
ბურჯანაძე ნინო 218
ბუში ჯორჯ 237, 277
ბუში ჯებ 277

გ

გაბაშვილი კოტე 264
გაბაშვილი რევაზ 168, 260
გაბრიელ სალოსი (ურგებაძე) 178
გადამერი ჰანს-გეორგ 77
გამსახურდია ზვიად 8, 11, 12, 13, 18, 30, 32, 42, 43, 59, 60, 66, 71, 79-82, 87, 93, 117, 123, 127-130, 153, 159, 170, 181, 195, 196, 208, 216-218, 220, 221, 223, 232, 240, 247, 249, 250, 258, 268, 279, 286, 287
გამსახურდია კონსტანტინე 30, 37, 57, 63, 64, 66, 68, 80, 84, 93, 96, 97, 116-118, 123, 126-128, 131-133, 151, 160, 284, 285
გამსახურდია ცოტნე 222, 279
გამყრელიძე თამაზ 100, 265
განდი მაჰათმა 295
გარიბალდი ჯუზეპე 262
გაჩეჩილაძე გია 66
გაჩეჩილაძე ლევან 277
გეგეშიძე გურამ 265
გელაევი რუსლან ჰამზატ 222
გელაშვილი ნაირა 66
გელბახიანი ვალერი 277
გეორგე შტეფან 34
გვასალია გოჩა 225
გიგანი ირმა 92

გიგინეიშვილი მანანა 123
გიგნაძე თეოდორე 65
გიორგაძე იგორ 221, 258
გიორგი I 160-162
გიორგი ბრწყინვალე 31, 118
გიორგი კაპადოკიელი 12, 186-189
გირგვლიანი სანდრო 222
გოგელია არჩილ 265
გოდფრუა ბულონელი 31
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 34, 36, 50, 123
გორბაჩოვი მიხეილ 129, 146
გოცირიძე რომან 265
გრეჰემი ლინდზი 227
გრიბოედოვი ალექსანდრ 151
გრიგოლია ინგა 87, 235, 237
გრიგორი 56
გრიმი იაკობ 122
გრიმი ვილჰელმ 122
გუბაზ I 56
გუბაზ II 56
გურამიშვილი დავით 46, 105, 120, 121, 131, 132
გურგენიძე ვახტანგ 181

დ

დავით აღმაშენებელი 15, 31, 49, 60, 62, 118, 144, 177, 183, 185, 201, 235
დავით გარეჯელი 62
დავით მეფსალმუნე 72, 184
დავითაია პაატა 278
დათუნა ფეიქარი 109
დამნაზე 56
დანსკოი დიმიტრი 31
დაუთ ფაშა (გურჯი მანელიშვილი) 116
დე გოლი შარლ 71, 140, 196
დებიუსი კლოდ 67
დედა ტერეზა 32
დეკარტი რენე 39, 40
დემელი რიჰარდ 34
დემეტრიოსი 130
დვალიშვილი დემურ 221
დიასამიძე სულეიმან 117
დიკენსი ჩარლზ 123
დიოკლეტიანე 186, 187
დიონისე არეოპაგელი 182, 183, 190, 191
დომიციანე 187
დოსტოევსკი თეოდორ 67, 147
დუგინი ალექსანდრ 146, 214

ე

ევსტათე მცხეთელი 62
ევრიპიდე 136
ელენე დედოფალი 45, 46
ელიავა აკაკი 221
ელია თეზბიტელი 120, 121, 181, 184
ელისე 120, 121
ელ-სიდი 262
ელცინი ბორის 129
ემხვარი არზაყან 62, 80
ენცენსბერგერი ჰანს მაგნუს 34

ერდოლანი რეჯებ თაიფ 25, 171
ერეკლე II 106, 109, 110, 267
ერმოლოვი ალექსი 150
ერჰარდი ლუდვიგ 282
ესაკია დიკა 94

ვ

ვაგნერი რიხარდ 67
ვაზაგაშვილი ზურაბ 222
ვაინინგერო ოტო 74
ვაჟა-ფშაველა 96, 123, 143, 152-154, 186, 189, 197
ვარსიმაშვილი ავთო 195
ვასაძე ლევან 235, 237-239
ვახტანგ VI 105, 106
ვახტანგ გორგასალი 30, 177, 206, 235
ვახუშტი ბატონიშვილი 29
ვესპასიანე ტიტუს ფლავიუს 187
ვისკონტი ლუკინო 28
ვიტგენშტაინი ლუდვიგ 75
ვოშჩანოვი პაველ 196
ვუდროფი ფრედ 221

ზ

ზვიად სპასალარი 161
ზურაბიშვილი ლევან 98
ზურაბიშვილი სალომე 278

თ

თავდგირიძე ჰასან-ბეგ 89
თამარ (ვახტანგ VI-ის ასული) 106
თამარაშვილი მიხეილ 62
თამარ მეფე 62, 118, 185
თარგამაძე გიორგი 277
თაყაიშვილი ექვთიმე 168
თევზაძე გურამ 265
თეიმურაზი I 31
თეიმურაზ II 105, 106
თემურ-ლენგი 232
თეოდორე რუსყოფილი 62
თეოდორიხი არიანელი 95
თოლორდავა კახა 94
თორთლაძე გია 278
თორნიკე ერისთავი 160, 185, 207
თოფურია გიორგი 94
თრაკლი გეორგ 34

ი

იანუკოვიჩი ვიქტორ 224
იესე (ალი-ყული-ხანი) 106
ივანე მრისხანე 130
ივანიშვილი ბიძინა 18, 214, 218, 258, 275
ინაძე მერი 107
ინგოროყვა პავლე 57-59, 189, 285
იოანე გუთიელი 95
იოანე არჩილის ძე 56
იოანე-ზოსიმე 45
იოანე მახარებელი 175, 183, 226
იოანე ნათლისმცემელი 175, 184
იოანე პეტრინი 11, 21, 53
იონა 84, 178
იოსელიანი ჯაბა 212, 265
ისმაილ I 26

კ

კავსაძე ალექსანდრე 265
კაკაბაძე ნოდარ 66
კამიუ ალბერ 123
კანტი იმანუელ 39, 40
კაპბა ენვერ 215
კარლოს დიდი 31
კარპენტიერი ალეხო 104
კაშნიცი მარი ლუიზე 34
კახიძე ჯანსუღ 92
კეხირ-იფა ბორის 215
კვაჭანტირაძე თამაზ 265
კვეზერელი ბაკურ 228
კიკნაძე გრიგოლ 152
კიტოვანი თენგიზ 212, 216, 265, 275, 283
კიწმარიშვილი ეროსი 247
კლარკი ქრისტოფერ 116
კლაუზევიცი კარლ 297
კობახიძე გეგა 94, 156, 159
კონსტანტინე I 46, 187
კონსტანტინე II 105
კორძაია თამარ 215, 216
კოსტავა გრიგოლ 94
კოსტავა დავით 94
კოსტავა ირაკლი 93, 94
კოსტავა მერაბ 31, 32, 59, 60, 68, 81-83, 93, 94, 98, 143, 163, 195, 221
კოტონი ტომ 227
კრაუსი კარლ 74
კუპრეიშვილი დავით 265
კუტჰუმი 129

ლ

ლაგერლოფი სელმა 123
ლანკასტერი ბერტ 28
ლე რიდერი ჟაკ 36, 73, 74
ლევონ 170
ლენინი ვლადიმერ 146
ლეონ II 56
ლეონარდო და ვინჩი 43
ლეონტი მროველი 55
ლეჟავა ნუგზარ 221
ლიაშკო ოლეგ 274
ლიკურგე 31
ლინკოლნი აბრაამ 71
ლომოური ნოდარ 265
ლუარსაბ II 29, 31
ლუკა მახარებელი 175

მ

მაზნიაშვილი გიორგი 96, 97, 236
მათე მახარებელი 175, 298
მათეშვილი ლევან 65
მაიერი თომას 34, 36
მაიერი კარლ ფრიდრიხ 34
მაისურაძე გიორგი 265
მაკიაველი ნიკოლო 146
მალასა 56
მალახოვი ვლადიმირ 77
მამარდაშვილი მერაბ 39, 81, 82, 242
მანერჰაიმი კარლ გუსტავ ემილ 71, 124, 125
მანი თომას 82
მარგველაშვილი გიორგი 212, 218, 260
მარკოზ მახარებელი 175

მარკუს ავრელიუსი 187
მარიამ ღვთისმშობელი 179, 180, 182, 183, 185, 187
მარი ნიკო 58
მარკესი გაბრიელ გარსია 103, 104, 123
მარკოზაშვილი 109
მარუშისძე იოანე 62
მარქსი კარლ 167
მასხარაშვილი სიმონ 160
მაქარესი 56
მაქქეინი ჯონ 227
მაყაშვილი კოტე 101
მაყაშვილი მარო 101
მაჭავარიანი ნათელა 159
მახარაძე თინა 91
მეგარონი 55
მედეა 136
მელიავა თამაზ 28
მელქისედეკ კათალიკოსი 160
მენრტასი 55
მერაბიშვილი ვანო 18, 112, 217, 218
მერკელი ანგელა 97, 147
მითრიდატე 55
მირზაშვილი გიორგი 94
მირიანი 169
მიქატაძე ჯუნა 244
მიქელანჯელო ბუონაროტი 59
მოაფერნე 55
მოერიკე ედუარდ 34
მონტესკიე შარლ ლუი 74
მორგენშტერნი ქრისტიან 34
მორია 129
მოსადეყი ოჰამედ 71
მოსე 50, 181
მოსია თეონა 78
მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს 129
მღვდლიაშვილი თინათინ 33, 35
მხარგრძელი ზაქარია 62

ნ

ნაბუქოდონოსორი 225
ნადირ-შაჰი 106, 107
ნათაძე ნოდარ 265
ნათელაშვილი შალვა 218, 222, 278
ნაიტინგელი ფლორანს 50
ნანეიშვილი მიხეილ 265
ბონაპარტე ნაპოლეონ 224
ნაპოლეონ III 89
ნიკოლაძე იაკობ 189
ნიკოლოზ I 89, 150
ნინიძე თედო 265
ნინო კაპადოკიელი 45, 62, 169, 183, 185
ნიცშე ფრიდრიხ 32, 34, 73
ნოვალისი 34
ნორლანდი რიჩარდ 212
ნუცუბიძე შალვა 191

ო

ობამა ბარაკ 97, 226, 227
ოზგანი კონსტანტინ 215
ოლთაკე 55
ორბელიანი მაიკო 86
ორბელიანი სულხან-საბა 46
ოტრეპიევი გრიგორ 130
ოფსიტე 56
ოქრუაშვილი ირაკლი 258, 275

პ

პაატა ბატონიშვილი 109, 110
პაატაშვილი თედო 265
პავლე მოციქული 135, 177, 182, 183, 189
პაკორი 56
პალტარაცკაია ნინა 62
პასტერნაკი ბორის 123
პატარკაციშვილი ბადრი 120, 276-279
პეილინი სარა 226
პესტელი პაველ 149-150
პეტრე იბერი 182, 191
პეტრე პირველი 105, 264
პეტრიაშვილი ალექსი 274
პლატონი 40
პოროშენკო პეტრო 254, 255, 274
პრინციპი გავრილა 114, 115
პროკოპი კესარიელი 58
პროსტაკოვი სერგეი 77
პრუდომი სიული 167
პუტინი ვლადიმერ 95, 146, 147, 171, 224-227, 230, 231, 255, 269-273, 275, 276

ჟ

ჟანა დ'არკი 262
ჟვანია ზურაბ 222, 265
ჟირინოვსკი ვლადიმერ 230
ჟორდანია ნოე 164, 235, 237, 268
ჟორჟოლიანი თემურ 265

რ

რაველი მორის 67
რაზიკაშვილი ვახტანგ 153
რაზმაძე ვახტანგ 195
რაისი კონდოლიზა 237
რამზესი 225
რამიშვილი ნოე 167
რახმანინოვი სერგეი 83, 92
რეიგანი რონალდ 238
რიკარდო დეივიდ 167
რილკე რაინერ მარია 34
რიუკერტი ფრიდრიხ 34
რობაქიძე ბუტა 222
რობაქიძე გრიგოლ 90, 236, 242
რულფო ხუან 104
რუსუდან ბერიძე 93
რჩეულიშვილი გურამ 27

ს

სააკაშვილი მიხეილ 18, 66, 76, 109, 120, 205, 217, 218, 223, 225, 227, 249, 258, 267
სააკაძე გიორგი 29-31
სააკაძე პაატა 29
საბა მტბევარი 162
საბინინი მიხაილ 62
სავლაკი 55
სალტიკოვ-შჩედრინი მიხაილ 273
სანაია გიორგი 221
სანიკიძე გუბაზ 277
სახაროვი ანდრია 100
საჯაია ნუგზარ 221
სებეოს ანონიმი 57

სელიმი 25
სერგი ბარნუკის ძე 56
სერვანტესი მიგელ დე 123
სიბაშვილი გია 94
სიგუა თენგიზ 283
სიდონია 62, 183
სიმონ I 31
სლოტერდაიკი პიტერ 46, 47
სობიესკი იოან 31
სოკოლნიცკი 149
სოლოვიოვი ვლადიმერ 85, 145, 146, 154
სოლოვიოვი ვლადიმერ 145
სოლომონ ბრძენი 184
სოროსი ჯორჯ 51, 286
სპინოზა ბარუხ 297
სტალინი იოსებ 29, 146
სულეიმან I 86
სუსლოვი მიხაილ 215

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 67, 68, 114, 123, 245
ტაბიძე ტიციან 96
ტალიავინი ჰაიდი 223
ტერენტი გრანელი 67-69
ტეტჩერი მარგარეტ 50
ტიმოშენკო იულია 274
ტიჩინა პავლო 131-133
ტოლკინი ჯონ რონალდ რუელ 123
ტოლსტოი ლევ 67, 127
ტოტლებენი გოტლიბ კურტ ჰაინრიხ 264
ტრაიანე მარკუს ულპიუს 187

უ

უაილდი ოსკარ 123
უგულავა გიგი 258
უოლესი უილიამ 262
უსუფაშვილი დავით 277, 288

ფ

ფალავანდიშვილი გეიდარ 27, 28
ფალავანდიშვილი მართა-მირანდა 27
ფალიაშვილი ზაქარია 119
ფარნავაზ 55, 57, 177, 179, 235
ფეიქარ-ხანი 26
ფერაძე გრიგოლ 76
ფერგიუსონი ნეილ 116
ფირდოუსი ჰაქიმ აბულ-ყასიმ ტუსი 122
ფიფია თემურ 265
ფიხტე იოჰან გოტლიბ 63, 143
ფონ კრესენშტაინი ფრიდრიხ კრეს 97
ფონ ჰოჰენბერგი სოფია 114
ფრანცისკ ასიზელი 32, 50, 51
ფრანც-ფერდინანდი 114, 115
ფროიდი ზიგმუნდ 74

ქ

ქარდავა მეგის 278
ქეთევან დედოფალი 32, 112, 113, 136

ქემერონი დევიდ 263
ქიქოძე გაბრიელ 76
ქუჯი 55, 176

ღ

ღანიშაშვილი მიხეილ 30
ღარიბაშვილი ირაკლი 218, 275

ყ

ყარყარაშვილი გია 221, 275
ყიფიანი გიორგი 98
ყუბასარი 62

შ

შავიშვილი რევაზ 265
შანიძე აკაკი 26, 268
შარაძე გურამ 223
შარტავა კახა 278
შაჰნავაზი 31
შევარდნაძე ედუარდ 29, 117, 119, 151, 195, 198, 202, 205, 208, 212, 221, 222, 245, 246, 258, 267
შელინგი ფრიდრიხ ვილჰელმ 154
შენგელაია გიორგი 265
შენგელაია ელდარ 265
შენგელაია ირაკლი 265
შერვაშიძე გიორგი 80
შერვაშიძე ყადირ 117
შექსპირი უილიამ 31, 123
შვაბი გუსტავ 122
შილერი ფრიდრიხ 34, 48, 130
შიროპაევი ალექსეი 147
შნიცლერი არტურ 74
შოთა რუსთაველი 31, 59, 108, 118, 120, 121, 152, 191-193, 250
შოლოხოვი მიხეილ 146
შტაინერი რუდოლფ 39-41
შუშანიკი 62

ჩ

ჩარკვიანი ირაკლი 94
ჩახავა მურთაზ 293
ჩეინი დიკ 237
ჩერნოვი მიხაილ 83
ჩილაჩავა რაულ 131, 132, 274
ჩინგის-ხანი 139, 271
ჩიხლაძე თეოდორე 159, 208
ჩხეიძე თამარ 265
ჩხეიძე კარლო 167
ჩხეიძე ოთარ 153
ჩხეიძე როსტომ 30, 126, 152, 153, 155
ჩხენკელი აკაკი 167

ც

ცზუ სუნ 70
ციცერონი მარკუს ტულიუს 48, 162

წ

წათე I 56
წათე II 56
წათე III 56
წაქაძე ზაურ 152
წაქაძე კობა 94
წერეთელი აკაკი 80, 96, 167, 199, 217, 285

წერეთელი ირაკლი 265
წერეთელი სოსო 156, 157

ჭ

ჭავჭავაძე ილია 11, 14, 20, 47, 49, 52, 70, 79, 80, 96, 117, 143, 167-169, 204, 260, 263, 285, 289, 290, 292
ჭანტურია გიორგი 221, 265
ჭელიძე თორნიკე 232

ხ

ხაინდრავა გოგა 265, 277
ხაინდრავა ივლიანე 265
ხარატა 55
ხვედელიძე პეტრე 98
ხვიჩია ემზარ 124
ხიდაშელი თინა 277
ხორენაცი მოვსეს 18
ხორნაული გიგი 152
ხოსრო-მირზა 31
ხრუშჩოვი ნიკიტა 146
ხუან-კარლოს I 72
ხუტაბა თარაშ 79

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 107, 189
ჯავახიშვილი მიხეილ 63-65, 148, 230
ჯალალედინი 139
ჯანაშია სიმონ 80
ჯანელიძე თამაზ 265
ჯაჭვლიანი სოსო 107
ჯეიმზ I 31
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი 32
ჯოისი ჯეიმზ 123
ჯორჯაძე არჩილ 40, 260
ჯულიანი რუდი 226
ჯუღაშვილი იაკობ 29

ჰ

ჰაველი ვაცლავ 71
ჰაიეკი ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ 284
ჰაინე ჰაინრიხ 34
ჰანტინგტონი სამუელ 61
ჰაუზერი კასპარ 69, 130
ჰებელი კრისტიან ფრიდრიხ 34
ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 70
ჰესე ჰერმან 34
ჰექტორი 262
ჰიტლერი ადოლფ 82, 95, 97
ჰიჩი 129
ჰონიგმანი ერნესტ 191
ჰოლდერლინი ფრიდრიხ 34
ჰომეროსი 122
ჰორკჰაიმერი მაქს 36, 82
ჰოფმანსტალი ჰუგო ფონ 34
ჰოჰენშტაუფენი ფრიდრიხ 31
ჰუპერტი ჰუგო 139

სარჩევი

დუღილის შუაგულში (*როსტომ ჩხეიძე*).....5
წინასიტყვა.....17

ისტორია-კულტურა-ლიტერატურა

აზიზიეს მეჩეთი ბათუმში და ოშკის რესტავრაცია.....25
გეიდარ ფალავანდიშვილის გარდაცვალების გამო....27
გიორგი სააკაძე.....29
დედა ტერეზას ჰიმნი.....32
გამოხმაურება კრებულზე „ვიტრაჟები“.....33
ქართული მზერა გოთური ტაძრის ვიტრაჟებში.....35
ინტერვიუ პროფესორ ლე რიდერთან.....36
კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“....37
სიყვარულის არსის შესახებ.....39
ვაშა შენებას?.....41
ლექსი „ქრისტესშობა“.....42
მცირე ოპუსი იოანე-ზოსიმეს თემაზე.....45
მომავლის ადამიანი პ. სლოტერდაიკთან.....46
თანამედროვე ეთიკა.....48
Ecce Homo ანუ ორ უკიდურესობას შორის.....49
ცხოვრების ძირითადი ფასეულობა ილიასთან.....52
ერთხმოვანი თუ სამხმოვანი გალობა?.....53

კოლხეთის მეფეები....54
ეთიკური ინდივიდუალიზმი....59
ტერმინი „ერი“....61
კონსტანტინე გამსახურდია პოსტსაბჭოთა საქართველოში....63
ტერენტი გრანელი....67
სუნ ცზუს თეორია....70
სოციალური რეალობა....71
კონსტიტუციური მონარქია....72
ლიბერალური დემოკრატიის ადამიანი....73
„რუსი“ თუ „რუსეთელი?“....77
მეგრულის და სვანურის შიდაქართული გლობალიზაცია....78
პასუხად თარაშ ხუტაბას....79
მერაბ მამარდაშვილი....81
სერგეი რახმანინოვი....83
მოძღვრების შეხვედრა ილიაუნიში....84
დიდებული საუკუნე....86
ინგა გრიგოლიას გადაცემაზე....87
ყირიმის ომი....88
წარმატების გაგება დღევანდელ საქართველოში....90
თინა მახარაძის ინტერვიუ....91
ირმა გიგანის კონცერტი....92
ირაკლი კოსტავას გახსენება....93
ვინ არის ავტოქტონი ყირიმში....94
საქართველოს პირველი რესპუბლიკის სათავეებთან....96
პეტრე ხვედელიძის გარდაცვალებაზე....98
9 აპრილი....99
კიდევ ერთხელ 9 აპრილზე....100
ევროპა თუ ევრაზია....101
მარკესის გარდაცვალების გამო....103

კოშმარი ჩვენი ისტორიიდან 105
მელია ტულეფიას შესახებ 107
„ნაძირალა მარკოზაშვილი“ 109
აბაშაში 111
ქეთევან დედოფლის ფრესკის ასლები 112
გალაკტიონი და ევროინტეგრაცია პირველი 114
მსოფლიო ომის ასი წლისთავი 114
მემედ აბაშიძე 116
რა ზრდიდათ ქართველებს? 118
ქართული პარადოქსები 119
დავით გურამიშვილის გარდაცვალების დღე 120
კაზანტიპის ფესტივალი 121
Hot book challeng 122
ვინ აშენებს სახელმწიფოს 124
მაია ასათიანის გადაცემის შემდეგ 125
პოლემიკა კონსტანტინე გამსახურდიას ირგვლივ 126
ზვიად გამსახურდია და ზალცბურგი 128
კონსტანტინე გამსახურდია და უკრაინა 131
ძალადობა ქალთა მიმართ 134
მამაკაცი ეგზისტენციური პრობლემის
წინაშე საქართველოში 136
თბილისი ჰუგო ჰუპერტთან 139
ევროპის შესახებ 140
დღევანდელობის კრიზისის შესახებ 142
დღევანდელი რუსეთის თემები 145
რუსული პოლიტიკური აზრის მაკიაველი 148
მთვარის შუქის პირმშონი 152
„ჯინსების თაობა“ 156
სვეტიცხოვლის მშენებლობის ისტორიული ფონი 160
მერაბ კოსტავა საქართველოს პირველ
რესპუბლიკაზე 163
კიდევ ერთხელ საყდრისის შესახებ 168

რელიგიური დღესასწაულები

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით 175
დავით აღმაშენებლის ხსენების დღე 177
მამა გაბრიელის ნეშტის გადმოსვენებაზე 178
წმ. მოციქული ანდრიას დღესასწაული 179
ფერისცვალება 180
ღვთისმშობლობა 182
სვეტიცხოვლობა 183
გიორგობის დღესასწაული 186
მთავარანგელოზობა 190

პოლიტიკა-ეკონომიკა-სახელმწიფო

ზვიად გამსახურდიას ვითომდაც „გამონათქვამი“ ... 195
არჩევნების წინ 197
პარლამენტი ქუთაისში 200
დავით-გარეჯას მონასტერზე 202
კონფლიქტები ქართულ სოფლებში 203
აგვისტოს კონფლიქტი 204
ქართველი სამხედროები ავღანეთში 206
სამღვდელო პირთა პროცესი 208
საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ... 210
ელჩ ნორლანდის განცხადებაზე 212
ქვეყნის მუნიციპალური მოწყობა 213
თამარ კორძაიას გამონათქვამზე 215
გვამების მოთხოვნა 216
მუხროვანის ამბებზე 218
სამართლიანობის აღდგენის შესახებ 219
ბრუეზინსკი უკრაინაზე 224
რომელ ბანაკს ვეკუთვნი? 225
ამერიკელი რესპუბლიკელები და რუსეთი 226
სინგაპურიზაციის შესახებ 227
რუსული მიწების შემკრებელი 230
სომხური ენის სტატუსი 232
გამარჯვების დღე ყირიმში 234